

გუგამ შარაძის ხსენებას

ბრესლან დაეშვილი

ქართული ემიგრაცია

1921-1939 წლებში



თბილისი
2007

ნიგნის "ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში" ავტორი რუსუდან დაუშვილი "ქართული ემიგრაციის ისტორიის" კურსს 1994 წლიდან კითხულობდა ჯერ ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტის, შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტებზე. ქრონოლოგიურად კურსი მოიცავს 1921-1970 წლებს, გეოგრაფიულად კი 4 კონტინენტს: ევროპის, აზიის, ამერიკის ქვეყნებსა და ავსტრალიას. წინამდებარე გამოცემაში შეტანილია კურსის მხოლოდ I ნაწილი 1921-1939 წლების პერიოდი.

ნიგნი განსაზღვრულია როგორც სტუდენტების, ასევე ქართული ემიგრაციის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.


რედაქტორი: პროფესორი
რუსუდან ნიშნიანიძე

რეზენზენტი: პროფესორი
ოთარ ჯანელიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
რუსუდან დაუშვილი

ISBN 978-99940-49-19-6

© რუსუდან დაუშვილი
გამომცემლობა "რაეო"



საქართველოს პარლამენტის სხდომა. 1918 წელი

წინათქმა

წინამდებარე წიგნი ნაწილია კურსისა, რომელიც საქართველოს ოკუპაციის შემდგომ 1921-1960 წლების ქართული ემიგრაციის ისტორიის 40-წლიან მონაკვეთს და პირველი ორი ტალღის განსახლების არეალს 4 კონტინენტს მოიცავს. პირველ ტალღაში ჩვენ ვგულისხმობთ ემიგრანტებს, რომლებმაც სამშობლო 1921-1930 წლებში დატოვეს, მეორეში – მათ, ვინც ემიგრაციაში II მსოფლიო ომის დროს აღმოჩნდა; მესამეში – 1991-1992 წლების სამოქალაქო დაპირისპირების, საქართველოს მთლიანობისათვის ომისა და მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო დღემდე საქართველოდან ნასულებს, რომელთა დიდი ნაწილის ემიგრაცია, ვიმედოვნებთ, რომ დროებითია.

ემიგრაცია ყველა ხალხისათვის დიდი და მტკივნეული პრობლემაა, მით უმეტეს, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. ქართველი ხალხი თავის მინა-წყალს ყოველთვის მეტისმეტად იყო მიჯაჭვული და ემიგრაცია, როგორც წესი, ჩვენს ისტორიულ ბედუკულმართობასთან იყო დაკავშირებული. 1921 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციის ორმა დიდმა ტალღამ სამშობლოს მრავალი ქართველი მოსწყვიტა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტა. დღესაც ეს პრობლემა მთელი სიმწვავეით დგას. ისეთი მასიური ემიგრაცია, რასაც ადგილი ამ ბოლო წლებში აქვს, საქართველოს არ ახსოვს. თანამედროვე ემიგრაციული პროცესების მართვა-შესწავლისათვის კი აუცილებელია წარსულის შეცნობა-განაღმატება.

საკუთარი ემიგრანტული მემკვიდრეობის დაბრუნება ყველა ერმა მოახერხა, ქართველებმა - ყველაზე გვიან. ბევრი რამ იმ მოვლენებიდან, რაც ემიგრაციაში ხდებოდა, დღემდე უცნობია, რადგან ეს თემა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დახურული გახლდათ. არადა, სამივე, განსაკუთრებით პირველი ორი ტალღის ყოველმხრივი შესწავლა საშური და გადაუდებელი საქმეა, რადგან ისედაც ძალიან დაგვიანებულია, ბევრი რამ უკვე დაკარგულია სახელები, საფლავები, ნაღვანი. პირველი-მეორე ტალღის ემიგრანტთაგან კი ცოცხალი ცოტა ვინმე თუ დარჩა, ამიტომ სასწრაფოდ ჩასანერია უშუალოდ მათი ან ახლობელთა მოგონებები; მოსაძიებელია ნაშრომები, პირადი წერილები, მემუარები, ფოტო, ვიდეო-აუდიო მასალები, დასადგენია ემიგრანტთა ვინაობა, ბიოგრაფიული მონაცემები, საქმიანობა, განსახლების არეალი. გასარკვევია - რა წვლილი შეჰქონდათ მათ საქართველოს თუ იმ ქვეყნების კულტურაში, სადაც ცხოვრება მოუწიათ, შესასწავლია მათი მონაწილეობა ამა თუ იმ საერთაშორისო მოვლენაში, აღსანერია, რომელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციები თუ გაერთიანებები იქმნებოდა საზღვარგარეთ, რა მიზნით, ვინ იყვნენ ამ ორგანიზაციათა დამაარსებელი და წევრები და ა.შ. საკითხები და კითხვები მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, მათგან პასუხი მხოლოდ ერთეულებზეა გაცემული.

საზღვარგარეთ არაერთი საინტერესო მოგონება თუ წერილი დაიბეჭდა, რომელთა ავტორებიც მოვლენათა უშუალო მონაწილენი არიან. ემიგრანტთა უმრავლესობამ ქართული მენტალიტეტი შეინარჩუნა, თუმცა ხედავ და შეფასებები განსხვავებულია, ზოგჯერ კი ურთიერთსაწინააღმდეგო და გამომრიცხავი, რადგან პოლიტიკური დაქსაქსულობა და დაპირისპირებულობა მათ ხშირად ტენდენციურს ხდის. ამიტომ არსებული თუ ახლადმოპოვებული მასალა კონკრეტული საკითხების დადგენა-შესწავლის გარდა, ურთიერთშეჯერებას, განალიზებასა და განზოგადებას ითხოვს.

1990-იან წლებამდე იკრძალებოდა ემიგრანტების, როგორც სამშობლოს მოღალატეების, ხსენებაც კი. ის, რაც მათზე იბეჭდებოდა ან საბჭოურ იდეოლოგიურ წნეხში იყო გატარებული, ან ტენდენციურად, არასწორად მონოდებული.



საქართველოს ღვინო.
1918 წელი

საკითხის ახლებური შეფასების მცდელობას, საფუძველი გურამ შარაძემ ჩაუყარა (ლევლიდან, ჰარვარდიდან და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან სამთავრობო და კერძო არქივების ჩამოტანა, ქართული ემიგრაციის მუზეუმის დაარსება, მრავალრიცხოვანი ნაშრომები და პუბლიკაციები). დღეს ქართული ემიგრაციის პრობლემებზე სხვადასხვა დარგის მკვლევარები მუშაობენ, რომელთა ნაშრომები ამ თემებზე ჩვენს ცოდნას ავსებენ. მათგან აღსანიშნავია: ა.ასლანიშვილი, ა. ბაქრაძე, ლ. ბაქრაძე, გ. გაჩეჩილაძე, ვ. გურული, ნ. კირთაძე, ნ. კუპრეიშვილი, გ. მამულია, ი. მეგრელიძე, თ. ნატროშვილი, პ. ნაცვლიშვილი, რ. ნიშნიანიძე, გ. უორდანი, ს. რეჯვიაშვილი, მ. როდე-ჩიჯავაძე, გ. საითიძე, თ. სანიკიძე, მ. სვანიძე, მ. სიორიძე, ა. სურგულაძე, ი. ტაბალუა, რ. ფერაძე, გ. ფერაძე, გ. შარაძე, რ. შარაძე, დ. შველიძე, ა. ცამციშვილი, გ. ცხოვრებაძე, მ. ხომერკი, ო. ჯანელიძე, ნ. ჯავახიშვილი და სხვები.



საქართველოს ღრბი

ბოლო ათწლეულში ითარგმნა და გამოიცა ემიგრანტთა თხზულებები, მოგონებები, მათ მიეძღვნათ ნაშრომები, რადიო თუ ტელეგადაცემები და, რაც მთავარია, გაიხსნა დახურული არქივები, სამუზეუმო ფონდები და შესაძლებელი გახდა პირველწყაროების მოძიება; მაგრამ ვფიქრობთ, ეს ყველაფერი ემიგრაციის ისტორიის შესწავლის მხოლოდ დასაწყისია. ალბათ, კიდევ ბევრი დრო და ენერჯია დასჭირდება, სანამ ყოველივეს ნათელი მოეფინება, სანამ გახლენჩილი ისტორია გამთლიანდება - ერთი მხრივ, საქართველოს ემიგრანტული და მეორე მხრივ, ის ისტორია, რომელიც ჩვენს თვალწინ არსებობდა, თუმცა ისიც გახლენჩილი იყო. ოფიციალურის და გაყალბებულის მიღმა კი საქართველოს ნამდვილი ისტორიაა საძიებელი. ქართული კულტურა წარმოუდგენელია ემიგრანტთა მოღვაწეობის შესწავლის და ყველა იმ ღირებულების გათვალისწინების გარეშე, რომლებსაც ისინი სამშობლოში დაბრუნების იმედით ქმნიდნენ. შეუძლებელია, ჩვენი ისტორიიდან ემიგრანტთა ღვაწლის ამოშლა. მკვლევართა მხრიდან მეტი ყურადღებაა საჭირო. საშური საზოგადოებისათვის მათი სახელების, ცხოვრების, შემოქმედების მიწოდება, გაცნობა და ობიექტური შეფასება. მათ დაიმსახურეს, რომ ემიგრანტული მემკვიდრეობა რაც შეიძლება სწრაფად იქნას ჩართული ქართულ კულტურაში. მით უმეტეს, რომ ბოლო წლებში საზოგადოების

დამოკიდებულების შეცვლასთან ერთად, მათ მიმართ ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

პირველი ტალღის ემიგრანტები ბევრნი იყვნენ პოლიტიკური, სამხედრო, კულტურული და ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლები, რომლებმაც სამშობლო 1921 წლის ოკუპაციის, 1924 წლის აჯანყების დამარცხების ან რეპრესიების გამო დატოვეს: მთავრობის, დამფუძნებელი კრების, პარლამენტის, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები და თვალსაჩინო წევრები, ქართული არმიისა და გვარდიის შტაბები, კოჯორ-ტაბახმელასთან მებრძოლი სამხედრო პირები, იუნკერთა სკოლის კურსანტები, მათი ოჯახები. უკან ველარ დაბრუნდნენ უცხოეთში მოღვაწე დიპლომატები, საელჩოებისა და საკონსულოების თანამშრომლები, მეცნიერები, ხელოვნების დარგის მოღვაწეები, სტუდენტები. საზღვარგარეთ აღმოჩნდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გასახლებული 90-მდე ინტელიგენტი და ისინი, ვინც საზღვარი საიდუმლოდ გადალახეს და საბჭოეთს თავი დააღწიეს. მათ ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა განსხვავებული ჰქონდათ. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ყველა თავისებურად ეძებდა. მაგრამ ემიგრაციის ამ მრავალფეროვან და ხშირად ურთიერთდაპირისპირებულ სპექტრს სამშობლოს დიდი სიყვარული და სურვილი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა აერთიანებდა.


წინამდებარე წიგნის მიზანია, ემიგრაციის ისტორიის ერთი მონაკვეთის, 1921-1939 წლების გამოკვლევა და თეთრი ლაქების შევსება, იმ პოლიტიკური, საქველმოქმედო-დამხმარე და კულტურული ორგანიზაციების გამოვლენა, რომელთა არსე-



საბაოვკლავ ქიანაშიზა უფანა ახლელი გვარდიის კარდომანე

ბობა ისტორიოგრაფიისათვისაც უცნობია.


ნაშრომში გამოყენებულია ემიგრანტთა პირადი და საო-




საქართველს დროშა

ჯახო არქივები. აუდიო-ვიდეო და ფოტო-ფონო მასალები, ქართული ემიგრაციისა და ქართული ლიტერატურის მუზეუმებში დაცული ემიგრანტთა ფონდები, ლევილიდან და ჰარვარდიდან ჩამოტანილი სამთავრობო არქივები, ემიგრანტული ნიგნები, ნაწერები,

მოგონებები, პირადი წერილები, ქართულ, რუსულ და კავკასიურ ემიგრანტულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული მასალები, სახელმწიფო და კერძო არქივებში გამოვლენილი პოლიტიკური პარტიების, ემიგრანტულ ორგანიზაციათა, საზოგადოებრივ გაერთიანებათა საპროგრამო დოკუმენტები, წესდებები, ბიულეტენები, სხდომათა ოქმები, ბუკლეტები, პერიოდული გამოცემები, მიმართვები, მოხსენებითი ბარათები, ანგარიშები, წევრთა სიები, სხვადასხვა ღონისძიებათა ანონსები, მოსაწვევები და აფიშები. აგრეთვე ემიგრანტთა ან მათ შთამომავალთა ჩვენს მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი მოგონებები და ინტერვიუები, რომლებიც უკვე საარქივო მასალადაა ქცეული; გამოყენებულია საქართველოში თუ უცხოეთში გამოცემული დოკუმენტები, უცხოენოვანი პრესა და საარქივო მასალები.



ერთა ლიგისათვის წარდგენილი საქართველოს რუკა. 1920 წ.



ძველი ხათაში

თავი I

ქართული ემიგრაციის I ტალღის შემადგენლობა და განსახლება

I ტალღის ემიგრანტთა ზუსტი რაოდენობა დადგენილი არ არის. მათი რიცხვი დაახლოებით 3000-4000 კაცით განისაზღვრება. ისინი ემიგრაციაში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით აღმოჩნდნენ.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში, იტალიურმა გემმა "კირალმა", ფრანგულმა "ვესტამ" და "მარიამ" სტამბოლში ბოლშევიკურ რეჟიმს გარიდებულ ლტოლვილთა პირველი დიდი ნაკადი ჩაიყვანეს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, დამფუძნებელი კრების, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები და წევრები, ქართული არმიისა და გვარდიის გენერლები, ოფიცრები, კოჯორ-ტაბახმელასთან მებრძოლები, მათი ოჯახის წევრები: ნოე ჟორდანიას, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგუჭკორი, ნოე ხომერიკი, ირაკლი წერეთელი, არზაყან ემუხვარი, გრიგოლ დიასამიძე, გიორგი გვაზავა, ვლასა მგელაძე, ვალიკო ჯუღელი, გიორგი კვინიტაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, ალექსანდრე მდივანი, სოლომონ ზალდასტანიშვილი და სხვები. მათ მიემატნენ ისინიც, ვინც საიდუმლოდ

გადალახა საზღვარი: ვარლამ ჩერქეზიშვილი, ვახტანგ ციციშვილი, იური ფალავა, ლეო კერესელიძე და სხვები.

ცნობილია, როგორ მოხვდა ემიგრაციაში ექვთიმე თაყაიშვილი. 1921 წლის თებერვალში, როდესაც ნითელი არმია თბილისს მოუახლოვდა, ივანე ჯავახიშვილის რჩევით, ექვთიმეს ფინანსთა მინისტრის თანაშემწე იოსებ ელიგულაშვილთან ერთად, ბოლშევიკთა ხელყოფისაგან საქართველოს სახელმწიფო ხაზინისა და ეროვნული განძის გადარჩენა დაევალა. განძი ბათუმიდან ჯერ სტამბოლში, 10 აპრილს კი მარსელში ჩაიტანეს. მთავრობისაგან მივლინებული ცნობილი მეცნიერის და დიპლომატის ზურაბ ავალიშვილისა და მთავრობის საქმეთა რწმუნებულის, ანდრია დეკანოზიშვილის დახმარებით განძი მარსელის ბანკში გადაიტანეს. ხაზინის ვერცხლეულობის გაყიდვით მიღებული ფულით ბანკში სამუზეუმო განძის შენახვის ერთი წლის საფასური გადაიხადეს და პარიზთან ახლოს, დაბა ლევილის მამული და ორსართულიანი სასახლე - "შატო" შეიძინეს. მამული დღესაც საქართველოს ეკუთვნის და ქართულ ემიგრაციას 85 წელია დიდ სამსახურს უწევს, როგორც ლტოლვილთა თავშესაფარი და უცხოეთში გარდაცვლილთა ძვალშესალაგი.

ლტოლვილების პირველი დიდი ნაკადი სტამბოლმა მიიღო. ქართველ კათოლიკეთა მონასტერმა მათ ფართოდ გაუღო კარი და თავშესაფარი მისცა: მამაკაცები მონასტრის სენაკებში დააბინავეს, მათი ოჯახები - საკონსულოში.

რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების გამო, ჯერ კიდევ 1918 წელს მისი ტერიტორია 3 მილიონმა ადამიანმა დატოვა. სამოქალაქო ომმა, რუსეთის მიერ შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ოკუპაციამ კი ლტოლვილთა საკითხი ერთა ლიგის წინაშე მთელი სიმწვავეით დააყენა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად 1921 წლის ზაფხულში ჟენევის კონფერენცია-



ლვილის შატო

ზე "ლტოლვილთა კომისარიატი" შეიქმნა, სპეციალური ე.წ. "ნანსენის პასპორტები" დანესდა და ერთი ქვეყნიდან მეორეში სამუშაოდ გადასასვლელად თანხა გამოიყო. ქართველ ლტოლვილებს პასპორტებს

ლეგაცია აძლევდა, არც იურიდიული სტატუსი სჭირდებოდათ, მაგრამ კრედიტის სიმცირის გამო, კომისარიატმა ლტოლვილთა სამუშაოზე მონყობა ვერ შეძლო. საქმეში "შრომის საერთაშორისო ბიურო" და მისი დირექტორი, ალბერტ ტომასი ჩაერია, რომელმაც სამსახური ბევრს უშოვა. თუმცა უმუშევრობა მაინც პრობლემად რჩებოდა, რადგან ლტოლვილთა შორის შავი მუშები ცოტანი იყვნენ. სტამბოლში მყოფი 400 ქართველის დახმარება ერთა ლიგამ, "ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა" და "შრომის საერთაშორისო ბიურომ" ითავეს. 1921 წლის ბოლოს საქართველოს საელჩომ სამოქალაქო ომის ალში გახვეული სტამბოლიდან ევროპაში ლტოლვილთა გაყვანა და კონტრაქტების საფუძველზე ევროპის ქვეყნებში დასაქმება სწორედ მათი საშუალებით დაიწყო. ამის შემდეგ საკონსულოსა და აკაკი ხოშტარის "თურქულ-სპარსული ბანკის" თანამშრომელთა გარდა, რომელსაც ივანე ზურაბიშვილი ხელმძღვანელობდა, სტამბოლსა და თურქეთის სხვა ქალაქებში ლტოლვილი ქართველები კიდევ მრავლად დარჩნენ. 1924 წელს იქ იმყოფებოდნენ ნოე ხომერიკი, გოგიტა ფალავა, დავით შარაშიძე, რაჟდენ არსენიძე, ბენია ჩხიკვიშვილი, დავით ვაჩნაძე, მიხაკო წერეთელი, პეტრე სურგულაძე, ვასო ალიხანაშვილი და სხვები. სტამბოლში ჩასული 69 იუნკერიდან 14 სამშობლოში დაბრუნდა. 5 იუნკერი საფრანგეთის სან-მიქსენის, 20 - საბერძნეთის, 30 - პოლონეთის სამხედრო სკოლებში გაიგზავნა.

საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის დამყარების გამო უკან ველარ დაბრუნდნენ დიპლომატები, საელჩოებისა და საკონსულოების ნევრები, ეკონომიკური მრჩეველები, "რუსეთ-სპარსეთის სანავთობო ამხანაგობისა" და შავი ქვის მრეწველი საზოგადოება "ჩემოს" თანამშრომლები, დამოუკიდებლობის დროს მთავრობის მიერ უცხოეთში გაგზავნილი თუ საკუთარი ინიციატივით სასწავლებლად ან სტაჟირებისათვის წასული მეცნიერები, სტუდენტები, ხელოვნების დარგის მოღვაწეები, მხატვრები: ფელიქს ვარლამიშვილი, მიხეილ ბილანიშვილი, მომღერლები: მიხეილ ნანობაშვილი, ელენე თარხნიშვილი, სონია დუმბაძე, მსახიობი ანდრო რეხვიამიშვილი და სხვები.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბევრმა ქართველმა თაყი ირანს შეაფარა. მათ შორის იყვნენ 1908 წლის ირანის რევოლუციის მონაწილეებიც, რომლებიც ამ ქვეყანას კარგად იცნობდნენ. ირანის რევოლუციაში ქართველთა მონაწილეობაზე დანერჩილებით

ქლასა მგელაძე მოგონებათა I ნიგში მოგვითხრობს. როგორც ხანს, ოფიცერთა ერთი ჯგუფი ირანში გადავიდა, რადგან ისინი 1936 წელს ყოფილი ოფიცრის კონსტანტინე მაჭავარიანის



სენ-მოქსენის სამხედრო სკოლის კურსანტი იფანტოვი

დალუპვას იუწყებიან. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკების თხოვნით, სახელოვანმა სარდალმა გიორგი მაზნიაშვილმა ბათუმიდან თურქები გარეკა და აჭარა საქართველოს შეუნარჩუნა, 1923 წელს ირანში 5 წლით მინც გააძევეს. ასეთი ექსორია სხვა შემომრებსაც შეეხოთ. პარიზში გამოცემულ ნიგში "ლტოლვილთა საქმე" ირანში გარდაცვლილთა საქმოდ ვრცელი სიაა შეტანილი.

ლტოლვილთა ნაწილმა ჩინეთის საზღვარი გადალახა და მანჯურიაში გადავიდა. იქ ქალაქ ხარბინში ქართული უბანი და ქართული სათვისტომო არსებობდა.

1922 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ, მეტეხის ციხეში პატიმრობის შემდეგ, საზღვარგარეთ 62 ინტელიგენტი გაასახლა. სოციალ-დემოკრატები: ვასილ ნოდია, შალვა აბდუშელი, პავლე სარჯველაძე, დავით სალირაშვილი, კალისტრატე სალია, იოსებ ირემაშვილი, მაქსიმე ვეკუა, ბიქტორ ცენტერაძე, დავით ყორყოლიანი, ალფეს ხელაძე, ვლასა ინკირველი, ამბერკი ვადაჭკორია, ერეთეოზ რამიშვილი და სხვები; სოციალისტ-ფედერალისტები: გიორგი ნაკაშიძე, ნიკიტა მგალობლიშვილი, თეოდოზ დოლიძე, აკაკი მეუნარგია; ეროვნულ-დემოკრატები: რაფიელ ივანიცკი-ინგილო, ნიკო ნაკაშიძე და სხვები. ისინი ძირითადად საფრანგეთმა, გერმანიამ და ჩეხოსლოვაკიამ შეიფარა. 1922 წელს აკაკი პაპავა ბერლინში წავიდა და აღარ დაბრუნდა, ერთი წლის შემდეგ კი პატარა გოგონებით მას ცოლმა, თამარ პაპავამ ჩააკითხა.

მეტეხის ციხიდან გათავისუფლებულ პატიმართა ნაწილი, ანტისაბჭოთა პარტიათა თვალსაჩინო წევრები: სამსონ ფირცხალავა, გიორგი ლასხიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, ისიდორე რამიშვილი, ნოე ცინცაძე და სხვები საბჭოთა მთავრობამ 1923 წლის 10 თებერვალს კვლავ დააპატიმრა და საზღვარგარეთ გაასახლა. მათ შორის იყო, ჯერ კიდევ 1922 წელს დაპატიმრებული სპირიდონ კედია. ისინი კი, ვინც გადაურჩნენ

საზღვარგარეთ გასახლებას და დახვერტას, დამკომის სამხედრო ცენტრის განადგურების შემდეგ, უცხოეთში გაიხიზნენ. მათ შორის: ალექსანდრე ასათიანი, მარკოზ ტულუში და სხვები.

1924 წლის აგვისტოში ქართველ პატრიოტთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დამარცხებისა და რეპრესიების გამო თურქეთს და ირანს მეორე დიდი ნაკადი მიანყდა. სექტემბრის ბოლოს თურქეთში აგვისტოს აჯანყების გამირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა ჯგუფიც გადავიდა: ელიზბარ ვაჩნაძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, ლელო ჩიქოვანი, შალვა ნებიერიძე, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე კარგარეთელი, მერაბ ჯორჯაძე, მიხეილ ლაშქარაშვილი და სხვები. მათთან ერთად იყვნენ: დამკომის სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელი სპირიდონ ჭავჭავაძე, პოლკოვნიკები : დავით მხეიძე და სიმონ ყრუაშვილი. ხოფაში მათ შეუერთდა ჭიათურელ მეთამბოხეთა ჯგუფი: სვიმონ წერეთელი, გიორგი წერეთელი, შალვა ბერიშვილი, ილია სალუქვაძე, პროკოფი ინკირველი და სხვები. მალე მათ მაგალითს აჯანყების მონაწილეთა გადარჩენილმა და რეპრესიებს გარიდებულმა ნაწილმაც მიბაძა. 9-კაციანმა ჯგუფმა, მათ შორის შალვა ამირეჯიბმა, სოლომონ ზალდასტანიშვილმა, ელისე პატარიძემ, მიხეილ ნადაშვილმა, ესე სარჯველაძემ საზღვარი ოქტომბერში გადალახეს. 1924-1930 წლებში საქართველო აჯანყების სხვა მონაწილეებმაც დატოვეს: დავით ვაჩნაძემ, გიორგი ყიფიანმა, ვალიკო ჩუბინიძემ, ალექსანდრე ცომაიამ, ჯაბა ხაბულიანმა, ალექსანდრე შათირიშვილმა, მიხეილ ქავთარაძემ, ფილიპე შარაძემ, შოთა ბერეჟიანმა, ნიკიტა იმნაიშვილმა და სხვებმა.

ხოფადან სტამბოლში ლტოლვილების გამგზავრებაზე ზრუნავდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები: ექიმი იოსებ ცინცაძე, მისი მოადგილე იოსებ კეჭაყმაძე და დამხმარე ჭყონია. სტამბოლში ჩასულები ვიზების მიღების მოლოდინში ერთხანს ყოვნდებოდნენ, შემდეგ ევროპაში მათი გამგზავრებისათვის ილწვოდნენ: მთავრობის წარმომადგენელი კონსტანტინე გვარჯალაძე, რომელიც იმავდროულად, სტამბოლის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეც იყო, საკონსულოს თანამშრომლები იოსებ გოგოლაშვილი, ივანე ჭავჭავანიძე, ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ბერი შალვა ვარდიძე და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი მარსელში "მუსიო ყორყი". როგორც შამირეჯიბი

აღნიშნავდა: "საქართველო ევროპაში ძალიან ხმაურობს. მარტო ის რადა ღირს, რომ "ნარმომადგენელი" ყველგან არის, სადაც ემიგრანტი ქართველს მისვლა უხდება".

კოლექტივიზაციამ და მინების ჩამორთმევამ 1929-30 წლებში მესხეთიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან მასიური ემიგრაცია გამოიწვია. მარტო მესხეთიდან ერთ დღეს 150 კაცი ნასულა. როგორ ახერხებდნენ უკვე ჩაკეტილ საზღვარზე საიდუმლოდ გადასვლას, ამის შესახებ მოგვითხრობენ შოთა ბერეჟიანი და ალექსანდრე მანველიშვილი;



ნ. წაწალაშვილი, შ. ბერეჟიანი, ს. ჭიბაძე, დ. ახალაიანი & ანაბო, ვარციხე, 1929 წ.

ამ უკანასკნელმა თურქეთის საზღვარი ნიკო და სერგო ინასარიძეების ოჯახთან, ალექსანდრე გელაშვილთან და სხვებთან ერთად გადალახა. თუმცა, საზღვარგარეთ ნასვლა ოფიციალური გზითაც შეიძლებოდა: 1928 წელს ჯგუფთან ერთად, რომელშიც შედიოდნენ: დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, პარიზში სასწავლებლად წავიდა და მხოლოდ 1935 წელს დაბრუნდა მხატვარი ლუკა ხითარიშვილი. 20-იანი წლების ბოლომდე არა მარტო თურქეთისა და ირანის, არამედ ჩინეთის საზღვრის გადალახვა ჯერ კიდევ იყო შესაძლებელი. მაგალითად, 1924 წლის აჯანყების მონაწილე, ქართული არმიის მაიორი ევსევი ახვლედიანი 1927 წელს მანჯურიამი გადავიდა. ემიგრაციის ერთეულ შემთხვევებს ადგილი მერეც ჰქონდა. მაგალითად, 1931 წელს გერმანიაში მეუღლე სამკურნალოდ წაიყვანა და აღარ დაბრუნდა ცნობილი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, 1933 წელს ემიგრაციაში დარჩა მარგანეცის მრეწველი, ბერლინში საბჭოთა ბანკის თანამშრომელი კირილე კაკაბაძე და ა.შ.

ასე რომ, 1921-30 წლებში ახალი რეჟიმის გამო სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და პარტიული კუთვნილების მრავალმა ქართველმა განსხვავებული გზებით დატოვა სამშობლო და საქართველოს ოკუპაციამდე ნასულ და უცხოეთის ქვეყნებში გაფანტულ ემიგრაციას შეუერთდა. ქართული ემიგრაციის პირველ ტალღას სწორედ ისინი შეადგენენ.

ასე რომ, 1921-30 წლებში ახალი რეჟიმის გამო სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და პარტიული კუთვნილების მრავალმა ქართველმა განსხვავებული გზებით დატოვა სამშობლო და საქართველოს ოკუპაციამდე ნასულ და უცხოეთის ქვეყნებში გაფანტულ ემიგრაციას შეუერთდა. ქართული ემიგრაციის პირველ ტალღას სწორედ ისინი შეადგენენ.

თავი II

ქართული სათვისტომოები

ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის განსახლების არეალი II მსოფლიო ომამდე 3 კონტინენტს მოიცავდა და სოციალური თუ პროფესიული შემადგენლობით ძალზე ჭრელი იყო. I მსოფლიო ომის შემდგომ წლებში პროფესიის მიხედვით ყველას დაკმაყოფილება სასურველი სამუშაოთი შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობდნენ ამ მდგომარეობის მოსანესრიგებლად 20-30-იან წლებში ქართული კოლონიები, სათვისტომოები და ასოციაციები დაარსდა.

ჩვენ შევეცადეთ, სხვადასხვა წყაროს საშუალებით დაგვედგინა სად, როდის და ვისი ხელმძღვანელობით წარმოიშვა სათვისტომოები.

როგორც აღვნიშნეთ, ევროპაში ქართველი ემიგრანტები ძირითადად თურქეთის გავლით მოხვდნენ. სტამბოლში შუა საუკუნეებიდან მოყოლებული არსებობდა ქართული უბანი, დიასპორა და XIX საუკუნის 70-იან წლებში ფერი-კვეის რაიონში პეტრე ხარისჭირაშვილის მცდელობით აშენებული ქართველ კათოლიკეთა მონასტერი “ღვთისმშობლის უმანკო ჩასახების” მამათა ლავრა. მონასტერთან არსებული ქართული სტამბა საეკლესიო წიგნებითა და სასკოლო სახელმძღვანელოებით არა მარტო სამონასტრო სკოლას, არამედ საქართველოში არსებულ სახალხო სკოლებსაც ამარაგებდა. მონასტერში აღიზარდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი ქართველები, როგორებიც იყვნენ: ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), მიხეილ თამარაშვილი, ანდრია წინამძღვრიშვილი, რაფიელ ივანიცკი-ინგილო, შალვა ვარდიძე, მიხეილ თარხნიშვილი და სხვები. მონასტერი ქართული კულტურის ცენტრი იყო, სადაც თავს იყრიდნენ არა მარტო კათოლიკე, არამედ მართლმადიდებელი და მაჰმადიანი ქართველებიც. სტამბოლელმა ქართველებმა გენერალ



სტამბოლის ქართულთა მონასტერი

ალექსანდრე მდივანის, იოსებ კემულარიას და სხვათა შემადგენლობით, ლტოლვილთა მისაღებად და მათთვის ელემენტარული პირობების შესაქმნელად კომიტეტი შექმნეს.

1921 წლის ბოლოს ლტოლვილთა ევროპაში გაყვანის შემდეგ, ემიგრანტები თურქეთში კიდევ მრავლად რჩებოდნენ. მათ ყოველ წელს ახალი რაოდენობა ემატებოდნენ, რომელთა გადაზავნა ევროპაში დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. "ამჟამად ოსმალეთში 1000-ზე მეტი ქართველია გადმოხვენილი, უმუშევარი, უბინაო, ულუკმაპურო, ელიან, აქეთ როდის წამოვიყვანთ", - წერდა 1922 წელს გაზეთი "დამოუკიდებელი საქართველო". იქვე შენიშნავდა, რომ საქართველოს წარმომადგენლობას ადრე ამ საკითხის მოგვარებაში საფრანგეთის მთავრობა, ერთა ლიგა და შრომის საერთაშორისო ბიურო ეხმარებოდა. ახლა კი, ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობა ზოგიერთი ქართველის მოქმედებით, კონტრაქტების შეუსრულებლობითა და ვალების გადაუხდელობით, გართულდაო. აღნიშნავდა რა ამგვარი ყოფის სიმძიმეს, გაზეთი წერდა: "ემიგრანტობა სასჯელია და ამ სახელს ის არ უნდა მოერიდოს მხოლოდ, ვისაც შინ უარესი სასჯელი მოელის".

ევროპაში ქართველ ემიგრანტთა ყველაზე დიდი ოდენობა საფრანგეთში აღმოჩნდა. მამაკაცები ფიზიკურად შრომობდნენ, ტაქსის მძღოლებად ან "პეჟოს" და "სიმკა-კრეისლერის" ქარხნებში კონტრაქტებით მუშაობდნენ. ქალები ეკრავდნენ, ქსოვდნენ, ქარგავდნენ და ასე ეხმარებოდნენ ოჯახს. საქართველოს ყოფილი მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე პირველი იყო, ვინც ხელი მანვნის დამზადებას მიჰყო. მას შემდეგ ბევრმა მიბაძა. მართალია, მანვნის დამზადებას დიდი ფული არ მოჰქონდა, მაგრამ გაჭირვებული ქართული ემიგრაციისათვის ეს მაინც ხელსაყრელი ბიზნესი აღმოჩნდა. მთავრობისა და პოლიტიკოსთა ნაწილი პარიზის მახლობლად დაბა ლევილში დაბინავდა და თავს პოლონეთის მთავრობის სუბსიდიით და მინათმოქმედებით ირჩენდა. ლტოლვილთა უმეტესობა კი პარიზსა და მის შემოგარენში ლინასში, არპაჟონში, ვალენტიანეში, სოშო-ოდენკურში დასახლდა.

ყველაზე ხალხმრავალ პარიზის კოლონიაში 1930 წელს 1000 წევრი იყო გაერთიანებული. სხვადასხვა დროს სათვისტომოს თავმჯდომარეობდნენ: ვახტანგ ლამბაშიძე, დავით სხირტლაძე, გიორგი ჟურული. სათვისტომოს პარალელურად შეიქმნა: "საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა ასოციაცია" საქართვე-

ლოს განათლების ყოფილი მინისტრის მოადგილის ნოე ცინცაძის ხელმძღვანელობით, ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატთა, ახალგაზრდა მარქსისტთა, ქართველ სტუდენტთა და სხვა ასოციაციები. სათვისტომოს საქმიანობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1933 წლის დასაწყისში ჩატარებულ კრებაზე ვიკტორ ნოზაძის მოხსენება; ვინაიდან კოლონიაში საქმიანობის ყოველმხრივ გასაშლელად სანევროები და სხვა სახის ფინანსური დახმარებები საქმარისი არ იყო, შემოსავლიანი საღამოების მოწყობა კი კონკურენციას უწევდა ტუბერკულოზიან ავადმყოფთა სასარგებლოდ გამართულ მეჯლისებს, ამიტომ ამ გზით სახსრების მოზიდვაზე უარი თქვა.



ქართულთა ერთი ჯგუფი პარიზში

ახლადარჩეულმა გამგეობამ თავისი მოღვაწეობა კულტურულ-საგანმანათლებლო დარგში გადაიტანა და ორი მიზანი დაისახა - ყველა სფეროში საერთო ხასიათის მოხსენებების, ახალგაზრდობისათვის სამშობლოს ისტორიასა და ლიტერატურაზე ლექციების მომზადება, ბავშვებისათვის კი სკოლის დაარსება. შემუშავდა საქმოდ ფართო გეგმა: სამკითხველოს მოწყობა, კავკასიისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი კურსების გახსნა, საექიმო დახმარების მოგვარება. ყოველივე ამის გადაჭრას და მოწესრიგებას შენობა, კონკრეტული ადგილი ესაჭიროებოდა, რომლის შეძენა ხელმოკლეობის გამო ვერა და ვერ მოხერხდა. მაგრამ გამგეობა მაინც ცდილობდა "კულტურული მუშაობის მოწესრიგებას". 1932 წ. მოხერხდა 14 მოხსენების წაკითხვა, ბავშვთა დღის მოწყობა. კათოლიკეთა ბიბლიოთეკის შენობაში ერთი ჯგუფი კვირაში სამჯერ დადიოდა უფასოდ ქართული ენის სამეცადინოდ, კვირაში ორჯერ ფრანგული ენის და ა.შ. კოლონიის ამგვარმა საქმიანობამ გაააქტიურა მისი წევრები. პარიზში მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რომლებზეც საუბარი ქვემოთ გვექნება.

პარიზის შემდეგ ყველაზე მეტი ქართველი დუს დეპარტამენტში დასახლდა. სოშო-ოდენკურში და მის შემოგარენში - მონბელიარ-აბონდანში ქართველთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო. თითქმის ყველა "პეუოს" ქარხნებში მუშაობდა. ალექსანდრე სულხანიშვილი მოგვითხრობს, როგორ აღმოჩნდნენ იქ ქართველები: ქაქუცა ჩოლოყაშვილის თხოვნით, ქართველებს პეუოსთან პოლკოვნიკმა კოკემ უშუამდგომლა, მაგრამ ოდენკურში შეფიცულების ჩასვლამდე, ევგენი გეგეჭკორის თხოვნით, ქაქუცას ქარხანაში 50 სოციალ-დემოკრატი მიუყვანია. ქარხნის ადმინისტრაციასთან ქართველებს კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ასოციაციის წყალობით, რომელსაც წლების განმავლობაში სოციალ-დემოკრატი ვლადიმერ ბაქრაძე ხელმძღვანელობდა. ქართული კოლონიის გამგეობა ქართველებს სამუშაოზე მოწყობაში ეხმარებოდა. 1928 წელს მან ამ საკითხის მოწესრიგება სცადა და გამოაცხადა, რომ ახლადჩასულებს ან მისი, ან სხვა ორგანიზაციის თანხმობა უნდა ჰქონოდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უადგილოდ დარჩენილების დახმარებაზე პასუხისმგებლობას იხსნიდა. ასოციაცია ხელს უწყობდა ახალგაზრდობის თვითგანვითარებას და ქართველთა კონსოლიდაციას. შეიქმნა ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი გაერთიანებაც. ასოციაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სხვა სათვისტომოებთან ხშირად ატარებდნენ ლონისძიებებს და მათაც იწვევდნენ. 20-იანი წლების ბოლოს იქ ქართველთა რიცხვი შემცირდა. 1928 წელს სოციალისტი დეპუტატის, რიუკლენისათვის გამართულ ბანკეტს 60 ქართველი ესწრებოდა. 1928 წელს მოაწყვეს კოოპერაციული სასადილო,



ქართული კოლონია სოშო-ოდენკურში

რომელიც ქართველებს ხელს ხშირად ნისიად უმართავდა. 1931 წელს ასოციაციამ ოდენკურიდან 4 კილომეტრის დაშორებით სოშოში გადაინაცვლა, სადაც პეუომ ახალი ქარხნები გახსნა და ქართველი მუშები იქ გადაიყვანა. პეუო ადრე შენობებს უფასოდ უთმობდა მუშებს. კრიზისის გამო, ამჯერად ეს აღარ მოხერხდა, ამიტომ ქართველებმა პარტიული სიჭრელის მიუხედავად, გაერთიანება შეძლეს; ფული შეაგროვეს, ნაწილი ისესხეს, სახლი შეიძინეს, გაადიდეს და გაანყვეს. შენობა ისეთი დიდი იყო, რომ მას უცხოელებიც ქირაობდნენ კრებების, კონცერტებისა და მეჯლისებისათვის. მაგალითად, იუგოსლავიის ერთ-ერთი მინისტრის შესახვედრად იქ თავი 600 კაცს მოუყრია. მონბელიარის სასაფლაოზე გარდაცვლილებისათვის ადგილი იყიდეს და საფლავები ლამაზად მოანყვეს. ქართული პრესა ევროპულ სათვისტომოებს შორის სამაგალითოდ სწორედ სოშო-ოდენკურის სათვისტომოს ასახელებდა. 1933 წელს ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის შენობა ააგეს, რომელიც ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა და მწერალთა სურათებით იყო მორთული. 1937 წელს სათვისტომოში მხოლოდ 40 წევრი ითვლებოდა, თუმცა 1938 წელს მათი რიცხვი 60-მდე გაიზარდა.

მონპელიეს ქართულ სათვისტომოს იოსებ მჭედლიშვილი ხელმძღვანელობდა, 1935 წელს ვასო ციციქიშვილის მეთაურობით "თეთრი გიორგის" რაზმი ჩამოყალიბდა. 1937 წელს ქართველები იქ საკმაოდ იყვნენ და 26 მაისი დიდი ზეიმით აღნიშნეს. ორნის რკინის მაღაროებში მომუშავე ქართველებმაც შექმნეს სათვისტომო, რომლის გამგეობის მდივანი მწერალი სტეფანე კასრაძე იყო. ბორდოში მცხოვრებ ქართველთა შესახებ 1925 წლის ინფორმაციით ვიგებთ, რომ დაუარსებიათ "კავკასიის შესწავლის წრე", რომლის მიზანიც იყო იმ რაიონში გაფანტული ქართველების თავმოყრა, სხვა კავკასიელებთან მათი დაკავშირება და ურთიერთგაცნობა. ნანსში და კრეზოში 1929 წელს ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატთა ჯგუფი არსებობდა. 1934 წელს მუსიკაში ახალ მიმართულებას ამკვიდრებდა გიორგი დე ჟირონკური, რომელიც ნანსსა და შალიში "ქართულ კონცერტებს" მართავდა. მსმენელს კონცერტის დაწყებამდე კი საქართველოს შესახებ ესაუბრებოდა. 1934 წელს ქართველები ჩანან მონბელიარშიც, სადაც 1934 წლის 17-18 ოქტომბერს ქალაქის თეატრში ქართულ გუნდს შენგელიას ლოტბარობით კონცერტები გაუმართავს. იქ ქართული საზოგადოების პრე-

ზიდენტი 30-იანი წლების ბოლოს გრიგოლ ქვარცხავა იყო, მოადგილე სევერიან ჭირაქაძე. ლიონში დის, ელენ დემოლონის გვერდით ცხოვრობდა ირაკლი (კაკი) ნერეთელი, "თეთრი გიორგის" რაზმს კი დ. გოგორიშვილი ხელმძღვანელობდა. ტულუზაში არსებობდა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომლის მდივანი გ.გოგიაშვილი იყო. ბიანკურში მცხოვრებ ქართველებს უურნალ "დამოუკიდებელი საქართველოს" შექმნა დაეით უორჟოლიანთან შეეძლოთ. ქართველები მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ აბონდანში, ბანიოში, გრენობლში, პონტიმარში, მარსელში და სხვა ქალაქებში.

საფრანგეთისაგან განსხვავებით, ინგლისში ქართველ ემიგრანტთა მცირე ნაწილი ცხოვრობდა. ჯერ კიდევ XIX ს. 70-იან წლებში ლონდონში ემიგრაციაში იმყოფებოდა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც წლების განმავლობაში "ივერიის" კორესპონდენტი იყო და გაზეთს ინფორმაციებს "მარველის" ფსევდონიმით აწვდიდა. ოკუპაციის შემდეგ მან კვლავ ლონდონს მიაშურა და ოკუპანტებთან ბრძოლა იქედან განაგრძო. I მსოფლიო ომის დროიდან ლონდონში ცხოვრობდა ანდრია გუგუშვილი, რომელიც დამოუკიდებლობის დროს საქართველოს საელჩოში მდივნის მოვალეობას ასრულებდა. ოკუპაციის შემდეგ იქვე დარჩა, ლონდონის უნივერსიტეტში ქართულ ენას ასწავლიდა და დიდხანს იყო ინგლისში საქართველოს საისტორიო საზოგადოების მდივანი, 1935 წელს კი დევიდ ლანგის მიერ დაარსებული უურნალ "Georgica"-ს მდივანიც გახდა. კემბრიჯის უნივერსიტეტი დაამთავრა და ლონდონში დასახლდა ინჟინერი მერაბ კვიციანი. სიმცირის მიუხედავად, ქართველებს ინგლისში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდათ, რომლებმაც 1925 წელს "საქართველოს დამხმარე კომიტეტი", 1928 წელს კი – "საქართველოს მეგობართა საზოგადოება" დააარსეს.

1922 წელს მეტეხის ციხიდან გასახლებულ ქართველთა ჯგუფს გერმანიაში საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჩასული ლტოლვილები და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მონაწილე ქართველი სტუდენტები დახვდნენ, რომლებმაც გრიგოლ დიასამიძის ხელმძღვანელობით 1921 წლის ბოლოს ქართული საზოგადოება დააარსეს. მათ უმრავლესობას უმაღლესი განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული, ამიტომ იქვე დარჩა, ნაწილმა კი სხვა ქვეყნებს მიაშურა. მომდევნო წლებში კოლონიას ხელმძღვანელობდნენ: გიორგი კერესელიძე, დაეით

სალირაშვილი, სიმონ გეგელაშვილი, ტიტე მარგველაშვილი, კოკი კიზირია და სხვები. 1927 წელს ბერლინში 257 ქართველი ცხოვრობდა. შედარებით მცირერიცხოვანი იყო მიუნხენის, ჰაიდელბერგისა და კიოლნის სათვისტომოები.

1 მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიაში სამუშაოს შოვნა რთული იყო, ამიტომ უკვე 30-იან წლებში ქართველთა რიცხვი გერმანიაში 60 კაცს აღარ აღემატებოდა, მაგრამ ინტელექტუალებით გამოირჩეოდა: ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრას ცნობილი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე მიხეილ (მიხაკო) წერეთელი განაგებდა, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას გიორგი ნაკაშიძე, ბრესლაუს უნივერსიტეტის ჰიდრავლიკისა და ჰიდროდინამიკის კათედრას ივანე ნიკურაძე, ბერლინის ელექტრონებისა და იონების ინსტიტუტს ალექსანდრე ნიკურაძე, რომელიც იმავდროულად კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტის დირექტორი იყო; უმაღლეს სკოლებში ასწავლიდნენ დოქტორები: კირილე ვეკუა ბერლინის შარლოტენბურგის ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში, ჟურნალ "მორგენლანდის" რედაქტორი გრიგოლ დიასამიძე ბერლინის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტში, ნიკო ნაკაშიძე ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, კიტა ჩხენკელი -- ჰამბურგის უნივერსიტეტში, რაჟდენ რუსიშვილი -- მიუნხენის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, მიხეილ ახმეტელი --



ქართველები ჰაიდელბერგში

ბ რ ე ს ლ ა უ ს
 აღმოსავლეთ
 ევროპის შემ-
 სნავლელ ინს-
 ტიტუტში. ის
 მოგვიანებით
 ბ ე რ ლ ი ნ ი ს
 უნივერსიტე-
 ტის სოვეტო-
 ლოგიის ცენ-
 ტრის დირექ-
 ტორად მიი-
 ნვიეს, სამედ-



ქართველში მიუნხენში

იციინო ფაკულტეტის პრივატ-დოცენტი სევერიან ბუაძე
 ჰალეს უნივერსიტეტში და ა.შ. თავის თხზულებებს გერმანულ
 ენაზე აქვეყნებდა გრიგოლ რობაქიძე, საექიმო პრაქტიკას
 გერმანიაში ეწეოდა გიორგი მაღალაშვილი, გერმანიაში მო-
 ღვაწეობდნენ აგრეთვე: მწერალი შალვა ამირეჯიბი, გაზეთ
 "კლდეს" რედაქტორი შალვა ქარუმიძე, "ქართული ოფისის"
 დირექტორი, ყოფილი ელჩი ვლადიმერ ახმეტელი, ქართული
 სტამბების დამაარსებელი ბერლინსა და მიუნხენში არჩილ
 მეტრეველი, ცნობილი მეცნიერები: გიორგი კერესელიძე, აკაკი
 პაპავა, მიხეილ ყაუხჩიშვილი, მიხეილ ნულუკიძე, დავით ლამ-
 ბაშიძე, ტიტე მარგველაშვილი და სხვები.

დიდი დეპრესიის უამს საფრანგეთიდან, კერძოდ, ოდენკუ-
 რიდან ქართველები გერმანიაში ჩადიოდნენ. II მსოფლიო ომის
 დანაშაულის დროისათვის კი სხვა ქვეყნებიდან ჩასულ და აღმოსავ-
 ლეთ ევროპიდან ლტოლვილთა ხარჯზე იქ ქართველთა რიც-
 ხვი მკვეთრად გაიზარდა. ამიტომ 1938 წლის ბოლოს "სათანა-
 დო გერმანულმა უწყებამ" მათთვის ალექსანდრე აფხაზის ხე-
 ლმძღვანელობით "ქართული სათათბირო" დააარსა, რომელიც
 შემდეგ "კავკასიის სამმართველო" (ოფისად) გადააკეთეს და
 სათავეში ყოფილი ელჩი ვლადიმერ ახმეტელი ჩაუყენეს.

ქართველების დიდი ჯგუფი იტალიამაც მიიღო. საქართვე-
 ლოს დედოფლად გამზადებული მარინე მაჩაბელი, რომელიც
 კაიზერ ვილჰელმ II უმცროს ვაჟზე იოაჰიმზე დაქორწინებით
 სათავეს დაუდებდა ახალ გერმანულ დინასტიას საქართველო-
 ში, გერმანიის იმპერიის დაცემისა და ამ გეგმის ჩაშლის შემდეგ
 ცოლად იტალიის კონსულ ფრანზონის გაჰყვა. საქართველოს

ოკუპაციის შემდეგ ფრანზონიმ გემი იქირავა და ცოლის ნათესავების დიდი ჯგუფი (ბაგრატიონების, მაჩაბელების, ვაჩნაძეების და სხვა არისტოკრატიული გვარების წარმომადგენლები) იტალიაში გადაიყვანა, სადაც ისინი ცოლისთვის აშენებულ სასახლეში "ვილა მარინაში" დააბინავა. სანამ თავშესაფარს სხვაგან გამონახავდნენ, ამ ვილაში ბევრი ემიგრანტი ცხოვრობდა. მათ შორის მარინეს ნათესავი, ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატი დავით ვაჩნაძე იყო. მრავალი მეგობარი შესძინა საქართველოს კონსულმა გიორგი მაჩაბელმა, რომელიც ამერიკაში გადასახლებაში იტალიურ პრესასთან აქტიურად თანამშრომლობდა. იტალიაში მოღვაწეობდნენ: ცნობილი მეცნიერი, სასულიერო მოღვაწე მიხეილ თარხნიშვილი და ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი შალვა ბერიძე, ოპერის მომღერალი სონია დუმბაძე, მსახიობი ანდრო რეხვიაშვილი. მოგვიანებით, რომში, პაპის კარზე საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი რაფიელ ივანიცკი-ინგილო ჩავიდა. 1940 წელს ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი გრაფინია მარია ანტუანეტა პასკუინიზე დაქორწინდა და ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ერთად იტალიაში გადასახლდა. გრაფინია მუსოლინის ქალიშვილისა და სიძის საგარეო საქმეთა მინისტრის, გრაფი ჩიანოს მეგობარი იყო. დუჩემ საქართველოსა და მისი სამეფო კარისადმი მეტი ინტერესი გამოამჟღავნა. გიორგი ბაგრატიონის დასაფლავებაზე გადაღებული მუსოლინისა და ირაკლი ბაგრატიონის ფოტო გაზეთმა "კლდეშ" გამოაქვეყნა.

საფრანგეთის შემდეგ ემიგრანტთა ყველაზე დიდი ჯგუფი პოლონეთში დასახლდა, სადაც ქართველები ჯერ კიდევ საქართველოს ოკუპაციამდე ცხოვრობდნენ. კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლობას ვალერიან სიდამონ-ერისთავი ხელმძღვანელობდა. მან სერგო ყურულიშვილთან და კაპიტან ალექსანდრე გოძიაშვილთან ერთად "თვითგადარჩენის კომიტეტი" დააარსა, რომელიც რესპუბლიკის დაცემამდე არსებობდა. 1920 წლის თებერვალში პოლონეთში მყოფმა ქართველებმა საქართველო-პოლონეთის პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობების მხარდასაჭერად და დასახლებულად სახალხო საბჭო აირჩიეს, 1921 წელს ს. ყურულიშვილის ხელმძღვანელობით "ქართულ-პოლონური კლუბი" შექმნეს, რომელმაც ერთჯერადი ჟურნალი "ამირანი" გამოსცა. საქართვე-

ლოს ოკუპაციის შემდეგ ქართველები სტამბოლიდან 3 ჯგუფად ჩავიდნენ: 1921 წლის დეკემბერში 25 იუნკერი, 1922 წლის შემოდგომაზე 5 გენერალი და 30 ოფიცერი ოჯახებითურთ. 1922 წლის ბოლოს, საბერძნეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო, 20 იუნკერი იძულებული გახდა ათენის სამხედრო სკოლა დაეტოვებინა. ისინი პოლონეთში გადავიდნენ და თავიანთ მეგობრებს შეუერთდნენ. ასე რომ, საფრანგეთში გაგზავნილი 5 იუნკერის გარდა, ყველანი პოლონეთში აღმოჩნდნენ თავმოყრილნი. დამოუკიდებლობის პერიოდში გენერალ პილსუდსკის მეთაურობით საქართველომ პოლონეთის სამხედრო სასწავლებლის კურსანტები მიიღო და როგორც სტუმრები, მთელი წლის სასწავლო და დღიური ხარჯებისგან გაათავისუფლა. ეს იყო იმ სიმპათიის დასტური, რაც რუსეთის იმპერიის მონობაში მოქცეულ ამ ორ ერს შორის ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაჩდა. თავისუფალმა პოლონეთმა დამოუკიდებლობადაკარგული მოძმე ერის წარმომადგენლებს დახმარების ხელი გაუწოდა და თავშესაფარი მისცა. პრეზიდენტმა პილსუდსკიმ და პოლონეთის ხელისუფლებამ საუკეთესო პირობები შეუქმნეს ლტოლვილებს. სამხედრო სკოლაში ჩარი-



ქართული სამხედროები პოლონეთში

ცხეს 46 იუნკერი, რომლებმაც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ოფიცრის ჩინი მიიღეს და სხვადასხვა შენაერთში განაწილდნენ. ოფიცრები საცხოვრებლითა და მალაღანაზღაურებადი სამსახურით უზრუნველყვეს და საშუალება მისცეს, კვალიფიკაცია სპეციალიზებულ სასწავლებლებში ან სპეციალური კურსებით აემალლებინათ. პოლონეთში დასახლდნენ გენერლები: ივანე ყაზბეგი, ზაქარია ბაქრაძე, ალექსანდრე ზაქარიძე, ალექსანდრე ჩხეიძე, ალექსანდრე კონიაშვილი, კირილე ქუთათელაძე; პოლკოვნიკები: რომან გველესიანი, ნიკოლოზ ვაჩნაძე, პლატონ მიქელაძე, ალექსანდრე ბაგრატიონი, ნიკოლოზ კანდელაკი, კონსტანტინე კიკვიძე, ვლადიმერ სიდამონ-ერისთავი, ვალერიან თევზაძე; მაიორები: დავით და ბიძინა ქუთათელაძეები, დიმიტრი შალიკაშვილი, ლადო სიამაშვილი,

კონსტანტინე ტერიაშვილი, ალექსანდრე კოზიაშვილი, ალექსანდრე ალავიძე, გიორგი ფავლენიშვილი, არტიემ არონიშიძე, ალექსანდრე ყიფიანი, დავით მაჭავარიანი; კაპიტნები: ლევან კვალიაშვილი, მიხეილ კანდელაკი, ვასილ ინჯია, დავით ვაჩნაძე, ზენონ მამალაძე, მიხეილ რუსიშვილი, დავით კლიშიაშვილი, ივანე ქავთარაძე, დავით ჭყონია. პოლონეთის მთავრობისა და საზოგადოების ყურადღებით გარემოცული 80 ქართველი მხედარი ერთგულად ემსახურებოდა მეორე სამშობლოდ ქცეულ ქვეყანას.

საფრანგეთის შემდეგ პოლონეთშიც დაარსდა "საქართველოს მეგობართა საზოგადოება", "საქართველოს დამხმარე კომიტეტის" პოლონეთის განყოფილება, ახალგაზრდული კავშირი და სხვა ორგანიზაციები. დაუზუსტებელი ინფორმაციით, 30-იანი წლების ბოლოს პოლონეთში 200 ქართველი ცხოვრობდა, უმეტესობა ვარშავაში, მცირე ჯგუფები (ოფიცრები ოჯახებით) პოზნანში, ბიდგოშში, ტორუნში, ერთეულები გროდნოში, ვილნოში, კრაკოვში, ლუბლინში, სამბოჟში, ყულკევში, გრკოლინას, გრავოსა და პლეშჩევში. სამხედროების გარდა იყვნენ ინჟინრები, ექიმები, ჟურნალისტები და სხვა პროფესიის ადამიანებიც. ვარშავის ქართული სათვისტომო, ანუ "ქართული კომიტეტი" საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. სხვადასხვა დროს მას თავმჯდომარეობდნენ: სიმონ მდივანი, ივანე სალაყაია, როსტომ ყაზბეგი, ალექსანდრე გოძიაშვილი.

1922 წელს მეტეხიდან გასახლებული ქართველები ჩეხოსლოვაკიაშიც მიიღო. ორი წლის შემდეგ იქ მცხოვრებ ქართველთა რიცხვმა 60-70 მიაღწია. პრაღაში დასახლდა ქართველ ოფიცერთა ერთი ჯგუფიც: პ.ჟორჟოლიანი, პ.ტკეციშვილი და სხვები. მათი ცხოვრების მოსაწესრიგებლად 1922 წელს პრაღაში "ქართველ მოქალაქეთა (ლტოლვილთა) დამხმარე საზოგადოება" შეიქმნა, რომლის თავმჯდომარეები იყვნენ: ემელიანე ლომთათიძე, არზაყან ემუხვარი, ივანე ქარცივაძე, სიმონ გეგელაშვილი. ალფეს ხელაძის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა "ქართველ ემიგრანტთა საზოგადოება", ი. ჯანჯლავას თავმჯდომარეობით - ქართველ სტუდენტთა კავშირი. პოლონეთის მსგავსად, პრეზიდენტ მასარიკის წყალობით, მათთვის ეს ქვეყანაც მეორე სამშობლოდ იქცა. ქართველებს ახალი პრეზიდენტი ბენეშიც თანაუგრძნობდა. საქართველოს ჩეხოსლოვაკიაში მრავალი მეგობარი ჰყავდა, რომლებიც ქართულ კულტურას პოპულარიზაციას უწევდნენ. მათი ინიციატივით,

სენატის თავმჯდომარის ფ. სოუკუშის ხელმძღვანელობით შეიქმნა "საქართველოს დამხმარე მეგობართა საზოგადოება". 30-იან წლებში ეკონომიკის აღმავლობამ გერმანია-საფრანგეთში, მუშახელზე დიდმა მოთხოვნილებამ, ჩეხოსლოვაკიიდან ამ ქვეყნებში ქართველთა ემიგრაცია გამოიწვია. 1936 წელს იქ მხოლოდ 20-მდე ქართველი დარჩა. ჰიტლერის მიერ ჩეხოსლოვაკიის ინვაზიამ კი ამ ჯგუფის წევრებიც აიძულა თავშესაფარი დასავლეთში ეძიათ.


ბელგიაში ქართველები შედარებით ცოტანი იყვნენ. ჯერ კიდევ 1903 წელს ბრიუსელის უნივერსიტეტში სასწავლებლად ჩავიდა დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი ნიკოლოზი. სწავლობდა ჟურნალისტიკას და ასწავლიდა რუსულ ენას. დამოუკიდებლობის დროს საქართველოს მთავრობის მიერ საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნილი სტუდენტებიდან ორი



მარკო ტულაძე

ნიკოლოზ ყიფიანის ვაჟი როსტომი და დავით ბერეკაშვილი ბრიუსელის უნივერსიტეტში მიიღეს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ეს ორი ქართველი ინჟინერი ბელგიაში დარჩა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ცნობილ სოციალისტებთან ვანდერველდესა და დე ბრიუკერთან საქართველოს მთავრობის რეკომენდაციით მარკოზ ტულუში ჩავიდა, მათი ხელშეწყობით ბრიუსელში დასახლდა, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი გახდა და წლების განმავლობაში ვანდერველდეს სახელობის ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი იყო. ბელგიაში მოღვაწეობდნენ: მუსიკოსი ელენე წერეთელი, რუსუდან ყიფიანი, ირაკლი ოთხმეზური, ვასილ ლაზარიშვილი და სხვები. 1930 წელს ბელგიაში ქართველთა პატარა კოლონია არსებობდა, რომელმაც ბელგიის მეფეს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა დედოფლის გარდაცვალების, პარიზში საქართველოს მთავრობის ლეგაციას ნოე რამიშვილის დაღუპვის გამო. 1935 წელს ბრიუსელის გაზეთ "Matin"-ში კავკასიის საკითხებზე ყოფილი ოფიცრის ირაკლი ცაგურიას საინტერესო წერილები იბეჭდებოდა. ბელგიის გაზეთები ლუვენის უნივერსიტეტში ირაკლი ჯაფარიძის წარმატებას აღნიშნავდნენ, რომელმაც სამართლის დოქტორის ნოდებაზე გამოცდები წარჩინებით ჩააბარა და პირველი ადგილი დაიკავა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტამბოლიდან ლტოლვილთა ერთი ნაწილი საბერძნეთმა შეიფარა. 20 იუნკერი ათენის სამხედრო სკოლამ მიიღო. 1922 წლის შემოდგომაზე საბერძნეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო მათ ათენი დატოვეს და პოლონეთში გადავიდნენ. საბერძნეთიდან საქართველოს ლეგაციასთან მიმონერას ქრისტეფორე მამაცაშვილის ვაჟი იოსები და პავლე იობიძე ანარმოებდნენ. საინ-



იუნკრები ათენში

ტერესოა ის ფაქტი, რომ საბერძნეთში გადასახლებულებს საქართველოდან ნასული ბევრი ბერძენი უნახავთ, რომლებიც კარგად საუბრობდნენ ქართულად და ისევე მწარედ განიცდიდნენ გადახვენას, როგორც ქართველები.

თურქეთში დარჩენილ ქართველთა ნაწილი, სსრკ-ს ზენოლით, 1936 წლის რუსულ ემიგრაციასთან ერთად საბერძნეთის კუნძულ სირაზე გაასახლეს. უურნალ "დამოუკიდებელ საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილში ვალოდია მგალობლიშვილი წერდა, რომ ისინი წინასწარ არავის გაუფრთხილებია და "15 წლის ნაოფლარ-ნაჯაფარი ქონების ლიკვიდაციაც ვერ მოასწრეს". ამასთან, არც ის უთქვამთ, რომ საბერძნეთმა მხოლოდ 6 თვით შეიფარა. იქ დამკვიდრების იმედად კი, ბევრმა სხვა ქვეყნების ვიზაზე უარი თქვა. კრიზისის გამო ლტოლვილებს არცერთი ევროპული სახელმწიფო არ იღებდა. ამიტომ ლტოლვილებს პარაგვაიში, უმძიმეს სამუშაოებზე უპირებდნენ გაგზავნას და დახმარებას ითხოვდნენ. მგალობლიშვილის წერილს ემიგრანტები გამოეხმაურნენ, სათვისტომოებმა და კერძო პირებმა ლტოლვილთა ამ ნაწილს დიდი მატერიალური და მორალური თანადგომა აღმოუჩინეს. ვიზები კი მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნებმა გაუგზავნა. ნორვეგიაში მოეწყო ვ. გორდელაძე ოჯახით, შვეციაში ვ. ქავთარაძე ოჯახით და ნ. მახარაშვილი. ამ უკანასკნელმა ისეთი პატივისცემა დაიმსახურა, რომ 10 თვის შემდეგ საბერძნეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად დაბრუნდა, როგორც შვეციის წარმომადგენელი და დარჩენილ ლტოლვილებს მორალური და მატერიალური დახმარება გაუწია.

შვეიცარიას ლტოლვილი ქართველები თავს ჯერ კიდევ 1905-1907 წლებში რუსეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაწყებული რეაქციის დროს აფარებდნენ. უნევის უნივერსიტეტი დაამთავრეს ძმებმა კერესელიძეებმა: ლეომ იურიდიული ფაკულტეტი, გიორგიმ ქიმიური. I მსოფლიო ომის დროს პეტრე სურგულაძისა და მათი მონანილეობით დაარსებულმა "დამოუკიდებლობის კომიტეტმა" თავი იქ სხვა ემიგრანტ ქართველებსაც მოუყარა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კერესელიძეები უნევაში დაბრუნდნენ, სადაც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობა და ერთა ლიგასთან მუდმივ წარმომადგენლად დანიშნული ხარიტონ შავიშვილი დახვდათ. 30-იან წლებში ამერიკიდან შვეიცარიაში გადასახლდა მალტის ორდენის წევრი და ორდენის კავალერი ნიკი (ნიკოლოზ) ჩხოტუა (ჭყონია).

1923 წელს მადრიდში ჩამოყალიბდა სტუდენტთა დამხმარე ესპანურ-ქართული კომიტეტი. 1936 წელს ესპანეთის სამოქალაქო ომში, ინტერბრიგადების წინააღმდეგ, ფრანკოს მხარეზე, კარლისტთა შორის იბრძოდნენ ქართველი ემიგრანტები, პოლკოვნიკები: ფრიდონ ნულუკიძე, ალექსანდრე ამილახვარი და სხვები.

1933 წელს ქართველთა საზოგადოება ლატვიაშიც ჩამოყალიბდა. როგორც უურნალი "ორნატი" აღნიშნავდა, ერთი წლის განმავლობაში გამგეობამ ბევრი რამ გააკეთა: საზოგადოებას ჰქონდა ბინა, მის წევრებს - უფასო იურიდიული და სამედიცინო დახმარება, დაარსდა ქართული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის შემსწავლელი კურსები, ხუთშაბათობით ქართულ ისტორიასა და ლიტერატურაზე მოხსენებებს კითხულობდნენ. საზოგადოება ლატვიის მოქალაქეებისაგან შედგებოდა, მაგრამ საქართველოს მიმართ ინტერესი და სიყვარული დიდი იყო. გამგეობის თავმჯდომარედ ადგილობრივი რუსული თეატრის რეჟისორი და მსახიობი იური იურსკი აირჩიეს, გამგეობის წევრებად: ალ. შვანგირაძე, კ. ცინცაძე, ნ. შვანგირაძე, მ. მალლაკელიძე, სარევიზიო კომისიის ა. ტერ-ხაჩატუროვი, ა. ჩიკაშუა. გამგეობას დიდ დახმარებას ლატვიის ფლოტის სარდლის მეულლე ნადეჟდა სპადე (რეხვიაშვილი) და ერიკა ტერ-ხაჩატუროვა უწევდნენ.

ირანში თეირანის ქართულ კოლონიას 30-იან წლებში ექიმი ბ. ჯღარკავა თავმჯდომარეობდა, მდივანი მ. ნიკოლაიშვილი იყო, ხაზინადარი ა. სხირტლაძე. არსებობდა ეროვნული კომიტეტიც. მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ პარიზში ლეგაციასთან,

ირანში მცხოვრები ქართველები მონანილეობდნენ საქველმოქმედო საქმიანობაში თუ სხვა მიზნით შენირულობების შეგროვებაში. მათ შესახებ ქართული ემიგრანტული პრესა ინფორმაციას ხშირად ბეჭდავდა. ირანის ეკონომიკაში დიდი როლი შეასრულა აკაკი ხოშტარიას "რუსეთ-სპარსეთის სანავთობე ამხანაგობამ" და ბანკმა, მისმა წარმომადგენლებმა .. ნიკო ელიავამ, მელიტონ რუსიამ, გიგუშა ერისთავმა, ამბაკო ჭელიძემ და სხვებმა. სხვათაშორის, საინტერესოა, რომ 1925, 1926 და 1927 წლებში ირანში სილამაზის კონკურსში დედოფლები გახდნენ: გიგუშა ერისთავის მეუღლე მერი შერვაშიძე, ივანე სვანიშვილის მეუღლე ოლია და ამბაკო ჭელიძის მეუღლე სარა. ამ უკანასკნელს შაჰმა ცხენების მთელი რემა აჩუქა. ასევე დიდი როლი შეასრულა ირანში პირველი რკინიგზის მშენებელმა, მხატვარ ავთანდილ ვარაზის ბიძამ ივანე ვარაზაშვილმა. რეფორმატორ რეზა-შაჰს სპეციალისტები აკლდა, ამიტომ ისინი საბჭოთა რუსეთიდან ჩადიოდნენ. საბჭოთა მხარესთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ, როდესაც რუსეთმა ირანს ვალებზე უარი განაცხადა, რკინიგზები, ხიდები, გზები და ურმიის ტბის გემები უსასყიდლოდ გადასცა, ირანი იძულებული გახდა, მისი მოთხოვნებისათვის ანგარიში გაენია: ახლადგადმოსულები უკან დაებრუნებინა, ლტოლვილები კი საბჭოთა საზღვრიდან ქვეყნის სიღრმეში გადაესახლებინა, რათა ისინი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ შეჭრილიყვნენ. ირანელთა სიმპათიები ლტოლვილთა მხარეს იყო - ევროპაში სასწავლებლად გაგზავნილ ტახტის მემკვიდრეს შაჰმა ქართველი ჩაგუნავა



აკაკი ხოშტარია სპარსეთში, მანჯის თანამშრომელთა შორის

გააყოლა, რომელიც 8 წელი ემსახურებოდა მას და წერთინდა სპორტში. პოლკოვნიკი მიქელაძე თავრიზიდან გამოიძახეს და თეირანში მეფის პირადი ცხენოსანი ათასეული ჩააბარეს. მიუხედავად ამისა, ლტოლვილებს ირანისაკენ გზა დაეხშოთ. როგორც პარიზში წერდნენ, თუ მათ სხვა რომელიმე სახელმწიფოსაგან ვიზა არ ექნათ - უკან დააბრუნებენო. თუმცა, ახალ ნაკადს საზღვარი შემდეგაც გადაულახავს, მათ შორის, გემით ჩასული 24 კაცი ირანის ხელისუფლებას უკან გაუბრუნებია. ამიტომ პარიზში მყოფი საქართველოს მთავრობა ირანის ხელისუფლებას მოელაპარაკა ლტოლვილები საბჭოთა მხარისათვის არ გადაეცათ.

ევროპაში არსებულ ქართულ კოლონიებსა და ორგანიზაციებს დიდ დახმარებას მანჯურიიაში არსებული ქართული საზოგადოება უწევდა.

1898 წელს რუსების მიერ ჩრდილო ჩინეთში (მანჯურიიაში), აღმოსავლეთის რკინიგზის მშენებლობის დროს დაარსებულ ქ. ხარბინში, რკინიგზის მომსახურე და 1904 წლის რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ დარჩენილი 3-4 ათასი ქართველი ცხოვრობდა. 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციის, 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ იქაურ კოლონიას რეპრესიებს თავდაღწეული ბევრი ქართველი შეუერთდა. მათ პარიზის ლეგაციასთან, ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში მცხოვრებ თანამემამულეებთან მჭიდრო კავშირი დაამყარეს. შეძლებული ხარბინელი ქართველები ლეგაციას ფულით ეხმარებოდნენ. 1922 წელს მთავრობისათვის 6960 ფრანკი გაუგზავნიათ, 1929 წელს კი ფული პარიზში მყოფი ტუბერკულოზით დაავადებულთა დასახმარებლად შეუგროვებიათ. ხარბინელ ქართველებს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ პოლონეთში "ქართულ კომიტეტთან" და მისი გავლენით "პრომეთეს" კლუბიც დაუარსებიათ.

1908 წელს ხარბინში დაარსებულ სათვისტომოს, რომელსაც 30 წელი ივლიანე ხაინდრავა თავკაცობდა, ჰქონდა ქართული სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა ევსევი ახვლედიანის ხელმძღვანელობით; ურთიერთდამხმარე საზოგადოება ახლადჩასუ-



ივლიანე ხაინდრავა

ლებს დაბინავებასა და სამსახურის შოვნაში შეელოდა. "უცხოეთში ჩვენ არსად მოგვეპოვება ისეთი ძლიერი და მტკიცე ორგანიზაცია, როგორც შექმნეს ქართველებმა შორეულ აღმოსავლეთში. ხარბინის ქართული საზოგადოება ღონიერია ქონებრივადაც და ეს ქონება მან შეიძინა არა ვისიმე ქველმოქმედების წყალობით. ერთმანეთის დახმარებითა და მუშაობით საზოგადოება ფართოდ აწარმოებს ეროვნულ კულტურულ-განმანათლებლურ მოღვაწეობას და ქართულ სკოლას, სამკითხველოს. მოხსენებების, საღამოების სახით მხნედ იცავს ქართველებს გადაგვარებისაგან. აღვიძებს და აძლიერებს ეროვნულ შეგნებას. აცნობს უცხოელთ საქართველოს სახეს. იგი ამავე დროს საქართველოს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც ემსახურება და ყოველთვის მალა აქვს ამართული ქართული ეროვნული დამოუკიდებლობის დროშა. იგი არასოდეს ივინყებს თავის ძვირფას სამშობლოს და მთელი სულითა და გულით მასთანაა", - წერდა ხარბინის ქართული სათვისტომოს დაარსების 30 წლისთავზე მისალოც წერილში ჟურნალ "დამოუკიდებელი საქართველოს" რედაქცია. ამ აზრს ადასტურებდა გაზეთი "კლდეც": "მისაბაძი მაგალითია ჩვენთვის მწარე განაჩენით უცხოეთში გადმოხიზნულ და ეულობაში გაფანტულ ქართველებისათვის. მან შეძლო ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ქართული სახელი ეტარებინა, ქართული საქმე ეკეთებინა".

1927 წელს ხარბინსა და მის მიდამოებში 100-150 ქართული ოჯახი ცხოვრობდა. "ქართველობა ყოველ დღე გვემატება. გამორბიან საქართველოდან და რუსეთიდან. ჩინეთისა და რუსეთის საზღვრები ძალიან შეკრულია, მაგრამ ვერაფერი ვერ აკავენ ამ სანყლებს და ამგვართ თავს იხნევენ კომუნისტების ჯოჯოხეთიდან", - წერდა 1931 წელს პარიზში სრულუფლებიან ელჩს აკ. ჩხენკელს ი. ხაინდრავა. მაგრამ მალე იქ ვითარება გართულდა; იაპონიამ ჩინეთის 1925 წლის რევოლუციითა და სამოქალაქო ომით ისარგებლა და 1931 წელს ხარბინი დაიკავა. ხარბინელი ქართველები შორეული აღმოსავლეთის ყველაზე მნიშვნელოვან საზღვაო-სამრეწველო ცენტრ შანხაიში გადასახლდნენ. ხარბინში დარჩენილებმა 1935 წელს სათვისტომოს დაარსების 30 წლისთავის აღნიშვნა დასურათებული წიგნით გადანყვიტეს, რომელშიც მიმოხილული იქნებოდა საქართველოს ისტორია, ეკონომიკა, კულტურა, ასევე სათვისტომოს ისტორია დღიდან მისი დაარსებისა. "წიგნის მიზანია ქართული საქმის პოპულარიზაცია გასწიოს შორეულ აღმოსავლეთში",

ამ მიზნით იგი რუსულად უნდა ეთარგმნათ. ალექსი მდივნის ფონდი მისი გარდაცვალების შემდეგ, ყველა ხარჯს ველარ ფარავდა. ეს წიგნი რომ გამოეცა და იუბილევ ღირსეულად აღენიშნა, ორ რუსულ სკოლაში მაინც, სადაც ქართველ მონაფეთა უმრავლესობა სწავლობდა, ქართული ენის გაკვეთილები შეენარჩუნებინა, ბიბლიოთეკა შეენახა და სხვა ხარჯები გაესტუმრებინა, სათვისტომო იძულებული გახდა სესხი აეღო. 1936 წელს სათვისტომოს გამგეობამ დიდი სახლი ააშენა და მისი დარბაზები სავაჭროდ გააქირავა. ამან ვალიც გაასტუმრებინა და ქართულ დაწესებულებათა თუ კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსების საშუალებაც მისცა. მაგრამ ჩინეთში ქართველთა კეთილდღეობა მალე დამთავრდა. 1937 წელს იაპონიამ შანხაიც აიღო და მთელი ჩინეთის დაპყრობას შეუდგა. მდგომარეობა დამძიმდა. იაპონიის ოკუპაციას გარიდებულმა ქართველთა ნაწილმა ხარბინიდან და შანხაიდან ევროპის ქვეყნებს მიაშურა, ნაწილმა - ავსტრალიასა და ამერიკას.

ევროპაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს ასევე დიდ დახმარებას უწევდნენ ამერიკაში მცხოვრები თანამემამულეები. პირველი ქართველები სამუშაოს საძებნელად ამერიკის შეერთებულ შტატებში XIX საუკუნის 60-იან წლებში, რუსეთში ბატონყმობის გაუქმებისა და ამერიკაში სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ჩავიდნენ; თავდაპირველად ერთეული პიროვნებები, შემდეგ - პატარა ჯგუფები, XX საუკუნეში კი მასიური ემიგრაცია დაიწყო. დიდ ჯგუფებად ჩავიდნენ გურული ცხენოსნები ცირკის არენაზე გასასვლელად და რაჭველი მიწის მუშები სიეტლის რკინიგზის მშენებლობაზე. გურულები კოლორადოს შტატში დასახლდნენ, რაჭველები - ქ. სიეტლსა და მის მიდამოებში. მომდევნო წლებში მათ ემატი-

ბოდნენ ქართველები დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან (რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი), ჩინეთიდან - ხარბინის ქართული კოლონიიდან.



გურული ცხენოსნები ამერიკაში

ბევრი უკან ველარ ბრუნდებოდა და იქვე სახლდებოდა. ქართველთა განსახლების არეალიც გაიზარდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ სანაპიროზე - ნიუ-იორკი, ჩიკაგო, სანფრანცისკო, სიეტლი, ლოს-ანჯელესი, დენვერი და ა.შ. ამერიკიდან კანადაშიც გადადიოდნენ, რადგან ამ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირის გარდა, თავისუფალი საზღვარიც არსებობდა. ქართველები ჩადიოდნენ მოსაზღვრე კანადის ქალაქებში: ტორონტოში, ვანკუვერში, ედმონტონში, ოტავაში და ა.შ. ბევრი სეზონური სამუშაო-



ქართული სათვისტომოს სახლი აისლიპში „პატარა საქათვლო“

სათვის მიდიოდა, ნაწილი კი სამუდამოდ დასახლდა ამერიკასა და კანადაში, რომლებსაც ერთ გეოგრაფიულ ერთეულად - “ჩრდილო ამერიკად” თვლიდნენ. 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ამერიკაში ემიგრანტთა რიცხვი ძირითადად პოლიტიკური

დევნილებით გაიზარდა. 30-იანი წლების კრიზისმა და დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, იაპონიის მიერ ჩინეთის ოკუპაციამ ბევრი ემიგრანტი აიძულა ევროპიდან და მანჯურიიდან ამერიკაში გადასახლებულიყო. 1931 წლის 1 დეკემბერს იანკერსში, პავლე და თამარ კვარაცხელიების სახლში (რომლებიც ხარბინიდან იყვნენ) ვანო კობახიძის, ვასო დუმბაძისა და გიორგი მაჩაბელის ინიციატივით, ქართული სათვისტომო დაარსდა. საკმარისად შექმნილი სათვისტომო ახალჩასულებს ეხმარებოდა, გაჭირვებულებს კი ხელს უმართავდა არა მარტო ამერიკაში, არამედ კრიზისით მოცულ ევროპაში. სათვისტომომ ნიუ-იორკთან, აისლიპში სახლი შეიძინა, საკუთარი ძალებით გაარემონტა, ავეჯით გააწყო, ბალ-ბოსტანი გააშენა. იგი მოხუცთა თავშესაფარიც გახდა. მას უვლიდნენ კოსტა ხუნნარია ცოლ-შვილით და საქართველოს კონსული ვასო დუმბაძე.

კანადაში ქართველები 1886 წელს ვანკუვერის დაარსებისთანავე გაჩნდნენ. მალე ქალაქი მსხვილი სამრეწველო, სარკინიგზო-სატრანსპორტო ცენტრი და კანადის მთავარი ნავსადგური გახდა. ქართველი მუშები ვანკუვერში სიეტლიდან გადადიოდნენ და

მოსახლეობის ძირითად საქმიანობაში, ხე-ტყის დამუშავებასა და რკინიგზის მშენებლობაში მონაწილეობდნენ. ქართველთა რიცხვი ამ ორ ქალაქში მუდმივად იცვლებოდა, რადგან საჭირო თანხის მოგროვებისთანავე ისინი სამშობლოში ბრუნდებოდნენ, მათ ადგილს კი ახლადმოსულები იკავებდნენ. დაოჯახებას ერიდებოდნენ, რათა ახალ მინას არ მიჯაჭვოდნენ და უკან, საქართველოში დაბრუნებულ იყვნენ, რადგან ადგილობრივი, კანადელი ან ამერიკელი ქალები ქმრებს "ახალ მინაზე" სამუდამოდ ამაგრებდნენ. დაცოლშვილების შემთხვევაში უკან მხოლოდ ისინი ბრუნდებოდნენ, ვისაც ცოლი ქართველი, რუსი, უკრაინელი, პოლონელი, ან ევროპელი ჰყავდა.

კანადელმა ქართველებმა ურთიერთდახმარების გარკვეული სისტემა ჩამოაყალიბეს, რისი ნყალობითაც ადაპტაცია ადვილად ხდებოდა. გივი კობახიძე მოგვითხრობს, რომ ვანკუვერში მცხოვრებ რაჭველთა 25 ოჯახს, დაახლოებით 200-მდე ქართველს, XIX საუკუნის ბოლომდე რაჭაში შემორჩენილი ტრადიციის მიხედვით, სადაც ხშირი იყო დიდი, გაუყოფელი ოჯახები ოთხი თაობისა და 70-100 კაცის შემადგენლობით, ვეებერთელა, სამსართულიანი სახლი შეუძენია და ერთად დასახლებულა. ამ სათემო საზოგადოებას თავისი ზნეობრივ-მორალური ქცევით კანადელები გაუოცებია. დიდი ოჯახების მსგავსად, რომლებსაც სათავეში უხუცესები ედგნენ და საქმეს ყველა ნევრს უნაწილებდნენ, ვანკუვერის თემობასაც შეუქმნია უხუცესთა საბჭო, ქალთა კომიტეტი, ურთიერთდამხმარე სალარო, განათლების სექცია, გართობისა და კულტურის ჯგუფი და სხვა.



ქართველუმის ერთი ჯგუფი ამერიკაში

ეს თემი ერთ მძლავრ სამეურნეო-ეკონომიკურ ერთეულად იქცა, რომელიც მეზობლად მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეებს, აგრეთვე სამშობლოში დარჩენილ ნათესავებსა და ახლობლებსაც ეხმარებოდა. დრომ თავისი გაიტანა და ერთობა დაიშალა. მომრავლებული ოჯახები

ცალკე გავიდნენ, სამსახურის გამო სხვა ქალაქებში მიმოიფანტნენ. მომდევნო თაობებმა დაკარგეს მშობლიური ენა, კავშირი ერთმანეთთან და სამშობლოსთან, თუმცა ბევრს თავისი წარმოშობა დღემდე ახსოვს. კანადის ოქროსა და ალმასის მოპოვების ერთ-ერთი პიონერის, დიმიტრი მეტრეველის (მაიკ მიტო) ვაჟი ავგუსტ მიტო (აგი) XX საუკუნის 80-იან წლებში ამ დარგში ორ დიდ კომპანიას ფლობდა. მიუხედავად ამისა, 11 მსოფლიო ომის წინ კანადაში ისევე, როგორც ინგლისში, იტალიაში, ესპანეთში ქართული სათვისტომოს არსებობის შესახებ მასალები ვერ მოვიპოვეთ.



დიმიტრი მეტრეველი და ცნობილი მოკრივე ლუისი

ასე რომ, 20-30-იან წწ. ქართული ემიგრაციის პირველმა ტალღამ წარმატებით მოახერხა ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია. კონსოლიდაციის, ურთიერთდახმარებისა და ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის შექმნა ქართული კოლონიები, სათვისტომოები და ასოციაციები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ქართველობის ფიზიკური და მორალური გადარჩენისა და ემიგრაციაში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაგრძელების საქმეში.

თავი III

საქართველოს საელჩოში. მთავრობის ლეგაცია და ლეოქილოთა ოფისი

ქართული ემიგრაციის პირველ ტალღას უცხოეთის ქვეყნების უმრავლესობაში საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ჩამოყალიბებული ქართული წარმომადგენლობები და საკონსულოები დახვდათ, რომლებმაც ლეოქილოთა მიღებაზე და ელემენტარული პირობების შექმნაზე იზრუნეს.

1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების ევალდაკვალ, საქართველო მრავალმა სახელმწიფომ ცნო, მაგრამ თბილისში საელჩოების გახსნა მარტო გერმანიამ და იტალიამ მოასწრო. გერმანიის ელჩი იყო დოქტორი რაუშნერი, იტალიის ჩერუტი, კონსული - ფლორიზოლი. საქართველოს მთავრობის საქმიანობას უცხოეთში პარიზში სრულუფლებიანი ელჩი წარმართავდა, ამიტომ მას რწმუნების სიგელები არა მარტო პარიზის, არამედ ლონდონისა და რომისთვისაც მიეცა. მასვე ევალეობდა ევროპის ქვეყნებში დიპლომატიური მუშაობის ხელმძღვანელობა. საელჩოები გაიხსნა: საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, რუსეთში, თურქეთში, არგენტინაში, მანჯურიაში.

საფრანგეთში სრულუფლებიან ელჩად აკაკი ჩხენკელი გაიგზავნა. გერმანიაში საქართველოს ელჩი იყო ვლადიმერ ახმეტელი, შვეიცარიაში, ბერნში მიხეილ სუმბათაშვილი (საელჩოს პირველი მდივანი ვლადიმერ გურჯიძე), ბელგიაში - ანტონ ჟორჟოლიანი (ატაშე ალექსანდრე ქუთათელაძე), შვეიცარია და ნორვეგიაში მიხეილ წერეთელი, იტალიაში კონსტანტინე საბახტარაშვილი, შემდეგ აკაკი ჩხენკელი (საელჩოს პირველი მდივანი გიორგი მაჩაბელი, კონსული გიორგი აბხაზი), ინგლისში - დავით ლამბაშიძე, შემდეგ აკაკი ჩხენკელი (პირველი მდივანი - ანდრია გუგუშვილი). სტამბოლში მთავრობის რწმუნებული იყო კონსტანტინე გვარჯალაძე, ელჩი სიმონ მდივანი, კონსული იოსებ გოგოლაშვილი. მანჯურიაში, ხარბინში ექიმი ნიკოლოზ ჯიშკარიანი. ამერიკაში წარმომადგენლად გაიგზავნა ილია გოლდმანი, 1926 წელს კონსულად ვასო დუმბაძე. მოსკოვში ჯერ გაბო ხუნდაძე, შემდეგ - გერასიმე მახარაძე, ნოვოროსიისკში კონსული პეტრე ჩინიჯიშვილი. აზერბაიჯანში ელჩად გაიგზავნა გრიგოლ ალშიბაია, სომხეთში სიმონ მდივანი.

შორეულ აღმოსავლეთში კონსული ჯერ ფრანსუა თუმანოვი იყო, შემდეგ კირილე გელოვანი, უკრაინაში - ვიქტორ თევზაია, ბაქოში ივანე ქარცივაძე, ჩეხოსლოვაკიაში გრიგოლ აიოლო, პოლონეთში ჯერ სიმონ სიდამონ-ერისთავი, მერე იოსებ სალაყაია. უენევაში მუდმივი წარმომადგენელი ერთა ლიგასთან ხარიტონ შავიშვილი. გარდა ამისა, ევროპასა და ამერიკაში ეკონომიკური წარმომადგენლები იყვნენ: იოსებ ელიგულაშვილი, ნიკოლოზ ჯაყელი, მიხეილ ყაუხჩიშვილი, მათე სკობელევი და სიმონ შიფრინი.

საქართველოს საელჩო პარიზში ვიქტორ ჰიუგოს ქ. №44 მდებარეობდა. ელჩი პარიზში 1921 წლის 13 თებერვალს ჩავიდა, როცა რუსეთის თავდასხმა უკვე დაწყებული იყო. რწმუნებები კი 25 თებერვალს საფრანგეთის პრეზიდენტს მამინ წარუდგინა, როცა საქართველოს ჯარმა და მთავრობამ დედაქალაქი დატოვა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა მილიერანმა საქართველოს საელჩოს წევრები მიიღო და ოკუპანტთა მიმართ თავისი პროტესტი ამგვარად გამოხატა. საელჩოს პირველი მდივანი სოსი-პატრე ასათიანი ელისეს სასახლეში სტუმრობას ასე იხსენებდა: "მახსოვს ბ-ნი ფუკიერის (ელჩების წარმდგენი, პროტოკოლის შეფი, რა თქმა უნდა, მინისტრის ხარისხით) მოსვლა ჩვენს ბინაზე (44 ავენიუ ვიქტორ ჰიუგო). მთელი ქუჩა გაკავებული იყო. ჩავსხედით ორ საგანგებო ეტლში; პირველში საქართველოს ელჩი აკაკი ჩხენკელი და თვითონ ფუკიერი; მეორეში - ბ-ნი



მარცხნიდან: მიხეილ სუმბათაშვილი, სოსიპატრე ასათიანი და აკაკი ჩხენკელი საფრანგეთის პრეზიდენტთან მიღებაზე

მიხეილ სუმბათაშვილი და მე; გაგვატარეს ელისეს მინდვრების პროსპექტი; რა თქმა უნდა, ეს ვეებერთელა პროსპექტიც გაკავებული იყო. ჩვენ ეტლებს აქეთ-იქიდან მთელი ესკადრონი მოყვებოდა. რამდენადაც ტკბილი იყო ეს სურათი, იმდენად მწარე, ვინაიდან ამ თვალწარმტაც სურათში არავითარი შინაარსი აღარ იყო".

ოფიციალური მი-
ლების შემდეგ, ელჩმა

რწმუნების სიგელი ჩააბარა. ცერემონიალის მონაწილენი ბინაზე იმავე გზით დააბრუნეს. მეორე დღეს კი ინგლისის პრემიერ-მინისტრისათვის რწმუნების სიგელის ჩასაბარებლად ელჩი ლონდონს გაემგზავრა. საქართველოს დემოკრატიული მთავრობისადმი გაგზავნილ "მემუარში" ა. ჩხენკელი დანვრილებით მოგვითხრობს 1921-1922 წლებში საელჩოების მიერ ჩატარებულ დიპლომატიურ მუშაობაზე.

მართალია, ინგლისმა საქართველო 1921 წლის 27 იანვარს ცნო, მაგრამ 13 თებერვალს საქართველოს ელჩის სტუმრობას გულგრილად შეხვდა. ლოიდ-ჯორჯის მთავრობამ საბჭოთა რუსეთთან დაახლოება ყველაზე ადრე დაიწყო, რაც 1921 წლის 16 მარტს სავაჭრო ხელშეკრულებით დამთავრდა. საქართველოს ელჩი მხოლოდ 17 მარტს მიიღო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა, რომელსაც რწმუნების სიგელის ასლი გადაეცა. დედნის გადაცემა პრემიერ-მინისტრისათვის შეუძლებელი გახდა, რადგან საქართველოს მთავრობა უკვე ემიგრაციაში იყო. კერზონმა ელჩთან შეხვედრისას მხურვალე თანაგრძნობა გამოთქვა და დახმარება აღუთქვა, მაგრამ ლონდონის კონფერენციამ ამ მხრივ უნაყოფოდ ჩაიარა: ინგლისი საქართველოს საკითხისადმი გულგრილად იყო განწყობილი. გენუის, პააგისა და ლოზანის კონფერენციებზე ასევე კარგად გამოჩნდა, რომ ინგლისი უპირატესობას "რუსულ პოლიტიკას" ანიჭებდა. საგარეო საქმეთა სამინისტროში აღმოსავლეთის განყოფილების გაუქმების შემდეგ, საელჩოს ურთიერთობა აღმოსავლეთის დეპარტამენტთან ჰქონდა, საიდანაც საქართველო და კავკასია ჩრდილოეთის, ანუ რუსეთის დეპარტამენტს მიაწერეს. ლოიდ-ჯორჯის კაბინეტის ნაცვლად ბონარ ლოუს კაბინეტის მოსვლამ, რომელიც ასეთ პრორუსულ ტენდენციებს არ ამჟღავნებდა, საქართველოს საელჩოს მდგომარეობა ლონდონში ერთგვარად გააუმჯობესა, მაგრამ ამით საქართველოს მიმართ ინგლისის პოზიცია არ შეცვლილა.

აპრილში რომში ჩასული ელჩი კარგად მიიღეს. საქართველოს დამოუკიდებლობის დროიდან იტალია ეკონომიკურად ყველაზე მეტად იყო მასთან დაკავშირებული და პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართული, ამიტომ იგი ამ საქმიანობის გაგრძელებას ცდილობდა. ამ მიზნით იტალიამ თბილისში თავისი კონსული დატოვა. იტალიის ხელისუფლება საქართველოს ელჩს თბილად ეპყრობოდა. ა. ჩხენკელი საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯორჯიო სფორცამ და კერძო აუდიენციაზე მეფე ვიქტორ-ემანუილ III მიიღეს.

ჯიოლიტის კაბინეტის ფაქტას კაბინეტით შეცვლამ, საქართველოს მიმართ იტალიის სამთავრობო წრეების გულგრილობა გამოიწვია. ამას ინგლისის გავლენაც ემატებოდა. დიდი ინტერესი არც მუსოლინის კაბინეტს გამოუჩენია, თუმცა როგორც იტალიის,



გიორგი მანაბულო

ასევე, ინგლისის სამთავრობო თუ არასამთავრობო წრეებში საქართველოს წარმომადგენლებს ბევრი მეგობარი და მხარდამჭერი ჰყავდათ, რაშიც განსაკუთრებული ღვაწლი გიორგი მაჩაბელს მიუძღოდა. საქართველოს ელჩი ცდას არც შემდეგ აკლებდა. საქართველოს და საერთოდ, სამხრეთ კავკასიის მიმართ მისი პოზიციის გასაგებად 1929 წელს ა. ჩხენკელი მუსოლინის ისევე შეხვდა.

ასე რომ, აკრედიტაციის ყველა მიღებული ნებსების შესრულება მარტო საფრანგეთში მოხერხდა და ელჩი დიპლომატიური კორპუსის ნამდვილ

წევრად მხოლოდ იქ ჩაირიცხა. ამდენად, მხოლოდ პარიზის საელჩო სარგებლობდა ყველა უფლებითა და უპირატესობით. ლონდონისა და რომის საელჩოები შეკვეცილი უფლებებით გაიხსნა. იქ ელჩი დიპლომატიური კორპუსის სიებში არ იყო შეტანილი. როცა ა. ჩხენკელი ადგილზე არ იყო, საელჩოს გამგედ პირველი მდივნები ითვლებოდნენ.

დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიასთან ჯერ კიდევ 1918 წელს დაიწყო, რომელშიც დიდი როლი 1911-1914 წლებში თბილისში გერმანიის ყოფილმა კონსულმა გრაფმა შულენბურგმა შეასრულა. ევროპის ქვეყნებიდან გერმანიამ საქართველო პირველმა ცნო და სრულუფლებიანი ელჩიც გამოგზავნა. საქართველოს საელჩო ბერლინში პარიზზე ადრე გაიხსნა, მაგრამ რწმუნების სიგელები იქ თავის დროზე არ გაიგზავნა, ამიტომ მას 1919 წელს დატოვებული წარმომადგენელი განაგებდა გერმანიის პრეზიდენტის წინაშე ფორმალური აკრედიტაციის შეუსრულებლად. საჭიროების შემთხვევაში ელჩს შეეძლო პირადად ენახა მინისტრი, მთავრობის წევრები და თვით რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომლებიც დიდი თანაგრძნობით ეპყრობოდნენ. საქართველოს 1500-მდე მოქალაქემ, მათ შორის 200-მა სტუდენტმა თავი გერმანიას შეაფარა. 1922 წელს

მეტეხის ციხიდან საზღვარგარეთ გასახლებული პოლიტიკური პატიმრები გერმანიამ მიიღო, მაგრამ მსოფლიო ომში დამარცხებამ, რეპარაციამ და კონტრიბუციამ გერმანიის რუსეთთან დაახლოება გამოიწვია, რაც რაპალოს ხელშეკრულებით დამთავრდა, თუმცა კი საელჩო არსებობას და საკონსულოს ფუნქციების შესრულებას კიდევ დიდხანს აგრძელებდა.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა სრული სტატიით სტამბოლშიც იყო, სადაც ზავის დაუგდებლობის გამო დიპლომატიური კორპუსი საერთოდ არ არსებობდა. თურქეთში განსაკუთრებული ვითარება იყო - დამარცხებულ სულთანს ხელისუფლება ფორმალურად ეპყრა, რადგან გამარჯვებული ქვეყნების მიერ ოკუპირებულ სტამბოლში ყველა საქმეებს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის უმაღლესი კომისრები განაგებდნენ. ფაქტობრივი ხელისუფლება და ეროვნული კრება "მეჯლისი" კი ანგორაში იმყოფებოდა. სტამბოლში საქართველოს მთავრობის რწმუნებულ კონსტანტინე გვარჯალაძეს უმძიმესი მოვალეობა დაეკისრა: მას მუდმივი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა კომისრებთან, რათა მათი საშუალებით ხმა იმ ქვეყნების მთავრობებისათვის მიეწვდინა. ამავე დროს, მას თვალყური საქართველოში მიმდინარე ამბებისათვის უნდა ედევნებინა. ამ მიზნით შეიქმნა სტამბოლის პოლიტიკური კომისია თავისი საიდუმლო საინფორმაციო ცენტრით. კ. გვარჯალაძე სულთნის მინისტრებთან დაახლოებასაც ცდილობდა. ანგორის ხელისუფლების ამკარა თანაგრძნობა მოსკოვისადმი 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით დამთავრდა.

ოკუპაციის შემდეგ ყველაზე მეტი ლტოლვილი სწორედ სტამბოლის საელჩოს მიანყდა. მათი საკითხის გადაწყვეტა საელჩოსთან შექმნილ 2 კომისიას - სამთავრობოსა და ლტოლვილთა კომისიებს დაევალათ. სამხედრო დაპირისპირებამ, ქემალისტთა გამარჯვებამ და შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ საელჩოს თანამშრომლები აიძულა თავშესაფარი პარიზში ეძიათ, თუმცა საკონსულო იოსებ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით, სტამბოლში კიდევ დიდხანს მოქმედებდა.



კონსტანტინე გვარჯალაძე

1918-1920 წლებში მიხეილ სუმბათაშვილისა და ხარიტონ შავიშვილის ძალისხმევით საქართველოს წარმომადგენლობა შვეიცარიის ქ.ბერნშიც არსებობდა. დაარსდა ქართული პრესის ბიურო, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა შვეიცარიის სატელეგრაფო სააგენტოსთან. ათწლეულების განმავლობაში ბიუროს ხელმძღვანელი ხ. შავიშვილი უცხოურ ჟურნალ-გაზეთებს საქართველოს შესახებ ინფორმაციას აწვდიდა, ქართველი ერის უფლებებს წარმატებით იცავდა და ამით საქართველოს საკითხის გასაცნობად და საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად დიდი როლი შეასრულა. 1920 წელს წარმომადგენლობა და ბიურო ჟენევაში გადაიტანეს, რადგან ეს ქალაქი ერთა ლიგის რეზიდენცია და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დელეგაციების, საერთაშორისო შეხვედრების, საქმიანობისა და სააგენტოების თავმოყრის ადგილი გახდა. საქართველოს ინტერესების დაცვა იქ უფრო ადვილი იყო, რადგან შვეიცარიაში საქართველოს ბევრი მეგობარი ჰყავდა. პრესაც მხარს მხურვალედ უჭერდა. საფრანგეთის მსგავსად, "საქართველოს მეგობართა საზოგადოებაც" შეიქმნა, მაგრამ შვეიცარიის მთავრობას საქართველო იურიდიულად არ უცვნიდა. დელეგაციის წევრი ხ. შავიშვილი ერთა ლიგასთან საქართველოს მუდმივი, თუმცა არაოფიციალური წარმომადგენელი გახდა. მისი მთავარი მოვალეობა იყო ერთა ლიგის საბჭო და სამდივნო, აგრეთვე ყოველწლიურ ყრილობაზე ჩასული დელეგატები საქართველოს საკითხით დაეინტერესებინა. ჟენევაში "პრესის ქართული ბიუროს" გადატანის შემდეგ, უცხოურ ჟურნალ-გაზეთებს საქართველოზე ინფორმაციას რეგულარულად აწვდიდა და მნიშვნელოვან პუბლიკაციებსაც ეხმაურებოდა. ასე მაგალითად, ბიურომ საქართველოს დაპყრობის 15 წლისთავის აღსანიშნავად მსოფლიოს 147 უმთავრეს გაზეთს მონოდება დაუგზავნა, რომელშიც წარმოჩენილი იყო, რა მოხდა სინამდვილეში. აღწერილი იყო 1921 წლის საქართველოს ოკუპაცია, ერის ბრძოლა და 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობა, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია. ზოგიერთმა გაზეთმა ინფორმაცია მთლიანად გადაბეჭდა, ზოგმა - საქართველოს ცალკე წერილიც უძღვნა.

მიუხედავად ამისა, რომ პოლონეთმა საქართველო იურიდიულად ცნო, საელჩო იქ არ გახსნილა. 1919 წელს ვარშავაში ვალერიან სიდამონ-ერისთავის ხელმძღვანელობით კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლობა ფუნქციონირებდა, რომელსაც 1920 წელს საქართველოს დიპლომატიური მისიის რანგი მიენიჭა.

მან წლის ბოლომდე იარსება და შემდეგ საკონსულოს ფუნქციას ასრულებდა. არაოფიციალური წარმომადგენელი ვარშავაში მხოლოდ 1922 წლის მეორე ნახევარში გაიგზავნა. მას ხელმძღვანელობა და პატრონობა უნდა გაენია ქართველ ლტოლვილთათვის, რომელთა რიცხვი იქ განსაკუთრებით დიდი იყო. წარმომადგენელი იმავე დროს ვარშავის ქართული საზოგადოების თავმჯდომარეც იყო. მას საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა. პოლონეთის მთავრობა ყურადღებითა და სიმპათიით ეპყრობოდა ქართველებს, მაგრამ საფრანგეთზე ორიენტირებული პოლონეთის საგარეო პოლიტიკა დამოუკიდებელი არ იყო გერმანიასა და რუსეთს შორის მოქცეულს დიდი სიფრთხილის გამოჩენა უწევდა.


დამოუკიდებლობის დროს ვლადივოსტოკში კონსულად დანიშნეს ფ. თუმანოვი, ჩრდილო ჩინეთში, მანჯურიის ქალაქ ხარბინში - ექიმი ნიკოლოზ ჯიშკარიანი. 1921 წელს, ოკუპაციის შემდეგ მას თხოვნით მიმართა აკ. ჩხენკელს - საკონსულო ჩინეთშიც დაეარსებინათ; ვინაიდან ჩინეთი არ იყო იმ ქვეყნების რიცხვში, ვინც დამოუკიდებელი საქართველო ცნო, ამიტომ თხოვნის შესრულება არ მოხერხდა. თუმცა იქ ქართველთა უფლებებს ძლიერი სათვისტომო იცავდა და ჯიშკარიანიც ელჩის მოვალეობას კარგა ხანს ასრულებდა. მოგვიანებით, იაპონელთა მიერ მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ, იქ დაარსებულ მარიონეტულ სახელმწიფო მანჯოუ-გოსთან და იაპონიასთან კონსულად კვლავ ჯიშკარიანი დაინიშნა.

ამერიკის შეერთებული შტატები იმ დროს ნაკლებად ერეოდა ევროპულ საქმეებში და არც ერთა ლიგის წევრი იყო, მაგრამ პრეზიდენტ ვილსონის დროიდან ცნობილი იყო რუსეთის დანაწილებისა და რუსეთისგან გამოყოფილი ზოგიერთი ერის მიმართ ამერიკის უარყოფითი პოზიცია - იგი მხოლოდ პოლონეთსა და ფინეთს ცნობდა. 1921 წლის შემოდგომაზე საქართველოს წარმომადგენელი ილია გოლდმანი ვაშინგტონში გაიგზავნა. ჰარდინგის მთავრობას რუსეთის მიმართ პოზიცია ოდნავ ჰქონდა შეცვლილი. ამერიკა მზად იყო ბალტიის რესპუბლიკები ელიარებინა, მაგრამ საქართველოს მხოლოდ მაშინ ცნობდა, როცა რუსეთისგან გათავისუფლდებოდა.



ნიკოლოზ ჯიშკარიანი

მოგვიანებით, ამერიკამ ბალტიის რესპუბლიკები მართლაც ცნო და რომ არა ქვეყნის ოკუპაცია, საქართველოს მიმართ დაპირებასაც ალბათ, ასევე შეასრულებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავის წარმომადგენლად ამერიკაში მცხოვრები, მორგანების ბანკის ფინანსისტი ვასილ დუმბაძე დანიშნა, რომელმაც საქართველოს საკითხის წამოწე-



ვასილ დუმბაძე

ვას აშშ სახელმწიფო პოლიტიკასა და ქართველ ლტოლვილთა ამერიკაში დასახლება-მონყობის საქმეს დიდი ამაგი დასდო. 1933 წელს საფრანგეთის მიერ სსრ კავშირის ცნობის, საქართველოს მთავრობის ლეგაციის გაუქმების, საელჩოებისა და საკონსულოების უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ ვ. დუმბაძე საქართველოს არაოფიციალური და არააკრედიტირებული ელჩის როლს ამერიკაში კიდევ დიდხანს (გარდაცვალებამდე - 1943 წ.) ასრულებდა.

სხვაგან მუდმივი წარმომადგენლები საქართველოს არ ჰყოლია. სპეციალური მინდობილობებით სხვადასხვა პირები დიპლომატიური მისიით ხშირად იგზავნებოდნენ, მაგალითად, არგენტინაში გაიგზავნა ანდრია დეკანოზიშვილი, ამერიკაში -- ილია გოლდმანი, შვედეთში -- მიხეილ წერეთელი, დანიაში -- არისტო ჭუმბაძე, საბერძნეთში -- პეტრე ჩინიჯიშვილი და ა.შ. საქართველო ბევრმა სახელმწიფომ ცნო, რომლებსაც თბილისში თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ, მაგრამ მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის წერილობითი ცნობა არსებობდა. იმ სახელმწიფოებში, რომლებმაც იურიდიულად ცნეს (იაპონია, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ავსტრია, ლუქსემბურგი, არგენტინა, მექსიკა, პანამა, ჰაიტი, სიამი, ლიბერია), საქართველოს საელჩოების გახსნის უფლება ჰქონდა, თუმცა ველარ მოასწრო.

სამწუხაროდ, საქართველოს საელჩოებსა და წარმომადგენლობებს უცხოეთში თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვა და საქართველოს სხვა ქვეყნებთან დასაახლოებლად ზრუნვა ნორმალურ პირობებში არ მოუწიათ. იმ ქვეყნების მთავრობებისადმი, სადაც მოღვაწეობდნენ, მათ უმთავრესად საპროტესტო ნოტებისა და განცხადებების გადაცემა უხდებოდათ, რომელშიც რუსეთის ვერაგულ თავდასხმას, საქართველოს ოკუპაციას და ოკუპანტთა ძალადობას ამხელდნენ. ისინი ყველა მომხდარ ფაქტზე რეაგირებდნენ, მაგრამ სამშობლოს მოწყვე-

ტილები ინფორმაციას დროზე ვერ იღებდნენ. სტამბოლში პოლიტიკური კომისიის დაარსებისა და მისი საიდუმლო საინფორმაციო სამსახურის შექმნის შემდეგ, ცნობების მიღება საქართველოდან გაადვილდა. საელჩოები და წარმომადგენლობები შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ უცხოეთის მთავრობების, პარლამენტებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების წინაშე საქართველოს საკითხი დაეყენებინათ. მონანიღობდნენ საერთაშორისო ღონისძიებებში, ხვდებოდნენ სახელმწიფოების მეთაურებს, პოლიტიკოსებს. დიპლომატიური მუშაობის გარდა, ისინი სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ: ქართველ ლტოლვილთა დაბინავება-მონყოლაზე, მოვლა-პატრონობაზე, საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველ სტუდენტებზე, პრესაში ქართული საკითხის გაშუქებაზე ზრუნავდნენ. ასრულებდნენ საკონსულოს ფუნქციებსაც - საქართველოს მოქალაქეებს აძლევდნენ ვიზებს, პასპორტებს, შუამდგომლობას უწევდნენ ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადასასვლელად, რისთვისაც ყველგან თავისი წარმომადგენლები ჰყავდათ დანიშნული და შესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ.

ყველაზე მყარი მდგომარეობა საქართველოს ემიგრირებულ ხელისუფლებას საფრანგეთში გააჩნდა, რადგან პარიზის საელჩო სრული უფლებებით სარგებლობდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ელჩს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლო, საგარეო საქმეთა მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარე არისტიდ ბრიანი ენახა და ხმა პრეზიდენტ მილიერანისთვისაც მიეწვდინა. ამას ემატებოდა ისიც, რომ საფრანგეთი საქართველოსადმი ყველაზე მეტი სიმპათიით იყო განწყობილი, მხარს უჭერდა და სსსრ კავშირიც ყველაზე გვიან სწორედ საფრანგეთმა ცნო.

1922 წლის დასაწყისში პარიზის საელჩოს 5 თანამშრომელი ჰყავდა: ზურაბ ავალიშვილი
მ რ ჩ ე ვ ე ლ ი ,



ქართველთა ერთი ჯგუფი პარიზში

სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი პირველი მდივანი, ალექსანდრე ქუთათელაძე ატაშე, გეორგ პერუჯე ხაზინადარი, ქალბატონი კემულარია მოსამსახურე.



გიორგი ავალიშვილი

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, პარიზის საელჩო საქართველოს ლეგაციად გადაკეთდა, ელჩი სრულუფლებიანი მინისტრი გახდა. შეიცვალა თანამშრომელთა რიცხვი. თანამდებობები კი ასე გადანაწილდა: პირველ მდივნად კვლავ სოსიპატრე ასათიანი დარჩა, მრჩეველები მიხეილ სუმბათაშვილი და ზურაბ ავალიშვილი, ატაშეები - ანტონ ჟორჟოლიანი და ალექსანდრე ქუთათელაძე, ეკონომიკური ნაწილის გამგე - ჯერ მათე სკობელევი, შემდეგ - ნიკოლოზ ჯაყელი, საინფორმაციო ბიუროს გამგე ვლადიმერ ვოიტინსკი. სრულუფლებიანი მინისტრი ჩხენკელი საელჩოების ხელმძღვანელი იმავდროულად ლონდონსა და რომშიც იყო. პირველი მდივნის მოვალეობებს ასრულებდნენ: ლონდონში - თბილისის გუბერნიის ყოფილი მარშალი მიხეილ სუმბათაშვილი, რომში - გიორგი მაჩაბელი, კონსული გიორგი ჯაყელი.

მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაციის შემდეგ ბრიანმა თავშესაფარი თვითონ შესთავაზა, ელჩის, აბელ შევალიეს თანხლებით ჩასულ საქართველოს მთავრობას საფრანგეთში ოფიციალურ პირთაგან არავინ დახვედრია. ეს იმას ნიშნავდა, რომ მას ისე იღებდნენ, როგორც კერძო პირს, მაგრამ მაინც ყველაზე მეტ თანაგრძნობას საქართველოსადმი სწორედ საფრანგეთი იჩენდა - ლტოლვილთა დიდი ნაწილი მიიღო და მათ შრომით მონყობაზე "პეჟოს", "სიმკა-კრეისლერისა" და "რენოს" ქარხნებში პარიზში, ვალენტიენესა და სოშო-ოდენკურში შეძლებისდაგვარად იზრუნა. სოსიპატრე ასათიანი აღნიშნავდა, რომ საფრანგეთში არცერთი ერის ლტოლვილები არ სარგებლობდნენ ისეთი პატივითა და ყურადღებით, როგორც ქართველები: "ეს ალბათ, იმით აიხსნება, რომ დღეს აქ მეტი მფარველი და დამცველი არა გვყავსო". საფრანგეთში თავშეფარებულ საქართველოს ლტოლვილ მთავრობას კი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო არენაზე.

საფრანგეთი საერთაშორისო თანამეგობრობას წინააღმდეგობას დიდხანს უწევდა, 1932 წლის 29 ნოემბერს ხელი სსრ კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტს მოაწერა და იგი ყველაზე გვიან ცნო. 1934 წელს საქართველოს მთავრობის ლეგაცია გაუქმდა, საქართველოს მთავრობის, შესაბამისად საელჩოებისა და საკონსულოების უფლებამოსილება შეწყდა. "აღარ არის საელჩო, საქართველოს სრულუფლებიანი საელჩო, ქართველი ერის უზენაესობის სიმბოლო, მისი დროშა, სახელმწიფო ღერბი. მტერმა გვძლია, მტერმა გაიმარჯვა ამ უსწორო ბრძოლაში, რომელიც თორმეტი წელიწადი და ხუთი თვე სწარმოებდა. აუნერელი ერთ დროს აინერება, როგორ ვერაგულათ, განუწყვეტლივ, წამდაუნუმ, უფრო მალულათ, ვინემ აშკარათ - ებრძოდა მტერი საქართველოს საელჩოს პირველი დღიდანვე... მიმართავდა ათასნაირ სიცრუეს, სიმდაბლეს, რათა მოეხსნათ სამფეროვანი დროშა ერთ ნაჭერ ტერიტორიაზედ, პარიზში, "პატარა საქართველოდ" რომ იწოდებოდა", - წერდა ჟურნალი "დამოუკიდებელი საქართველო" 1934 წლის აპრილში. საბედნიეროდ, საბჭოთა კავშირის ცნობით საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკური წრეების შეხედულებები არ შეცვლილა. 18 მაისს საქართველოს საკითხი, პაქტთან ერთად დეპუტატმა მუტემ წამოაყენა. საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ერიო და რენოდელი სიტყვით გამოვიდნენ. კომუნისტ დარიოს გარდა, რეზოლუციის წინააღმდეგი არავინ გამოსულა.

ამ განწყობილების შედეგი იყო ის, რომ საფრანგეთის მთავრობამ ქართველი ლტოლვილები ცალკე ჯგუფად გამოყო და ლეგაციის ნაცვლად ე.წ. "ლტოლვილთა ოფისი" შექმნა. შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიაში და სტამბოლში საელჩოები "ოფისის" ფილიალებად გადაკეთდა, რომლებსაც ამ ქვეყნებში უნდა ეზრუნათ ქართველ ლტოლვილებზე, მათ გადაადგილებაზე, მათი უფლებების დაცვასა და დასაქმებაზე. "ოფისის" დირექტორად დაინიშნა სოსიპატრე ასათიანი, მის მოადგილედ ნიუ-იორკის ბანკის პარიზული ფილიალის თანამშრომელი, კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა დიპლომატი ალექსი მდივანი, რომელმაც ლეგაციაში მდივნად მუშაობა ჯერ კიდევ 1931 წელს დაიწყო. მალე გამომჟღავნდა მისი დიპლომატიური ნიჭი და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, ევროპული განათლება და დიდი პატრიოტიზმი. როგორც ქველმოქმედი, იგი დახმარებას უწევდა საქართველოს საელჩოს

პარიზში, ქართული კოლონიის სხვადასხვა დანესებულებას, საქართველოს საკითხთან დაკავშირებით ხშირად აწყობდა შეხვედრებს დეპუტატებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, იმ კონგრესებზე, სადაც საქართველოს საკითხი იდგა, დელეგატებს თავისი ხარჯით გზავნიდა. თვითონაც მიდიოდა, როცა ამის საჭიროება ჩნდებოდა. 1935 წლის მარტში დიდი პოლიტიკური მო-



ალექსი მდივანი

ლვანის, ბიზნესმენის, მილიონერისა და ქველმოქმედის გიორგი მაჩაბლის გარდაცვალების შემდეგ, აგვისტოში ალექსი მდივანის, ან "მშვენიერი პრინცის", როგორც მას უწოდებდნენ, დალუპვა ხელმოკლე და გაჭირვებული ქართული ემიგრაციისათვის დიდი დანაკლისი იყო. შემთხვევითი არ არის, რომ სრულიად ახალგაზრდა კაცი ასეთი სიტყვებით დაიტირეს: "სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობებთან ერთად ალექსი მდივანს ჰქონდა მრავალი ისეთი თვისება, ნიჭი და შესაძლებლობა, რომ მას მრავალი სამსახურის განევა შეეძლო თავის ერისათვის რომ დასცლოდა", - წერდა ჟურნალი "სამშობლო"

1935 წლის სექტემბერში, ჟურნალი "დამოუკიდებელი საქართველო" კი ამატებდა: "ჭეშმარიტად, ქართველობამ დაპყარვა ერთი თვალსაჩინო მოამაგე და მოყვარული შვილი".

"ოფისის" დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, როგორც ჩანს, ემიგრაციაში კმაყოფილი ყველა არ იყო. ეროვნულ-დემოკრატიები ჩიოდნენ, რომ ელჩმა ა. ჩხენკელმა "ოფისი" ქართული ასოციაციის გამგეობასთან შეუთანხმებლად შექმნა. "ეროვნულმა ცენტრმა" კი, რომელსაც გაზეთი "კლდე" "ჟორდანიას ცენტრს" უწოდებდა, კომისია გამოყო და საბჭოს ფუნქციები დააკისრა, რითაც ემიგრაციის უფლებები მიითვისაო. ამიტომ 1933 წლის 12 ნოემბერს მათ განსაკუთრებული კომისია შექმნეს, მაგრამ სოციალ-დემოკრატიები არ დაეთანხმნენ და როცა 1934 წლის 14 აპრილს კომისიამ მუშაობა დაამთავრა და საბჭო აირჩია, მენშევიკებმა იჩივლეს და მთავრობამ საბჭო არ დაამტკიცა. 1936 წლის 2 თებერვალს საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ლტოლვილთა საზოგადოებრივმა კრებამ ძველი გამგეობა დაამტკიცა და ა. ჩხენკელის, ზ. ავალიშვილისა და დ. სხირტლაძის შემადგენლობით "ოფისის საბჭო" აირჩია. ავალიშვილმა

უარი განაცხადა და კრება დატოვა, ამიტომ მის ნაცვლად ახალი წევრი, რ. გაბაშვილი შეიყვანეს. დავამ ჯერ საელჩოზე, შემდეგ კი "ოფისზე" საბჭოცა და კოლონიაც ორად გაჰყო. ამიტომ "ოფისის" შესახებ ახსნა-განმარტებითი მასალა ჟურნალში "დამოუკიდებელი საქართველო" ორჯერ გამოქვეყნდა. რუსი ემიგრანტებისგან განსხვავებით, რომლებიც ე.წ. "ნანსენის პასპორტებს" იღებდნენ და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ, რენოდელის, მუტეს, პარმესა და სხვა დეპუტატების შუამდგომლობით, ქართველებს "Titre didantate de voiaje" მიუღიათ. ეს კი მათ იურიდიულ სტატუსს და იმ უფლებებს ანიჭებდა, რაც რუსებს ჰქონდათ. ნ. ჟორდანიამ ვანდერველდეს საშუალებით ბელგიის მთავრობის თავმჯდომარეს მემორანდუმი წარუდგინა, რომ თუ ბელგია საბჭოთა კავშირს ცნობდა, მაშინ იქ მცხოვრებ ქართველობასაც იმავე უფლებებით ესარგებლა, რითაც საფრანგეთში სარგებლობდნენ, საბუთად კი "ოფისის" მიერ გაცემული მოწმობები ჩაეთვალათ. ს. ასათიანი თავის განმარტებაში ამატებდა, რომ საფრანგეთის მთავრობამ ლტოლვილთა "ოფისი" შექმნა, როგორც აპოლიტიკური ორგანიზაცია. მისი შემადგენლობა იგივე დატოვა, რაც საელჩოს დროს იყო იმიტომ, რომ 14 წლის განმავლობაში მისმა წევრებმა საფრანგეთის ხელისუფლების ნდობა დაიმსახურეს. იქვე იმედს გამოთქვამდა, რომ ლტოლილები მალე დაბრუნდებოდნენ სამშობლოში და "ოფისიც" საჭირო აღარ იქნებოდა. ამ იმედს ასრულება არ ეწერა.

"ოფისმა" მუშაობა გერმანული ოკუპაციის წლებშიც განაგრძო და მთელი თავისი არსებობის მანძილზე საქართველოდან ლტოლვილთა არა მარტო ქართველების, არამედ სხვა ერების, განსაკუთრებით კი ებრაელთა დაცვისა და გადარჩენის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა.

ამრიგად, უცხოეთის ქვეყნების უმრავლესობაში ლტოლვილებს დახვდათ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს შექმნილი ქართული წარმომადგენლობები და საკონსულოები, რომლებმაც მათ მიღებაზე და ელემენტარული პირობების შექმნაზე იზრუნეს. 1933 წელს, საფრანგეთის მიერ სსრკ ცნობის შემდეგ, გაუქმდა ლეგაცია და მის ნაცვლად შეიქმნა „ლტოლვილთა ოფისი“. შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიასა და სტამბოლში საელჩოები "ოფისის" ფილიალებად გადაკეთდა, რომლებიც იმ ქვეყნებში ქართველთა უფლებების დაცვასა და დასაქმებაზე ზრუნავდნენ.

თავი IV

საქართველოს საკითხი და სოციალისტური ინტერნაციონალი

ემიგრაციის პირველ წლებში საერთაშორისო პირობები საკმაოდ არახელსაყრელი იყო; საქართველოს საკითხი ომის შემდგომმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სირთულეებმა, რეპარაციისა და აღმოსავლეთის პრობლემებმა დაჩრდილა. მართალია, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საქართველოს ევროპაში მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო საჭირო იყო ახალ თანამგრძობთა და მოკავშირეთა მოძიება. 1928 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენი მოკავშირენი“ ვიკტორ ნოზაძე რამდენიმე მათგანს განიხილავდა: უპირველეს და საუკეთესო მოკავშირედ რუსეთი და სტალინი მიაჩნდა, რადგან პერმანენტული ეკონომიკური კრიზისი, სტალინის მმართველობა და ბოლშევიკური პარტია რუსეთს ადრე თუ გვიან დაანგრევდა და ბოლოს მოუღებდა; მეორე და ყველაზე საპატიო მოკავშირედ ეროვნულ მოძრაობას მიიჩნევდა, რომლის ფრონტები რუსეთისაგან თავდახსნილ ფინეთში, პოლონეთში და ბალტიის ქვეყნებში - ლიტვაში, ლატვიასა და



ვიკტორ ნოზაძე

ესტონეთში უკვე გახსნილია, დანარჩენები კი თვით რუსეთშია გაჩაღებული - უკრაინაში, თურქესტანსა და კავკასიაში, ზოგან ცხარე ბრძოლებიც წარმოებსო: „მართალია, ეს ბრძოლა ერთი და ორი დღის არ არის, მაგრამ საქართველოს განუყრელი მოკავშირეა, რადგან ყოველი ერის ბრძოლის მიზანია თავისუფლება“. მომდევნო მოკავშირედ ნოზაძე შექმნილ ვითარებას ასახელებდა, რომ ბოლშევიკურ რუსეთსა და კაპიტალისტურ ევროპას შორის შეთანხმების გზები, რუსების ცდის მიუხედავად, ნაკლებად საიმედო ჩანდა. მნიშვნელოვან

მოკავშირეებად დასახულია ევროპული დემოკრატია და სოციალისტური მოძრაობა. და ბოლოს, უმნიშვნელოვანეს მოკავშირედ ქართველი ხალხის ეროვნული შეგნება 26 მაისისა და 25 თებერვლის ხსოვნა დასახელებული. ყველა ეს ფაქტორი ვ. ნოზაძეს ოპტიმისტური დასკვნის გაკეთების საშუალებას


აძლევდა, რომ ქართველთა ბრძოლა ზეიმითა და გამარჯვებით, ანუ დამოუკიდებლობის დაბრუნებით დამთავრდებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლტოლვილი მთავრობა ხელისუფლების დაბრუნებასა და საქართველოს გამოსხნას ბოლშევიკური რუსეთისაგან ძირითადად I მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე მებრძოლი და გამარჯვებული სახელმწიფოების მხარდაჭერით ცდილობდა. დიდ იმედს მზარდ სოციალისტურ მოძრაობაზე და საერთაშორისო ორგანიზაციებზე, განსაკუთრებით კი - II ინტერნაციონალზე და ერთა ლიგაზე ამყარებდა. ამიტომ მხედველობიდან არცერთი მნიშვნელოვანი ევროპული ღონისძიება არ რჩებოდა, რომ საქართველოს საკითხი წამოენია და მსჯელობის საგნად ექცია. მით უმეტეს, რომ 1918 წლიდან მოყოლებული, საქართველოს უფლებრივ მდგომარეობას საერთაშორისო სამართლის არაერთმა სპეციალისტმა უძღვნა ნაშრომი. ასე მაგალითად, 1918 წელს გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა ფრედერიკ ფონ დერ ლისტმა, 1920 წელს ბელგიელმა ოტფრიდ ნიპოლდმა, 1932 წელს ფრანგმა ლუი ლე ფურმა.

საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები: კარლ კაუცკი, რამზეი მაკდონალდი, ევგენი გრენიე, კამილ ჰიუსმანსი, პაველ აქსელროდი და სხვები საქართველოს დასაცავად ოკუპაციის პირველივე დღეებში გამოვიდნენ. მათი წერილები ეროპული პრესიდან 1921-1922 წლებში გაზეთმა "თავისუფალმა საქართველომ" გადმობეჭდა: "მოსკოვის ბონაპარტიზმი", "საქართველოს სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა", "ბოლშევიკური სურათები საქართველოდან, "ისევ საქართველო", "აღმოსავლური სახელმწიფოდან მონობამდე - პასუხი ტროცკის", "პასუხი ქართველ ბოლშევიკებს", "საქართველოს შესახებ", "მებრძოლი საქართველო", "საქართველოს ანკეტის გამო", "ახალი გადატრიალება საქართველოში". საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრიის, შვეციის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ბალტიის ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოთა სოციალისტურმა და მუშათა პარტიებმა კი პროტესტი გამოხატეს.

თავის მხრივ, ლტოლვილი მთავრობა და სდმპ საზღვარგარეთული ბიურო ევროპაში საქართველოს საკითხის გახმაურებას შეუდგა, რის შესახებაც მოგვითხრობს კ. გვარჯალაძის წიგნი "საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობა საზღვარგარეთ". 1921 წლის 3 მაისს ნ. ჟორდანიას მოხსენებით გამოვიდა საფრანგეთის სდმპ ცკ სხდომაზე პარიზში, 13 ივნისს

ბრიუსელში, ბელგიის სდმ ცკ სხდომაზე. მას მიესალმა ვანდერველდე. ნ. ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ საპასუხო სიტყვით დე ბრიუკერი გამოვიდა. შემდეგ დე ბრიუკერთან და ჰიუსმანსთან ერთად ჟორდანია ანტვერპენში გაემგზავრა, სადაც დიდი მიტინგი მოეწყო. 22 ივნისს ბელგიიდან ინგლისის ტრედუნინების ხელმძღვანელობით მოწყობილ სდმ ნლიურ ბრაიტონის



ნოე ჟორდანია

კონგრესზე გაემგზავრა. საქართველოს შესახებ ქალბატონ სნოუდენის გამოსვლის შემდეგ, კონგრესმა რეზოლუცია მიიღო. იმავე 1921 წლის ივნისში კ. ჩხეიძე და ნ. რამიშვილი ვარშავაში მოხსენებით გამოვიდნენ ჯერ სდმ საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე, 19 ივნისს კი - სდმ საერთო

კრებაზე. ივნისის ბოლოს მათ გერმანიაში კ. კაუცკი და ედ. ბერნშტეინი ინახულეს. შეხვდნენ სდმ საპარლამენტო ფრაქციას, პრეზიდენტ ებერტს და რაიხსტაგის ხელმძღვანელ ლებეს. 1 ივლისს ბერლინის კონფერენციას დაესწრნენ, 5 ივლისს - სდმ უმრავლესობის კრებას, 8 ივლისს - ფრანკფურტში, ვენის ინტერნაციონალური ბიუროს სხდომას. ყველგან გამოდიოდნენ და საქართველოდან ჯარების გაყვანაზე რეზოლუციებს იღებდნენ. ივლისის ბოლოს კ. ჩხეიძემ მონაწილეობა მიიღო პოლანდიის სდმ იუბილეში და კოპენჰაგენის ინტერნაციონალის სოციალისტურ კონფერენციაში, რომელმაც დაადგინა: მაკდონალდს მოლაპარაკება III ინტერნაციონალთან გაემართა, რათა საქართველოში ჩასატარებელი რეფერენდუმის კონტროლისათვის კომისია შეედგინათ. საქართველოდან რეფერენდუმზე უარის მიღების შემდეგ, 22 ნოემბერს მომხდარი ამბავი ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას მოახსენეს, რომელსაც კ. ჩხეიძე და ვ. ვოიტინსკი დაესწრნენ. ჰიუსმანსის რეზოლუცია კრებამ ერთხმად მიიღო.

1921 წლის ზაფხულში ე. გეგეჭკორი და ს. მდივანი იტალიაში ჩავიდნენ, გამოჩენილი სოციალისტები ინახულეს და საქართველოს მდგომარეობა გააცნეს. აღმოსავლეთის საკითხის მცოდნე თრევესი საქართველოს მხარდასაჭერად პარლამენ-

ტში გამოვიდა, რის გამოც სოციალისტ და კომუნისტ დეპუტატთა შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. 13-14 აგვისტოს ბერლინში მუშათა პროფკავშირების ინტერნაციონალის წარმომადგენლების კონფერენციაზე კ. ჩხეიძის მოხსენება მოისმინეს, რომლის შემდეგ პროფკავშირები ყენევაში ნითელ ჯვარს დაუკავშირდნენ. მან კი, რუსეთის გვერდის ავლით, საქართველოს დახმარება მედიკამენტებით აღმოუჩინა. 30 ოქტომბერს. საფრანგეთის სოციალისტთა კონგრესზე სიტყვა ი. ნერეთელმა წარმოთქვა. 22 ნოემბერს ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს მოახსენეს ევროპელი სოციალისტებისა და კომუნისტებისაგან შედგენილი კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც საქართველოში რეფერენდუმის მოწყობას დაესწრებოდა, თუმცა ამაზე ბოლშევიკებისაგან უარი მიიღეს. ქართველთაგან კრებას ჩხეიძე და ვოიტინსკი ესწრებოდნენ. მიღებული რეზოლუცია საქართველოს ტერიტორიას რუსეთის ჯარის მიერ დაპყრობილად აცხადებდა და მისი უფლებების დაცვას – ჯარის გაყვანასა და საქართველოს ბედის გადაწყვეტის ხალხისათვის მინდობას მოითხოვდა, II ინტერნაციონალის მომხრე პარტიებს კი წინადადებას აძლევდა, ეს პრობლემა გაეთვალისწინებინათ, როცა "მათ წინაშე მოსკოვის მთავრობის ცნობა დადგებოდა".

საქართველოს მთავრობის წევრები, სხვადასხვა შეკრებაში უშუალო მონაწილეობის გარდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს საკითხის გაშუქებას. "სოციალისტური ინტერნაციონალი და საქართველო" ... ამ სათაურით გამოიცა პარიზში წიგნი. I ნაწილში საქართველოში სოციალისტთა მოგზაურობის შთაბეჭდილებებია გადმოცემული, II ნაწილში სოციალისტური ორგანიზაციების პროტესტები და რეზოლუციებია შეკრებილი. 1921 წელს გამოქვეყნებულ ბროშურაში "საქართველოს პროლეტარიატი ბოლშევიკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ" – საქართველოდან მიღებული წერილები და მმართველები იქნა შეტანილი. იმავე წელს საქართველოს მდგომარეობის აღწერას ორი ბროშურა მიეძღვნა: "Nouveau crime bolshéviques in Georgien" და "Les Travaileurs Georgiens et les elections in soviet Georgien". სამივე ბროშურა სწრაფად გავრცელდა. ევროპის ქვეყნების სოციალისტთა პრესა ოპერატიულად გამოეხმაურა და ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა სტატიებიც დაიბეჭდა. მაგალითად, ინგლისელ სოციალისტთა ყურნალ "ფორვერდში" ნ. ყორდანისა წერილი გამოქვეყნდა.

1922 წლის 19 მარტს კ. ჩხეიძე მოხსენებით საქართველოს მდგომარეობის შესახებ, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესის წინაშე წარსდგა და მსმენელთა შორის დიდი თანაგრძნობა ჰპოვა. კონგრესმა საფრანგეთის ოფიციალურ წრეებთან მოლაპარაკება გამართა, რათა საფრანგეთს არ დაეშვა მოსკოვის მცდელობა, კონფერენციაზე საქართველოს სახელით ელაპარაკა. 2 აპრილს II ინტერნაციონალის ბერლინის კონფერენციაზე ი.წერეთელმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა კომინტერნის დელეგატის, რადეკის აღიარებას, რომ რუსეთმა საზავო ხელშეკრულება იმიტომ დაარღვია, რომ საბჭოეთს ნავთი სჭირდებაო. ვანდერველდემ და მაკდონალდმა საქართველოში სამივე ინტერნაციონალის წარმომადგენლის გაგზავნა მოითხოვეს. მათ განცხადებას II ინტერნაციონალის წარმომად-



კარლო ჩხეიძე

გენელი ბაუერიც შეუერთდა. დიდი წინააღმდეგობის შემდეგ, რადეკი II ინტერნაციონალის პირობებს, 9-კაციანი კომისიის შედგენას დათანხმდა, რომელიც საქართველოზე ყველა საბჭოთს განიხილავდა და საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციას მოამზადებდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს თანხმობა ბოლშევიკებს საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად და გენუის კონფერენციაზე მხარდასაჭერად სჭირდებოდათ.

I მსოფლიო ომის შემდეგ რამდენიმე წინილად დაყოფილი ინტერნაციონალი ლონდონისა და ვენის გარშემო დაჯგუფდა. სვანეთ-რაჭა-ლეჩხუმის აჯანყების შესახებ ნ. ჟორდანიამ, II და

ვენის ინტერნაციონალეების აღმასრულებელი კომიტეტების მდივნებს მაკდონალდს და ადლერს დეპუშით ამცნო და შუამდგომლობა სთხოვა, რომ სამხედრო მოქმედებების შესაჩერებლად და ზავის ჩამოსაგდებად მოსკოვზე ემოქმედათ. II ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში ჰიუსმანსმა რუსეთის ჯარების საქართველოდან გაყვანის შესახებ რეზოლუცია გაიტანა, რომ თუკი რუსეთის ერთა ლიგაში მიღების საკითხი დადგებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობა არ დაევიწყებინათ. სანამ სამივე ინტერნაციონალის "ცხრათა კომისია" საკითხს არ შეისწავლიდა და თავის დასკვნას არ გამოიტანდა, კომიტეტ-

მა მოსკოვს სამხედრო მოქმედებების შეჩერება კატეგორიულად მოსთხოვა. მაკდონალდმა გენუის კონფერენციასაც მოუწოდდა საქართველოში დატრიალებული ამბებისათვის ყურადღება მიექციათ. 1922 წლის 23 მაისს II ინტერნაციონალის სახელით მაკდონალდმა "ცხრათა კომისიის" კრებას ვრცელი მოხსენება წარუდგინა, მაგრამ, როგორც კი, 20 მაისს გენუის კონფერენცია დაიხურა, კომუნისტები "ცხრათა კომისიიდან" გავიდნენ და კომისიაც დაიშალა. 18-20 ივნისს ლონდონში II ინტერნაციონალის კონფერენციას წერეთელმა საქართველოს სდმპ ვრცელი მოხსენება წარუდგინა. სექტემბერში ერთა ლიგის კრებაზე საქართველოს მდგომარეობის შესახებ დებრიუკერის მხურვალე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ მისი რეზოლუცია ერთხმად მიიღეს.

თუ მთელი 1921 წლის მანძილზე ბოლშევიკები ევროპას იმას უმტკიცებდნენ, რომ საქართველოს დაპყრობაში მათ წვლილი არ მიუძღოდათ, 1922 წელს რადეკის გამოსვლის შემდეგ პოზიცია შეიცვალეს და იმის მტკიცება დაიწყეს, რომ ეს იყო არა იმპერიალისტური, არამედ რევოლუციური ნაბიჯი. ტროცკის წიგნის "იმპერიალიზმის და რევოლუციის შუა" რამდენიმე თავი "ჰუმანიტესა" და სხვა კომუნისტურ გაზეთებში დაიბეჭდა, რასაც ფრანგულ გაზეთში "სოციალისტური ცხოვრება" ნ. ჟორდანიამ წერილით "იმპერიალიზმი რევოლუციის ნიღბით" ვრცელი და დასაბუთებული პასუხი გასცა.

1922 წლის შემოდგომაზე II და "ორნახევარი ინტერნაციონალის" გამაერთიანებელი კონგრესი უნდა შეკრებილიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო გადაიდო. 1923 წლის მაისში გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებულ განახლებულ მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის 1923 წლის 21-25 მაისს ჩატარებულ ჰამბურგის კონგრესზე, რომელსაც ქართველ სოციალ-დემოკრატთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია დაესწრო, მათ შორის: ვლადიმერ ახმეტელი, ვლასა მგელაძე, შალვა აბდუშელი, ლიდა აბდუშელი, მიხეილ ხუნდაძე, რეზოლუცია მიიღეს და საქართველოდან ჯარების გაყვანა მოითხოვეს. როგორც ლ. აბდუშელი იხსენებდა, ღია ცის ქვეშ მოწყობილ ტრიბუნაზე სიტყვით მ. ხუნდაძე და ვ. მგელაძეც გამოსულან.



ლიდა აბდუშელი

1924 წელს გამოქვეყნდა სოციალისტური ინტერნაციონალის მანიფესტი: "60 წელიწადია, რაც სიმბოლოთ ერთა თვითგამორკვევის უფლებისა ითვლებოდა პოლონეთის დამოუკიდებლობა. დღეს ჩვენ ინტერნაციონალის ამ პრინციპების თანახმად მოვითხოვთ, უფლება მიეცეს საქართველოს სიმბოლოს იძულებითი რეჟიმის ქვეშ მყოფი ხალხების თვითგამორკვევისა -- განაგოს თავისი ბედი". 1925 წლის 25-27 აგვისტოს მარსელში ჩატარებულ II კონგრესს ს. ფირცხალავა და ი. წერეთელი ესწრებოდნენ. მარქსის სურათით მორთულ დარბაზში აღმოსავლეთ ევროპის საკითხიც დასმულა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების ჩახშობამ და დაწყებულმა რეპრესიებმა ევროპა დიდად აღაშფოთა. 24-28 სექტემბერს ლონდონში ჩატარებულ ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ი. წერეთელი ესწრებოდა, მიღებული რეზოლუცია საქართველოში აჯანყების დროს ბოლშევიკთა მიერ ჩადენილ მხეცურ ანგარიშსწორებას გამოხატავდა. 30 ნოემბერს საქართველოში მთავრობის მიერ ინგლისის ტრედუნიონების დელეგაცია იყო მინვეული, რომლის ტენდენციური განცხადებების საპასუხოდ სდმპ საზღვარგარეთულმა ბიურომ დეკემბრის დამლევს ინგლისურ ენაზე გამოსცა ბროშურა "ინგლისის ტრედუნიონების დელეგაცია საქართველოში ქართული ბოლშევიკური გაზეთების გადმოცემით".

1925 წლის 29 იანვარს პიერ რენოდელის მიერ საფრანგეთის პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვას საქართველოს მდგომარეობისა და ქართველ პატრიოტთა აჯანყების შესახებ, ევროპის პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სიტყვა შემდეგ ფრანგულ ენაზე ბროშურად დაიბეჭდა: "საქართველოს დამოუკიდებლობა და ბოლშევიზმის ინტერნაციონალური პოლიტიკა". როცა 1925 წლის თებერვალში ლონდონში გამოვიდა "ოფიციალური ანგარიში ინგლისის ტრედუნიონების დელეგაციისა", ნ. ჟორდანიამ, კ. ჩხეიძემ და ნ. რამიშვილმა სდმპ საზღვარგარეთულ ბიუროს პრეზიდენტის სახელით (ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოცემული ბროშურით



ნთჲ რამიშვილი

"ინგლისის ტრედუნიონების დელეგაცია და საქართველო") აპრილში ამ "ანგარიშს" პასუხი გასცეს. ივლისში ი.წერეთელმა ინტერნაციონალის სამდივნოს და ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიას წერილით მიმართა, რომელშიც იგი პარიტეტული კომიტეტის სასამართლო პროცესსა და აჯანყების შემდეგ დატრიალებულ რეპრესიებს ეხებოდა. ინგლისის ტრედუნიონების დელეგაციის მიწვევის შემდეგ ბოლშევიკებმა ინგლისელი მუშა ქალების, ფრანგებისა და ბელგიელების, აგრეთვე გერმანელ მუშათა დელეგაციები მიიპატიჟეს. ამ უკანასკნელთ საქართველოს სდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა და არალეგალურმა პროფკავშირების ბიურომ ფარულად მემორანდუმი გადასცა, რომელშიც რეალური ვითარება იყო ახსნილი, მაგრამ მათ ამ მემორანდუმისათვის მსვლელობა არ მიუციათ. ისევ საზღვარგარეთულ ბიუროს მოუწია მათი ევროპულ ენებზე ბროშურად გამოცემა: "საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დოკუმენტები", რომელშიც პარტიის 3 არალეგალური კონფერენციის რეზოლუციებიც იყო შეტანილი.

1925 წლის აგვისტოს ბოლოს მარსელში სოციალისტური ინტერნაციონალის II კონგრესის კომისიების მუშაობაში საქართველოს მრავალრიცხოვანმა დელეგაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო. კონგრესის რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ ინტერნაციონალი იცავს სსრკ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, რომლებმაც "რევოლუციის ხანაში მოიპოვეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როგორც სომხეთმა, საქართველომ, უკრაინამ და სხვა". შემოდგომაზე ჰაიდელბერგში ოტო ველსის ხელმძღვანელობით ჩატარებულ გერმანიის სდმპ "პარტიეიტაგზე" ვლ. ახმეტელი სიტყვით გამოვიდა. 1926 წელს პოლონეთის სდმპ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ ე. გეგეჭკორი და ი. სალაყაია, პრალაში ჩეხოსლოვაკიის სდმპ სხდომას ესწრებოდნენ - გ. აიოლო და ლ. ჟლენტი, ბერლინში გერმანიის სდმპ სხდომას - დ. საღირაშვილი, დ. ბერძენიშვილი და ალ. ფაჩულია.

1926 წლის 5 ოქტომბერს საქ. სდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა სოციალისტურ ინტერნაციონალს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებულ ტერორს აღწერდა და პროტესტს უცხადებდა. მემორანდუმმა ევროპაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. პერსელისა და ვოლჰედის ლიბერალურ წერილს პასუხი ნ. ჟორდანიამ გასცა. მემორანდუმში აღძრულ საკითხებზე კოუტსს, პროფესორ ჰუდსა და კ. გვარჯალაძეს შორის გაზეთების: "მანჩესტერ გარდიენის", "დეილი

პერალდისა" და "ნიუ ლიდერის" ფურცლებზე ორთვიანი კამათი გაიმართა. უორდანიასა და გვარჯალაძის მიერ დოკუმენტურად დასაბუთებულმა პოლემიკამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის მუშათა პარტიაზე, რომელმაც ინტერნაციონალში ბოლშევიკთა ტერორის საკითხის დასმა და დაგმობა გადაწყვიტა.



ირაკლი წიკოილი

1927 წლის დეკემბერში სოციალისტური ინტერნაციონალის დადგენილების თანახმად ფაშისტური და ბოლშევიკური ტერორის წინააღმდეგ თავიანთ ქვეყნებში კამპანია გაენიათ, შვეციის სდმპ სხვადასხვა ქალაქში კრებები ჩაატარა. კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად მინვეული ი.წერეთელი კრებებზე დამსწრეთ საქართველოს მდგომარეობას აცნობდა. 1928 წელს ე. გეგეჭკორი ბალტიის ქვეყნებში ჩატარებულ კრებებს, მიტინგებს ესწრებოდა და საჯარო მოხსენებებით, პრესით საქართველოს ბრძოლას აღწერდა. აგვისტოში, ბრიუსელში, სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესის მონაწილეებს ქართულმა დელეგაციამ საქართველოში ჩეკას მიერ დამყარებულ რეჟიმზე მოხსენება დაურიგა.

1927 წლის მაისში ი. წერეთელი თავისი ბროშურით "ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხები", რომელიც რუსულ-ფრანგულ ენებზე ითარგმნა და ინტერნაციონალის წევრებს დაურიგდა, საქართველოს სდმპ ხაზს გაემიჯნა. პარტიის წინააღმდეგ თავიანთ პრესაში რუსმა სოციალისტებმაც გაილაშქრეს. მათ საპასუხოდ 1928 წ. ნ. უორდანიამ რუსულ-ფრანგულ-გერმანულ ენებზე ბროშურა "Nosdivergences" გამოსცა, კამათის დასრულების მერე - მეორე ბროშურა "Итоги". მალე რუს მენშევიკებთან, რომლებსაც სოციალისტური ინტერნაციონალის მდივანი ადლერიც აპყვა, კამათი განახლდა. 1929 წლის ივნისში მათ ინტერნაციონალს გადასცეს მემორანდუმი "ომის საშიშროება აღმოსავლეთ ევროპაში", თუმცა ომის საშიშროებაზე მეტად, საუბარი სსრ კავშირის ეროვნულ პრობლემებს ეხებოდა. მათ საპასუხოდ, საქართველოს სდმპ სახელით, ივნისსა და სექტემბერში ორი მოხსენება გადაეცათ. მათთან დებატები ინტერნაციონალურ კომისიაშიც გაგრძელდა. 1930 წლის 11 მაისს ბერლინში საქართველოს ინტერესებს ე. გეგეჭკორი და კ. გვარჯალაძე იცავდნენ. რუსი სოციალისტები ამტკიცებდნენ,

რომ საჭირო იყო ეროვნული პრობლემების გადადება, მაგრამ ინტერნაციონალმა უფრო რადიკალური რეზოლუცია მიიღო - სსრ კავშირის ყველა ხალხის თვითგამორკვევის განუსაზღვრელ უფლებაზე. მონინალმდეგეც ბევრი აღმოჩნდა, მათ შორის, ანრი ბარბიუსი, რომლის 1929 წელს გამოცემულ წიგნში სსრ კავშირში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, ამ ქვეყნის იდეოლოგიითა და აღმშენებლობით აღტაცება ვროპას მოუთხრო. წიგნის განხილვა 20 მაისს ფობურგის კლუბში მოეწყო, სადაც უცხოელების გარდა მის წინააღმდეგ დავით შარაშიძე გამოვიდა, 1930 წელს კი კარლ კაუცკის წინასიტყვაობით 200-გვერდიანი ნაშრომი გამოსცა "ა. ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო". დ. შარაშიძის წიგნმა ევროპის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ წრეებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და საქართველოს საკითხის პროპაგანდას დიდად შეუწყო ხელი. 1930 წლის 28 აგვისტო-5 სექტემბერს ს.ფირცხალავა ბრიუსელში ჩატარებულ კონგრესს დაესწრო, სადაც დელეგატთა დიდმა უმრავლესობამ რუსეთიდან გამოყოფილი ქვეყნების ხელშეუხებლობა მოითხოვა.

ევროპაში ფაშიზმის გავლენისა და ომის საშიშროების ზრდის გამო 1933 წლის 18-19 თებერვალს სოციალისტური ინტერნაციონალის ბიურომ მსოფლიოს მუშებს მონოდებით მიმართა - შეეწყვიტათ ურთიერთბრძოლა და ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ. ამასთან, ბიურომ კომუნისტურ ინტერნაციონალთან მოლაპარაკებაზე თანხმობა გამოთქვა, თუმცა პასუხი არ მიუღია. მიუხედავად ამისა, 5 მარტს სოციალისტურ პარტიებს საერთო ფრონტის შესაქმნელად ინსტრუქცია დაეგზავნათ. 18-19 მარტს ციურიხში, სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს სდმპ სახელით კ. გვარჯალაძემ განცხადება გადასცა, რომელშიც კომინტერნთან დაკავშირებას მიზანშეწონილად არ თვლიდა. ამ საკითხს ნ. ჟორდანიამ იენისში ახალი წიგნი "Difficultes Socialistes" მიუძღვნა, რომელშიც ახალთან ერთად, ძველი, ბელგიის სოციალისტთა ჟურნალ "L'Avenir Social" დაბეჭდილი წერილებიც შევიდა. 1933 წლის 21-25 აგვისტოს პარიზის ინტერნაციონალურ კონფერენციაზე 36 ქვეყნის 142 დელეგატის წინაშე ერთი საკითხი იდგა "საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ტაქტიკა და სტრატეგია ფაშიზმის შემოტევის ხანაში". საქართველოს სდმპ ხაზს გვარჯალაძე იცავდა. მისი ცნობით, ძირითადად ფაშიზმს აკრიტიკებდნენ, აქა-იქ ბოლშევიზმსაც. ფაშისტთა შიშით კომინტერნთან

გაერთიანება არ შეიძლება, ამტკიცებდნენ უფრო რადიკალურნი. მაშინ, როცა მოსკოვის ნაქეზებით კომუნისტები ებრძვიან და ანგრევენ სოციალისტურ პარტიებს, რომლებსაც მთავარ მტრად აცხადებენ, სოციალისტური ინტერნაციონალის მიერ მოსკოვის მხარში დგომა, დახმარება, პოპულარიზაცია და საერთო ფრონტის შექმნაზე ფიქრიც კი ილუზიააო. მემარცხენეთა 12-კაციანი ჯგუფი მუშათა კლასის ერთიანობისათვის II და III ინტერნაციონალებს შორის მოლაპარაკებას, საერთო კონფერენციის ჩატარებას და საერთო ხაზის გამომუშავებას მოითხოვდა, მაგრამ კონფერენციამ ეს წინადადება უარყო. საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ კომუნისტებთან საერთო



დავით შარამიძე

ფრონტის შესაქმნელად 1934 წლის ივლისში პაქტს ხელი მაინც მოაწერა. ამის შემდეგ ფრანგმა სოციალისტებმა კომინტერნთან საერთო ფრონტის შექმნის საკითხი კვლავ დასვეს. 31 ოქტომბერს, საქართველოს სდმპ სახელით, საერთო ფრონტის წინააღმდეგ, ინტერნაციონალს არგუმენტირებული მემორანდუმი გადაეცა. ფრანგი სოციალისტების მიერ ხელახლა წამოჭრილი ეს საკითხი პარიზში აღმასრულებელი კომიტეტის 13-16 ნოემბრის სხდომებზე განიხილეს. მემორანდუმის დებულებებს კ. გვარჯალაძე იცაედა. ხანგრძლივი დებატების შემდეგ საერთო ფრონტი უარყვეს.

1935 წლის აგვისტოში დაიბეჭდა ბაუერის, დანისა და ჟირომსკის ბროშურა "ინტერნაციონალი და ომი". მათი აზრით, სსრკ-გერმანიას შორის მოსალოდნელ ომში ინტერნაციონალს მხარი სსრკ-სთვის უნდა დაეჭირა, რათა წითელ არმიას სოციალიზმი სხვა ქვეყნებშიაც გაეგრძელებინა. 18 აგვისტოს სხდომაზე აღმასრულებელმა კომიტეტმა სექციებს ბროშურაზე აზრის გამოთქმა სთხოვა. საქართველოს სდმპ აზრი ამ საკითხზე ჩამოყალიბებულია მემორანდუმში "ინტერნაციონალი და ომი". 25 სექტემბერს და 7 ოქტომბერს საერთო ფრონტის თაობაზე ახლა უკვე კომინტერნმა სოციალისტურ ინტერნაციონალს ორჯერ მიმართა. 11-12 ოქტომბერს აღმასრულებელმა კომიტეტმა, სადაც ასევე გვარჯალაძე ილაშქრებდა, ეს წინადადება მანევრად ჩათვალა და უარი თქვა.

სოციალისტური ინტერნაციონალის პარალელურად, საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა დავალებით მიხეილ ხუნდაძე და ნიკიტა იმნაიშვილი ახალგაზრდა სოციალისტთა კონგრესებსა და კონფერენციებს ესწრებოდნენ, საქართველოს საკითხს აცნობდნენ და მხარდამჭერ რეზოლუციებს იღებდნენ.

საქართველოს სდმპ მუშაობას სხვა ცენტრებშიც ეწეოდა. უენევაში შვეიცარიისა და ბელგიის სოციალისტურ თუ არასოციალისტურ გამოცემებში, ფრანგ სინდიკალისტთა გაზეთში "People" ხ.შავიშვილი საქართველოს შესახებ წერილებს ხშირად ბეჭდავდა. 1921-1926 წლებში საქართველოს საკითხს ჩეხოსლოვაკიაში პროპაგანდას გრიგოლ აიოლო უწევდა, შემდეგ ემელიანე ლომთათიძე. მათ კავშირი ჰქონდათ ჩეხოსლოვაკიის სდმპ ლიდერებთან, პარტიის ყრილობებს ესწრებოდნენ და ცენტრალურ ორგანოში "პრავო ლუდუში" წერილებს ბეჭდავდნენ. ვინაიდან გერმანიის სდმპ ბოლშევიკებს ძალიან ეწინააღმდეგებოდა, საქართველო და მისი წარმომადგენელი ვ.ახმეტელი დიდი თანაგრძნობით სარგებლობდნენ. 1927 წელს გერმანულ სოციალისტურ თუ არასოციალისტურ პრესაში საქართველოზე ცნობებს ნ.იმნაიშვილიც ათავსებდა.

როგორც ვხედავთ, ემიგრაციის პირველ წლებში საერთაშორისო პირობები საკმაოდ არახელსაყრელი იყო – ომისშემდგომმა პრობლემებმა დაჩრდილა საქართველოს საკითხი. ევროპაში საქართველოს მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა. მის დასაცავად პირველივე დღეებში საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები გამოვიდნენ, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო საჭირო იყო ახალ თანამგრძნობთა და მოკავშირეთა ძიება. ამიტომ საქართველოს ლტოლვილი მთავრობა, სდმპ და სხვა საპარლამენტო პარტიების საზღვარგარეთული ბიუროები სოციალისტთა კრებებზე, კონფერენციებზე, II ინტერნაციონალის სხდომებზე საქართველოს საკითხის გახმაურებას შეუდგნენ. იბეჭდებოდა საქართველოს მხარდამჭერი წერილები, ბროშურები და წიგნები. მიუხედავად ქართველ და ევროპელ სოციალისტთა დიდ აქტიურობისა, მათი პროტესტებისათვის ყურადღება მოსკოვს დიდად არ მიუქცევია.

თავი V

საქართველოს საკითხი ერთა ლიგაში. საერთაშორისო კონფერენციისა და კონგრესებზე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ქვეყნისადმი ერთა ლიგის ყურადღების მიპყრობას სოციალისტთა გარდა, ევროპის პოლიტიკური ლიდერების მხარდაჭერის იმედით ცდილობდა და II მსოფლიო ომამდე მასთან მუდმივი ურთიერთობა პქონდა. როგორც ცნობილია, საქართველოს მიღების საკითხი ერთა ლიგის ყრილობაზე პირველად 1920 წელს დაისვა, მაგრამ უარყოფითად გადაწყდა. მეორე ყრილობის დროს, სადაც ეს საკითხი ალბათ, დადებითად გადაწყდებოდა, საქართველო უკვე ოკუპირებული იყო. 1921 წელს ეროვნულმა მთავრობამ რუსეთის დანაშაულის საკითხის განხილვა მოითხოვა, მაგრამ ეს მოთხოვნა არ შეუსრულებიათ. მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგაში საქართველოს მიღება ვერ მოესწრო, ემიგრანტულმა მთავრობამ ამ ორგანიზაციასთან დიდი მუშაობა ჩაატარა.

1921 წლის 26 აგვისტოს სრულფუნქციონირებულმა წარმომადგენელმა ა.ჩხენკელმა, ხოლო 28 აგვისტოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გუგუჭორმა საქართველოს ოკუპაციის შესახებ ერთა ლიგის მთავარ მდივანს წერილითა და შემორანდუმით მიმართეს. 1922 წელს ყრილობაზე ელჩმა მთავრობის სახელით ვრცელი მოხსენება კვლავ წარადგინა, რომელშიც ოკუპანტთა ძალმომრეობა და ქართველი ხალხის ბრძოლა იყო ნაჩვენები.



ხატიცონ შავიშვილი ერთა ლიგის სსდმამზე

საქართველოს გამოსარჩლება ბელგიის დელეგატმა დე ბრუკერმა ითავა. 1922 წლის აპრილში ერთა ლიგის ყრილობაზე მის წარდგენილ რეზოლუციაზე იმსჯელეს და 50 სახელმწიფოს სახელით დაადგინეს: "იღებს რა მხედველობაში საქართველოს მდგომარეობას, მოუნოდებს საბჭოს თვალყური ადევნოს მსოფლიოს ამ ნაწილის ამბებს, რათა ხელი ჩასჭიდოს შესაფერის შემთხვევას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს იმისთვის, რომ მშვიდობისა და ინტერნაციონალურ უფლებებთან შეთანხმებულ საშვალელებით დაუბრუნოს ამ ქვეყანას ნორმალური მდგომარეობა". იმავე, 1922 წლის 12 მაისს ზ. ავალიშვილმა პარიზული წარმომადგენლობიდან ერთა ლიგას წერილით მიმართა. 1923 წელს, ხ. შავიშვილის ხელით, ერთა ლიგის მთავარ მდივანს მონოდება გადასცა, რომელშიც საქართველოს უმძიმეს ყოფას აღწერდა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების მხეცური ანგარიშსწორების შესახებ 11 სექტემბერს ერთა ლიგის მე-15 სხდომაზე საფრანგეთის დელეგატმა ჟან პოლ ბონკურმა ბელგიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციების მიერ შემუშავებული პროექტი შეიტანა, რომელიც 1922 წლის 22 სექტემბრის რეზოლუციას იმეორებდა. კამათში გამოსულმა დელეგატებმა: ინგლისელმა მაკდონალდმა და მურეიმ, იტალიელმა ბონინ-ლონგარმა, ბელგიელმა დე ბრუკერმა და ფრანგმა ბონემ რეზოლუციას მხარი დაუჭირეს. მეორე დღეს საქართველოს მთავრობის დელეგაციამ ერთა ლიგას ნოტა გადასცა, მაგრამ ლიგამ აქტიური მოქმედებები მომავლისათვის გადადო. 1925 წელს ქართველი ერის სახელით, 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით, ერთა ლიგის მე-5 ყრილობას ა. ჩხენკელმა და ხ. შავიშვილმა მიმართეს. საქართველოს დასაცავად ბონკური, მაკდონალდი, მორეი, დე ბრიუკერი გამოვიდნენ და რეზოლუცია მიიღეს, რომლითაც 1922 წლის აპრილის ყრილობის რეზოლუცია დაადასტურეს.

1933 წლის 25 სექტემბერს ერთა ლიგის ყრილობაზე, მშვიდობის ინტერნაციონალური ბიუროს მიერ პრესაში გამოქვეყნებულმა წერილმა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე დალადიესადმი, რომელშიც საქართველოზე იყო საუბარი, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით კი პასაჟმა: როგორ შეიძლება მშვიდობა წარმოვიდგინოთ, როცა ერის უფლება და საერთაშორისო ხელშეკრულება ფეხქვეშაა გათელილიო.

1934 წელს ერთა ლიგაში რუსეთის მისაღებად საგარეო საქმეთა მინისტრმა ლიტვინოვმა განცხადება შეიტანა, რასაც

განსაკუთრებული აღშფოთებით შვეიცარიისა და ინგლისის გაზეთები შეხვდნენ. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართული ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურება, რათა ეს საკითხი არ მიჩქმალულიყო. ამასთან, ისეთი სახელმწიფოს აღმოჩენა, რომლის დელეგატი მოინდომებდა ერთა ლიგისათვის საქართველოსათვის მიცემული დაპირებების შეხსენებას, მისი დამოუკიდებლობის საკითხის დაყენებას; ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ამუშავება, რომლებიც ამ წინადადებებს შეიტანდნენ და ზურგს იმ დელეგატებსაც გაუმაგრებდნენ, რომლებიც საქართველოს საკითხს გაახმაურებდნენ. ქართულმა ორგანიზაციებმა შექმნეს კომისია, რომელმაც 1934 წლის მაისში ერთა ლიგის დელეგატებში დასარიგებლად 3 მოხსენება მოამზადა: "საქართველო დამოუკიდებლობის ხანაში", "ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 1921 წლიდან დღემდე" და "საქართველოს საკითხი ერთა ლიგის წინაშე", ერთა ლიგის დამხმარე ქართულმა ასოციაციამ კი ისტორიული მიმოხილვა - "საქართველოს უფლებანი". ამუშავდა პრესა, საქართველოსადმი თანაგრძნობას ყველა ქვეყანა გამოთქვამდა. ჩეხოსლოვაკიის სენატში სიტყვით თვით მისი თავმჯდომარე სოუკუპი გამოვიდა. ყველაზე მეტად შვეიცარიის (რომელიც არ ცნობდა სსრკ-ს) ჟურნალ-გაზეთები, განსაკუთრებით კი "Journal de Geneve" და მისი დირექტორი ჟან მარტენი აქტიურობდნენ.



ხართვონ შალვარტშვილი

ქართველოსადმი თანაგრძნობას ყველა ქვეყანა გამოთქვამდა. ჩეხოსლოვაკიის სენატში სიტყვით თვით მისი თავმჯდომარე სოუკუპი გამოვიდა. ყველაზე მეტად შვეიცარიის (რომელიც არ ცნობდა სსრკ-ს) ჟურნალ-გაზეთები, განსაკუთრებით კი "Journal de Geneve" და მისი დირექტორი ჟან მარტენი აქტიურობდნენ.

1934 წლის 10 სექტემბერს ხ. შავიშვილმა ერთა ლიგის სესიის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, ერთა ლიგის მე-15 სხდომის თავმჯდომარეს, სანდერსს მიართვა ლოკარნოს მშვიდობის 30-ე კონგრესის რეზოლუცია, ადრესი და საქართველოს მთავრობის საპროტესტო განცხადება რუსეთის წინააღმდეგ; 16 სექტემბერს სანდერსს აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის, საქართველოს, თურქესტანისა და უკრაინის წარმომადგენელთა ხელმოწერილი პროტესტი გადაეცა. სესიაზე საქართველოს შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრი მოტა გამოესარჩლა, რომელმაც როგორც ჟ.მარტენი შენიშნავდა, ყველას უჩვენა, რომ "ნეიტრალობა არ ნიშნავს არც უგულობას და არც

სილაჩრეს". მას პორტუგალიამ და პოლანდიამ მხარი აქტიურად დაუჭირეს. უფრონაღმა "დამოუკიდებელმა საქართველომ" იმ პირთა სია გამოაქვეყნა, რომლებმაც საქართველოს შესახებ ერთა ლიგის მე-15 ყრილობის თავმჯდომარისათვის გაგზავნილ წერილს ხელი მოაწერეს. რუსეთის მიღებასთან დაკავშირებით, 6 სექტემბერს მშვიდობის საერთაშორისო მე-20 კონგრესმა ლოკარნოდან ჟენევაში ერთა ლიგას მიმართვა გაუგზავნა, საქართველოს საკითხი და რეზოლუცია შეახსენა. გენერალური მდივნის არმან კარმანიოლასა და საქართველოს დამხმარე საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელის ალბერ მალშის ადრესიც გაგზავნეს. 10 სექტემბერს ხ. შავიშვილმა თავის წერილში ერთა ლიგას მისი წინა რეზოლუციები შეახსენა და იმედი გამოთქვა, რომ რა გადანყვეტილებაც არ უნდა მიეღო ერთა ლიგას, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით საქართველოს იურიდიული მდგომარეობა არ შეიცვლებოდა. მიუხედავად ამისა, მე-16 სხდომაზე საბჭოთა რუსეთი ერთა ლიგის წევრად მიიღეს. მაგრამ რუსეთის მიღებით ერთა ლიგაში "საქართველოს საკითხი არ მოხსნილა საერთაშორისო ასპარეზიდან .. მხოლოდ გადაიდო", - მოტას ამ სიტყვებს ფეხზე წამომდგარი დელეგატები ტაშით შეხვდნენ. ერთა ლიგაში საქართველოს მრავალი მხარდამჭერი რომ ჰყავდა, ეს შემდგომ წლებშიც კარგად გამოჩნდა.


1936 წელს ერთა ლიგის მე-7 სხდომას კავკასიის ერებმა შემორანდუმი წარუდგინეს, რომელშიც კავკასიის ისტორიული, გეოგრაფიული ვითარება და მათი ბრძოლისათვის კავკასიის კონფედერაციის მნიშვნელობა იყო მიმოხილული. მეორე მიმართვას კავკასიელების მიერ იაკუბის, შახმანის, ჩხენკელის გარდა, დაჩაგრული ერების თურქესტანელებისა და უკრაინელების სახელით ხელს აწერდნენ ჩოკაი და შულგინი. 1937 წლის 23 სექტემბერს ერთა ლიგის მე-18 ყრილობის თავმჯდომარეს ალა ხანს შემორანდუმი აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის, საქართველოს, თურქმენეთისა და უკრაინის წარმომადგენლებმა მიართვეს.

\ XX ს. 20-30-იანი წლების ისტორია მდიდარია საერთაშორისო კონგრესებითა და კონფერენციებით, რომლებზეც | მსოფლიო ომისშემდგომ შექმნილ პრობლემებს იხილავდნენ. საქართველოს მთავრობა ცდილობდა, ყველა იმ ღონისძიებაში მიეღო მონაწილეობა, სადაც საერთოევროპული საკითხები წყდებოდა

და საქართველოზე საერთაშორისო აზრის შექმნა შეიძლებოდა. საქართველოს ოკუპაციისთანავე ბოლშევიკების ჯარის შემოსევის შესახებ უცხოეთის სახელმწიფოთა მთავრობებს მემორანდუმი დაეგზავნათ. საინტერესოა ა. ჩხენკელის "მემუარი", რომელიც შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობათა ფონზე თვალნათლივ გვიჩვენებს საქართველოს საკითხისადმი ევროპული ქვეყნების დამოკიდებულებას.

განსაკუთრებულია საფრანგეთის ღვაწლი, რომელმაც 1921-1922 წლებში საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დიდი მფარველობა გაუწია. 1921 წლის იანვარ-თებერვალში ლონდონის კონფერენციაზე საფრანგეთი საქართველოს ინგლისთან და ოსმალეთთან ფაქტობრივად შუამდგომლობდა. ასევე, კარგი პოზიცია დაიკავეს საფრანგეთის წარმომადგენლებმა გენუის კონფერენციაზე; როცა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა კონფერენციაზე რუსეთის დაშვება მოითხოვა, ბრიანმა საქართველოს საკითხი დააყენა. საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა პუანკარემ კანის დადგენილებას გვერდი ვერ აუარა და საქართველოს მთავრობა გენუაში არ მიიწვიეს, თუმცა კი მან ორჯერ განაცხადა, რომ რუსეთი არ არის უფლებამოსილი საქართველოს სახელით ილაპარაკოს. პუანკარემ ინგლისისა და იტალიის მთავრობებს მიმართა: საქართველოს ეროვნული მთავრობა ლოზანის კონფერენციაზე მიენვიათ. კერზონსა და შარს უარი არ უთქვამთ, მაგრამ საქართველოს ფაქტობრივი მთავრობის მოწვევაც მოითხოვეს.

საქართველოს დასაცავი ხმა საფრანგეთის პარლამენტის ტრიბუნიდანაც გაისმა: 1922 წლის 1 აპრილს პუანკარემ პარლამენტში წარმოსთქვა საგანგებო სიტყვა,



აკაკი ჩხენკელი

რომელშიც აღნიშნა, რომ იგი რუსეთის ძალმომრეობას კავკასიის ქვეყნების, კერძოდ, საქართველოს მიმართ არ ცნობს. პარლამენტის 22 აპრილის სხდომაზე რადიკალურ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა ედუარდ ერიომ მთავრობის თავმჯდომარეს, საფრანგეთის სახელით, საქართველოს მიმართ კეთილგანწყობის დადასტურება მოსთხოვა. პასუხში პუანკარემ აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობა მხოლოდ საქართველოს იმ მთავრობასა და წარმო-

მადგენლობას ცნობს, რომელიც პარიზში იმყოფება, მაგრამ 1922 წელს რურის დაკავების შემდეგ, საფრანგეთი ცდილობდა მოკავშირეებთან ურთიერთობა არ გაემწვავებინა. ამასთან, მოსკოვთან დაახლოების კამპანია თვით საფრანგეთში დაიწყო და საქართველოს საკითხს უკვე აშკარად ველარ აყენებდა. მიუხედავად ამისა, სხვა ქვეყნებთან შედარებით ქართული დიპლომატიისათვის საფრანგეთში უკეთესი პირობები მაინც შენარჩუნდა.

1922 წლის 6-12 იანვარს კანში ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრი ქვეყნების შეკრებას, სადაც გენუის კონფერენციის გამართვაზე უნდა ემსჯელათ, საქართველოს მთავრობამ ნოტიო მიმართა. აცნობდა რა არსებულ ვითარებას, ნ. ჟორდანიას საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანასა და ერის სამართლიანი უფლებების აღდგენას მოითხოვდა. კანის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის მე-6 მუხლი გენუის კონფერენციის მიონანღულ სახელმწიფოებს ავალდებულებდა: "ხელი აეღოთ თავიანთი მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ აგრესიული ნაბიჯების გადადგმაზე". 1922 წლის იანვართებერვალში საქართველოს საკითხი ვაშინგტონის კონფერენციაზეც დაისვა. მიუხედავად იმისა, რომ ს. მდივანის, ა. ჩხენკელის, ი. წერეთლის, გ. ვეშაპელისა და ზ. ავალიშვილის მიერ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილისა და სვანეთის აჯანყებაზე დოკუმენტური მასალების წარდგენამ დელეგატებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, აპრილ-მაისში ჩატარებულ გენუის კონფერენციაზე საქართველო არ მიიწვიეს იმ მოტივით, რომ ის აზიაში მდებარეობსო. რუსეთმა კი თავის დელეგაციაში ბუდუ მდივანის ჩართვა მოახერხა, რის გამოც ვარლამ ჩერქეზიშვილმა ჩიჩერინს პროტესტის წერილი მისწერა. საფრანგეთის დეპუტატმა უტრეიმ უარყო რუსეთის სურვილი ყოფილიყო მის მიერ ოკუპირებულ სახელმწიფოთა წარმომადგენელიც. პუანკარემ განაცხადა, რომ თუ "დეიურედ" ცნობილი საქართველო კონფერენციაზე დაშვებული არაა, ვერც სხვებს დართავდა ნებას, რომ საქართველოს "ჰყავს თავისი წარმომადგენლობა და მისთვის ღიაა ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს კარი".

იმავე, 1922 წლის აპრილში ბერლინის კონფერენციის შემდეგ დადებულმა რაპალოს ხელშეკრულებამ და გერმანიის მიერ სსრ კავშირის ცნობამ საქართველოს მთავრობის დიდი იმედგაცრუება გამოიწვია. 1922 წელს საფრანგეთის მთავრობის

მცდელობის მიუხედავად, ეროვნული მთავრობა არც 1922 წლის 20 ნოემბრიდან 1923 წლის 20 ივლისამდე მიმდინარე ლოზანის კონფერენციაზე მიიწვიეს, თუმცა სრუტეების საკითხის განხილვას საქართველო უნდა დასწრებოდა, როგორც შავი ზღვისპირა ქვეყანა. ლოზანის კონფერენციაზე რუსეთის



ალექსანდრე კრავტჩენკო

დელეგაციამ განაახლა ცდა საქართველო და უკრაინა "პროტოკოლიდან მოეხსნა". რაკი კონფერენციაზე ეროვნული მთავრობა არ ესწრებოდა, ჩიჩერინმა ბუდუ მდივანი ჩაიყვანა და შეეცადა. საქართველოს სახელით მას ელაპარაკა, მაგრამ არც მას და არც მოსკოვის მთავრობას ამის უფლება არ მისცეს. მართალია, კონვენციაში საქართველო და უკრაინა ნახსენები არ იყო, მაგრამ ეს დებულება ბოლო დღეს ხელმოწერილ პროექტში შეიტანეს და მას მეტსახელიად "ქართული აბზაცი" უწოდეს.

განიხილავდა რა ლოზანის კონფერენციის შედეგებს, ა. ჩხენკელი წერდა, რომ შავ ზღვაზე რუსეთის მიერ პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან, რუსეთის მიერ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის დადასტურებას კონვენცია ეწინააღმდეგებოდა და მას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს თავის ადგილს იმ დრომდე უტოვებდა, სანამ თავისუფლად მოქმედებას შეძლებდა.

1928 წლის 27 აგვისტოს პარიზში ბრიან-კელოგის პაქტი 15-მა სახელმწიფომ დიდი ზეიმით გააფორმა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ფორმულას "ხელს ვიღებთ ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებაზე", დაემატა ფრანგი მინისტრის გამონათქვამი "ომი კანონგარეშე". როცა ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთი შეუერთდა, ქართველებმა გააპროტესტეს, რომ ეს პაქტს დაასუსტებდა.

1929 წლის პარიზის კონგრესზე წარდგენილ მოხსენებაში გიორგი გვაზავამ მიმოიხილა საქართველოს ისტორია 1801 წლიდან, აღნიშნა პრობლემის საერთაშორისო მნიშვნელობა და საფრანგეთის ღვაწლი 1858 წლიდან, პარიზის კონგრესიდან დანწყებული. 1931 წლის 20 მაისს ჟენევაში აკ. ჩხენკელმა ევროპის კავშირის შესასწავლი კომისიის თავმჯდომარეს, არისტიდ ბრიანს ნოტა გადასცა. 1936 წელს სრუტეების შესახებ მონტროს კონვენ-

ნციამ 1923 წლის ლოზანის კონვენცია შეცვალა. სრუტეების საკონტროლო კომიტეტში საქართველოსა და უკრაინისათვის ადგილი უკვე აღარ იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო შავი ზღვის სანაპირო ქვეყანა აღარ არისო, გააპროტესტეს ქართველებმა. აკ. ჩხენკელმა კი კონფერენციის თავმჯდომარეს, სტანლეი ბროსს მოხსენება გადასცა, რომელშიც პროტესტი 4 პუნქტად იყო ჩამოყალიბებული და საქართველოს ფაქტორის გათვალისწინებას ითხოვდა.

მიმოიხილავდა რა საქართველოს საკითხის გარშემო ლტოლვილი მთავრობისა და ინტერნაციონალური ცენტრის საქმიანობას II მსოფლიო ომის წინ, კ. გვარჯალაძე წერდა: "იმ დროს მუშაობის პირობები ჩვენთვის მეტად არახელსაყრელი იყო. ევროპელები რუსეთის საკითხში ვერ ერკვეოდნენ. მათ საკმარისად არ ჰქონდათ გათვალისწინებული არც რუსეთის ბოლშევიკების ბუნება და საქმიანობა და არც რუსეთის შინაური მდგომარეობა. ევროპას რუსეთთან მხოლოდ ვაჭრობა აინტერესებდა და მის შინაურ მდგომარეობას საკმაო ყურადღებას არ აქცევდა. საბჭოთა ტირანიის და დიქტატურის დემოკრატიით გარდაქმნას ევოლუციური გზით ცდილობდა. დიდი დრო დარჩა საჭირო, რომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ასეთი ილუზია გაქარწყლებულიყო და ევროპა-ამერიკის ხელმძღვანელი წრეები საქმის ვითარებაში გარკვეულიყვნენ. დაგვიანებით, მაგრამ დაბოლოს ეს ასეც მოხდა".

ასე რომ, დემოკრატიული რესპუბლიკის ლტოლვილი მთავრობა საქართველოს გამოხსნას ბოლშევიკური რუსეთისაგან I მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე მებრძოლი და გამარჯვებული სახელმწიფოების, მზარდი სოციალისტური მოძრაობის და ერთა ლიგის დახმარებით ცდილობდა. ქართველთა აქტიურობის, ევროპული პრესის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების საპროტესტო განცხადებების მიუხედავად, რუსეთმა ერთა ლიგაში მიინც შეაღწია, თუმცა მრავალი მხარდამჭერის ნყალობით საქართველოს საკითხი საერთაშორისო ასპარეზიდან არ მოხსნილა. ერთა ლიგის, სამშვიდობო, პაციფისტური, სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა საერთაშორისო კონგრესებისა და კონფერენციების რეზოლუციები საქართველოს საერთაშორისო იურიდიულ სუბიექტად ტოვებდნენ, მაგრამ მას რუსეთიდან თავის დახსნაში ვერ შევლოდნენ.

თავი VI

საქართველოს საკითხი და საქრთაშობისა ორგანიზაციები

საქართველოს საკითხის მსოფლიო პოლიტიკის არეალში მოსაქცევად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებშიც საქართველო შედიოდა როგორც ასოციაცია ან სექცია.

ერთა ლიგის დაარსებისთანავე, მის წევრ სახელმწიფოებში, მთელი ევროპის მასშტაბით შეიქმნა ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციები, მათი მუშაობის მნიშვნელობის პროპაგანდისა და კოორდინაციისათვის ინტერპარტიული "ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოება". მალე მისმა კონგრესებმა ისეთი მნიშვნელობა მოიპოვეს, რომ ორგანიზაციის თავმჯდომარემ ერთა ლიგის სხდომებზე დასწრებისა და სიტყვის წარმოთქმის უფლება მიიღო. კონგრესებს შორის მუდმივმოქმედი ბიურო მუშაობდა. ასოციაციებს განსახილველი საკითხი წინასწარ შეჰქონდათ, ბიურო კი ამ საკითხების სიას და დღის წესრიგს ადგენდა და მოხსენებებს ამზადებდა. რაკი საქართველო ერთა ლიგის წევრად არ მიიღეს, გადაწყდა მისი პარალელური ორგანიზაციის წევრი მაინც გამხდარიყო და 1920 წელს თბილისში ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით ერთა ლიგის დამხმარე ასოციაცია "ქართული საზოგადოება ერთა ლიგისათვის" დაარსდა. ოკუპაციის შემდეგ მისი პრეზიდიუმი და წევრთა

უმრავლესობა საზღვარგარეთ აღმოჩნდა და პარიზში განაგრძო მუშაობა. ასოციაციათა გაერთიანების გენერალური საბჭოს წევრი ხარიტონ შავიშვილი გახდა.

1921 წლის 6-9 ივნისს ჟენევაში წარგზავნილებმა კ. საბახტარაშვილმა და ს. მდივანმა ერთა ლიგის საზოგადოების მე-5 კონგრესს დასახმარებლად მიმართეს და მხარდაჭერაც მიიღეს. დასაბუთებული მოხსენებით საქართველოს მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ლედი გლადსტონი, რომელმაც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია დაგმო და კონგრესს რეზოლუცია წარუდგინა.



1918წი ბიუროს

სიტყვით გამოვიდნენ პროფესორი ოლარი და ტომ შოუ. შემდეგ რეზოლუცია მიიღეს, რომელშიც კონგრესი გამოთქვამდა აღმფოთებას და დაბეჯითებით მოითხოვდა: "ერთა ლიგის საბჭოსა და საერთო ყრილობისაგან მიღებულ იქნას ზომები, რათა პრინციპი ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა, გავრცელებულ იქნას საქართველოს მიმართ".

1923 წელს შვეიცარიის ასოციაციამ "ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების" მუდმივმოქმედ ბიუროში განსახილველად შეიტანა რეზოლუცია საქართველოს შესახებ, რომელშიც წინა ორიც იყო მოყვანილი. იმავე წელს საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციები მიიღეს პარიზის და ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების VII საერთაშორისო ვენის კონგრესებმა.


1932 წლის 4-9 აგვისტოს ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა საერთაშორისო კავშირის ყრილობას, რომელსაც ლორდი რობერტ სესილი ხელმძღვანელობდა, ქართულმა დელეგაციამ გ.გვაზავას, ხ.შავიშვილისა და კ.გვარჯალაძის შემადგენლობით რეზოლუციის პროექტი წარუდგინა. წინააღმდეგი მარტო საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ავქსენტიევი გამოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველომ თავისუფლება არა საერთაშორისო ძალისხმევით, არამედ რუსეთიდან, მოსკოვის განკარგულებით უნდა მიიღოს. გიორგი გვაზავა ს საპასუხო გამოსვლის შემდეგ რეზოლუცია უცვლელად მიიღეს.

"ქართულმა საზოგადოებამ ერთა ლიგისათვის" მუშაობა მას შემდეგ გააძლიერა, რაც სსრ კავშირი ერთა ლიგის წევრი გახდა. საჭირო იყო საქართველოს საკითხის დასაყენებლად და ერის შელახული უფლებების აღსადგენად ამ წარმომადგენლობითი საერთაშორისო ორგანიზაციის ტრიბუნის გამოყენება. ამ მიზნით მის თავმჯდომარესთან თ.რუისანთან მიმონერა გაიმართა. 1933 წელს სსრ კავშირის მიღებასთან დაკავშირებით ქართველებმა ერთა ლიგის XI სხდომას პროტესტი წარუდგინეს. მარტში "დამოუკიდებელ საქართველოში" მონოდება გამოქვეყნდა, რომ ყველა "გადმოხვეწილი ქართველი" სექციაში ჩაწერილიყო და მის საქმიანობაში ჩაბმულიყო. მონოდებას ხელს აწერდნენ გამგეობის წევრები: ე. გეგეჭკორი, გ. გვაზავა, ხ. შავიშვილი, ალ. ასათიანი, ი. გობეჩია, აგრეთვე პრალის ემიგრანტთა საზოგადოების ხელმძღვანელი ა.ემუხვარი. 7 მაისს პარიზში ასოციაციის კრება ჩატარდა. ე. გეგეჭკორმა დაახასიათა არსებული ვითარება და აღნიშნა, რომ საქართველოს საკითხი საერთაშორისო პრობლემად იქცა. გ. გვაზავამ

ნაიკითხა მოხსენება "ერთა ლიგა და საქართველოს საკითხი". შენიშნა, რომ ამ საკითხზე ერთა ლიგამ 1922 და 1924 წლებში ერთი და იგივე რეზოლუცია მიიღო. კამათში გამოვიდნენ: დ. ვაჩნაძე, ი. დადიანი, ე. პატარიძე, გ. ნებიერიძე, კ. ქავთარაძე, ალ. ასათიანი, ალ. მანველიშვილი და გ. კერესელიძე.

1933 წლის ივნისის დასაწყისში შვეიცარიის პატარა ქ. მონტრეში, ლორდი სესილის თავმჯდომარეობით, ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა მე-17 კონგრესზე, ქართული ასოციაციის წარმომადგენლის ხ. შავიშვილის მოკლე მოხსენება მოისმინეს. მან ერთა ლიგის I ყრილობაზე რ. სესილის წინასწარმეტყველება გაიხსენა. თუ დაუყოვნებლივ არ მივიღებთ საქართველოს წევრად, ბოლშევიკი იმპერიალისტები თავს დაესხმებიან და დაიპყრობენო. ამასთან, უამბო რა რთულ პირობებში უხდება ქართულ ასოციაციას მოღვაწეობა, როცა ერი უფლებააყრილია და მის დასაბრუნებლად იბრძვის. თავმჯდომარემ მას მოუწოდა, რომ არა პოლიტიკაზე, არამედ ასოციაციის საქმიანობაზე ესაუბრა, შავიშვილმა უპასუხა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა უნაყოფო იქნება, სანამ ერი დაჩაგრულია, რადგან მშვიდობიანობა თავისუფლების გარეშე შეუძლებელიაო. ითხოვა, რომ 8 ივნისს სპეციალური დელეგაციის საშუალებით ასოციაციათა კავშირის კონგრესების მიერ მიღებული ყველა რეზოლუცია ერთა ლიგისათვის წარედგინათ.

11 ივნისს ქართული ასოციაციის კრებაზე კ. გვარჯალაძემ ამ კონგრესის შესახებ წაიკითხა მოხსენება – "საქართველოს საკითხი, ერთა ლიგა და ინტერნაციონალი". კამათში მონაწილეობის იმდენი მსურველი აღმოჩნდა,



მალვა ამირჯიბი

რომ სხდომა 2 ივლისს გაგრძელდა. სიტყვით გამოვიდნენ: შ. ამირეჯიბი, გ. კერესელიძე, გ. ზურაბიშვილი, დ. ვაჩნაძე, ალ. მანველიშვილი, ალ. ასათიანი, პ. სარჯველაძე, ვ. მაჩაბელი, ნ. ცინცაძე, ვ. ინწკირველი, გ. გვაზავა, შ. ნუცუბიძე, ე. გეგეჭკორი, ე. პატარიძე, ს. მენაღარიშვილი. ეროვნულ-დემოკრატიებმა მთავრობა დაადანაშაულეს არა გამაერთიანებელი, არამედ ცალმხრივი, სოციალისტური გეზის არჩევაში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰეგემონიის დამყარებაში და ა.შ. მიუთითეს,

რომ ყველა გზა უნდა იქნას მოსინჯული და ყველა შესაძლო ტრიბუნა გამოყენებული. 1933 წლის 5 ნოემბერს ასოციაციის კრებაზე გ.კერესელიძემ წაიკითხა მოხსენება "საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველოს საკითხი", რომელშიც საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის როლი გამოკვეთა და დამსწრეთ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებისაკენ მოუწოდა. კამათში გამოვიდნენ: დ. ვაჩნაძე, შ. ამირეჯიბი, გ. გვაზავა, კ. გვარჯალაძე, გ. ჟურული, რ. არსენიძე, ი. სალაყაია, ვ. ნოზაძე.

1934 წლის 12 თებერვალს ბრიუსელში, პოლანდიის ყოფილი მინისტრის, ლიმბურგის თავმჯდომარეობით ჩატარდა იურიდიული და პოლიტიკური კომისიის სხდომა, რომელსაც თითქმის ყველა ევროპული სახელმწიფოს, აგრეთვე იაპონიის და აშშ წარმომადგენლები დაესწრნენ. გ.გვაზავამ ქართული ასოციაციის 8 თებერვლის



გიორგი კარსულიძე

კრებაზე მიღებული 6-პუნქტიანი დადგენილება შეიტანა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 1783 წლის ხელშეკრულების მიუხედავად, 1801 წელს საქართველოს 20-საუკუნოვანი დამოუკიდებლობა რუსეთმა მოშალა; რომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა, თავის მხრივ, საქართველოს სუვერენიტეტი რუსეთმა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით ცნო; მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის 27 იანვარს საქართველო უმაღლეს საბჭოში შემავალმა სახელმწიფოებმა "დე იურედ" ცნეს, თებერვალში რუსეთი თავს დაესხა და დაიპყრო. ამასთან, სხდომას ერთა ლიგის მიერ 1922 წლის 22 სექტემბერსა და 1924 წლის 25 სექტემბერს მიღებულ 2 ერთნაირი შინაარსის რეზოლუციას შეახსენა პირველი შესაძლებლობისთანავე აღმდგარიყო საქართველოს უფლებები და ნორმალური მდგომარეობა. გვაზავამ დამსწრეთ დახმარება სთხოვა - ერთა ლიგაში ეს რეზოლუციები წარედგინათ, რათა საქართველოს მდგომარეობისათვის ყურადღება მიექციათ. ფრანგი პროფესორის, ჟ. სეს, უკრაინელი იაკოვლევის, პოლონელი სტრონსკის გამოსვლის შემდეგ, რეზოლუცია მიიღეს და საქართველოს საკითხი მომავალი საერთაშორისო კონგრესის დღის წესრიგში შეიტანეს.

1934 წლის 19-24 მაისს ფოლკსტონში (ინგლისი) ჩატარებულ ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციების კონგრესში თითქმის ყველა ევროპული სახელმწიფოს, აგრეთვე იაპონიისა და ამერიკის დელეგატები მონაწილეობდნენ. საქართველოს წარმომადგენდნენ ე. გეგეჭკორი, გ. გვაზავა და ა. გუგუშვილი. მათ ბიუროს დღის წესრიგში საქართველოს საკითხი შეატანინეს და ქართული ასოციაციის მომზადებული მოხსენება ისტორიული მიმოხილვა "საქართველოს უფლებანი" წარადგინეს. 22 მაისის კრების თავმჯდომარე ლიმბურგმა საქართველოს საკითხი დასვა. ამერიკელმა არტურ ბელარმა საკითხის მოხსნა მოითხოვა. გ. გვაზავას შესანიშნავი პასუხის შემდეგ, საქართველოს მხარდაჭერით გამოვიდნენ ს. ბორელი (საფრანგეთი), ჯ. მურეი (ინგლისი), თ. დუმბა (ავსტრია) და ა. შულგინი (უკრაინა). შემდეგ ე. გეგეჭკორმა, საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შეფასებისა და ნორმალური ვითარების აღდგენის მოთხოვნით, კონგრესს 5-პუნქტიანი რეზოლუცია წარუდგინა. კრებამ რეზოლუცია ერთხმად მიიღო და 23 მაისს ასევე, ერთხმად დაამტკიცა. ქართული ასოციაციის მომდევნო კრება 1934 წლის 9 ივნისს ჩატარდა. ე. გეგეჭკორმა და გ. გვაზავამ ფოლკსტონის საერთაშორისო კონგრესის შესახებ ისაუბრეს. კრებამ ნაყოფიერი მუშაობისა და საქართველოს საკითხის ასეთი აქტიური დაცვისათვის მათ მადლობა გადაუხადა. კამათში გამოვიდნენ: გ. ჟურული, რ. არსენიძე, დ. ვაჩნაძე, ი. კემულარია, ა. ასათიანი, გ. ჯაყელი.

1935 წლის 7-14 ივნისს ბრიუსელში ჩატარებულ "ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების" კონგრესზე გ. გვაზავა კონკრეტული დავალებით გაიგზავნა. მას სსრკ დელეგაციისათვის წინააღმდეგობა უნდა გაენია, რომ ის არც ამ ორგანიზაციაში შესულიყო და ქართული ასოციაციის უფლებები დაეცვა, თუკი მისი გარიცხვის საკითხი დადგებოდა. კონგრესზე უკრაინის წარმომადგენელი შულგინი ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის მოთხოვნით გამოვიდა. პროფესორმა ბორელმა უპასუხა, რომ საფრანგეთი კარს ყველა ლტოლვილს უღებს: იტალიელებს, გერმანელებს, რუსებს, ქართველებს, უკრაინელებს. ამით ინციდენტი თითქოს ამოიწურა, მაგრამ გ. გვაზავამ განაცხადა, რომ აგრესიის მსხვერპლთა უკრაინის და საქართველოს სხვებთან, განსაკუთრებით რუსებთან გაიგივება არ შეიძლებოდა. ამის თაობაზე მან ბორელს ლევალის განცხადება აჩვენა. ბელგიის მთავრობის თავმჯდომარე ვან ზეელერმა კი

განაცხადა, რომ ქართველებს ბელგიაც ისე კარგად მოეპყრობოდა, როგორც საფრანგეთი. 14 სექტემბერს ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების დელეგაცია, რომელიც გენერალური მდივნის, რიუსანის ენერგიული მცდელობით შეიქმნა, ერთა ლიგის მე-16 ყრილობის თავმჯდომარე ბენეშს წარუდგა (მათ შორის შავიშვილი, შულგინი). დელეგაციის ხელმძღვანელმა ლიმბურგმა მას ბრიუსელის ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციები წარუდგინა და ერთა ლიგის ოფიციალურ გამოცემაში მათი გამოქვეყნება სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო.

1934 წელს ერთა ლიგაში მიღების შემდეგ, მის დამხმარე ორგანიზაციასაც ამზადებდნენ სსრ კავშირის მისაღებად. მან ამ ორგანიზაციაშიც მიაღწია მის მიერ დაპყრობილი ერების იგნორირებას და არასასურველი წევრების საქართველოს, უკრაინის, რუსეთის ემიგრანტთა მოშორებას შეეცადნენ.

1936 წელს 4 კომისიის შეკრებაზე, იურიდიულ-პოლიტიკური კომისიების თავმჯდომარემ, ემილ ბორელმა, საფრანგეთის პროტესტზე ჩინეთში იაპონიის მოქმედების შესახებ, დამსწრეთა შორის გამოთქმა სთხოვა. ხ. შავიშვილმა პროტესტს მხარი დაუჭირა, როგორც დაპყრობილი ქვეყნის წარმომადგენელმა. ივლისში გლაზგოს კონგრესზე ახალი სტატუტი მიიღეს. ერთა ლიგის წევრი ვინც არ იყო, ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებასაც ავტომატურად ტოვებდა. 1937 წლის 28 ივნისს-3 ივლისს ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების ბრატისლავის კონგრესზე შავიშვილი სიტყვით გამოვიდა. შემდეგ ამ საკითხზე ფოლკსტონის რეზოლუციის ავტორს მალკოლმ დევისსაც ესაუბრა. კომიტეტის თავმჯდომარე რუისანმა ამ სტატუტის გამოყენება ძველი წევრების მიმართ უხერხულად ჩათვალა, მაგრამ უფლებების შეზღუდვას ნინ ველარ აღუდგა.

1938 წლის 18 თებერვალს ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა კრება ჟენევაში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ 14 მარტს ლონდონში ჩატარდა. ხ. შავიშვილი ამ კრებასაც დაესწრო. მისი გამოსვლის შემდეგ რეზოლუცია მიიღეს, რომლითაც წევრი ასოციაციები საქართველოს მიმართ თანადგომასა და სიმპათიებს გამოხატავდნენ. 3 ივნისს "Journale de Geneve" წერილით "ვაი დამარცხებულთ" ეხმაურებოდა საქართველო-უკრაინის ასოციაციების უფლებების ჩამორთმევას, პრაქტიკულად მათ გარიცხვას. წერდა, რომ შემუშავებული წევრობის ორი კატეგორია: ნამდვილი და თანამგრძნობი (შეზღუდული ხმის

უფლებით), ქართველმა და უკრაინელმა ემიგრანტებმა გააპროტესტეს ეს ასოციაციები არც ემიგრაციაშია შექმნილი და ამ ქვეყნებს კოლონიებს ვერ შევადარებთო. როგორც ალბერ მალში აცხადებდა, საქართველოს მსხვერპლი საკმარისი არ არის - ეს საზოგადოებაც იმ ძალების იარაღი ხდება, რომლებიც ერთა ლიგას ამხობენო.

1938 წლის 4 ივნისს კოპენჰაგენში, ემილ ბორელის თავმჯდომარეობით ჩატარებულ ასოციაციათა კონგრესზე, იურიდიული და პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარემ როლენმა, დროის სიმცრის გამო, საქართველოს საკითხის მოხსნა დააპირა. შავიშვილის წინადადებას, რეზოლუციისათვის პირდაპირ ეყარათ კენჭი, მხარი პრიუდომომ დაუჭირა. რეზოლუციაში კი ნათქვამი იყო: "ვინაიდან საქართველოს მდგომარეობა არ შეცვლილა, ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა საერთაშორისო კავშირი საქართველოს კვლავაც სიმპათიას უცხადებს".

1938 წლის 3-10 ივლისს კოპენჰაგენის პარლამენტის შენობაში ჩატარდა ასოციაციათა წლიური ყრილობა. დღის წესრიგში მდგარ საკითხს - საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და საქართველო-უკრაინის ასოციაციათა ძველ, სრულ უფლებებში აღდგენას მხარი ბევრმა ასოციაციამ დაუჭირა. 5 აგვისტოს სხდომაზე მალშის წერილმა და შავიშვილის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და რეზოლუცია ერთხმად მიიღეს. 17 სექტემბერს ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის დელეგაცია ემილ ბორელის ხელმძღვანელობით ერთა ლიგის ყრილობის თავმჯდომარე დე ვაკუბას წარუდგა. წინა წლებთან შედარებით, დელეგაცია უფრო საზეიმოდ მიიღეს, რომელშიც ყველა ასოციაციის, მათ შორის საქართველო-უკრაინის დელეგატები - შავიშვილი და სმალსტოცკიც შედიოდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატები 1939 წლის ზაფხულში მომავალი ყრილობის ნიუ-იორკში ჩასატარებლად წინდანი ემზადებოდა, მაგრამ იგი ჩაიშალა, რადგან II მსოფლიო ომი დაიწყო.

ოკუპაციის შემდეგ საქართველომ "ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის" მხარდაჭერის მოპოვებაც სცადა - 1922 წელს ნ. ყორდანიამ ლიგას არსებული ვითარება შეატყობინა. 1924 წელს ლიგის მდივნის, ალისა მენარ-დორანისა და ვიცე-პრეზიდენტ ალფონს ოლარის მხარდაჭერით, კ. გვარჯალაძის თავმჯდომარეობით "ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული სექცია" შეიქმნა. 1925 წელს საერთაშორისო ლიგის საბ-

ჭომ პარიზის სხდომაზე ქართული ლიგის დელეგატის დ. შარა-შიძის გამოსვლა მოისმინა. რეზოლუციის მიხედვით: თუ რუსეთი საერთაშორისო ლიგაში შესვლას მოინდომებდა, საქართველოსთან უნდა შეეთანხმებინათ. თუ საქართველოს მიმართ ერთა თვითგამორკვევას მოითხოვდა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში სხვა სახელმწიფოთა მხრიდან დათმობები არ დაეშვათ. 1926 წლის 7 მარტის კრებაზე სექცია ახალი წევრებით შეივსო და გაზაფხულისათვის საერთო კომისიის შექმნა გადაწყდა. 1927 წელს პარიზში საერთაშორისო ლიგის სხდომაზე 15 სახელმწიფომ დაადგინა: შეენწყვიტათ პოლიტიკურ ტუსაღთა სიკვდილით დასჯა, საქართველოდან მათი გადასახლება, განსაკუთრებით, სოლოვკიში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ სხვა ერთა პოლიტიკურ პატიმართა გადასახლება თვითონვე შეაჩერა. საქართველოს მოსახლეობას მისცემოდა პოლიტიკურ ტუსაღთა მატერიალური დახმარების საშუალება.

1937 წლის 21 ივლისს, პარიზში გაიხსნა ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის კონგრესი. ორი დღის განმავლობაში სხვადასხვა სექციაში 72 ერის წარმომადგენელი მუშაობდა. ქართული სექციის სახელით კ. გვარჯალაძე გამოვიდა. მან დიდი მადლობა გადაუხადა განსვენებულ ქალბატონ მენარ-დორანს, რომლის ოჯახშიც ქართული სექციის წევრებს ყოველთვის დიდი თანაგრძნობით იღებდნენ. ლიგისა და კონგრესის თავმჯდომარე ბაშმა მენარ-დორანის გახსენებისათვის გვარჯალაძეს მადლობა გადაუხადა. შემდეგ კონგრესმა ადამიანის უფლებათა დეკლარაციის დამატებები განიხილა. გვარჯალაძემ შენიშნა, რომ სულ ფაშიზმზეა საუბარი, მაშინ, როცა ფაშიზმ-რასიზმზე უფრო საშიში, რუსული ნეო-ფაშიზმი იყო.

13 წლის განმავლობაში სექციის მუშაობის წყალობით საერთაშორისო ლიგამ საქართველოს საკითხზე რეზოლუცია 3-ჯერ მიიღო.

XIX საუკუნეში ინგლისელმა პრაისმა "მშვიდობის საერთაშორისო ბიურო" დააარსა. შემდეგ მისი მდივანი 30 წლის მანძილზე შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე ჰენრი გოლეა იყო, მსოფლიო ომის შემდეგ - ბელგიელი სენატორი ლა ფონტენი. ბიურო გარს იკრებდა პაციფისტურ საზოგადოებებს და კონგრესებს ინვევდა. მას საქართველოს შესახებ 5 წელი ხმა არ ამოუღია, 1926 წელს კი საქართველოს დამცველი გახდა. ჟენევაში მშვიდობის კონგრესს შავიშვილი დაესწრო. რეზოლუციაში ნათქვამი იყო: "კონგრესი კვლავ გამოთქვამს პროტესტს იმ ძალ-

მომრეობითი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც შექმნილია უცხოელ ოკუპანტთა მიერ საქართველოში და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში". იმავე წელს პარიზში შექმნილი ქართული სექცია "მშვიდობის (ზავის) საერთაშორისო ბიუროს საქართველოს სასარგებლოდ" საერთაშორისო ბიუროს საქმიანობაში ჩაერთო.



ჟანსტანდინე გვარჯალაძე

ბიურომ 1929-1932 წლებში განიარაღების რამდენიმე კონგრესი ჩაატარა.

1929 წელს "მშვიდობის ინტერნაციონალური კომიტეტის" ათენის კონგრესის თავმჯდომარეს, ლაფონტენს ხ. შავიშვილმა განცხადება გადასცა. მასში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს მიმართ თანადგომა მას არაერთხელ გამოუხატავს, მაგალითად, ჟენევის კონგრესზე და სთხოვდა საქართველოს უფლებების ხელყოფის გამო პროტესტი გაემეორებინა, რაც შემდეგ კონგრესმა

რეზოლუციითაც დაადასტურა. "ნანსენის კომისიის" თავმჯდომარე ლუდინს კი მემორანდუმი გადასცა კატეგორიული მოთხოვნით ... რუსეთს საქართველოს სახელით არ ელაპარაკა.

1931 წელს პარიზში განიარაღების კონგრესზე ქართველმა და უკრაინელმა დელეგატებმა ბოლშევიკების მიერ მათი ქვეყნების დაპყრობაზე ნოტა წარადგინეს. ეს დეკლარაცია შემდეგ უფრონალ "დამოუკიდებელ საქართველოში" გამოქვეყნდა. მოხსენებაში გ. გვაზავამ მიმოიხილა საქართველოს ისტორია 1801 წლის შემდეგ და კონგრესს პრობლემის საერთაშორისო მნიშვნელობა შეახსენა.

1932 წლის 2-11 თებერვალს ჟენევაში 57 სახელმწიფოს მონაწილეობითა და მოთხოვნით - მოისპოს ომი და სისხლისღვრა, მიმდინარეობდა განიარაღების კონფერენცია. მისი ჩატარების იმედი ბოლო წუთამდე არ ჰქონდათ, რადგან შორეულ აღმოსავლეთში 5 თვის წინ დაწყებული სისხლისღვრა ბრიანკელოგის პაქტს ფეხქვეშ თელავდა. საქართველოს დამხმარე კომიტეტის მინევიტ, ჟ. ვერნერთან, ე. მილოსა და ჟ. მარტინთან ერთად, კონფერენციას ხ. შავიშვილი და გ. გვაზავა ესწრებოდნენ. გვაზავამ მოხსენება წაიკითხა საქართველოს მდგომარეობაზე, გარდა ამისა, მემორანდუმი წარადგინა და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა სახელით მოთხოვნა შეიტანა

გაეთვალისწინებინათ საქართველოს სურვილიც ომის აკრძალვის თაობაზე. კონფერენციის თავმჯდომარეს წერილი გადასცა ხ. შავიშვილმაც. 1932 წლის 27 აგვისტოს რუსეთის ინიციატივით იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგოდ მოწვეულ ამსტერდამის კონგრესზე, კავკასიის კონფედერაციის დელეგატმა გ. გვაზავამ განცხადება შეიტანა, რომელშიც აღწერდა კავკასიის დამოუკიდებლობას, მის დაპყრობას და 13-წლიან ბრძოლას. რომ კავკასიელები იარაღს არ დაყრიან, სანამ საბჭოთა იმპერია ბატონობს. 29 აგვისტოს ეს განცხადება გაზეთში გამოქვეყნდა და სააგენტოებმა გაავრცელეს. ბიურო თავისი 1933 წლის მოხსენებით ოთხთა პაქტის თაობაზე, ცდილობდა გაეღენა მოეხდინა საფრანგეთზე არ ეცნო სსრკ. "განაწარმოსადგენია მყარი ზავის განმტკიცება, სანამ ამგვარი უფლებების დარღვევების მდგომარეობა არსებობს, სანამ უწინევაში გამოცხადებული სამართლიანობა ფეხქვეშ ითელება მათ მიერ, ვინც მის დაცვას იჩემებს", ეწერა მოხსენებაში.

1934 წელს, საქართველოსა და მის მდგომარეობაზე ერთა ლიგაში სსრ კავშირის მიღების შემდეგ, კომიტეტმა ბრიუსელის კონგრესს მოხსენება წარუდგინა. 1935 წლის სექტემბერში კი კომიტეტის დელეგაცია, რომელშიც ხ. შავიშვილიც შედიოდა, ერთა ლიგის მე-16 ყრილობის თავმჯდომარე ბენეშს წარუდგა. "მშვიდობის კომიტეტი" ბიუროს ორგანოში "Le mouvement pacifiste" ხშირად ბეჭდავდა მასალებს არა მარტო საქართველოს პოლიტიკურ, არამედ კულტურის საკითხებზეც. მაგალითად, მკითხველს ლონდონში გამოსულ "Georgica"-ს აცნობდა. დასკვნის სახით კი წერდა: "საქართველოს საკითხი დღის წესრიგშია, რომ რუსეთი ერთა ლიგაშიც აქტიურობს და III ინტერნაციონალშიც. სხვადასხვა სახელმწიფოებს გვევალება, რომ ამ საკითხს მხარი დაუჭიროთ. პაციფისტები უკანასკნელნი დავივიწყებთ მას".

1934 წლის 1-6 სექტემბერს ლოკარნოში მიმდინარეობდა მშვიდობის 30-ე კონგრესი. ამით ისარგებლა ერთა ლიგის დამხმარე ქართულმა ასოციაციამ და საქართველოს ოკუპაციაზე კონგრესს მემორანდუმი წარუდგინა. ბოლო, 6 სექტემბრის სხდომა კონგრესმა საქართველოს მიუძღვნა. აღმოჩნდა, რომ პრობლემის გახმაურების მიუხედავად, ბევრმა საქმის ნამდვილი ვითარება არ იცოდა. როცა მოისმინეს, როგორ მოეპყრო რუსეთი საქართველოს, რეზოლუცია ერთხმად მიიღეს:

“მშვიდობის 30-ე კონგრესი მოიგონებს თავის წინა რეზოლუციებს და გამოსთქვამს სურვილს, რომ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა მოგვარებული ყოფილიყოს ერთა ლიგის ფარგლებში სულ მოკლე ხანში”. რეზოლუციასთან ერთად კონგრესმა ერთა ლიგას ადრესიც გადასცა. 1935 წლის აგვისტოში, მშვიდობის ინტერნაციონალური საზოგადოების ბრიუსელის კონგრესზე, მოიწონეს გენერალური მდივნის მოხსენება საქართველოზე. კონგრესმა ბიუროს დაავალა 1935 წლის აგვისტოში ბრიუსელის კონგრესზე საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიეღო და ვითარებისდა მიხედვით გადაედგა ნაბიჯი მისი დამოუკიდებლობისაკენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი 1936 წლის 13-19 ივნისს კარდიფში მშვიდობის 31-ე კონგრესზეც იდგა. ორმა წელმა ბევრს დაანახა, რომ რუსეთისგან მშვიდობის მიღწევა არ შეიძლებოდა: “მოაგონებს რა თავის წინანდელ რეზოლუციებს, დაბეჯითებით ეთხოვოს ერთა ლიგას, მიიღოს სათანადო ზომები ხალხთა უფლებების სანინააღმდეგო მდგომარეობისათვის ბოლო მასალებით და ამ მიზნით მოუწოდებს საბჭოთა კავშირს დაუბრუნოს საქართველოს დამოუკიდებლობა და უფლებები, რომლებიც მას აქვს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს”. კარდიფის კონგრესის რეზოლუციებს საქართველოზე მხარი აქტიურად დაუჭირა ცნობილმა ინგლისელმა დიპლომატმა ოსტინ ჩემბერლენმა. კონგრესების გახსნამდე ნიცაში (სადაც დაკრძალულია მისი დამაარსებელი პრაისი) ბიუროს 120 წლის იუბილე დიდი ზეიმით აღინიშნა. სხვებთან ერთად იქ სიტყვით ხ. შავიშვილიც გამოვიდა. მოგვიანებით მან წიგნში “საქართველო ორ კონგრესზე” საინტერესოდ აღწერა კონგრესი და იუბილე. 1937 წლის 24 აგვისტოს პარიზში, სორბონის უნივერსიტეტის დიდ ამფითეატრში, გაიხსნა მშვიდობის 32-ე კონგრესი. ურნალი “დამოუკიდებელი საქართველო” წერდა კონგრესზე და აღნიშნავდა, რომ ამ ბოლო დროს სულ იბრძვიან მშვიდობისათვის; 10 ნ. წინ, 1928 წელს ბრიან-კელოგის პაქტით ომს ომი გამოეცხადა; რომ ოქმებს ხელი ყველა ქვეყანამ მოაწერა, მაგრამ ომების რიცხვმა უფრო იმატა. კონგრესმა საქართველოს მდგომარეობის შესახებ ლოკარნოში მიღებული რეზოლუცია დაადასტურა. ერთა თვითგამორკვევის შესახებ ბიუროს ეს დასტური ერთა ლიგის წევრებსაც ეცნობათ. საქართველოს საკითხი 1939 წელს ციურიხშიც იდგა.

ამ 3 ქართული სექციის გარდა მრავლად იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს დახმარებას უწევდნენ: "წითელი ჯვარი" გუსტავ ადორის ხელმძღვანელობით, "შრომის საერთაშორისო ბიურო" ალბერტ ტომასის თავმჯდომარეობით, "რუსეთის ემიგრანტთა დამხმარე", ე.წ. "ნანსენის კომიტეტი" ლულონის თავმჯდომარეობით, რომელსაც კატეგორიული მოთხოვნით - სსრკ დელეგაციას საქართველოს სახელით არ ესაუბრა 1929 წლის 19 აპრილს ა. ჩხენკელმა მემორანდუმი გადასცა.



საჩინო შაჰიშვილი

"ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტი" კომისარ ჯონსონის ხელმძღვანელობით და ა.შ.

ამრიგად, საქართველოს საკითხის მსოფლიო პოლიტიკის არეალში მოსაქცევად და საქართველოს საკითხის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი იყო ისეთი ორგანიზაციების მოღვაწეობა, რომლებშიც საქართველო შედიოდა როგორც ასოციაცია ან სექცია: "ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების" წევრი - "ქართული ასოციაცია ერთა ლიგისათვის", "ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის" ქართული სექცია, "მშვიდობის ინტერნაციონალური კომიტეტის" სექცია - "მშვიდობის (ზავის) საერთაშორისო ბიურო საქართველოს სასარგებლოდ".

თავი VII

საქართველოს დამხმარე და "მეგობართა" საქრთაშობისა ორგანიზაციები


ქართულ ემიგრაციას, ზემოჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, მხარში უნაგაროდ ედგნენ და მისი პრობლემების გადაწყვეტას ცდილობდნენ საქართველოს დამხმარე თუ "მეგობართა" კომიტეტები.

"საქართველოს დამხმარე კომიტეტი" ყველაზე ადრე, 1921 წელს, ოკუპაციისთანავე, სერ ს.ე. მორისის თავმჯდომარეობით შეიქმნა ინგლისში. კომიტეტის წევრები: სილვია ლინდი, ფილიპ სნოუდენი, ეთელ სნოუდენი, რამზეი მაკდონალდი, ნ.დრაიპორსტი და სხვები საქართველოს ეხმარებოდნენ და აქტიურად უჭერდნენ მხარს ერთა ლიგის სხდომებზე, სოციალისტური ინტერნაციონალის შეკრებებზე, საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებზე. სამნუხაროდ, კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ უფრო დანერჩილებითი ინფორმაცია ამ ეტაპზე ვერ მოვიპოვეთ.

1924 წელს ჟენევაში, სადაც ქართველები ცოტანი იყვნენ, მაგრამ მრავალი მეგობარი და მხარდამჭერი ჰყავდათ, ხარიტონ შავიშვილისა და ჟან მარტენის ინიციატივით დაარსდა "საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი". მას უნდა შეეცვალა ცნობილი ანთროპოლოგის, ეჟენ პიტარის თავმჯდომარეობით 1919 წელს დაარსებული "ყოფილი რუსეთის იმპერიაში აღმოცენებულ სახელმწიფოთა დაცვის შვეიცარული ლიგა", რომელიც დროის მოთხოვნებს უკვე ვეღარ პასუხობდა. ინტერნაციონალურმა კომიტეტმა, რომელიც სხვადასხვა ეროვნებისა და მიმართულების პოლიტიკოსებს და ჟურნალგაზეთების თანამშრომლებს აერთიანებდა, საქართველოს საკითხის გახმაურებაში მართლაც დიდი როლი შეასრულა. პრეზიდენტად "Journale de Geneve"-ს რედაქტორი ჟან მარტენი აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტად ალბერ მალში. კომიტეტი ყოველწლიურად იწვევდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს: 1924 წელს მიიწვიეს კ. ჩხეიძე და 11 აპრილს საჯარო ასამბლეა ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ედგარ მილომ, ჟან მარტენმა და ფრანკტომასმა, 1925 წლის ოქტომბერში კომიტეტის სხდომაზე მიიწვიეს ნ. ჟორდანიას, სიტყვით გამოვიდა ჟ. მარტენი. ოქტომბრის ბოლოს ჩაატარეს საქართველოს კვირეული: 27 ოქტომბერს

ინტერნაციონალურ კლუბში შეხვედრა მოუწყვეს ჟორდანიას, მეორე დღეს, 28 ოქტომბერს პრესცენტრისათვის გამართულ ბანკეტს 30 სახელმწიფოს წარმომადგენელი, დიპლომატი და ჟურნალისტი ესწრებოდა. სიტყვით გამოვიდნენ: ნ. ჟორდანია, ყენევის უნივერსიტეტის პროფესორები - ჟორჟ ვერნერი (ყენევის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი), ბერნარ ბუვიე, ედგარ მილო და ალბერ მალში. 29 ოქტომბერს გამართულ კონცერტში მონაწილეობდნენ ქალბატონები: აიოლო-მაღალაშვილი, ნანობაშვილი, დავრიშაშვილი და გომელაური. ბოლოს გამოვიდა რაიმონდ დიუგე. 1926 წლის ივნისში კომიტეტმა მიიწვია ე. გეგეჭორი, 1929 წლის 17 აპრილს სადილი გაუმართეს ა. ჩხენკელს და მის პატივსაცემად კომიტეტის წლიური კრება ჩაატარეს, რომელზეც მარტენი და ჩხენკელი მოხსენებებით გამოვიდნენ, აბელ შვეალიე კი საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს. 1927 წელს მოწვეული ე. გეგეჭორის ლექცია ხელისუფლებამ აკრძალა, რის წინააღმდეგაც დეპუტატი შაპაუზო პარლამენტში სიტყვით გამოვიდა. მალე ე. გეგეჭორის სურათითა და ჟ. მარტენის წინასიტყვაობით ფრანგულ ენაზე გამოიცა წიგნი "საქართველოს მომავალი".

1930 წლის 24 ოქტომბერს საერთო კრებაზე წლიური ანგარიში მოისმინეს და 40-მდე ახალი წევრი მიიღეს, რაც საქართველოს და კომიტეტისადმი სიმპათიის ზრდის მაჩვენებელი იყო. ეროვნული მთავრობის სახელით ჟ. მარტენსა და კომიტეტის წევრებს ხ. შავიშვილმა მადლობა გადაუხადა იმ ღვანლისათვის, რაც მათ აშ ექვსი წლის მანძილზე საქართველოსათვის გასწიეს. ჟ. მარტენის თხოვნით იგი გაათავისუფლეს კომიტეტის ხელმძღვანელობიდან და საპატიო პრეზიდენტად დატოვეს. ახალ პრეზიდენტად ყენევის კანტონის განათლების მინისტრი ალბერ მალში აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტებად - პროფესორები ჟორჟ ვერნერი და ედგარ მილო. 1930 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ჟ. ვერნერმა მრავალრიცხოვანი საზოგადოებისათვის თავის ვილაში მიღება მოაწყო.



ნოე ჟორდანია

1931 წლის 20 მაისს, როცა ა. ჩხენკელმა ყენევაში ევროკავშირის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარეს ნოტა გადასცა, შვეიცარიის გაზეთებში საქართველოს მხარ-

დამჭერი წერილები გამოქვეყნდა, მათ შორის კომიტეტისა ც. 1932 წლის 2-11 თებერვალს სსრ კავშირის ერთა ლიგაში მიღების გამო ყ. მარტენმა, ა. მალშმა, ყ. ვერნერმა და ე. მილომ ყენევის განიარაღების კონფერენციაზე საქართველოს დელეგაცია



გიორგი გვაბავა

მიიწვიეს, 19 აპრილს კი კონფერენციაზე ჩამოსული დელეგატის, გ. გვაზავას პატივსაცემად საგანგებო კრება ჩაატარეს, რომელზეც მან საქართველოს მდგომარეობაზე მოხსენება წაიკითხა. 31 ოქტომბერს კომიტეტმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ე.ერიოს წერილი გაუგზავნა. 1933 წლის 28 ივნისს ქართველები ყენევის უნივერსიტეტში გამართულ ე.მილოს 60 წლის იუბილეს დაესწრნენ. პრორექტორმა რიშარმა, სხვებთან ერთად, ნ. ჟორდანიას მილოცვაც წაიკითხა.

“ჩვენი ეროვნული დღეობა (სათანაგრძნობო მანიფესტი ყენევაში)” - ასეა დასათაურებული ყურნალ “დამოუკიდებელი საქართველოს” ერთი პუბლიკაცია. მასში მოთხრობილია, როგორ აღნიშნეს 1935 წელს 26 მაისი ყენევაში, ოტელ “მეტროპოლში” “საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურმა კომიტეტმა” და “ერთა ლიგის დამხმარე საერთაშორისო კომიტეტმა”. მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე მათი ხელმძღვანელები მალში და რიუისენი სიტყვიტ წარსდგნენ. გამოვიდნენ აგრეთვე: “სომხეთის მეგობართა ინტერნაციონალური ლიგის” თავმჯდომარე კრაფორდ ბონარი, ხ. შავიშვილი, ყ. მარტენი, ე. მილო. შესრულდა “დიდება” და “სამშობლო”. საფრანგეთიდან ჩასული ქართველების: ბახტაძის, ჩუბინიძის, ალანიას, თაყაიშვილის, გომართელისა და გედევანიშვილის მიერ შესრულებულმა ქართულმა სიმღერებმა და ცეკვებმა სტუმრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. 29 მაისს “ტურიנג ოტელში” ქართული სადილი მოეწყო, რომელსაც დაესწრნენ: ადგილობრივი და უცხოელი ყურნალისტები, უნივერსიტეტის პროფესურა, ერთა ლიგის დელეგატები, ელჩები. ყ. მარტენის, ა. მალშის და პოლონელთა სახელიტ ბარტნოვსკის გამოსვლამ საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა. ხ. შავიშვილის სამადლობელი სიტყვის შემდეგ კვლავ შესრულდა ჰიმნი, ქართული ცეკვები და სიმღერები.

ყან მარტენმა საქართველოს მხარდასაჭერად თავისი ყურ-

ნალის ფურცლებზე არაერთი კამპანია ჩაატარა. 1936 წლის 3 მაისს მისი წერილი "შვეიცარიის ღირსება" ყურნალმა "დამოუკიდებელმა საქართველომ" გადმოებეჭდა. ავტორის აზრით, 1934 წლის სექტემბერში შვეიცარიის პრეზიდენტის, ჯუზეპე მოტას ენერგიულმა ჩარევამ საქართველოს უფლებების ურყევობა კვლავ განამტკიცა. "ამ აქტმა (იმ პირობებში ჩვენი პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსის სიტყვას ნამდვილი აქტის მნიშვნელობა ჰქონდა) პატარა სახელმწიფოს, რომელმაც თავს იდვა მეორე პატარა სახელმწიფოს დაცვა, კვლავ აამაღლა შვეიცარიის პოლიტიკური და მორალური ღირსება მთელი მსოფლიოს თვალში". მიუთითებდა რა საქართველოსადმი პორტუგალიისა და ჰოლანდიის მხარდაჭერაზე, ჟ.მარტენი აღნიშნავდა, რომ შვეიცარიამ საბჭოეთის მხილება გაბედა და თუკი ახლა სსრ კავშირს შვეიცარია ცნობს, ყველაფერი მოისპობა - "შვეიცარია არის მსოფლიოს სინდისის გამომხატველი, საქართველოს მკვლელის ცნობით კი თავის თავს უარყოფს".

კომიტეტს ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მეგობარ და დამხმარე სხვა ორგანიზაციებთან და მიწვევებს ქართული საზოგადოებისაგან დიდი სიამოვნებით იღებდა. ასე მაგალითად, 1936 წლის 25 იანვარს ჟ. მარტენი "კავკასიის, თურქესტანის და უკრაინის მეგობართა კომიტეტმა" მიიწვია. ჟ. მარტენი და ა. მალში სოშოს ქართულ ასოციაციასაც მიუწვევია. 1938 წელს სტუმრები მათ ქართულ-ფრანგულ-შვეიცარული დროშებით მორთულ დარბაზში მიიღეს. მიწვეული იყო "პეუოს" ქარხნის დირექტორი გრენ დე ჟარდენიც. მათ მიესალმნენ: ვ. ბაქრაძე, ე. გეგეჭკორი, ახალგაზრდების სახელით - კ. გრიგოლაშვილი. შემდეგ სიტყვით სტუმრები გამოვიდნენ. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქართულმა გუნდმა შენგელიას ლოტბარობით ქართული სიმღერები, ნყვილებმა კი ქართული ცეკვა შეასრულეს. ბანკეტზე ხ. შავიშვილი თამადაობდა. დიდად კმაყოფილმა ჟარდენმა მაღალი რანგის სტუმრები და მათი ქართველი მასპინძლები სადილად ოტელში მიიპატიჟა.

შვეიცარიაში არსებობდა "ფრანგულ-ალმოსაველეთის კომიტეტის" ფრანგული სექცია, რომელსაც "კავკასიის, თურქმენეთის და უკრაინის ერების მეგობართა კომიტეტი"



ვლადიმერ მაქრაძე

ენოდებოდა. კომიტეტში საქართველოს წარმომადგენელი ა. ჩხენკელი, აზერბაიჯანს მ. მეხტიევი და ა. ატამ-ალიბეკოვი, ჩრდილო კავკასიას ი. ჩულიკი და ტ. შახმანი, თურქესტანს - მ. ჩოკაიოგლუ, უკრაინას - ა. შულგინი და ი. კოსენკო. ბიუროს თავმჯდომარე იყო შულგინი, მოადგილე ჩოკაიოგლუ, მდივანი ატამ-ალიბეკოვი. კომიტეტის მიზანი იყო ამ ერების დაახლოება, მეთოდი მოხსენებები, საღამოები, ბანკეტები, წიგნაკებისა და ფურცლების გამოშვება. ჰქონდა ამბიცია - დასავლეთ ევროპაში "სსრკ ყველა ჩაგრული ერის ცენტრი" გამხდარიყო. ამით იგი აღმოსავლეთ ევროპაში მოქმედ "პრომეთეს" მიზნებს უახლოვდებოდა და მასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. "კავკასიის, თურქმენეთის და უკრაინის ერების მეგობართა კომიტეტი" ერთობლივ ღონისძიებებს ხშირად აწყობდა. მაგალითად, 1932 წლის 5 დეკემბერს იენის დარბაზში ჩატარებულ სხდომას ესწრებოდნენ ფრანგები, კავკასიელები, უკრაინელები, თურქესტანელები. მოხსენებები "ჩაგრულ ერებს" შეეხებოდა. მეორე დარბაზში 4 ერის სამხატვრო და სამწერლობო ნიმუშები იყო გამოფენილი. სხდომის შემდეგ ბანკეტი მოეწყო, სადაც ამ ერების ქალ-ვაჟთა წყვილებმა ეროვნული ცეკვები და სიმღერები შეასრულეს. 1934 წლის ივლისში კომიტეტმა კავკასიის ერების, თურქმენეთისა და უკრაინის წარმომადგენლები ჩაიზე მიიწვია. შულგინმა მათ კომიტეტის საქმიანობა და შედეგები გააცნო. ნოე ყორღანიამ კი დამსწრეთ ერთიანობისაკენ მოუწოდა. ჩაიზე ასეთივე შეხვედრა 23 ნოემბერსაც მოეწყო. 1936 წელს ე. მარტენი მოხსენების, "კავკასიაში მოგზაურობა" წასაკითხად მიიწვიეს. მომხსენებელმა მოგზაურობისას თავისი გადაღებული სურათებიც აჩვენა, კრება კი "ფრანგულ-აღმოსავლეთის კომიტეტის" ვიცე-პრეზიდენტმა ვიკონტ დე ლეზიმ დახურა. 1937 წლის 8 აპრილს კომიტეტის მინვევით უკრაინელმა პროფესორმა სლავინსკიმ სსრ კავშირის შემადგენლობაში მოქცეული ერების პრობლემებზე ლექცია წაიკითხა. ცალ-ცალკე ყველას ჰქონდა გამოსვლები, მათ შორის რუსებსაც, მაგრამ ეს იყო დამავიჯინებელი, რადგან მოხსენება ყველა ერს ეხებოდა. 1938 წლის 16 აპრილს კომიტეტის თაოსნობით დაჩაგრულ ერებზე საინტერესო მოხსენება წაიკითხა "Journal de Geneves" საგარეო პოლიტიკის განყოფილების რედაქტორმა ბრიკემ. დაესწრნენ უცხოელებიც. მომხსენებელი ა. ჩხენკელმა წარადგინა. ბრიკემ განსაზღვრა ამ ერთა იურიდიული სტატუსი, მათი დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი და დაასკვნა, რომ ლიგა

ვალდებულია მათი უფლებები დაიცვას. როგორც უზრუნველყოფა "დამოუკიდებელი საქართველო" აღნიშნავდა, კომიტეტის ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩატარებულ ბევრ მსგავს ღონისძიებათა შორის მარტენისა და ბრიკეს მოხსენებები განსაკუთრებით ფართო ხასიათისა იყო. კომიტეტი საპროტესტო პოლიტიკურ განაცხადებსაც აკეთებდა: 1936 წლის 25 სექტემბერს კომიტეტის წარმომადგენლებმა ერთა ლიგის მე-17 კრების თავმჯდომარეს გადასცეს მემორანდუმი, რომელშიც ეწერა, რომ შეუძლებელია მშვიდობის უზრუნველყოფა, თუ აღმოსავლეთ ევროპაში არ იქნება დაცული საბჭოების მიერ დაჩაგრული ერების ინტერესები, 28 სექტემბერს კი მემორანდუმი კავკასიის პრობლემის შესახებ. 1938 წელს კომიტეტმა სსრკ ახალი კონსტიტუციის გამო, რომელმაც კიდევ უფრო შეზღუდა ეროვნულ სახელმწიფოთა უფლებები, ყველა სახელმწიფოს მთავრობებს მემორანდუმი დაუგზავნა.

1928 წლის 25 თებერვალს პარიზის სოციალურ მუზეუმში ჩატარებულ კრებაზე, რომელსაც 140 კაცი ესწრებოდა (ძირითადად, ფრანგები, ასევე, ინგლისელები და ამერიკელები) შეიქმნა "საქართველოს მეგობართა ასოციაცია". პრეზიდენტად არჩეულ იქნა საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი, ქართველთა ძველი მეგობარი, 20-იან წწ. კავკასიაში საფრანგეთის კომისარი აბელ შევალიე; ვიცე-პრეზიდენტად - პრინცესა აშილ მიურატი (სალომე დადიანი); საპატიო თავმჯდომარეებად - გ.რისლერი (სოციალური მუზეუმის დირექტორი), ჟან მარტენი (საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ჟენევაში) და ბარონი დე ბაი საქართველოს სიძველეთა აღმწერი; გენერალურ მდივნად - სტუდენტთა საზოგადოების მზრუნველი თელიკო კოკე-ნიკოლაძე (შემდეგ - მიშელ ფლორიზოლი); ხაზინადრად - "კრედიტ ლიონ ბანკის" დირექტორი პერე. მდივნად - ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი არნაულ დანდიუ. ასოციაციის წევრები იყვნენ: ჯონ ვილემსი, ჟიულ კლაინი, გენერალი პატიე, ალბერ დემოლონი, ვიქტორ ბაბე, გეორგ რისლერი, პიერ ფორესტი,



ბარონი დე ბაი

ჯემს სტეფენსი. 1928 წლის 15 ივლისს მიიღეს სტატუტი და ორგანიზაცია ახალი წევრებით შეივსო. 1929 წლის 25 თებერვალს "Journal official"-ში საზოგადოების წესდება გამოქვეყნდა, 15 აგვისტოს კი აღმასრულებელი ორგანოები შეიქმნა. ასოციაციის მიზანი იყო: ქართველებთან ურთიერთობის გაღრმავება და მათი მხარდასაჭერი საქმიანობის გააქტიურება, საქმიანობის ფორმა - ლექცია-მოსხენებები, გამოცემები, ინფორმაციის მიწოდება, სტუდენტთა დახმარება და სხვა. საზოგადოება 20-30 კაციან კომიტეტს ირჩევდა, კომიტეტი კი - ბიუროს.

1930 წელს "საქართველოს მეგობართა ასოციაციამ" მოღვაწეობა დადგენილი გეგმის მიხედვით დაიწყო: 26 იანვარს კათოლიკური საზოგადოების ინიციატივით წმ.ნინოს პატივსაცემად წირვა გადაიხადეს, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო, როგორც ქართველები, ასევე ფრანგები. მღვდელმა შანუან ქენემ წმ. ნინოსა და ქართველი ერის კულტურაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ასოციაციას დაგეგმილი აქვს მთელი რიგი "ქართული საღამოებისა": 8 თებერვალს საღამო ტუბერკულოზით ავადმყოფთა სასარგებლოდ, 11 თებერვალს მ.მიურატის მოხსენება "ოქროს ვერძის ქვეყანა", 27 თებერვალს - ნინობა და 4 მარტს - ქართული საზოგადოების დიდი ბალი. მართლაც, ყველა ეს ღონისძიება დიდი წარმატებით ჩატარდა.

1930 წლის 11 თებერვალს, ასოციაციის გამგეობამ, აბელ შვეალიეს შესავალი სიტყვით, მოისმინა თავმჯდომარის მოადგილის მაგდა მიურატის (სალომე დადიანის რძალი) მოხსენება სათაურით - "ოქროს ვერძის ქვეყანაში". პროექტორით ნაჩვენები იქნა საქართველოს ცხოვრების ამსახველი სურათები. 29 მაისს მან ეს ლექცია, საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის მიწვევით, ჟენევაში წაიკითხა. მოხსენებას აუარებელი ხალხი დაესწრო და დიდი ყურადღებითაც მოისმინეს. მოხსენების შინაარსი ჟენევის გაზეთებმა მოათავსეს. მ. მიურატი კი შემოდგომისათვის ამავე მოხსენების წასაკითხად ლოზანაში მიიწვიეს. იმავე წლის 12 ივნისს საზოგადოების გამგეობის წევრმა შ. ქენემ გეოგრაფიული საზოგადოების დარბაზში წაიკითხა მოხსენება "ქრისტიანობა და რელიგიური ხელოვნება საქართველოში". მოხსენებას თან ქართული ეკლესიებისა და საეკლესიო მხატვრობის ამსახველი სურათების პროექცია ახლდა. "მომხსენებელს თითქმის არ დაუტოვებია არც ერთი ღირსშესანიშნავი ეპოქა საქართველოს ეკლესიის ისტორიისა: წმ. ნინო, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გელათი და მისი

აკადემია, საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმება, სინოდის მიერ დანიშნულ ეგზარქოსების რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოს ეკლესიის მიმართ. საქართველოს სამღვდელთა ბრძოლა ავტოკეფალიისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან, წითელი მოსკოვის შემოჭრა საქართველოში, კათოლიკოს ამბროსის თავდადებული ბრძოლა და მოსკოვის მიერ დღევანდელი განადგურებული საქართველოს ეკლესია", - წერდა ჟურნალი "დამოუკიდებელი საქართველო". მრავალრიცხოვანმა დამსწრე საზოგადოებამ მოხსენება დიდი ინტერესით მოისმინა და მომხსენებელი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

1930 წლის 4 მარტს ქართული ბალი გაიმართა. როგორც აღნიშნავდნენ, წინა წლებში გამართულზე უკეთესი და უფრო ბრწყინვალე. მაშინ, როცა პარიზში 10.000 ემიგრანტია და მათგან ქართველი მხოლოდ 1.000, ასეთი ბალი არავის, თვით ფრანგებსაც არ გაუმართავთო. ქართველების გარდა, ზეიმს ესწრებოდნენ ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, პოლონელები, უკრაინელები, კავკასიელები და სხვები. "დარბაზი ახალი სტილის, პარიზის საუკეთესო უბანში, მოწყობილობა მდიდრული, ჩასაცმელი მდიდრული, მუსიკა სულ პირველი, ქართული მწი და ზომიერება. დივერტისმენტებში: დარბაისლური ლეკური (ორი წყვილი), მარდი ნაურსკი, ქართული ჰანგები (ბ. ნანობაშვილი), უცხოური რომანსები (ქ.ბ. მაკ-კორმიკ), აღმტაცი ბალეტი (11 წლის თუმანიშვილის ასული, დიდი ოპერის ვარსკვლავი), პარიზის წლევანდელი "სილამაზის დედოფლის" გამოჩენა", - ასე აღწერდა ბალს დამსწრე და ხაზს უსვამდა იმაზე, რომ საქველმოქმედო მიზნების გარდა, ამ ღონისძიებამ ქართულ ეროვნულ საქმეს დიდი სამსახური გაუწია. ეს კი, პირველ რიგში, თამარ დადიანისა და დავით სხირტლადის დამსახურებააო.



თამარ თაყაიშვილი

1931 წლის 20 იანვარს "Sakre Kior"-ის ტაძარში წმ.ნინოს ხატი დაასვენეს, რასაც აუარებელი ხალხი დაესწრო. შეკრებილთ შ. ქენემ მიმართა, ქართველთა სახელით სამადლობელი სიტყვით გამოვიდა ა. ჩხენკელი. პარიზში წმ.ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაარსების შემდეგ ხატი

იქ გადაიტანეს და ყოველ 27 იანვარს ნინოობას დიდი ზეიმით და ქართული ბალით აღნიშნავდნენ. იმავე წლის 11 ოქტობერს, პრინცესა სალომე დადიანის ინიციატივით საქართველოს შესახებ ჩატარებულ ფრანგულ კონფერენციაზე შალვა ბერიძემ ნაიკითხა მოხსენება "გველის მჭამელი" ქართული პოემა", შემდეგ მოენყო "ვეფხისტყაოსნის" განხილვა.



შალვა ბერიძე

1932 წლის 26 თებერვალს შანზელიზეს სალონებში კომიტეტმა საქართველოს სალამო ჩაატარა. ესწრებოდნენ უცხოელებიც: სენ-ფერმენის ძველი ფრანგული საგვარეულოს წარმომადგენლები, აბდელ ჰამიდის დისნული ეგვიპტის პრინცესა და სხვები. შამპანურს ყიდდნენ ქალბატონები: მ. კოსტი, მ. ერისთავი და ბ. ბაჟენოვა (ყარაბაღელი). უკრავდა შავკანიანთა ჯაზი. 2 თარის თანხლებით ლექური შეასრულეს კერეფოვმა, ჯამბეტმა და ქ-ნ შკოვიმ. 7 მაისს ოტელში "გეორგ V" კომიტეტმა უმუშევართა და ტუბერკულოზიან ავადმყოფთა დასახმარებლად, მომღერალ მიხეილ

დარიალის მონაწილეობით, დიდი ქართული საქველმოქმედო სალამო გამართა. სალამოს დიასახლისი პრინცესა მიურატი იყო.

1933 წლის 10 მარტს "მეგობართა საზოგადოებამ" ქალბატონების ამირალ გეპრატის და მავდა მიურატის მეთაურობით, რომელსაც ქართული კაბა ეცვა, პარიზის საუკეთესო დარბაზში ქართული საქველმოქმედო ბალი მოაწყვეს. შესრულდა ქართული და ევროპული ცეკვები. მთელი შემოსავალი ტუბერკულოზიან ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოებას გადაეცა. იმავე წლის 8 მაისს "ფრანს-ორნატის" დარბაზში საზოგადოების თავმჯდომარე ადმირალმა გეპრატმა ნაიკითხა მოხსენება "ზღვა და მეზღვაურები". იგი საქართველოს საკითხსაც შეეხო და ქართველი ახალგაზრდობის დახმარებისათვის თ. კოკე-ნიკოლაძეს მაღლობა გადაუხადა. შემდეგ ფრანგულ ფლოტზე ფილმი აჩვენეს, დარბაზის თავმჯდომარის მოადგილის ადმირალ მორნეის ხელმძღვანელობით მელოდეკლამაციის ნომრები შესრულდა. მხატვრულ განყოფილებას ქ-ნი გეპრატი უძღვებოდა. სიტყვით აკ. ჩხენკელიც გამოვიდა.

ლონდონში არსებული "საქართველოს დამხმარე კომიტეტი" თავისი საქმიანობის გააქტიურებას და "საქართველოს

მეგობართა ფონდის" დაარსებას ჯერ კიდევ 1925 წელს შეეცა-
და. მოწოდება გაზეთ "ტაიმსში" გამოქვეყნდა, რომელსაც ხელს
ანერდნენ: თავმჯდომარე ს. მორისი, ვ. მორისი, ვან კობდენ-
ენვინი, ს. ბოლსი, ს. ლინდი, ფ. სნოუდენი, ე. სნოუდენი, რ. მაკ-
დონალდი, ე. დიუჰამი, ნ. დრაიპორსტი. საფრანგეთის კვალდა-
კვალ, 1928 წელს "საქართველოს მეგობართა საზოგადოება"
ინგლისშიც შეიქმნა და საპროპაგანდოდ 22 ნოემბერს ლონდონის
ხელოვნების აკადემიაში რ. შოცის ხელმძღვანელობით
პირველი ღონისძიება - საქართველოზე ახალგაზრდა მოგზა-
ურისა და მწერლის, უილიამ ალენის ლექცია ჩაატარა. ალენი
საქართველოთი პირველად 1918 წელს დამოუკიდებლობის
გამოცხადების დროს დაინტერესებულა, შემდეგ მარი ბროსეს
ნიგნებით არა მარტო თანამედროვეობა, არამედ წარსულიც,
ქართული ენა და ლიტერატურა შეუსწავლია. 1925 წელს
საქართველოში უმოგზაურია, 1928 წლის ზაფხულში კი ოსმა-
ლეთის საქართველოც მოუვლია. როგორც ჟურნალი "დამოუკი-
დებელი საქართველო" იუწყებოდა, აკადემიის დიდი დარბა-
ზი მსმენელებს ვერ იტევდა. ქართული კოლონიის წევრების გარ-
და, ალენის ლექციას, რომელიც დედის მხრიდან ლორდი ბაირო-
ნის ჩამომავალია, დასწრებია ინგლისის მაღალი საზოგადოების
მრავალი წარმომადგენელი, მათ შორის, გამგეობის წევრი,
გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ალენის სიძე ლო-
რდი ლილეისი, ყოფილი უმაღლესი კომისარი ეგვიპტეში, "პალეს-
ტინის გმირი" ლორდი ალენბი, ყოფილი ელჩი საქართველოში
ოლივერ უორდროპი და პარიზიდან ჩასული აკ. ჩხენკელი.


მაღე ასეთივე საზოგადოება სენატორებისა და დეპუტატე-
ბისაგან სენატის თავმჯდომარის, ფრიდრიხ სოუკუპის ხელ-
მძღვანელობით ჩეხოსლოვაკიაშიც შეიქმნა და მელინ გამიჩ-პოლ-
კანის ხელმძღვანელობით - პოლონეთშიც. ისინი აქტიურად
თანამშრომლობდნენ ადგილობრივ ქართულ კოლონიებთან და
სხვა მსგავს საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

1925 წელს ამერიკულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წრეებ-
თან დაახლოებულმა ფინანსისტმა ვასილ დუმბაძემ ნიუ-იორკ-
ში, საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლობის ეგიდით,
მშვენიერი ნიგნი გამოსცა "კავკასიის რეპუბლიკები", რომელ-
მაც არა მარტო ამერიკული საზოგადოების, არამედ ქართული
ემიგრანტული წრეების ყურადღებაც მიიპყრო. 1926 წლის
დასაწყისში ვასილ დუმბაძის თაოსნობით და ჰენრი ვილსონის
თავმჯდომარეობით დაარსებული ორგანიზაციის "ამერიკული

საზოგადოება კავკასიისათვის" ნეერი მრავალი ცნობილი მოლვანე გახდა. "მისი მიზანია საქართველოს და აგრეთვე, მისი მეზობელი კავკასიის რესპუბლიკების საკითხის გაცნობა ამერიკის საზოგადოებრივი აზრისათვის, რისთვისაც იმართება მოხსენებები, სწარმოებს ფართო პროპაგანდა პრესაში და სხვ. საზოგადოებამ, სხვათა შორის, მიიწვია გამოჩენილი იურისტთა კომისია, რომელმაც განიხილა საქართველოს წარსული და თანამედროვე უფლებრივი მდგომარეობა და ერთხმად დაასკვნა მისი დამოუკიდებლობის უდაო უფლება და ევროპაში გახიზნულ დემოკრატიულ მთავრობის კანონიერება", - იუწყებოდა ჟურნალი "ბრძოლა". 1929 წლის 23 აპრილს, საზოგადოების მხარდაჭერით, დეპუტატმა კოპლენდმა ამერიკის შეერთებული შტატების მე-17 კონგრესის I სესიაზე განსახილველად კავკასიის სამი რესპუბლიკის საკითხიც შეიტანა.

იმავე წელს აშშ ცნობილი დიპლომატის ლეონ ვილსონის თავმჯდომარეობით შეიქმნა პატარა წრე, რომელმაც "საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტი" დააარსა. წრემ მიზნად დაისახა საქართველოს საკითხის წამოწევა, რასაც შედეგად მოჰყვა ამერიკის კონგრესის მიერ საქართველოს საკითხის რამოდენიმეჯერ განხილვა. მისი ინიციატივით კომიტეტმა წარმომადგენელთა პალატაში წინადადება შეიტანა პარიზში საქართველოს მთავრობასთან ამერიკის პრეზიდენტის წარმომადგენლის, ხოლო ამერიკაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნისა და ამისათვის ხაზინიდან


ხარჯების გაღების შესახებ. ეს საკითხები 1-2 აპრილის სხდომებზე განიხილეს. ჯონ სტიუარტისა და ჰენრი ობდაიკის გამოსვლების შემდეგ კონგრესმა ამ სხდომათა ოქმებით, 22 დამატებით და 17 ფოტოთი, სახელმწიფო ხარჯით საქართველოზე 361-გვერდიანი წიგნი გამოსცა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაშინ ვერ გამოიტანა. საქართველოს საკითხი აშშ კონგრესში მეორედ 1929 წლის 23 აპრილს დაისვა, როდესაც სენატორმა კოპლენდმა კონგრესის სესიაზე განსახილველად კავკასიის 4 რესპუბლიკის საკითხი შეიტანა. საგარეო საქმეთა კო-



ვასლ დუშბაიზის მიერ ამერიკაში გამოცემული წიგნი

მისიაში "ბილი" ორჯერ ნაიკითხეს. კანონ-პროექტი კავკასიის რესპუბლიკებში: საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ჩრდილო კავკასიაში დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნას ითვალისწინებდა. წინადადების მიღების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წარმომადგენლად ვ. დუმბაძე დაამტკიცა. "ჩვენდა სავალალოდ ამის შემდეგ აღარავითარ ცდას, არც თვით განსვენებულისაგან (ვასო დუმბაძისაგან რ.დ.), არც სხვათაგან, ადგილი აღარ ჰქონია, როგორც ვთქვით ამისათვის ნიადაგიც არ არსებობდა", შენიშნავდა გივი კობახიძე ჟურნალ "ჩვენი გზის" სარედაქციო წერილში, თუმცა ვ. დუმბაძე საქართველოს არაოფიციალური და არააკრედიტირებული ელჩი დიდხანს იყო და მილიონერ გრიგოლ კობახიძესთან (ჯორჯ კობი) ერთად ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა დამკვიდრება-კონსოლიდაციის საქმეში დიდი როლი შეასრულა.

1933 წელს, როცა საფრანგეთმა სსრ კავშირი ცნო, საქართველოს ლეგაცია გაუქმდა და მთავრობის, საელჩოებისა და საკონსულოების უფლებამოსილება შეწყდა. ვ. დუმბაძე შეეცადა თავისი კავშირები ქართული საკითხის წამოსაწევად გამოეყენებინა. ახლადარჩეული პრეზიდენტის რუზველტის სახელზე წერილი შეადგინა და მის ოფიციალურ მდივანს მაკინტაირს გადასცა. როგორც შემდეგ ნოე ჟორდანიას წერდა, მაკინტაირს პრეზიდენტისათვის კონგრესის მიერ გამოცემულ წიგნში შესაბამისი ადგილებიც კი მოუნიშნია. დუმბაძე ემადლიერებოდა კონსულ კოლუსს, პრეზიდენტის მეგობარს, საარჩევნო კომპანიის ერთ-ერთ აქტიურ წევრს ედვინ ვალდმანს,



მაჩხენიდან პირველი ვასილ დუმბაძე

1926 წლიდან საქართველოს საკითხის კურატორს კელეის, "კავკასიის საზოგადოების" თავმჯდომარეს ჰენრი ვილსონს და სხვებს. დუმბაძეს მცდელობები - დაეინტერესებინა ამერიკის ხელისუფლება საქართველოს საკითხით, შემდეგაც არ შეუწყვეტია მაგრამ მსოფლიოს ახალი პრობლემები გაუჩნდა - ევროპაში დიდი ომი მნიფდებოდა და ამერიკის ადმინისტრაციას საქართველოსთვის აღარ ეცალა.

ამრიგად, საქართველოს საკითხის მსოფლიო პოლიტიკის არეალში მოსაქცევად და საერთაშორისო ასპარეზზე წარმოსაჩენად ასევე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს დამხმარე თუ მეგობართა კომიტეტებს - ინგლისსა და შვეიცარიაში შექმნილ "საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტებს", "ფრანგულ-აღმოსავლური კომიტეტის" ფრანგული სექციას ე.წ. "კავკასიის, თურქმენეთის და უკრაინის ერების მეგობართა კომიტეტს"; პარიზში, ლონდონში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში ჩამოყალიბებულ "საქართველოს მეგობართა საზოგადოებებს", ნიუ-იორკში არსებულ "ამერიკულ საზოგადოებას კავკასიისათვის", "საქართველოს უფლებების დაცვის ამერიკულ კომიტეტს" და სხვებს, რომელთა ნყალობითაც საქართველო ახალ მხარდამჭერებსა და თანამგრძნობებს არა მარტო ევროპისა და ამერიკის სამთავრობო წრეებში, არამედ საზოგადოების ფართო ფენებშიც იჩენდა.

თავი VIII

ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები ემიგრაციაში

1921 წლის თებერვლის შემდეგ ემიგრაციაში აღმოჩნდა თითქმის მთელი ქართული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სპექტრი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, ემიგრანტული წრეების შესაკავშირებლად და დასარაზმად ბრძოლა პირველი დღეებიდანვე დაიწყო. ამ მიზნით, 20-30-იან წლებში ევროპის იმ ქვეყნებსა და ქალაქებში, სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობდნენ, მრავალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია აღმოცენდა: საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ლეგაცია, საელჩოები, ქართული სათვისტომოები, საზოგადოებები, ასოციაციები, ნამყვანი პოლიტიკური პარტიების საზღვარგარეთული ბიუროები და მათი ადგილობრივი წარმომადგენლობები. ყველაზე მრავალრიცხოვანი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო და, შესაბამისად, ყველაზე ბევრი წარმომადგენლობა მას ჰქონდა.

ძალთა გაერთიანების მიზნით შეიქმნა ინტერპარტიული საზღვარგარეთის ბიურო, რომელშიც შედიოდნენ: სოციალ-დემოკრატი კარლო ჩხეიძე, ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ვეშაპელი (შემდეგ - სპირიდონ კედია), სოციალისტ-ფედერალისტი სიმონ მდივანი და სოციალისტ-რევოლუციონერი იოსებ გობეჩია. ბიუროს მიზანი იყო ანტიბოლშევიკური ბრძოლის გასაშლელად საერთოქართული პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა. ერთ-ერთი პირველი ასეთი ორგანიზაცია სტამბოლში შეიქმნა, რომელიც პარიზიდან იმართებოდა.

| მსოფლიო ომში დამარცხებულ თურქეთს ანტანტის ქვეყნებმა მუდროსის ზავზე ხელი მოაწერინეს, ბოსფორ-დარდანელში კი სამხედრო ფლოტი შეიყვანეს. სტამბოლში უმაღლესი კომისრების დანიშვნით სულთანი მეჰმედ VI ვაჰიდ ედდინი მარიონეტად იქცა: თურქეთში დაწყებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში გენერალი მუსტაფა ქემალი ჩაუდგა. 1919 წლის ბოლოს საპარლამენტო



ალქსანდრე მდივანი

არჩევნებში ქემალისტებმა გაიმარჯვეს. 1920 წლის 16 მარტს ინგლისელებმა სტამბოლი დაიკავეს, პარლამენტი გარეკეს და ძალაუფლება ინგლისის სარდლობის ხელში გადავიდა. 1920



ალექსანდრე ჩხიძე

წლის 23 თებერვალს ათა-თურქის თავმჯდომარეობით ანკარაში ახალი პარლამენტი "მეჯლისი" შეიკრიბა, რომელმაც 3 მაისს სულთანის ხელისუფლება დამხობილად გამოაცხადა. 10 აგვისტოს ანტანტის ქვეყნებმა სულთანს ხელი სევრის კაბალურ ხელშეკრულებაზე მოაწერიინეს, რასაც საერთო-სახალხო წინააღმდეგობა მოჰყვა. 1921 წლის 10 იანვარს, საბერძნეთის არმიის დამარცხებით, თურქებმა ქვეყნიდან ოკუპანტთა განდევნა დაიწყეს.

ასეთი ვითარება დახვდა საქართველოს მთავრობას 1921 წლის 21 მარტს, როდესაც იტალიურმა გემმა "კირალმა" სტამბოლის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა. ფრანგული გემების "ვესტას" და "მარიას" ჩასვლას, რომელზეც დანარჩენი ხიზნები იმყოფებოდნენ, მთავრობა აღარ დაელოდა, შექმნა რა 28 მარტს 2 კომისია - ლტოლვილთა და სამთავრობო, საფრანგეთს გაემგზავრა. სტამბოლელმა ქართველებმა ხიზანთა მისაღებად გენერალ ალექსანდრე მდივნის, იოსებ კემულარიას, ძნელადისა და სხვათა შემადგენლობით კომიტეტი ჩამოაყალიბეს, რომელიც თბილისის ყოფილი ქალაქისთავის, ბენია ჩხიკვიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ კომისიას შეუერთდა. კომისიას ლტოლვილთა მიღება-დაბინავებაზე უნდა ეზრუნა. ბანაკის კომენდანტად გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე დანიშნეს. საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში სამუშაოს შოვნა ძნელი აღმოჩნდა. მით უმეტეს, რომ ჩასულთა შორის მუშები ცოტანი იყვნენ. მათ დიდი დახმარება ლტოლვილთა დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა აღმოუჩინა.

მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა კონსტანტინე გვარჯალაძე, რომელსაც სტამბოლში უცხოეთის წარმომადგენლებთან ურთიერთობა დაევალა. ინგლისის გარდა, რომელმაც 1921 წლის 16 მარტს რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულება დადო, საქართველოს გასაჭირს სტამბოლში აკრედიტებული ყველა ქვეყნის წარმომადგენელი დიდი გულისხმიერებით ეპყრობოდა, განსაკუთრებით, იაპონიის,

რომელსაც რუსეთთან შორეულ აღმოსავლეთში დიდი მეტოქეობა ჰქონდა. იგი გვარჯალაძეს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ურთიერთობების მოგვარებაშიც კი ეხმარებოდა.

სირთულეებისა და მძიმე პირობების მიუხედავად, პანიკას და დეპრესიას ადგილი არ ჰქონია. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს ლტოლვილობა დროებითი იყო. ერთმა ჯგუფმა სტამბოლში ქართული კლუბიც კი შექმნა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: გვარდიის შტაბის ყოფილი წევრი დათა მაჭავარიანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი მგალობლიშვილი, გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი, პოლკოვნიკები: დავით ვაჩნაძე, ალექო მალალაშვილი, კაპიტანი ივანე ვაჩნაძე და მიხეილ კანდელაკი. 26 მაისს, დილით, ქართველ კათოლიკეთა მონასტერში წირვა ჩატარდა, მთავრობის წევრებმა დამოუკიდებლობის დღე საელჩოში აღნიშნეს, ქართულ კლუბში კი სადილი გაიმართა. კლუბმა წლის ბოლომდე, ლტოლვილთა სტამბოლიდან გაყვანამდე იარსება.

ქემალისტები სტამბოლისაკენ მიიწვედნენ. 1922 წლის 18 სექტემბერს რუსეთის სამხედრო მრჩეველების დახმარებით მომზადებული ჯარით თურქებმა ანტანტის ჯარები განდევნეს. 1922 წლის ნოემბერში ლოზანის საზავო კონფერენციამ თურქეთის საზღვრები აღიარა, რომელშიც თურქულის გარდა, ქართული და სომხური მიწებიც მოექცა. ბუნებრივია, ბრძოლის არენად ქცეულ სტამბოლში ლტოლვილებს აღარ დაედგომებოდათ, ამიტომ საქართველოს საელჩომ "ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტის" დახმარებით, რომელმაც ყველას, მათ შორის სამხედრო პირთა და იუნკერთა ევაკუაციის ხარჯების ნაწილი გაიღო, 1921 წლის ბოლოს მათი საბერძნეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში გადაყვანა დაიწყო და ასე გადანაცვლდა ეს საკითხი, თუმცა სტამბოლში ლტოლვილები კიდევ რჩებოდნენ და ლეგაციასთან მიმონერასა და კავშირს განაგრძობდნენ.

სამთავრობო კომისიის ხელმძღვანელად ყოფილი ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი დაინიშნა. იგი მთავრობის გატანილ ქონებას განაგებდა და მეთვალყურეობას ლტოლვილთა კომისიასაც უწევდა. კომისიაში შედიოდნენ: ვაჭრობისა და მომარაგების ყოფილი მინისტრი გიორგი ერაძე, აგრეთვე პეტრე სურგულაძე, მიხაკო წერეთელი, მათი ევროპაში წასვლის შემდეგ კონსული იოსებ გოგოლაშვილი. მათ პირველივე დღეებში იმდენი ხალხი მიანყდათ, იძულებული გახდნენ კომისია

საკონსულოდან გაეტანათ და 3 ოთახი ექირავებინათ. ერთში კანცელარია მოათავსეს, მეორეში საგამოძიებო კომისია, მესამე - მისაღები და კომისიის წევრთა სამუშაო ოთახი გახდა. კერძო თუ სამთავრობო ქონების საკითხები რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამდენად, ამ კომისიის მუშაობა კარგა ხანს გაგრძელდა.



ნოე ხომერტი

შეიქმნა კიდევ ერთი, "სტამბოლის პოლიტიკური კომისია" ყოფილი მინათ-მოქმედებისა და იუსტიციის მინისტრების ნოე ხომერტიკისა და რაჟდენ არსენიძის ხელმძღვანელობით, რომლის საქმიანობა გასაიდუმლოებული და ამდენად, საზოგადოებისათვის უცნობი იყო. კომისიამ ბინა საქართველოს წარმომადგენლობაში დაიდო. მასში შედიოდნენ: ელჩი სიმონ მდივანი, კონსული იოსებ გოგოლაშვილი, ატაშე ვასო ნულაძე და სხვები. დავით შარაშიძის ხელმძღვანელობით კომისიასთან შეიქმნა

საინფორმაციო სამსახური, რომელიც საბჭოთა პროპაგანდას უნდა დაპირისპირებოდა და ოკუპირებულ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაცია ფრანგულ, თურქულ გაზეთებში რეგულარულად მოეთავსებინა.

1921 წლის 15 მაისს რ. არსენიძის რედაქტორობით კომისიის ჟურნალ "თავისუფალი საქართველოს" პირველი ნომერი დაიბეჭდა. სულ 27 ნომერი გამოვიდა, ბოლო - 1922 წლის 15 ოქტომბერს. გაზეთი ქართველ კათოლიკეთა მონასტრის სტამბაში იბეჭდებოდა. ჟურნალის გარდა, საქართველოში მომხდარი მოვლენების ამსახველი ბიულეტენი გამოდიოდა, რომლისათვისაც მასალას კარგად გამართული საიდუმლო სამსახურის წყალობით იღებდნენ, თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან სანდო პირები გზავნიდნენ დაშიფრულ წერილებს. შიფრი ხშირად იცვლებოდა. შიფრის გასაღებები გრიფით "სრულიად საიდუმლოდ" არქივებსა თუ პირად ფონდებში მრავლად გვხვდება. 3ქონდათ როგორც ციფრებიანი, ასევე ტერმინოლოგიური შიფრიც. ინფორმაციის ავტორების სახელები გასაიდუმლოებული იყო. იყენებდნენ ფსევდონიმებსა და ზედმეტსახელებს. შიფრის გასაღებების საშუალებით მათი ვინაობის დადგენა შეიძლება, თუმცა ხშირად ერთსა და იმავე დაშიფრულ სახელს ორი ან რა-

მდენიმე პიროვნება ატარებდა. დაშიფრული ინფორმაცია საქართველოდან სტამბოლში იგზავნებოდა, გაშიფერის შემდეგ პარიზში, საქართველოს მთავრობის ლეგაციაში. მასალას თან საბუთების ჩამონათვალი ახლდა, რომელსაც ხელს აწერდნენ და უკან გზავნიდნენ. უფრო სასწრაფო საქმეებისათვის დაშიფრულ დეპეშას მიმართავდნენ. ინფორმაციას რუსეთის არმიის შტაბიდანაც რეგულარულად იღებდნენ.

ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით და სიმონ მდივანის, ირაკლი წერეთლის, კონსტანტინე საბახტარაშვილის, ვლადიმერ ვოიტინსკის შემადგენლობით პარიზში ცენტრალური საპროპაგანდო-სააგიტაციო კომისია ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, კომისიაში შეიყვანეს: სოციალ-დემოკრატი იოსებ სალაყაია, ფედერალისტები აკაკი პაპავა, ჯაბა ხაბუღიანი, ეროვნულ-დემოკრატი ტიტე მარგველაშვილი, უპარტიო გიორგი წერეთელი და გიორგი კერესელიძე. "სეკრეტარიატს" კონსტანტინე საბახტარაშვილი ხელმძღვანელობდა, სამდივნოს ქალბატონი ვოიტინსკი, მდივანი კი ანტონ ჟორჟოლიანი გახდა. კომისიის მიზანი იყო ევროპაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროპაგანდა. ევროპის ყველა ქვეყნის პოლიტიკურ პარტიებს და დაჯგუფებებს კომისია მიმართავდა სიტყვით, გამოსვლებით, პრესითა და გამოცემებით. ბოლშევიკური ოკუპაციის მხილებისა და საქართველოსთვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად ემიგრაციაში საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე მოგვითხრობს კ. გვარჯალაძის ნიგნი "საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში". კომისიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სტამბოლის პოლიტიკურ კომისიასთან, ამ უკანასკნელს კი საქართველოსთან. დამაკავშირებელი ექსპრესით "პარიზი-სტამბოლი-პარიზი" ინფორმაციის კვირაში სამჯერ ცვლიდნენ.

პოლიტიკურ კომისიასთან სამხედრო კომისიაც შეიქმნა, რომლის რეგულარულ სხდომებს გენერალი იასონ ოდიშელიძე თავმჯდომარეობდა. მდივანი გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე იყო. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ გენერლები: მდივანი, ყაზბეგი, ქუთათელაძე, ბაქრაძე, კონიაშვილი, პოლკოვნიკები: ვაჩნაძე, კანდელაკი, ჭავჭავაძე, გვარდიის შტაბიდან .



ბაქრაძე ალექსანდრე

ჯუღელი და აუშტროვი. სამხედრო კომისიის წევრებს დამფუძნებელი კრების 31 კითხვიანი ანკეტა დაეგზავნათ, რომლის საფუძველზეც მოხსენებითი ბარათი უნდა დაწერილიყო. ანკეტას ხელს აწერდნენ რ. არსენიძე, ნ. ელიავა, ი. ჭავჭავანიძე და ს. გაბუნია. კითხვარის მიხედვით ყველას უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე - რატომ დამარცხდა საქართველო? მიეთითებინა მიზეზები, გამოეთქვათ მოსაზრება, როგორი უნდა ყოფილიყო შემდგომში სამხედრო ძალები და ა.შ. კითხვარის განხილვაში მონაწილეობა თითქმის ყველა წევრმა მიიღო. გენერლების ქუთათელაძისა და ზაქარიაძის გარდა კომისიამ ჩათვალა, რომ პასუხი ცალ-ცალკე უნდა გაეცათ. საბოლოოდ 2 მოხსენება მომზადდა. ერთობლივს ხელს გენერალი ზაქარიაძე აწერდა, მეორე გენერალი ოდიშელიძის მიერ იყო შედგენილი.

სექტემბერში სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებს შორის შეხვედრები დაიწყო. სხდომებს ესწრებოდნენ: სოციალ-დემოკრატები ნ. ხომერიკი, რ. არსენიძე, დ. შარაშიძე, ვ. ჯუღელი; ფედერალისტები - ლ. ჯაფარიძე, ნ. ჭუმბურიძე, ი. გოგოლაშვილი, ეროვნულ-დემოკრატები - გრ. ვეშაპელი, რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, პ. სურგულაძე, გ. გვაზავა, ესერი ი. გობეჩია და სხვები. მათ განიხილეს პარტიათა შეთანხმების საკითხი და ბათუმიდან გაგზავნილი ინტერპარტიული კომისიის წერილი - პარტიათა შეთანხმება რაც შეიძლება მალე მომხდარიყო. 12 სექტემბრის სხდომაზე ინტერპარტიული ორგანოს შექმნა გადაწყდა, რომელშიც პარტიებთან კავშირის დასამყარებლად და ანტიბოლშევიკური ფრონტის განსამტკიცებლად ყველა პარტიიდან თითო კაცი შევიდოდა. დამპყრობლების განდევნის შემდეგ შეიქმნებოდა დროებითი მმართველობა, კოალიციური მთავრობა, საპარლამენტო არჩევნების დასანიშნად კი დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდა. შეთანხმების მიხედვით, ბოლშევიკთა განდევნამდე პარტიები ერთმანეთის წინააღმდეგ საჯაროდ არ უნდა გამოსულიყვნენ.

1921 წლის 21 დეკემბერს კრებაზე მიიღეს პარტიათა შეთანხმების პროექტი: უნდა შექმნილიყო ეროვნული ცენტრი, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა საქართველოს გათავისუფლებას. ცენტრში შევიდოდა ყველა ძალა, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა. შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად მუშაობა უნდა გაშლილიყო საქართველოშიც და საზღვარგარეთაც. უნდა გაუქმებულიყო გვარდია და შექმნილიყო რევოლუარული ჯარი. ქალაქებში დროებითი გამგეობა

დაინიშნებოდა. მთავრობა რეკვიზიციას არ მიმართავდა. სათანადო ორგანოებთან მოლაპარაკების წარმოება ნიკო ნიკოლაძეს, გრიგოლ ვეშაპელს, გიორგი გვაზავას, პეტრე სურგულაძეს, ლელი ჯაფარიძეს და რევaz გაბაშვილს დაევაალათ.

1922 წლის აპრილში შეთანხმების საფუძველზე დაარსდა "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელშიც სოციალისტ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალ-რევოლუციური, გაერთიანებული დემოკრატიული პარტიების და "სხიველების" თითო წარმომადგენელი შედიოდა. დამკომს დროებითი მთავრობის ფუნქცია უნდა შეესრულებინა, დამოუკიდებლობისა და კონსტიტუციის აღდგენის, დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ კი გადამდგარიყო. მას სათავეში სოციალ-დემოკრატი გოგიტა ფალავა ჩაუდგა ("პარიტეტული კომიტეტი"). ამ კომიტეტის საქმიანობაზე არაერთი წერილი გამოქვეყნდა, მათ შორის ჩეკას საიდუმლო მასალებიც, ამიტომ ამ საკითხზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

1922 წლის ოქტომბერში სტამბოლის პოლიტიკური კომისიის ხელმძღვანელი ნოე ხომერიკი საქართველოში დაბრუნდა. 1923 წლის თებერვალში დამკომის სამხედრო ცენტრის ჩავარდნის შემდეგ, 19 მაისს დამკომთან კოტე ანდრონიკაშვილის, იასონ ჯავახიშვილის, ვასო ნოდუას, გოგიტა ფალავას, გიორგი წინამძღვრიშვილისა და სოლომონ ზალდასტანიშვილის შემადგენლობით სამხედრო კომისია დაარსდა.

1923 წელს დამკომმა ერთა ლიგას მონოდებით მიმართა, რომელშიც საქართველოს უმძიმესი მდგომარეობა იყო აღწერილი: "განათლებულ კაცობრიობის წარმომადგენელნო! ათხოვეთ ყური ხმას ძველი ცივილიზაციის ერისას, რომელსაც სურს, დამოუკიდებელი დარჩეს. ამ ერს ფიზიკურად მოსპობის მუქარა უდგას, მისი მატერიალური და ზნეობრივი სიმდიდრე ნიავედება. მის ეროვნულ კერას დამსებების შიში მოელის. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს მტკიცედ სწამს, რომ ერთა ლიგა, სიმართლის უმაღლესი ორგანო, აიმაღლებს თავის მძლავრ ხმას რუსეთის დღევანდელი ბატონების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ". საქართველოს გამოსარჩლება ერთა



გოგიტა ფალავა

ლიგაში ბელგიის დელეგატმა დე ბრიუკერმა ითავა. მაგრამ კრემლს საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციათა



ვალიკო ჭულული

შესრულებით თავი არ შეუნუხებია.

1923 წლის ნოემბერში ნოე ხომერიკი დააპატიმრეს, მალე ჩეკამ შეიპყრო გ. ფალავა და გ. წინამძღვრიშვილი. 1924 წლის თებერვალში მდგომარეობის გასარკვევად და ემიგრაციიდან ახალი ხალხის ჩამოსაყვანად ვ. ნოდია საზღვარგარეთ გაგზავნეს. აპრილში მთავარსარდლად გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე აირჩიეს. მაისში უცხოეთიდან დაბრუნებულ ვ. ნოდიას ბ. ჩხიკვიშვილი, ვ. ჯუღელი, ვ. მგელაძე, ბ. ცენტერაძე და ცინცაბაძე ჩამოყვინენ. ივლისის შუა რიცხვებში დამკომმა გაფართოებული სხდომა მოინვია, რომელსაც პარტიების წარმომადგენლების გარდა,

მთავარსარდალიც დაესწრო და აჯანყების დღედ 17 აგვისტო დანიშნა. 6 აგვისტოს ჯუღელის დაპატიმრებამ აჯანყების გეგმა შეცვალა. 29 აგვისტოსთვის დანიშნული აჯანყება 24 საათით ადრე დაიწყო და იგი ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახშეს, მძევლებად აყვანილი ხომერიკი, ჩხიკვიშვილი, ნოდია, ფალავა, წინამძღვრიშვილი სუზდალის ციხიდან გამოითხოვეს და გზაში დახვრიტეს, ჯუღელი კი - ჩეკას ჯურღმულებში.

აგვისტოს აჯანყების შემდეგ, სტამბოლის პოლიტიკური კომისიას დიდხანს აღარ უარსებია. სტამბოლში დარჩენილი ქართველების საფრანგეთში გასაყვანად 1925 წელს ეროვნული მთავრობის ლეგაციამ "ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტის" კომისრის ჯონსონის საშუალებით, ლტოლვილთა სტატუსზე მოლაპარაკებები გამართა საფრანგეთის მთავრობასთან, შემდეგ სახელმწიფო მინისტრ ედუარდ ერიოს საგანგებო დავალებით საგარეო საქმეთა მინისტრთან ჟან პოლ ბონკურთან, დასაქმების თაობაზე უცხო-ური მუშახელის სამსახურის უფროსთან პუიოსთან და "შრომის საერთაშორისო ბიუროსთან", რომლებმაც ევროპის ქვეყნებში კონტრაქტების საფუძველზე მათი დასაქმება ითავეს. ამგვარად, სტამბოლიდან საფრანგეთში კიდევ ერთი დიდი ჯგუფი იქნა გადაყვანილი.

"საქართველოს საკითხი საერთაშორისო საკითხია... მაგრამ

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს საკითხი ერთადერთი არაა. ის არის ერთი უმთავრესთაგანი, რომელიც იპყრობს დიდი სახელმწიფოების ყურადღებას. შეუძლებელია მშვიდობიანობის უზრუნველყოფა აღმოსავლეთში, თუ კავკასიის რესპუბლიკების საქმეები მოუნესრიგებელი იქნა", წერდა ა. ჩხენკელი. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიურ პოლიტიკას, რომლის წარმართვა ერთიანი ფრონტით 20-იან წლებში იწყება.

1921 წლის გაზაფხულზე პარიზში შექმნილ "ოთხთა საბჭოში" 4 კავკასიელი ერის წარმომადგენელი შედიოდა. მათ ცალცალკე მოქმედების თავისუფლება გააჩნდათ, თუკი ერთმანეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდნენ. როგორც ვნახეთ, ამ მხრივ ქართულმა მხარემ საქართველოს საკითხზე ერთა ლიგის თუ საერთაშორისო კონფერენციების წინაშე დიდი პოლიტიკური მუშაობა ჩაატარა. 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობამ ემიგრაციაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. იმავე წლის ნოემბერში სტამბოლში კონფედერაციის საფუძველზე "კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი" შეიქმნა. აქტზე ხელი მოაწერეს ქართველთაგან: მიხეილ წერეთელმა, დავით ვაჩინაძემ, ალექსანდრე ასათიანმა; აზერბაიჯანელთაგან -- ხოსროვ სულთან-ზადემ, აბდულა ალი ემირჯანმა, შეიხულ ისლამ-ზადემ; ჩრდილო კავკასიელთაგან -- ვასან გირეიმ, ჯაბაგიმ (ჩეჩენი), ალიხან კანტემირმა (ოსი), ჰაიტეკ ნამიტოვმა (ჩერქეზი). განიხილავდნენ რა კავკასიას ერთიან გეოგრაფიულ და ეკონომიკურ სივრცედ, მას მშვიდობის გარანტიად და ევროპული სამეურნეო სისტემისათვის სასურველ პარტნიორად მიიჩნევდნენ. 1925 წელს კავკასიის კონფედერაციაში მონაწილეობაზე სომხებმა უარი განაცხადეს. "ოთხთა საბჭო" "სამთა საბჭომ" შეცვალა. ზაფხულში თურქეთში პოლონეთის ელჩის რომან კნოლის ფინანსური დახმარებით კონფედერაციის კომიტეტის 3 წევრი სამუშაოდ კავკასიის საზღვრებისაკენ გაიგზავნა: დ. ვაჩინაძე -- არდაგანში, ა. კანტემირი -- ყარსში, ხ. სულტანოვი -- სპარსეთში. შ. ამირეჯიბი წერდა, რომ კავკასიის კონფედერაციას ორი დიდი ნაკლი ჰქონდა: მასში არ შედიოდნენ ქართველი მენშევიკები და აზერბაიჯანელი მუსავატიელები, ამიტომ პოლონელებმა



ალექსანდრე ასათიანი


მას დახმარება მალე შეუნყეიტეს და მის ნაცვლად ნოე რამიშვილის მონაწილეობით ახალი "კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი" შექმნეს.

1933 წლის მაისში კომიტეტმა კონფედერაციის პაქტის პროექტი შეიმუშავა. იგი 1934 წლის 26 მაისს პარიზში გამართულ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ზეიმზე მსჯელობის საგანი გახდა. "დღეს კავკასიის ყველა ერები იმყოფებიან საბჭოთა კავშირის ჯარების შეუწყნარებელ ბატონობის ქვეშ. ამ განსაცდელმა ჭკუა უნდა ასწავლოს მათ: საჭიროა კავკასიელთა ერთობა. ვინ იცის, ეგებ კავკასიის ბედი სხვაგვარად დატრიალებულიყო, რომ ეს ერთობა განხორციელებული ყოფილიყო 1918 წელს".

1934 წლის 14 ივლისს ბრიუსელში ხელმოწერილი პაქტის 6 პუნქტში კონფედერაციის საფუძვლები იყო ჩამოყალიბებული: "1. კავკასიის კონფედერაცია, უზრუნველყოფს რა შიგნით ეროვნულ ხასიათს და სუვერენიტეტს თითოეულ რესპუბლიკისას, იმოქმედებს საგარეოთ ყველა რესპუბლიკის სახელით, როგორც საერთაშორისო ერთეული უმაღლეს წყობისა. კონფედერაციას ექნება საერთო საზღვარი პოლიტიკური და საბაჟო. 2. კონფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკას წარმართავს სათანადო ორგანოები კონფედერაციისა. 3. კონფედერაციის საზღვართა დაცვა მიენდობა კონფედერაციის არმიას. შემდგარს კონფედერაციაში შემავალ არმიებისაგან. ერთ მთავარსარდლობით, რომელიც ექვემდებარება კონფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს. 4. ყოველივე დავა, რაიცა შეიძლება ატყდეს კონფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა შორის და რომლის მოგვარება პირდაპირი მოლაპარაკების საშუალებით შეუძლებელი აღმოჩნდება, უნდა გადაეცეს სავალდებულო არბიტრაჟს, ან კონფედერაციის უზენაეს სამსჯავროს. კონფედერაციაში შესული რესპუბლიკები კისრულობენ ვალდებულებას უცვლელათ მიიღონ და აღასრულონ მათი ყველა დადგენილებანი. 5. ექსპერტთა კომისია შეიმუშავებს უახლოეს დროში კავკასიის კონფედერაციის კონსტიტუციის პროექტს ზემოთ ჩამოყალიბებულ პრინციპების სახეში მიღებით: ეს პროექტი გახდება ბაზათ თითოეულ რესპუბლიკის პირველ დამფუძნებელ კრების მუშაობისათვის. 6. ამ პაქტში დატოვებულია ადგილი სომხეთის რესპუბლიკისათვის". პაქტს ხელს აწერდნენ: აზერბაიჯნის ყოფილი ეროვნული საბჭოსა და ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე ემინ რასულ ზადე,

მთავრობის ყოფილი და დელეგაციის თავმჯდომარე ალი მარ-
დან თოფჩიბაში, ჩრდილო კავკასიელები: გირი სუნში, იბრაჰიმ
ჩულიკი, ტურსულთან შახმანი, საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის და ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე ნ. ჟორდა-
ნია, სრულუფლებიანი მინისტრი ა. ჩხენკელი. პაქტის წევრებმა
კავკასიური საბჭო და მისი აღმასრულებელი ორგანო "პრეზიდ-
იუმი:" აირჩიეს, რომელსაც კავკასიელ ერთა ეროვნულ-გან-
მათავისუფლებელი ბრძოლისათვის ხელმძღვანელობა უნდა
გაენია. კონფერენციაზე ერთხმად მიიღეს 10 თეზისი და 4 პუნ-
ქტად ჩამოყალიბებული მიზანი, რომელიც ითვალისწინებდა სა-
ბჭოს მიერ რუსული საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ კავკასი-
ის ხალხების მომზადებას, მათი დამოუკიდებლობის აღდგენას
და გაერთიანებას კონფედერაციაში, რისთვისაც მას სხვა და-
მონებული ხალხების ორგანიზაციებთან კავშირი უნდა დაემ-
ყარებინა. ბრძოლის გზად საბჭო მშვიდობიან აქციებსა და საერ-
თაშორისო არბიტრაჟს მიიჩნევდა. საკუთარ ძალებზე, თანამ-
გრძნობებსა და მხარდამჭერებზე დაყრდნობით, საბჭო თავისი
ხალხების ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკას გაატარებდა.

1936 წელს კავკასის კონფედერაციის სექტემბრის სესიამ მიიღო
აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის, საქართველოს, თურქესტა-
ნისა და უკრაინის წარმომადგენელთა მოხსენება, რომელიც 25
სექტემბერს ერთა ლიგის მე-17 სხდომის თავმჯდომარეს საავე-
დრა ლამასს წარუდგინეს. მასში ხაზგასმული იყო ის გარემოება,
რომ შეუძლებელი იქნებოდა აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობის
შენარჩუნება, თუ სსრ კავშირის მიერ დაჩაგრული ერების ინ-
ტერესები დაცული არ იქნებოდა. 28 სექტემბერს კავკასიის



დოკუმენტთა კრებული
კავკასიის ეროვნული წინააღმდეგობის ფრონტი

დელეგაციის სახელით ლამასს მემორან-
დუმში და პაქტი გადაეცა. მემორანდუმს
ხელს აწერდნენ: აზერბაიჯანის დელეგ-
აციის თავმჯდომარე მირ იაკუბი, ჩრდილო
კავკასიის ყოფილი მთავრობის წევრი შა-
ხმანი, საქართველოს ყოფილი ელჩი სა-
ფრანგეთში აკ. ჩხენკელი. პაქტს გამოეხ-
მაურა ევროპული, აგრეთვე ეროვნულ უმ-
ცირესობათა უცხოეთში გამომავალი ფრა-
ნგული, თურქული, მანჯურიის რუსულ-
პოლონური, იაპონური, აგრეთვე, "რუსეთის
ჩაგრულ ხალხთა" პრესა: უკრაინის ნაციო-
ნალური მთავრობის ოფიციალური გაზეთი

“ტრიზუმი”; დამოუკიდებელ ყაზახთა ორგანო “კაზაკია”; დამოუკიდებელი კალმიკების “ცაგან ოვსი დოლგანი”; ფინეთში, ფინურ ენაზე გამოძვალა “სვობოდნაია კარელია ი ინგრია”; ყირიმის ეროვნული მოძრაობის “ემელ მუკმუაზი”, რომელიც რუმინეთში გამოდიოდა; “იდელ ურალის” - “იანა მილი”; თურქესტანის “იაშ თურქესტანი”. როგორც ქართველი მიმომხილველები აღნიშნავენ: “პაქტს მტრულად მხოლოდ ყველა მიმართულების რუსული ემიგრანტული პრესა შეხვდა; განსაკუთრებით კი რუსი მენშევიკების ორგანო “სოციალისტიჩესკი ვესტნიკ”.

კავკასიის კონფედერაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ანალოგიურ ორგანიზაციებთან, რასაც კავკასიელ ხალხთა თუ რუსულ ენებზე გამოცემული მრავალრიცხოვანი პერიოდული გამოცემები და წიგნები ადასტურებს. შეიქმნა “კავკასიის შემსწავლელი საზოგადოებები”, რომელზეც ლექცია-მოსხენებებს კითხულობდნენ და კავკასიის ერთობას აგიტაციას უწევდნენ. კონფედერაციაში ამ დროს სომხები არ იყვნენ შესული, თუმცა ქართველთა მცდელობით 1933 წელს შეიქმნა “სომხურ-ქართული კავშირი (უნიონი)”. 1935 წლის მარტში ჟურნალი “დამოუკიდებელი საქართველო” წერდა: “ამ ეროვნულ ორგანიზაციათა რიცხვში ჩვენ ვერ ვხედავთ, სამწუხაროთ, როგორც ივლისში, სომხეთის ორგანიზაციას. კავკასია ოთხ რესპუბლიკისგან შესდგება, საბჭოში კი სამი რესპუბლიკა შედის! გამოდის, თითქოს კავკასიას არ შეძლებია თავის ოთხივე ფუძეზედ დგომა, და ეს ჩვენი საერთო უბედურების 15 წლის შემდეგაც! გვახსოვს, როგორ დავინწყეთ 1918 წელს კავკასიის შენება, მაშინაც გვაკლდა ერთი ფუძე, დავაარსეთ ამიერკავკასიის ფედერაცია. განსხვავება ისაა, რომ მაშინ გვაკლდა მთა, დღეს გვაკლია სომხეთი, ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ დაბეჯითებით, რათა ახლად დაარსებულმა კავკასიის საბჭომ და მისმა პრეზიდენტმა არ დაკარგონ არც ერთი წუთი და დაუყოვნებლივ გამართონ მოლაპარაკება სომხების ორგანიზაციასთან და შეავსონ ის ცარიელი ადგილი, რომელიც დატოვებულია მისთვის ივლისის პაქტში”. პაქტს თავს დაესხა სომხური პრესა, რომელთა შორის განსაკუთრებით გაზეთი “ბირლიკი” და დაშნაკთა ორგანო “უსაბერი” აქტიურობდნენ. მათ პასუხი ქართველებმა გასცეს და მე-6 პუნქტზე მიუთითეს. სომხეთის განცალკევებული პოლიტიკა კავკასიელთა განმათავისუფლებელ ბრძოლას დიდხანს აბრკოლებდა. კავკასიელთა

და სსრ კავშირის ჩაგრულ ხალხთა ერთიანობამ და თანამშრომლობამ კი თავი დიდი განსაცდელის უამს . II მსოფლიო ომის წლებში იჩინა, როცა მათ რიგებში სომხებიც აღმოჩნდნენ.

კავკასიის კონფედერაციის გარდა, კავკასიელთა ბრძოლას გიორგი გვაზავას ინიციატივითა და პროფესორ სმალსტოცკის თავკაცობით 1925 წელს ვარშავაში დაარსებული ე.წ. "პრომეთეს (ამირანის) კლუბიც" ხელმძღვანელობდა. პოლონეთში ამგვარი ორგანიზაციის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შალვა ამირეჯიბი ემიგრანტებს ორ ჯგუფად სწორედ პოლონეთის მაგალითზე ჰყოფდა: ისინი, ვინც თავისი პროფესიით მოეწყვნენ და ისინი, ვინც თავს ფიზიკური შრომით ირჩენდნენ. მათ შორის ბევრი იყვნენ სხვადასხვა "პოლიტიკანები", რომლებსაც საქართველოდან წამოყვით არა დამოუკიდებელი საქართველოს რომანტიზმი, არამედ ქართული ხელისუფლების რომანტიზმი. მათ ისეთი საქართველოს რომანტიზმი წამოყვით, სადაც ისინი მინისტრები და დირექტორები იქნებოდნენ. ეს ხალხი ემიგრაციას ყველგან ორად ყოფდა, მაგრამ ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი პოლონეთში იყო, სადაც ერთ მხარეს ქართველი მხედრები იყვნენ, მეორე მხარეს დანარჩენი ლტოლვილები, მათ შორის კი წყალს ეს "პოლიტიკანები" ამღვრევდნენ. ემიგრაციის გასაერთიანებლად და შესაკავშირებლად დიდ საქმიანობას ეწეოდა ვარშავის ქართული კოლონია და "პრომეთეს კლუბი". თავდაპირველად კლუბში 3 კავკასიელი ერი -- ქართველები, აზერბაიჯანელები და ჩრდილოკავკასიელები გაერთიანდნენ, შემდეგ უკრაინელები და თურქესტანელები დაემატნენ. იყო ეროვნული სექციები, რომლებიც საკუთარ ეროვნულთან ერთად, საერთო ინტერესებსაც არ ივიწყებდნენ. 1926-1939 წლებში ვარშავაში ფრანგულ ენაზე, გ. გვაზავას რედაქტორობით უფრნალი "პრომეთე" გამოდიოდა. ამ უფრნალის გარდა, ერთიანობის, ერთა სოლიდარობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროპაგანდას ეწეოდნენ ადგილობრივი პრესით, კრებებით, მიტინგებით, კულტურული და სხვა სახის ღონისძიებებით. ერთი წლის შემდეგ ქალთა განყოფილება დაარსდა, რომელმაც კლუბში შემავალი ერების ქალები გააერთიანა. როცა ერთა



გიორგი გვაზავა

ლიგაში რუსეთის მიღების საკითხი დადგა, "პრომეთემ" ყველა საბჭოთა ჩაგრული ერის გამოსარჩლება ითავა, "პრომეთეს ფრონტად" გაფორმდა და 1934 წლიდან მოყოლებული ერთა ლიგის სხდომებს დასაბუთებულ ნოტებს, მემუარებს სისტემატურად უდგენდა და 53 სახელმწიფოს "დამონებულ ერთა ჭირ-ვარამსა და ბრძოლას" ახსენებდა. როგორც ემიგრანტები წერდნენ, ამის წყალობით რუსეთს ერთა ლიგაში შესვლა "უკანა კარიდან ხოხვით" მოუწია. 1935-36 წლებში "პრომეთემ" უკვე კავკასიის კონფედერაციის საბჭოს სახელით კავკასიელთა პრობლემა ერთა ლიგას არაერთხელ შეახსენა და კავკასიის ბრძოლაზე და მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ვრცელი მემუარი გადასცა.

"პრომეთეს" საქმიანობა არა მარტო პოლონეთის, არამედ მთელი ევროპის ყურადღებას იპყრობდა, რაც კარგად ჩანს პრესის იმ მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებიდან, რომელთა ნაწილს შემდეგ თარგმნიდნენ და ჟურნალ "პრომეთეში" ბეჭდავენ. 1927 წლის ივნისში მოენყო "ფრანგულ-კავკასიურ-უკრაინული მანიფესტაცია", 9 ივნისს - დიდი ბანკეტი, რომელსაც 150 გამოჩენილი პოლიტიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე დაესწრო. ყველა მიესალმა "შავი ზღვის ბლოკს" ლენინის თავმჯდომარეობით და საქართველოზე სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ვიცე-პრეზიდენტის რეინალდის მოხსენება მოისმინეს. 1933 წლის 27 მაისს კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გამოცხადების 15 წლისთავთან დაკავშირებით, "პრომეთემ" მოანყო კონფერენცია "აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის და საქართველოს ეროვნულ მოძრაობათა ერთიანობა". 1934 წლის 15 სექტემბერს ვარშავაში კონფედერაციის 10 წლისთავზე ქართულმა კომიტეტმა პოლონეთში კავკასიურ კოლონიათა წარმომადგენლები მიიწვია. დაესწრო კოლონიათა უმეტესობა: ჩრდილოკავკასიელები გირეი სუნშის, აზერბაიჯანელები -- მირზა ბალას, უკრაინელთა - კოვალსკის, ქართველები კოტე იმნაძის ხელმძღვანელობით, აგრეთვე პოლონელები, მათ შორის გაზეთ "ვსხოდის" (აღმოსავლეთი) რედაქტორი ბონჩკოვსკი. კ. იმნაძემ პოლონურად ისაუბრა და აღნიშნა, რომ ვერც ერთი ერი ვერ შეძლებს მარტო გათავისუფლებას, რომ კავკასია, უკრაინა და თურქესტანი დამოუკიდებლობისათვის სხვა ერებთან ერთად უნდა იბრძოდეს. სიტყვით გამოვიდნენ: მირზა ბალა, ბილატი, კოვალსკი და ხარბინის "პრომეთეს" სახელით პოლონელი ვ.პელეცი. 1935 წლის 1 ივნისს კავკასიის დამოუკიდებლობის დღე

იზიემეს. 1936 წლის ზაფხულში ელზა ოქემკოვას სახელობის მწერლობა-ხელოვნების მეგობართა საზოგადოებამ საღამო გამართა, რომელიც მთლიანად საქართველოს მიუძღვნა. პოლონურ გაზეთებში საქართველოზე ნიკო ნაკაშიძისა და სტანისლავ ზიშიაქის წერილები დაიბეჭდა. პოლონურმა პრესამ კი, როგორც ყოველთვის, საქართველო და ქართველები ძალზე თბილად მოიხსენია.

1937 წლის 24 მაისს ჰენრი მარტენის დარბაზში აზერბაიჯანის ცენტრის თავმჯდომარე რასულ-ზადეს ხელმძღვანელობით ჩატარებულ სხდომაზე საქართველოს ეროვნული ცენტრის სახელით ა. ჩხენკელი გამოვიდა, აზერბაიჯანის - მირ იაკუბი, ჩრდილო კავკასიის - ჩულიკი, კაზაკების - ბოლი, პარიზის უკრაინული კოლონიის სახელით თავმჯდომარე მ. ერემიევი. ნაიკითხეს უკრაინის და სომხეთის დელეგაციების, "კავკასიის მეგობართა საზოგადოების" მისალოცი წერილები. სხდომის მონაწილეთა ნაწილი შემდეგ უკრაინის ეროვნული გმირის სიმონ პეტლურას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე გაეშურა. 27 მაისს აღმოსავლურად გაფორმებულ "La Marquise de Sevigni"-ს დარბაზში, რომელშიც კავკასიელ ერთა მხატვრული ნიმუშები იყო გამოფენილი, თავი მოიყარეს კავკასიელებმა, უკრაინელებმა და თურქესტანელებმა. კავკასიის საბჭოს სახელით სიტყვით ნ. ჟორდანია გამოვიდა. მერე საუბარი ჩაიზე გაგრძელდა. ნასიამოვნები საზოგადოება 7 საათზე დაიშალა. 28 მაისს აღმოსავლეთის ინსტიტუტის დარბაზში კავკასიის კონფედერაციის ეგიდით, ქართული კომიტეტის თავმჯდომარის კოტე იმნაძის, მთიელთა წარმომადგენლის ბაიტუგანის და აზერბაიჯანის ალი-ბეის ხელმძღვანელობით კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის 20 წლისთავი აღინიშნა. პრეზიდენტში მათთან ერთად სენატორი სედლიცკიც იჯდა. სიტყვით გამოვიდნენ: აიაზ ბეი (ურალი), იბრაჰიმ ოთარი (ყირიმი), პოლონეთში უკრაინელთა კომიტეტის თავმჯდომარე კოვალსკი. მოხსენება კავკასიის ერთა გამათავისუფლებელ ბრძოლაზე ნაიკითხა ბილატიმ. შემდეგ ოპერისა და თეატრის მსახიობებმა მუსიკალურ-ლიტერატურული ნომრები შეასრულეს. დღესასწაულს კავკასიისა და საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად პოლონელი მეგობრებიც დაესწრნენ. შემდეგ თავმჯდომარე სედლიცკიმ



გიორგი ნაკაშიძე

გორგი ნაკაშიძე (ურალი), იბრაჰიმ ოთარი (ყირიმი), პოლონეთში უკრაინელთა კომიტეტის თავმჯდომარე კოვალსკი. მოხსენება კავკასიის ერთა გამათავისუფლებელ ბრძოლაზე ნაიკითხა ბილატიმ. შემდეგ ოპერისა და თეატრის მსახიობებმა მუსიკალურ-ლიტერატურული ნომრები შეასრულეს. დღესასწაულს კავკასიისა და საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად პოლონელი მეგობრებიც დაესწრნენ. შემდეგ თავმჯდომარე სედლიცკიმ

დამსწრე საზოგადოება ჩაიზე მიიწვია.

პოლიტიკურის გარდა, "პრომეთე" დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა, მიზნად ისახავდა ჩაგრულ ერთა მისწრაფებათა ფართოდ გავრცელებას, მათი წარსულის, ანმეოს გაცნობას და საგმირო საქმეების გახმაურებას, ყველა ქვეყანაში, განურჩევლად რეჟიმისა, რაც შეიძლება მეტი თანამგრძობისა და მეგობრის მოპოვებას. "პრომეთეს კლუბი" მალე დაარსდა ფინეთში, 1934 წელს ხარბინში, 1939 წელს კი - პარიზში, რომელსაც სსრკ შემადგენლობაში მყოფი ერების ემიგრანტთა შორის ფართო კულტურულ-იდეოლოგიური მუშაობა უნდა წამოეწყო. იუწყებოდნენ, რომ კლუბს ექნებოდა სამეცნიერო, მუსიკალურ-ლიტერატურული და სასპორტო სექციები. ჩაატარებდნენ საღამოებსა და ლექციებს. განაცხადის მიხედვით, 5 მარტს პირველ სხდომაზე ალექსანდრე ასათიანი გამგეობის სახელით შეკრებილთ კლუბის მიზნებსა და გეგმებს გააცნობდა, ნ. კოვალსკაია უკრაინის საკითხზე ისაუბრებდა, მაგრამ კლუბმა პარიზში ველარ მოასწრო თავისი საქმიანობის გაშლა, რადგან II მსოფლიო ომი დაიწყო.

ამრიგად, ემიგრაციის პირველი წლებიდანვე ახალი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები შეიქმნა: წამყვანი პოლიტიკური პარტიების საზღვარგარეთული ბიუროები და მათი ადგილობრივი წარმომადგენლობები, "ინტერპარტიული საზღვარგარეთის ბიურო", საერთო ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები: "სტამბოლის პოლიტიკური კომისია" და მასთან არსებული "სამხედრო კომისია", "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", "კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი", "კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი", "პრომეთეს ფრონტი", რომლებმაც წმინდა პოლიტიკურის გარდა, სამხედრო, ეკონომიკური და დიდი კულტუროლოგიური მისიაც შეასრულეს კავკასიელების, საბჭოთა კავშირის მიერ დამონებული ხალხების პრობლემებისა და სხვა საჭირბოროტო საკითხების გასახმაურებლად.

თავი IX

ქართული ერთეული დაბაზმულობა

ემიგრაციაში ბრძოლის გასაგრძელებლად თავდაპირველად მოხერხდა საერთო ფრონტში და ეროვნულ ცენტრში ყველა პოლიტიკური ძალის გაერთიანება. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ გაერთიანება კიდევ უფრო აქტუალური გახდა, თუმცა მარცხის გამო ურთიერთბრალდებები კარგა ხანს გაგრძელდა. 1925 წელს შეიქმნა საერთო ფრონტი, რომელშიც სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები შედიოდნენ. უმთავრესად მასში ყოფილი მთავრობის წევრები გაერთიანდნენ, თუმცა ბევრი მათგანი ვერ მოხვდა, ამიტომ წინააღმდეგობა თავიდანვე დაჰყვა ამ ორგანიზაციას. ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მცდელობის ჩაშლის, 1933 წელს საფრანგეთის მიერ სსრ კავშირის ცნობის, პარიზში მთავრობის ლეგაციის გაუქმების შემდეგ, საერთაშორისო ძალისხმევით საქართველოს დახსნის იმედების გაცრუებას ეროვნული ალიანსის დაშლა მოჰყვა. დაიშალა წამყვანი ქართული პოლიტიკური პარტიებიც. "სხიველები" ნოე რამიშვილის მეთაურობით, სოციალ-დემოკრატებს ადრევე გამოეყვნენ, განზე იდგა ირაკლი წერეთელიც. ყველაზე მეტად დაშლა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას შეეხო, რომელიც სპირიდონ კედიას, გიორგი გვაზავას და ალექსანდრე ასათიანის ჯგუფებად დაიყო. შ. ამირეჯიბი, ზ. ავალიშვილი, გ. კვინიტაძე, რ. გაბაშვილი უურნალ "კავკასიის" გარშემო შემოკრებილ ე.წ. "ბამატის ჯგუფში" შედიოდნენ. მენშევიკებთან თანამშრომლობდნენ: ფედერალისტები სამსონ ფირცხალავას, ესერები ილია ნუცუბიძისა და ივანე გობეჩიას მეთაურობით და ეროვნულ-დემოკრატთაგან გვაზავა-ზურაბიშვილის ჯგუფი. შეიქმნა ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატთა, ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაციები. მრავალრიცხოვან პერიოდულ გამოცემებში კარგად ჩანს მათ შორის არსებული შეუთანხმებლობა და ხშირად მწვავე ურთიერთდაპირისპირებულობა.

გაუთავებელი პარტიული პოლემიკითა და კინკლაობით თავგაბეზრებული ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა ახალი ზეპარტიული პატრიოტული ორგანიზაცია "თეთრი გიორგი" დააარსა, რომლის შესახებაც გურამ შარაძის წიგნის "უცხოეთის

ცის ქვეშ" III ტომში და მონოგრაფიაში "ამერიკელი ქართველები" დაწვრილებით არის საუბარი.

შალვა ბერიძე მოგვითხრობს, როგორ შეიკრიბა პარიზში 1924 წლის სექტემბერში 5 ქართველი და პატრიოტთა ლიგის შექმნის საკითხი დასვა. თვლიდნენ რა საქართველოს ლტოლვილ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას უუნაროდ, საჭიროდ მიიჩნიეს ახალგაზრდებს პოლიტიკური ორგანიზაცია შეექმნათ, რომელიც არასოციალისტური იქნებოდა. ორგანიზაციას თავდაპირველად "მომავალი" დაარქვეს. 1924 წელს 1 ნოემბრისთვის მასში უკვე 10 წევრია: შ. ბერიძე, მ. კედეა, კ. სალია, ე. პატარიძე, კ. კობახიძე, დ. მხეიძე და სხვები. ორგანიზაცია თანდათან გაიზარდა და შეკრებებიც რეგულარული გახდა. 1925 წლის 10 იანვარს გამოქვეყნებულ მის "10 მცნებას" საფუძველად მუსოლინის "10 მცნება" დაუდეს. ამ დოკუმენტით ორგანიზაცია გამოდიოდა ერის პარტიული დაყოფის წინააღმდეგ, საქართველოს გათავისუფლების, მისი ტერიტორიული მთლიანობის, ერის ინტერესების დაცვის მონოდებით:

"1. საქართველო არის ერი და მისი ტერიტორია. მას აქვს მოპოვებული საუკუნეებით დამოუკიდებლობის უფლება და მის დამოუკიდებლობას "მომავალი" ეცდება ყოველივე გზით. 2. საქართველო არის სახელმწიფო ქართველებისაგან შემდგარი



ღარაჯმულთმა "თეთრი გიორგის" წევრები. პარიზი, 20-იანი წლები

და მათ შორის სიძულვილის თევსას, სამოქალაქო ომს, რასაც ხელს უწყობენ სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიები, "მომავალი" გაუნწევს წინააღმდეგობას ყოველივე სახსარით. 3. "მომავალი" უარჰყოფს ყოველგვარი პოლიტიკური პარტიების დამლუპველ ცდების შესაძლებლობას საქართველოს ტერიტორიაზე და ყოველთვის შეებრძოლება ასეთი ცდების გატარებას საქართველოში. 4. "მომავალი" ეცდება დაუმკვიდროს საქართველოს მისი ისტორიული ტრადიციები, განამტკიცოს წესრიგი და ამნაირად შეადულოს მისი დიდი წარსული ერის ბრწყინვალე მომავალთან. 5. "მომავალი" ეცდება განამტკიცოს ერში სულიერი სიმდიდრე, გააძლიეროს ერის არსებობისათვის აუცილებელი დარგები, რომ ერმა შესძლოს საქართველოს განთავისუფლება და ტერიტორიის დაცვა საკუთარი ძალებით. "მომავალი" ყოველთვის დაჰგმობს "კუჭის" მსახურებას, რაც ასუსტებს ერის განვითარებას. 6. "მომავალი" სდგას ყოველივე პარტიის გარეშე და მისი დევიზია: შრომა, დისციპლინა, პროგრესი, თავდაცვა. 7. "მომავალს" განზრახული აქვს ეროვნული ინტერესების დაცვა, ის განწირულია მისთვის და ჰგმობს სამუდამოდ პირად ანგარიშს. 8. "მომავალი" ეცდება დაიცვას საქართველო, როგორც გარეშე, ისე შინაგან მტრებისაგან. 9. საქართველო რელიგიაა "მომავლისათვის" და სამშობლოსათვის თავგანწირვა სავალდებულოა ყოველივე მისი წევრისათვის. 10. "მომავალი" არის თავისუფალი, უწმინდესი შეფიცვა, უტყუარის პატრიოტიზმით აღჭურვილი და საქართველო სამლოცველო დიდებაა მისთვის".

მალე "მომავალს" სახელი შეუცვალეს და 1925 წლის 24 ოქტომბერს "თეთრი გიორგი" უწოდეს. როგორც კალისტრატე სალია შენიშნავდა, იდეა და სახელწოდება ჯერ კიდევ 1922 წელს ჩასახულა მეტეხის ციხეში. უკვე მეტეხის ციხეში მღეროდნენ პატრიოტები "თეთრი გიორგის" საგალობელს:

“თეთრი გიორგი ქართველ ერს
მიუძღვის აბჯრის ჟღრიალით,
ჩვენც შევუერთდეთ მამაცებს
სამფერი დროშის ფრიალით.
ერთად წავიდეთ ბრძოლაში
ჩავლენოთ ციხის კარები
საქართველოდან აღვგაოთ
ციც ჩრდილოეთის ჯარები”.

“თეთრი გიორგის” პირველ კრებას დაესწრო და მიესალმა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად, ის გახდა ორგანიზაციის სულიერი ბელადი. თეთრგიორგელთა შეკრებების დროს, ოთახის კედლებს სწორედ მათი ფოტოები ამშვენებდა.

1925 წლის ნოემბერში, როცა გენერალი ლეო კერესელიძე სპარსეთიდან ჩამოვიდა, ორგანიზაცია 40 წევრს ითვლიდა. იგი მთავარ მდივნად აირჩიეს. კერესელიძემ გააფართოვა და მძლავრ ორგანიზაციად აქცია “თეთრი გიორგი”, რომელიც პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ანტიბოლშევიკურ ბლოკში ყველა ქართველის გაერთიანებას ცდილობდა. ამ პერიოდიდან იწყება “თეთრი გიორგის” მოძრაობაში ახალი ეტაპი, რომელიც ლ. კერესელიძის სახელს უკავშირდება. ორგანიზაციას ჰქონდა ჰიმნი და ლერბი აღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგალიებიდან. დროშა — თეთრი, “შავ-შინდისფერი ალმით შემოვლებული”, ოქროსფერი ასოებით შესრულებული დევზით: “საქართველო უწინარეს ყოვლისა”. სახელად შეირჩა ძველი ნარმართობისდორინდელი მთავარი ღვთაების, მთვარის ღვთაების სახელი, რომლის ადგილი ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, გველეშაპის გამგმირავმა წმ.გიორგიმ დაიკავა. იდეოლოგიური საფუძველი იყო — ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნა კლასთა სოლიდარობის ნიადაგზე. “ჩვენი მიზანია: სუვერენული, მთლიანი ძლიერი საქართველო. 1. ერის განთავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან.



ღარაზმუღლმა “თეთრი გიორგის” წევრები. პარიზი. 30-იანი წლები

2. საქართველოს მთლიანობის აღდგენა. 3. ბრძოლა რუსული ენის, აზროვნებისა და ყოველგვარი რუსულის ბატონობის წინააღმდეგ. 4. საქართველოს განმენდა მისდამი მტრულათ განწყობილი ელემენტებისაგან. 5. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დაცვა მომავალში აჭრელებისაგან. 6. ეროვნული ქონებისა და სამეურნეო ასპარეზის დაცვა ქართველთათვის. 7. ქართველი ერის ფიზიკური, სულიერი და გონებრივი გაჯანსაღება. 8. ქართული აზროვნების განთავისუფლება იმ მიუხვდომელ ფანტასტიურ ოცნებათაგან, რომელნიც შლიან ეროვნული ძალების მთლიანობასა და თანამშრომლობას და ვერ ეგუებიან ნაციონალურ სახელმწიფოს იდეას. აი, ის, ჭეშმარიტად დიადი იდეა, რომლისთვისაც თავს ინირავს პატრიოტული ახალგაზრდობა "თეთრი გიორგი". იგი სულიერი მემკვიდრეა მათი, ვინც ათასი წლობით იცავდნენ და ქმნიდნენ საქართველოს ძლიერებას. ის დაუმკვიდრებს საქართველოს მის ისტორიულ ტრადიციებს, განამტკიცებს წესრიგს და შეადულაბებს ერის აწყობ-მომავალს მის დიდებულ წარსულთან",- ასეა ჩამოყალიბებული დარაზმულობის მიზნები საპროგრამო დოკუმენტში.

1925 წლის 15 ივნისს მიღებული დამფუძნებელი კრების დეკლარაციით, "საქართველოში ყველა ბატონობს, გარდა ქართველებისა, საქართველოში ყველაფერი კეთდება, გარდა ქართულისა, საქართველო ყველაფერია, გარდა საქართველოსი", რომ საქართველოს გათავისუფლება მხოლოდ ბრძოლითა და თავგანწირვით მიიღწევა. სახელმწიფოს მართვის ფორმად, პირველ ხანებში, პარტიულის ნაცვლად ეროვნული დიქტატურა იყო მიჩნეული, შემდეგ - პარლამენტური რესპუბლიკა. პარლამენტში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ყველა ფენა თანაბარი ხმებით ე.წ. კორპორატიულ-სინდიკალური წარმომადგენლობა - ე.ი. ეროვნული სახელმწიფო ეროვნული სუვერენიტეტით. ლ. კერესელიძე უარყოფდა რა წარმავალ ღირებულებებს, უმთავრეს ადგილს ანიჭებდა ერის მარადიულობას: "ჟამთა წამხდრობისაგან წარმოშობილ იდეებს, როგორიც არის დემოკრატიული და სოციალისტური იდეები, ჟამნივე წარიღებენ თან, ხოლო უკვდავი სინამდვილე ერი რჩება და განაგრძობს თავის ცხოვრებას და ბრძოლას არსებობისათვის", რადგან "ერი მხოლოდ დღევანდელი არსებობით და მის წევრთა დღევანდელი რიცხვით არ განისაზღვრება. ერი საუკუნიდან საუკუნემდე გაბმული განუწყვეტელი ჯაჭვია". "ერი წმინდათა წმინდაა,

ყველა დანარჩენი მას უნდა ენირებოდეს, მარადიულს პიროვნებები, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ფორმები და სახელმწიფო წყობილებები", - ასე ჩამოაყალიბა ერის მნიშვნელობა "თეთრგოვრული" მოძრაობისათვის ორგანიზაციის იდეოლოგმა ალექსანდრე მანველიშვილმა.

"თეთრი გოვრის" იდეოლოგიის დაცვისას, ალ. მანველიშვილს მოუწია პასუხის გაცემა როგორც სოციალისტების, ასევე ნაციონალისტების ბრალდებებზე: "თუ მემარჯვენეობა იმას ნიშნავს რომ იყო პატრიოტი, იცავდეთ საკუთარ მინა-წყალს, ოჯახს, საკუთრებას, ეროვნულ ტრადიციებს და კულტურას - ჩვენ მემარჯვენეები ვართ. თუ მემარცხენეობა იმას ნიშნავს, რომ დავიცვათ ერში სოციალური და ეკონომიური სამართლიანობა, რომ ერის ყველა ფენა სარგებლობდეს ერთნაირი უფლებებით და აღჭურვილი იყოს ერის წინაშე ერთნაირი მოვალეობებით -- ჩვენ მემარცხენეები ვართ. ხოლო თუ მემარჯვენეობას გავიგებთ ამა თუ იმ კასტის ბატონობას ერის წიაღში, ან კაპიტალის მბრძანებლობას შრომასა და მშრომელი კლასებისადმი, მაშინ ჩვენ ვერ ვიქნებით მემარჯვენეები. თუ მემარცხენეობას გავიგებთ, როგორც მისწრაფებას სოციალური რევოლუციისადმი, ანარქიის, ნგრევის, ახალი კლასების გაბატონებას ოდესღაც ნაბატონებ ფენებზე, მოსპობას ეროვნულ ღირებულებათა, ოჯახის, საკუთრების და ადამიანების გადაქცევას მსოფლიო პროლეტარიატის განყენებულ ინტერესების ტიკინად - ჩვენ ვერ ვიქნებით მემარცხენეები".

ხაზს უსვამდა რა საქართველოს გათავისუფლების აუცილებლობას სოციალისტური სენისგან, ეროვნულ ერთიანობას და კლასთა სოლიდარობის მიღწევას, ლ. კერესელიძე აღნიშნავდა, რომ "საჭიროა დღესვე ქართველი ხალხი საკუთარ ფეხზე დადგეს ე.ი. ეროვნული იდეოლოგიის გარშემო დაირაზმოს და შეეჯგუფდეს, რათა ყოველივე ისტორიულ მომენტს დაუხვდეს მზათ მთელი თავისი ეროვნული შეგნებით".

საზოგადოების მხარდაჭერა კარგად გამოჩნდა 1929 წლის 8 თებერვალს თ. დადიანის ხელმძღვანელობით ჩატარებულ "თეთრი გოვრის" საღამოზე. საღამოს დიასახლისები იყვნენ: აშილ მიურატის დედა და მეუღლე სალომე დადიანი და მაგდა მიურატი, მადამ ამირალ დიუ მენილ, მადამ შუიუ და კოკე, დაესწრნენ: ა. ჩხენკელი, კონტეს დე მორენა, ქ-ნი ნირატი-კერე, მის მეად სმიტი, მარკიზი გალიფე, ინგლისის ყოფილი კომისარი საქართველოში სტოქსი, კონტ სკრიჟისკი, კონტ შალულოვა,


ბარონ დე ფრიმენსკრეგი და სხვები. სტუმრები ალტაცებაში მოიყვანა აშილ მიურატის ჩოხამ, ე-ნ დავრიშაშვილ-პაპუაშვილის, ვაჩნაძის, ჩხენკელის ქართულმა კაბებმა და ლექსურმა. სალამოს ორგანიზატორებმა ფინანსისტ გრიგოლ ბერიძეს დახმარებისათვის მადლობა გადაუხადეს.

ორგანიზაციის ფილიალები, ე.წ. "თეთრი გიორგის" რაზმები ჩამოყალიბდა საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქსა და ბერლინში. პარიზის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი სოშო-ოდენკურის "რაზმი" იყო.

1926-1936 წლებში გამოდიოდა გაზეთი "თეთრი გიორგი". სულ გამოვიდა 106 ნომერი. 1926-1930 წლებში გაზეთს რედაქცია ანერდა ხელს, 1930-34 წლებში მიხაკო წერეთელი. ბერლინის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მინვევის შემდეგ იგი ბერლინში გადავიდა საცხოვრებლად, გაზეთის რედაქტორი კი ლ. კერესელიძე გახდა. თავისი გაზეთი ჰქონდა ბერლინის ორგანიზაციასაც, რომლის 1930 წლის №3 მთლიანად მიქძღვნა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნას. 1934 წელს "თეთრი გიორგის" პარალელურად, პარიზში გამოდიოდა გაზეთი "მომავალი" აღ. მანველიძის რედაქტორობით, რომელიც ორგანიზაციას გამოეყო და თავიდანვე ოპოზიციური გახდა.

1935 წელს "გეორგიანულ" მოძრაობას შეუერთდა "ორნატის ჯგუფი", რომელმაც სახელწოდება ჟურნალ "ორნატისგან" მიიღო. მას სათავეში ცნობილი მწერალი, მეცნიერი, რუსთველოლოგი და ჟურნალისტი ვიკტორ ნოზაძე ედგა. იგი, იმავე დროს, გაზეთ "თეთრი გიორგის" რედაქტორიც გახდა.

1936 წელს ორგანიზაციაში განხეთქილება მოხდა. IV ყრილობამ ხელმძღვანელობიდან დაუსწრებლად გადააყენა ლეო კერესელიძე და მის ნაცვლად შალვა მალლაკელიძე აირჩია. პარიზში დაბრუნებულმა კერესელიძემ, მიხაკო წერეთლისა და თავისი მომხრეების აქტიური მხარდაჭერით, ხელმძღვანელობა დაიბრუნა, ახალმა ყრილობამ კი "ორნატის" ჯგუფი მოძრაობიდან გარიცხა და ნოზაძე გაზეთის რედაქტორობასაც ჩამოაშორა.



გაზეთი „თეთრი გიორგი“

ეს ქართული კინკლაობა და ურთიერთბრძოლა მსოფლიოში მიმდინარე დიდმნიშვნელოვანი მოვლენების ფონზე ვითარდებოდა: 1933 წელს ევროპულ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაში ახალი ეტაპი იწყება; იტალიის ხელისუფლებაში მოსულმა მემარჯვენეებმა თავიანთ პარტიას "ფაშისტური" უწოდეს. ძველი რომის კონსულთა ძალაუფლებისა და დასჯის სიმბოლო "ფასცია" ტყავის ქამრით შეკრული წკეპლების კონა, რომელშიც ცული იყო ჩარჭობილი, XX საუკუნეში იტალიელმა ბენიტო მუსოლინიმ ერის ტოტალური კონსოლიდაციისა და გაერთიანების აღმნიშვნელ სახელწოდებად "ფაშიოდ" აქცია. ფაშიზმმა ევროპის რიგ ქვეყნებში მემარცხენე სოციალიზმის გავრცელების საწინააღმდეგო ბარიერის შესრულება და მოძალეებული "წითელი ჭირის" წინააღმდეგ ერის გაერთიანება მართლაც მოახერხა.

1933 წელს გერმანიის ხელისუფლებაში სოციალიზმის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები, ნაციონალ-სოციალისტები მოვიდნენ. I მსოფლიო ომში დამარცხებული, ევრსალ-ვაშინგტონის სისტემით ხელფეხშეკრული, რეპარაციებით, კონტრიბუციით დაბეგრული, ეკონომიკურად და მორალურად წელში გატეხილი გერმანია, რა თქმა უნდა, ქართველი პატრიოტებისათვის დასაყრდენი ვერ გახდებოდა, თუმცა I მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბებული ქართულ-გერმანული ურთიერთობების წყალობით, ომში დამარცხების შემდეგაც, პროგერმანული განწყობა ქართველთა შორის საკმაოდ ძლიერი იყო. პატრიოტული გრძნობების წინ წამოწევით და რევანშიზმით, ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად, ნაციზმმა გერმანიაში კატალიზატორის როლი შეასრულა. ეკონომიკურმა აღმავლობამ და ანტიკომუნიზმმა ევროპულ პოლიტიკაში გერმანიის როლი მკვეთრად გაზარდა.

ქართული ემიგრაცია მიმდინარე მოვლენებს თვალს ყურადღებით ადევნებდა. გერმანიის მიმართ სიმპათიებმა თავი ხელახლა მას შემდეგ იჩინა, რაც ესპანელ ფალანგისტთა მხარეზე, გენერალ ფრანკოს დასახმარებლად, წითელი ინტერბრიგადების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მან იტალიასთან ერთად მიიღო. ქართველთა ნაწილმა რუსეთის იმპერიულიზმის წინააღმდეგ ერთადერთი რეალური მებრძოლი ძალა კვლავ გერმანიის სახით დაინახა, ფაშიზმის სახით კი ბოლშევიზმის მესაფლავე იდეოლოგია. ალბათ, ეს გახდა იმის მიზეზი, რომ 1937-1939 წლებში პარიზში შ. მალლაკელიძის

ხელმძღვანელობით "ქართული ფაშისტური დარაზმულობა" შეიქმნა. 1937 წელს დაიბეჭდა პატარა ბროშურა "საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა დებულებანი მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის", რომლის წინასიტყვაობას "ჩვენი მიზნებისათვის" ხელს ვ. ნოზაძე აწერდა, დებულებებს - დარაზმულობის ხელმძღვანელი შ. მაღლაკელიძე.

შესავალში ვ.ნოზაძე განმარტავს მიზანს, რისთვის იბრძვის საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა: ეს არის "თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო აგებული თანამედროვე პრინციპებითა და დაკავშირებული ერის ბრწყინვალე წარსულთან. თანამედროვე ეროვნული პრინციპები გამოსახულია ფაშიზმსა და ნაციონალ-სოციალიზმში; ეს არის ჩვენი პროგრამის საძირკველი და შენობა". იქვე, ნოზაძე მომავალ დამოუკიდებელ სახელმწიფო მონყობასაც განსაზღვრავს. ეს არის კონსტიტუციური მონარქია, რომლის საკანონმდებლო ორგანო "დარბაზი" კორპორაციულ პრინციპზეა აგებული. "ქართველი ერის წარსული, საქართველოს სამეფო და მისი ძირითადი მომავალი - თავისუფალი საქართველო. შეერთებული დღევანდელით - შედუღებებულია თანამედროვე ინტეგრალური ნაციონალიზმით - ფაშიზმისა და ნაციონალ-სოციალიზმის პრინციპებით. ამგვარად, მოხდა ქართული ისტორიის, წარსულის დაკავშირება დღევანდელი საშუალებით მომავალთან. წარსულიდან ჩვენ ვღებულობთ საქართველოს სამეფოს, როგორც ერის თავს, ერის უზენაესობის მუდმივ გამომხატველსა და მატარებელს და დარბაზს, როგორც ერის გამოსახულებას მთლიანად, თანადროულად, ამქრულ (კორპორაციულ) ნიადაგზე (კორპორაციული პარლამენტი)". ნოზაძე ასევე განმარტავს, რომ: "სამეფოს აღდგენა სრულიადაც არ ნიშნავს ნოდებრიობის აღიარებას, როგორც უფლებრივი კატეგორიისა, ვინაიდან ქართული ფაშისტური სამეფო დაიცავს იმ პრინციპს, რომელიც მისი არსებითი მხარეა: რომ ყველა ქართველი თანასწორ-უფლებიანი და თანასწორ-მოვალეობიანია".

14 მუხლში, რომლებშიც ნანილობრივ გამეორებულია "მომავლის" და "თეთრი გიორგის" დებულებები და ამჟამად ეტყობა ვ. ნოზაძის სტილი, ჩამოყალიბებულია



შოთა მაღლაკელიძე

საპროგრამო დებულებები. "ჩვენი ყიჟინაა: -- 1. საქართველო უწინარეს ყოვლისა! 2. საქ. ფაშისტური დარაზმულობის უახლოესი მიზანია: -- საქართველოს განთავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან. 3. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საქ. ფაშისტ. დარაზ. მხარს უჭერს და უკავშირდება ყველა იმ ძალას, რომელიც რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული. 4. დარაზმულობის უახლოესი მიზანია: განთავისუფლებული საქართველო შეიქნას ეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც დამყარებული იქნება ეროვნული ერთობის საძირკველზე და განმსჭვალული ქართული ეროვნული სულის ბრწყინვალე ტრადიციებითა და ქართული ისტორიის იდეალებით. 5. ყველა თანასწორ-უფლებიანი და თანასწორ-მოვალეობიანია. 6. ქართველი ერის სიმდიდრე და მასაზრდოებელი მიწაა; მიწა უნდა მიეკუთვნოს მხოლოდ მიწათმოქმედს. 7. მრენველობა უნდა განვითარდეს მისი შესაძლებლობის ფარგლებში და შრომასა და კაპიტალს შორის უნდა დამყარდეს თანამშრომლობა ურთიერთ ინტერესთა დაცვით. 8. საქართველო არის სამეფო. ეროვნული მთავრობა დაყრდნობილი დარბაზზე ითანამშრომლებს მეფესთან. დარბაზი შედგენილია ეკონომიურ და კულტურულ დარგთა წარმომადგენელთაგან. 9. ეროვნულ თავდაცვისათვის მონყობილ იქმნას ჯარი თანამედროვე დებულებათა მიხედვით და დადებულ იქნას სახელმწიფოებთან სათანადო კავშირი. 10. უნდა აღდგეს ქართული კერა და დაცული იქმნას ქართული მოდგმა. 11. აღდგენილი და დაცული უნდა იქმნას სარწმუნოება. 12. ეროვნული განათლებისა და საერთოდ ქვეყნის კეთილმონყობისათვის უნდა განხორციელებულ იქმნას ყოველი ზომა კულტურისა და ცივილიზაციის უმაღლეს დონემდე ქართველი ერის ასაყვანად. 13. საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის მთავარი მიზანია: დიდი და დიადი საქართველო. 14. საქართველო .. კავკასია ერთი მთლიანობაა და კავკასიის ერთა მჭიდრო კავშირი აუცილებლობაა".

მიზნებში მითითებულია აგრეთვე, რომ დარაზმულობა ყველა ანტირუსულ და ანტიბოლშევიკურ ძალას უკავშირდება; რომ მიწის ყიდვის უფლება მხოლოდ ქართველებს და აფხაზებს უნდა ჰქონდეთ; საქართველომ უნდა დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები შესაძლებლობის ფარგლებში; საქართველოს, როგორც კავკასიის ნაწილს, კავკასიის ხალხებთან ახლო მეგობრობა უნდა ჰქონდეს.


ამ ბროშურამ მთელ ქართულ ემიგრაციაში დიდი ხმაური გამოიწვია. დარაზმულობას თავს დაესხნენ როგორც სოციალისტები, ასევე, ნაციონალისტები. განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა პოლემიკა ბამატის ჯგუფთან, რაც კარგად ჩანს ქართველ ფაშისტთა სქელტანიანი ჟურნალის "ქართლოსის" სტატიებიდან, რომელიც ვ. ნოზაძის რედაქტორობით 1937-1939 წლებში გამოდიოდა. ჟურნალში თანამშრომლობდნენ როგორც დარაზმულობის წევრები შ. მალლაკელიძე, გ. მალლაკელიძე, კ. სალია, კ. დადიანი, დ. მარჯანიშვილი, ს. ბერეჟიანი, ასევე სხვა პარტიების წარმომადგენლები - ე. თაყაიშვილი, გ. ჟურული, ან პარტიულობიდან შორს მდგომი პიროვნებები - გრ. რობაქიძე, გ. ყიფიანი, თ. პაპავა, ი. გახოკიძე და სხვები. სულ გამოვიდა 23 ნომერი 9 ჟურნალად, რომლებსაც ძალზე აცოცხლებს ფოტოები, ილუსტრაციები და პოეტ სიმონიკა ბერეჟიანის გონებამახვილური შარჟები. მაგალითად, ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ნომერი გაბაშვილისეული პორტრეტით იხსნება, შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი - ზიჩის ნახატებითაა ილუსტრირებული. ყოველ ნომერში შავი შრიფტით მეორდება საპროგრამო დებულებები, რომლებსაც ვ. ნოზაძისაგან რეფრენი აქვს დამატებული - "საქართველომ კვლავ უნდა შეასრულოს რუსთაველი".

წერილში, "მონარქია და ფაშიზმი" ვ. ნოზაძე განმარტავს მონარქიზმის არსს, მიმოიხილავს აბსოლუტური, შეზღუდული, კონსტიტუციური და პარლამენტური მონარქიის ფორმებს, ხსნის მონარქიის და ფაშიზმის ცნებას და წერს: "მონარქი არის სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფალი; ფაშისტური სახელმწიფო არის იგივე ერი და მათი დაშორება შეუძლებელია; ერი და სახელმწიფო - ერთიდაიგივეა, ამიტომაც მეფე არის ერის უზენაესობის გამომხატველი და მისი სრულყოფილების მატარებელი. იმის თქმა, რომ ფაშიზმი და მონარქიზმი ერთმანეთს არ უთავსდება, არის თუ უვიცობა არა, უდიდესი შეცდომა მაინც, რადგან სინამდვილეში ფაშიზმიც და მონარქიზმიც არსებობს ერთად,



მარცხნიდან: სიმონი ბერეჟიანი, ვახტანგ ნოზაძე, დავით მარჯანიშვილი და მალლაკელიძე

გაერთიანებულად და მძლავრად... იტალიაში, სადაც ამ ფაშისტურ იდეოლოგიის აკვანში, ქვეყანაში, სტატუტის ძალით, მხოლოდ ერთადერთი მეფეა სუვერენი და მის წინაშეა პასუხისმგებელი მთავრობის მეთაური, დუჩე". მონარქიის იდეაზე ვ.ნოზაძე სტატიების გარდა, 1937 წელს ლექციებისც საუბრობდა.



როგორც ვხედავთ, საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა ფაშისტებმა, რომლებიც გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმს აღიარებდენ, სახელმწიფო მონყობაზე იტალიელ ფაშისტთა შეხედ-

ულებები გაიზიარეს. რუსეთის მიერ XIX საუკუნეში ძალადობით შეწყვეტილი ქართული მონარქიის აღდგენის საკითხი დასვეს (სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის რესტავრაციის გარეშე). მონარქია, როგორც ერის ერთიანობის სიმბოლო, მათთვის ეროვნულ კონსოლიდაციასა და კორპორაციულ სახელმწიფოზე დამყარებული. ინტეგრალური ნაციონალიზმისა და ეკლესიის აღდგენის იდეა მათ იტალიელი ფაშისტებისაგან აიღეს, მაგრამ გერმანული ნაციზმი და რასიზმი უარყვეს. მათი დევიზი - "საქართველო უწინარეს ყოვლისა" სწორედ ამაზე მიუთითებს, თუმცა სიტყვები "ყველაზე მაღლა" კურტ ვესელის გერმანისადმი მიძღვნილი სიმღერიდან მათ პირდაპირ შეედძლოთ გადმოეტანათ, რომელიც სრულიად სხვა შინაარსის მატარებელია. ისინი საქართველოს სიყვარულს აყენებდნენ ყველაზე წინ და არა ყველაზე მაღლა არ ამტკიცებდნენ ქართველი ერის გამორჩეულობას და განსაკუთრებულობას, როგორც ამას ნაციისტები აკეთებდნენ. "ფაშიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი, ეს დღევანდელი ევროპული ნაციონალიზმია, თითოეული ერისათვის თავისი და თავისებური, ქართველი ერისთვის თავისი, თავისებური და საკუთარი უნდა იყოს", - შენიშნავდა ვ. ნოზაძე. ამის შესახებ კიდევ უფრო გარკვევით წერდა კალისტრატე სალია: "მართალია, ჩვენ ფაშისტები ვართ, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვინდოდეს უცვლელად იტალიური ფაშიზმი ან გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი გადავიტანოთ საქართველოში... მომავალი ქართული სახელმწიფოს ფუძედ იქნება ჩვენი ისტორია და საუკუნეთა განმავლობაში ქართული გენიით დაგროვილი კულტურა... ჩვენი დარაზმულობის მიზანია... ქართულ ფაშიზ-

მზე დამყარებული, ჩვენი ისტორიის საუკეთესო ტრადიციათა და იდეალთა მატარებელი საქართველოს სამეფოს აღდგენა".

ქართველი მონარქო-ფაშისტების ნაწერებში მონარქიის რესტავრაციის გზები მითითებული არ არის, არ არის დასახელებული დინასტია და არც ის, თუ ვინ უნდოდათ მეფედ: "ვინ იქნება საქართველოს მეფე?". სვამდა კითხვას ნიკოლოზ დადიანი და ზოგადი მსჯელობის შემდეგ ასევე, ზოგადად პასუხობდა: "მეფე იქნება ის, ვინც ხუთმეტ საუკუნოვან საქართველოს სამეფოს გვირგვინს შემოაცლის 130 წლის მტვერსა და ჟანგს; ვინც თავისი "კაცური", მეფური თვისებებით და ღირსებებით, ერს აღმოათქმევინებს გულის სიღრმიდან გულწრფელად; გაუმარჯოს ჩვენს მეფესო! აი, ის იქნება მომავალი მეფე საქართველოსა".

მაინც ვინ უნდოდათ ფაშისტებს საქართველოს მეფედ?

თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი წარსულთან მიბრუნებას ქადაგებდნენ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბაგრატიონთა რესტავრაციას ცდილობდნენ. ვფიქრობთ, კანდიდატიც შერჩეული ჰყავდათ -- საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი. მისი მამა გიორგი ბაგრატიონი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყოფილი მარშალი, მუხრან-ბატონების უფროსი შტოს პირდაპირი



კალისტრატე სალია

შთამომავალი იყო, დედა ელენე ზლოტნიცკაია ქსნის ბაგრატიონთა გვარს ეკუთვნოდა. ირაკლი ბატონიშვილის ტიტულს ატარებდა და ყველა უფლება ჰქონდა შენარჩუნებული. საქართველოს მომავალი მეფე ევროპის უმაღლეს წრეებთან ახლო ურთიერთობაში იყო და საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა. ჩვენს ვარაუდს ამაგრებს ერთი პასაჟი შ. მალლაკელიძის მოგონებებიდან, რომელიც ომის პერიოდს შეეხება: "ირაკლი და მისი მეუღლე მენვიენ გერმანიაში და არმიასთან ერთად გამომყვენენ ჩერნიგოვამდე, ქართველებში ხმა გავარდა ბაგრატიონთა გამეფება უნდაო". ეს ხმები კი მის მონარქისტულ წარსულთან იყო დაკავშირებული. როგორც ჩანს, საზოგადოებამ კარგად იცოდა, მონარქისტებს საქართველოს მეფედ შეგულებული ვინ ჰყავდათ.

ხაზგასასმელია ის, რომ ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა ორგანიზაციულად არც გერმანულ ნაციონალ-სოციალისტურ და არც იტალიელ ფაშისტთა პარტიაში არ შესულა. როგორც ჩანს, მათთვის ფაშიზმი მხოლოდ ეროვნულ კონსოლიდაციასთან და კორპორატიზმთან იყო გაიგივებული, რომელთა შემოღებითაც პარტიული დაყოფის აღმოფხვრას ცდილობდნენ. პატრიოტული მოტივებისა და უდავოდ კეთილშობილური მიზნების მიუხედავად, ქართველ ფაშისტთა დებულებებს უტოპიზმისა და ერთგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობის ბეჭედი აზის, რაც შემდეგ ისტორიამ და ცხოვრებამაც დაადასტურა.




ორჯული მაგრატიონ-მუსხაწული
მამასთან და უფროს ვაჟთან ერთად

ქართველი ფაშისტების აქტიური თანამშრომლობა გერმანელ ან იტალიელ ფაშისტებთან არ ჩანს, მაგრამ უფროსად "ქართლოსის" №2-ში ჩართულ "სამხედრო ფურცელში" ესპანეთიდან გამოგზავნილი ფრიდონ ნულუკიძისა და ალექსანდრე ამილახვრის წერილებით ირკვევა, რომ ფრანკისტთა შორის, "წითელი ინტერბრიგადების" წინააღმდეგ ქართველებიც იბრძოდნენ. "რა მოხდა აქ! ერთი ნაწილი ერისა უარს ამბობს თავის ეროვნულ ცხოვრებაზე, თავის სახელოვან ისტორიაზე; ითვისებს ინტერნაციონალურ ანტიეროვნულ პროგრამას, ეძებს დახმარებას სხვა ქვეყნებში და უცხადებს ბრძოლას თავის ერს, თავის სამშობლოს, რომელიც ერთგული დარჩა ეროვნული იდეებისა და სახელმწიფო მთლიანობისა! ამ პროგრამით დაარსდა ე.წ. სახალხო ფრონტი, და მას დაუპირისპირდა შემდეგ, ეროვნული, სამშობლოს დამცველი და მხსნელი ეროვნული ფრონტი. აღიმართა ერთი მხრივ წითელი დროშები - ნიშანი სისხლისღვრისა და სახელმწიფოს განადგურებისა მარქს-ლენინ-სტალინის სურათებით; მეორე მხრივ ეროვნული დროშები, რომლის ქვეშ საუკუნეთა მანძილზე იყრიდა თავს ისპანეთის ერი!" წერდა ქართული ფაშისტური დარაზმულობის წევრი "სახელოვანი მხედარი და მრავალბრძოლაში გამობრძმედილი" პოლკოვნიკი ფრიდონ ნულუკიძე,

რომელიც ესპანეთში ფალანგისტთა რიგებში 1936 წლის ოქტომბრის დამლევადან 5 თვე იბრძოდა. "მან უკვე მრავალ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და დიდი პატივიც დაიმსახურა", შენიშნავდა "ქართლოსის" მომდევნო ნომერი. როგორ არ ჰგავს ეს სტრიქონები ესპანეთსა და წითელ ბრიგადებზე ერნესტ ჰემინგუეის ჩვენთვის ნაცნობ რომანტიკულ მონათხრობს! იქვე პატარა წერილია "ისპანეთში ბილბაოს მიმართულებით", რომელსაც ხელს კარლისტთა რიგებში მებრძოლი ქართველი მხედარი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ამილახვარი აწერს. "კარლისტთა რიგებში იმყოფება რამდენიმე ქართველი. თუმცა ჩვენს ხაზზე შედარებით მყუდროებაა და მხოლოდ არსებული მდგომარეობის შენახვაა საკმარისი, მაინც შესაძლებელი გახდა ქართველთა თაღის გამოეჩინათ: სამაგალითო სამსახურით და სარდლობის მიერ ისინი უბრალო ჯარისკაცებიდან აყვანილი შეიქმნენ ოფიცერთა ხარისხამდე. რა თქმა უნდა, ეს ქართველი მხედრები წარსულში ოფიცრები იყვნენ, მაგრამ მოხალისეთა რიგებში მხოლოდ ჯარისკაცებად ირიცხებოდნენ, როგორც უცხოელნი... ჩვენ, ქართველები, ამჟამად კარლისტების რიგებში მყოფნი, ბედნიერი ვართ, რომ გვეძლევა საშუალება, თუნდაც აქ, ისპანეთში, ნავარის მთებში, ჩვენი სამშობლოს დამაქცევარ იდეის მატარებელთა ვებრძოლოთ. შორს არ უნდა დარჩეს ის დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების ზარიც დაჰკრავს. ამ დროისათვის გვსურს და ვიქნებით ქართველ ერთან ერთად მებრძოლთა პირველ რიგებში". ფრიდონ ნულუკიძისა და ალექსანდრე ამილახვრის ამ სულისკვეთებას ეხმაურება ეროვნულ-დემოკრატიკული ჟურნალი "ახალ ივერიაში" დაბეჭდილი ალ. ცომაიას წერილი: "ფრანკოს გამარჯვება ჩვენთვის დიდად საგულისხმო იმიტომაა, რომ ეს მოსკოვის დამარცხებაა. კომინტერნის ევროპიდან განდევნა და საქართველოს ამოხრებელ კომუნისტებთან მებრძოლი ბანაკის გამაგრებაა. რამდენადაც გაძლიერდებიან მოსკოველ კომუნისტებთან მებრძოლი

ძალები, იმდენად ვუახლოვდებით საქართველოს განთავისუფლების საათს!".

1939 წლის აგვისტოში სსრკ-გერმანიას შორის დადებული "რიბენტროპ-



ქართლული „ქართლოსი“

მოლოტოვის პაქტმა" ქართველ ფაშისტებს გერმანიაზე გული აუყარა. მათ დარაზმულობა დაშალეს და ჟურნალის ბოლო ნომერიც 1939 წელს დაბეჭდეს, მაგრამ 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების შემდეგ სამშობლოს გამოხსნის იმედი ქართველებს კვლავ ჩაესახათ. მოქმედ გერმანულ არმიასა და ეროვნულ ბატალიონებში სხვა ემიგრანტებთან ერთად დარაზმულობის ყოფილი წევრებიც ჩაენერნენ, რათა სამშობლოს გათავისუფლებაში მონაწილეობა მიეღოთ. მაგრამ ამ ბრძოლაში ისინი ქართველ ფაშისტთა სახელით აღარ გამოდიოდნენ. "ქართული ლეგიონის" ხელმძღვანელი შ. მალლაკელიძე გერმანელებთან თანამშრომლობდა არა როგორც დარაზმულობის მეთაური, არამედ როგორც სამხედრო პირი. ვ. ნოზაძე და კ. სალია "ქართული შტაბის" საქმიანობაში მონაწილეობდნენ, როგორც რიგითი უპარტიო ქართველები.

II მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ნიურნბერგის პროცესმა გერმანელ ფაშისტთა რასისტული და ანტიჰუმანური მოღვაწეობა გამოააშკარავა, ბევრი ქართველისათვის ომის ეს მათთვის უცნობი, საშინელი მხარე, ტრაგიკული აღმოჩნდა. ბევრ მათგანს, ამ თანამშრომლობისთვის და არა მათი "ფაშისტური წარსულისათვის", მათ შორის ვ.ნოზაძეს, ევროპის დატოვება მოუწია და 1949-1962 წლებში სამხრეთ ამერიკაში, არგენტინაში ცხოვრობდა, მაგრამ ქართული საქმის კეთებას არც იქ ნყვებდა. 1952-1953 წლებში ბუენოს-აირესში მისი რედაქტორობით შესანიშნავი ჟურნალი "მამული" გამოდიოდა, იქვე გამოიცა მისი "ვეფხისტყაოსნის" განკითხვების 2 ნიგნიც.

ამრიგად, ახალი პოლიტიკური ორგანიზაციების კვალდაკვალ შეიქმნა პოლიტიკური ხასიათის ახალი ეროვნული დარაზმულობები: "მომავალი", "თეთრი გიორგი", "ქართული ფაშისტური დარაზმულობა". სხვა ორგანიზაციებთან დაპირისპირების მიუხედავად, მათ გარკვეული როლი შეასრულეს ემიგრანტული წრეების შეკავშირებასა და დარაზმვაში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში, საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის განასზღვრაში.

თავი X

ქართული საქველმოქმედო და პრეფესიული ორგანიზაციები

20-30-იან წლებში პოლიტიკური ორგანიზაციებისა და დარაზმულობების გარდა, შეიქმნა ქართული საქველმოქმედო-დამხმარე და პროფესიული გაერთიანებებიც, რომლებმაც ემიგრანტ ქართველთა ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულეს.

1934 წელს უფროსად "დამოუკიდებელი საქართველოში" ჩამოთვლილია საფრანგეთში არსებულ ქართულ ორგანიზაცი-ათა სია: "1. ქლექიან ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოება; 2. უფროსალისტთა საზოგადოება; 3. ქართველ ყოფილ მეომართა ასოციაცია; 4. ქართული მრევლის წარმომადგენლობა; 5. შოფერთა კავშირი; 6. "შევარდენი"; 7. ახალგაზრდული კავშირი". მათ გარდა არსებობდა სტუდენტთა დამხმარე, ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა, მწერალთა, ექიმთა, იუნკერთა კავშირი, ყოფილ მხედართა დარაზმულობა და ა.შ

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული როლი, რომელიც ქართული ემიგრაციის კონსოლიდაციაში წმ. ნინოს სახელობის ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შეასრულა. ქართულ ენაზე მოძღვრის სიტყვასა და ქადაგებას მრევლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ემიგრაციაში იმასაც აღნიშნავდნენ, რომ საჭირო იყო სხვადასხვა საეკლესიო ყრილობებსა და კონფერენციებზე სსრ კავშირის შემადგენლობაში სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველოს ეკლესიის "იურისკონსულტობა ამ ახალ ეკლესიას ეკისრა".

ეკლესიის დაარსება ხანგრძლივი პროცესი იყო: 1928 წელს ეკლესიის მოსაწყობად ელენე აფხაზის, ანასტასია წერეთლის, ზურაბ ავალიშვილის, ილამაზ დადეშქელიანის, იოსებ დადიანის, იოსებ კემულარიას, იაკობ ხოჭოლავას, დავით სხირტლადის, ექვთიმე თაყაიშვილისა და ლევან ზურაბიშვილის შემადგენლობით კომიტეტი შედგა. 21 ოქტომბერს კომიტეტმა მსოფლიო პატრიარქის, უმაღლესი მართლმადიდებელი ავტორიტეტის მფარველობა მიიღო. 1929 წლის 19 აპრილს ქართული ელესიის მოწყობას ეპისტოლეტი ნება დართო კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა ბასილ III-ემ, რომელსაც დასავლეთისა და ჩრდილოეთ ევროპის მართლმადიდებელი ეკლესიები ექვემდებარებოდა. რაფიელ ივანიცკი-ინგილო მიიჩნევდა, რომ

სჯობდა, ანტიოქიის საპატრიარქოსათვის მიემართათ, ვინაი-
დან, ტრადიციულად ქართული ეკლესია უფრო ახლოს ანტიო-
ქიის ეკლესიასთან იყო. 17 სექტემბერს პატრიარქის ნება ეგ-
ზარქოსმა გერმანოსმაც დაადასტურა.

ეკლესიის დაარსებას ხელი დიდად შეუწყო "საქართველოს
მეგობართა ასოციაციამ". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1930
წლის 26 იანვარს წმ. ნინოს პატივსაცემად, კათოლიკური სა-
ზოგადოების ინიციატივით, წირვა გადაიხადეს. მღვდელმა შან-
უან ქენემ წმ. ნინოსა და ქართველი ერის კულტურაზე ისაუბრა.
აუარებელი ხალხი დაესწრო მათივე ინიციატივით 1931 წლის
20 იანვარს პარიზში "Sakre Kior"-ის ტაძარში წმ. ნინოს ხატის
დასვენებას, რომელიც შემდეგ მისი სახელობის ეკლესიაში გა-
დაიტანეს. 1932 წლის 24 მაისს პარიზის ბერძენთა ეკლესიაში
მთავარეპისკოპოსმა გერმანოსმა, ბონის უნივერსიტეტის დო-
ცენტი გრიგოლ ფერაძე მღვდლად აკურთხა და ქართული
კოლონიის დიდი ხნის მუშაობა ეკლესიის დასაფუძნებლად ამით
დასრულდა. 1942 წელს გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში
მონამეობრივ დაღუპვამდე, დეკანოზი გრ. ფერაძე პარიზის წმ.
ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის პირველი მოძღვარი იყო.

1932 წლის შემოდგომაზე მთავარეპისკოპოს გერმანოსის
ნებართვით, გრ. ფერაძე ექსტრაორდინალურ პროფესორად,
ვარშავის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის პატრის-
ტიკის კათედრაზე მიიწვიეს. წელიწადში ორჯერ - საშობაოდ
ერთი თვით და აღდგომამდე სამი კვირით, იგი ლექციების წასაკი-




გრიგოლ ფერაძე

თხად პოლონეთს ეწვეოდა ხოლმე და თა-
ვის მრევლსაც მოინახულებდა. მართლაც,
წლის ბოლოს ფერაძეს, რომელიც ადგილო-
ბრივი გაზეთის მიხედვით - ევროპაში მცხ-
ოვრები ყველა ორთოდოქსალური რწმენის
მიმდევარი ქართველის უმაღლესი სუ-
ლიერი მამა იყო, ჯერ ვარშავაში ქართუ-
ლი სათვისტომო, შემდეგ კრაკოვში 2 ქა-
რთველი ოფიცერი გიგა ტურამვილი და
შალვა ფურცელაძე მოუნახულებია და
ჩარტორიისკების მუზეუმში 11 ქართული
დოკუმენტი აღმოუჩენია.

მალე გრ. ფერაძემ პარიზში დააარსა
ჟურნალი "ჯვარი ვაზისა". ამ ჟურნალის,
ასევე, არაერთ ენაზე არსებული სამეცნი-

ერო-რელიგიური გამოცემებისა და ლექციების საშუალებით ბონისა და ვარშაის უნივერსიტეტების დოცენტი ფერაძე ქართული მართლმადიდებლობისა და ეკლესიის ისტორიას მსოფლიოს აცნობდა, ქართული პრესა კი მრევლს მისი მოღვაწეობის შესახებ ხშირად მოუთხრობდა. მაგალითად, ყურნალი "სამშობლო" საეკლესიო ქრონიკაში იუნჯებოდა, რომ ფერაძე ოქსფორდის უნივერსიტეტში ლექციების ნასაკითხად მიიწვიეს. "თეთრი გიორგი" წერდა, რომ 1932 წელს მას ათონის მთაზე, ბულგარეთსა და რუმინეთში მოგზაურობისას ღრმადმოხუცებული 6 ქართველი ბერი უნახავს და 15 ქართული ხელნაწერის ასლი ჩამოუტანია, შემდეგ კი პარიზის ქართული ასოციაციის გამგეობის მიწვევით ნაუკითხავს მოხსენება "ქართული კულტურის ნაშთები ქრისტიანულ აღმოსავლეთში".

1933 წლის 16 აპრილს პარიზში გრ. ფერაძის თავმჯდომარეობით მართლმადიდებელ ეკლესიათა კრება ჩატარდა, რომელზეც პარიზში არსებული ყველა ერის ეკლესიათა ბერძენთა, რუმინელთა, რუსთა და სხვათა წარმომადგენელი ესწრებოდა. ფერაძემ დამსწრეთ გააცნო მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში (7 მსოფლიო საეკლესიო კრების განმავლობაში) ქართული ეკლესიის დიდი როლი და მდიდარი ქართული საეკლესიო მწერლობა. შემდეგ საქართველოს ეკლესიის შესახებ მოხსენებით ი. დადემქელიანი გამოვიდა. მან გააშუქა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მდგომარეობა მისი დაარსებიდან. დანვრილებით ისაუბრა 1811 წელს რუსების მიერ ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობაზე და ქართული სამღვდელთა დევნაზე. ითქვა ისიც, რომ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ეკლესისათვის მდგომარეობის გაუმჯობესება მოინდომა, მაგრამ ტერიტორიული ავტონომიის მინიჭება უნდოდა და არა ეროვნულის, რაც მართლმადიდებლური მსოფლიო საეკლესიო კანონებით დაგმობილია. კრებას ესწრებოდა დროებითი მთავრობის ყოფილი მინისტრი პროფესორი კარტაშოვი, რომელმაც ეს შეცდომა აღიარა და იმით გაამართლა, რომ მდგომარეობა მაშინ ძალიან მძიმე იყო. კრების ანგარიშის გარდა, "დამოუკიდებელ საქართველოში" პარიზის ეკლესიის 1932 წლის ფინანსური ანგარიშიცაა დაბეჭდილი.



1933 წლის 7 დეკემბერს გ. ფერაძეს ვარშავის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის პატრისტიკის კათედრა ჩააბარეს. პირველ საჯარო ლექციას, სტუდენტების გარდა, განათლების სამინისტროს თანამშრომლები, პოლონეთის ავტოკეფალური (მართლმადიდებელი) ეკლესიის საჭეთმპყრობელი მიტროპოლიტი დიონისე, ეპისკოპოსი საბა, სხვა ფაკულტეტების, უკრაინელ მეცნიერთა, პოლიტიკური წრეების, პოლონეთის საზოგადოებისა და ქართული კოლონიის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. ლექციის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორმა პიენკოვსკიმ დამსწრეთ ფერაძის ბიოგრაფია და შრომები გააცნო, მიესალმა და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა. შემდეგ გრ. ფერაძე კათედრაზე ავიდა, ნდობისათვის რექტორს, მისი სახით კი პოლონეთის საზოგადოებასა და მთავრობას მადლობა გადაუხადა. შესავალ ლექციაში თემაზე: "ოცნება, ამოცანები და მეთოდები პატრისტიკის მართლმადიდებლურ თეოლოგიაში", ლექტორმა ყურადღება ქართულ პატრისტიკაზე გაამახვილა, რომელსაც ბერძნულ-ლათინურთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობოდა. ფერაძის ეს ლექცია შემდეგ პოლონურ, გერმანულ და ქართულ ენებზე ჟურნალში "ჯვარი ვაზისა" დაიბეჭდა. როგორც ლექციის ერთ-ერთი მსმენელი წერდა, საზოგადოებამ ლექცია დიდი ინტერესით მოისმინა და საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა ისე, რომ ოფიციალურმა სტუმრებმა "კოცნითაც კი მიულოცეს"-ო. აღინიშნა ისიც, რომ მოკლე დროში ფერაძეს პოლონური ენა მშვენივრად აუთვისებია. ინფორმაციაში ისიცაა ნათქვამი, რომ უნივერსიტეტში ქართული ენის ლექციების ჩასატარებლად პროფესორი გიორგი ნაკაშიძე იყო მიწვეული. "ვუსურვოთ ორ ქართველს სახელოვნად შეესრულებინოთ თავიანთი მოვალეობანი როგორც პოლონელი, ისე ქართველი ერის წინაშე". 1934 წლის იანვარში გავრცელდა ცნობა, რომ ვარშავის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დაარსებას აპირებდნენ, სადაც პროფესორად ასევე გრ. ფერაძე იქნებოდა მიწვეული. ვარშავის უნივერსიტეტში ფერაძის მოღვაწეობამ და ქართული მრევლის შემოკრებამ ხელი საეკლესიო საქმიანობას შეუწყო. 1938 წელს პოლონეთის ქართველობამ მისი ხელმძღვანელობით მრევლის დასაარსებლად კომისია შექმნა და სათანადო უწყებების თანხმობაც მიიღო.

ქართული საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია პარიზში დაარსებული "სტუდენტთა სალიკვიდაციო და დამხმარე საგანგებო კომიტეტი".

ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიის ემიგრანტული პერიოდის ყველა ეტაპი სათანადოდ შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის. ბევრისთვის უცნობია, რომ დიდი მეცნიერი წლების განმავლობაში ქართველ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

საქართველოს ოკუპაციის დროს, ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, გორი, ოზურგეთი, ზუგდიდი, შორაპანი, ლეჩხუმი, ონი, თელავი, თიანეთი) საზღვარგარეთ სახელმწიფო თუ საკუთარი ხარჯით 200-მდე სტუდენტი სწავლობდა. 1921 წლის 19 იელისს სწორედ მათ დასახმარებლად შეიქმნა "სტუდენტთა სალიკვიდაციო და დამხმარე საგანგებო კომიტეტი". თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილი მიიწვიეს, მდივნად - საქართველოს ლეგაციის პირველი მდივანი სოსიპატრე ასათიანი, წევრებად - სახელმწიფო მინისტრი აკაკი ჩხენკელი და პროფესორი ზურაბ ავალიშვილი. გამგეობები შეიქმნა იმ ქალაქებში, სადაც სტუდენტები სწავლობდნენ. სტუდენტთა გამგეობებს წერილები დაეგზავნა, შედგა სია, სადაც აღწუსებული იყო სტუდენტთა ყველა მონაცემი, რომელთა მიხედვით იმ დროს აგრონომიულ, იურიდიულ, სამედიცინო, ეკონომიურ, კომერციულ, სავაჭრო, საფინანსო, კოოპერაციულ, ელექტროტექნიკურ, ისტორიულ, ფილოსოფიურ, ფილოლოგიურ, სატრანსპორტო, სატყეო, სამშენებლო, ფაკულტეტებზე 97 სტუდენტი სწავლობდა. მათგან - 92 ვაჟი და 5 ქალი: გერმანიაში (ბერლინი, მიუნხენი, მარბურგი, ჰაიდელბერგი, ნიურნბერგი, ფრაიბურგი, ჰალე, ერლაგენი, ტუბინგენი, გოტინგენი, ჰანოვერი, იენა) 34, საფრანგეთში (პარიზი, გრენობლი, მარსელი) 12, ჩეხოსლოვაკიაში (პრაღა, ბრნო) - 43, პოლონეთში (ვარშავა) 5, ბელგიაში (ბრიუსელი) ... 2. სიებში მითითებული იყო სტუდენტის დაბადებისა და საშუალო სასწავლებლის დამთავრების წლები, ადგილი; სად და რომელ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა, რომელი წლიდან, როდის დაამთავრებდა, რა სახსრებით არსებობდა სტიპენდიით, მშობლების დახმარებით თუ საკუთარი შრომითი შემოსავლით. სტუდენტთა მდგომარეობის შესწავლის შემდეგ,

შეიქმნა სტიპენდიაზე წარსადგენ და გაჭირვებულ სტუდენტთა სიები და თანხები გამოიყო. კომისია მათ შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. სასწავლებლების დამთავრების შემდეგ, სტუდენტთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილმა კი ემიგრაციაში დარჩენა ამჯობინა. მათ შორის იყვნენ შემდგომში მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები - ვიკტორ ნოზაძე, კიტა ჩხენკელი, ძმები ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები, ისიდორე მანწკავა, გიორგი გამყრელიძე, სიმონ ბერეჟიანი, ვახტანგ ლამბაშიძე, მიხეილ მუსხელიშვილი, ალექსანდრე ქართველიშვილი, კირილე ვეკუა, ნიკოლოზ ჭუმბურიძე, ბარნაბ გელაზანია, შოთა ნიკოლაძე, კონსტანტინე კობახიძე, გიორგი ჯაყელი, გიორგი ნაკაშიძე, დავით ბერეკაშვილი და სხვები.

ათ წელიწადში ემიგრაციაში ახალი თაობა წამოიზარდა. "ამ მდგომარეობაში ჩვენი მოვალეობაა ემიგრაციის ახალ თაობას მოუწაროთ, წერდა ე. თაყაიშვილი, ის დავაყენოთ ჭეშმარიტ გზაზე, გამოვზარდოთ რამდენიმე პირი მაინც, მივსცეთ მას შესაფერი მომზადება, რომ საქმის გაკეთება შეეძლოს და ღირსეული წარმომადგენელი გახდნენ ერისა და მათი ბედის ხელმძღვანელი. არც ერთს დარგში ჩვენ აქ მომზადებული კაცი არა გვყავს. ჩემი ცთა ყოველთვის ასეთი ახალგაზრდობის მომზადება იყო. იქ საქართველოში მიზნათ გვექონდა ახალგაზრდობის გარუსებისაგან დაგვეცო, პატრიოტულად, ქართველად გაგვენათა. ამას რამდენიმეთ მივალნიეთ, შემთხვევითი არ არის თუ გაიხსენებ, რომ ყველა განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრები ჩვენი სააზნაურო სკოლის შეგირდები იყვნენ, მაგრამ ეს საკმაო არ იყო. პოლიტიკურად დიდი მომზადებული და გამო-



ჩენილი პირები ვერ შევქმენით, უსახსრობის და სხვა მიზეზების გამო. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს, აქ უნდა თავი მოვუყაროთ და გზა მივსცეთ ახალგაზრდებს, მტკიცე ხასიათის პატრონთ, და ყოველ დარგში ვიყოლიოთ საკმაო უაღრესად მომზადებული პირები".

მარტენიდან: გიორგი მაღალაშვილი, ალექსანდრე ნიკურაძე, ბარნაბ გელაზანია, ვიკტორ ნოზაძე, ნიკოლოზ ჭუმბურიძე, 1930 წ. 1 ინფო

საფრანგეთში მყოფმა სტუდენტებმა 1927 წელს მიხეილ ხუნდაძის თავმჯდომარეობით ქართველ სტუდენტთა კულტურულ-აკადემიური კავშირი შექმნეს. საზოგადოების მზრუნველად საქართველოს მეგობართა საზოგადოების გენერალური მდივანი თელიკო კოკე-ნიკოლაძე დაინიშნა. მდივანი ნიკო ურუშაძე იყო. ასეთი კავშირები შემდეგ სხვა ქვეყნებშიც შეიქმნა. სტუდენტთა კავშირის ინიციატივით სხვადასხვა ღონისძიება, შეხვედრები და ლექცია-სალამოები ეწყობოდა. 1928 წლის 9 დეკემბერს სტუდენტთა კავშირმა ქართული საქველმოქმედო კონცერტი-სალამო გამართა, რომელსაც ფრანგები, ამერიკელები და ინგლისელებიც ესწრებოდნენ. საკონცერტო ნაწილმა – მიშელ დარიალის სიმღერამ, გობერჩიას ჭიანურზე დაკვრამ და ლეკურმა სტუმართა აღტაცება გამოიწვია. სალამოს დიასახლისი თ. კოკე-ნიკოლაძე იყო, რომელიც სტუდენტთა დასახმარებლად დაულალავად იღწვოდა. როგორც ინფორმაციის ავტორი აღნიშნავდა, ყველას კარგად ესმოდა, რომ ეს ქართული კულტურის პოპულარიზაცია იყო და რეპერტუარის შერჩევისას დიდი პასუხისმგებლობა უნდა გამოეჩინათ, ამისთვის კი აუცილებელია რეპერტუარის განახლება და გუნდის დაარსებაო. მათ მიუწვევიათ ნ. ჟორდანიას, რომელსაც 1929 წლის 12 მაისს და 17 ნოემბერს “ვეფხისტყაოსანზე” ორი ლექცია ნაუკითხავს.



მიშელ დარიალი
(მიხეილ ნანაიშვილი)

1930 წელს ბოლიო-ვალენტინეში “თეთრგიორგელი” სტუდენტებისაგან შედგა ჯგუფი, რომელმაც მიზნად ქართული ერის წარსულის შესწავლა დაისახა. სისტემატურად იკითხებოდა ლექციები ქართული ენის, ეროვნული პოლიტიკისა და ეკონომიკის ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ.

1932 წლის 12-15 მაისს პოლონეთში სტუდენტთა აღმოსავლურ ასოციაციათა I კონგრესი ჩატარდა, რომელშიც ვარშავის, ვილნოს, კრაკოვის, ლეოპოლისა და პოზნანის პოლონელ სტუდენტთა აღმოსავლური ასოციაციები მონაწილეობდნენ. კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც აზერბაიჯანის, ყირიმის, საქართველოს, ჩრდილო კავკასიის, იდელ-ურალის, ყაზახეთის, “თეთრი რუსეთის”, თურქესტანის, უკრაინის ერთა

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას თანაგრძნობას უცხადებდნენ და ამ ბრძოლაში წარმატებას უსურვებდნენ.

1933 წელს "ლტოლვილთა ოფისის" დირექტორის მოადგილემ, მდიდარმა ქართველმა და უმდიდრესი ქალის ბარბარა ჰატენის ქმარმა, ალექს მდივანმა სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა გადაწყვიტა. კომიტეტმა მას სტუდენტთა სია წარუდგინა. ექვთიმე თაყაიშვილი ამის შესახებ გრიგოლ დიასამიძეს წერდა: "სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა ალექს მდივანის მონვევით მისგან დაარსებულს სასტიპენდიო კომიტეტში და თუ ეს საქმე მან შესძლო და ჯეროვნად დააყენა, დიდი საქმე იქნება. კომიტეტს უკვე ქონდა სხდომა და 72 თხოვნაში ამოარჩია კანდიდატები, რომელნიც შეეფერებოდნენ რეგლამენტს თვით მდივანის დასწრებით და მონაწილეობით შემუშავებულს, ესე იგი წესდებას და წარუდგინა მას ამერიკაში მისი თხოვნის მიერ. სიაში სულ 28 კანდიდატია. ამდენს, რასაკვირველია, სტიპენდიას ვერ მისცემს ჯერჯერობით მაინც, მაგრამ 15-საც რომ დაუნიშნოს, ესეც დიდ საქმედ უნდა ჩაითვალოს. სტიპენდია ჯერხანად მარტო საფრანგეთში მონავლეთათვის არის დანესებული და ამიტომ გერმანელი სტუდენტები სიაში ვერ მოექცნენ, მაგრამ ზოგიერთ პირთათვის, რომელთაც კურსი დაუმთავრებიათ და დოქტორატის თემის დასაწერათ ანუ უკეთესთაგან დასაბეჭდათ თანხა არა აქვთ. ამათთვის ცალკე გამოვითხოვეთ საჭირო ფული, და დამაარსებელზე დამოკიდებული იკისრებს თუ არა (ასეთები გერმანიიდან ოთხი კაცია: ჩხენკელი, გელაზანია, იმნაიშვილი და ნულუკიძის მეუღლე). ამ რიგათ შენი კანდიდატი დიმიტრი კაკაბაძე ჯერჯერობით სიაში ვერ მოხვდება და მომავალში, რა თქმა უნდა, ვიშვამდგომლებთ, საქმე სტიპენდიის დამაარსებელზე იქნება დამოკიდებული".



გიორგი მადადაშვილი

მართლაც, კანდიდატთა შორის 15 სტუდენტი შეირჩა: მიხეილ სტურუა, ლევან ფალავა, შოთა თაქთაქიშვილი, არკადი მამფორია, ალექსანდრე და ივანე ნიკურაძეები, მიხეილ ახმეტელი, ბიძინა სიდამონ-ერისთავი, ლეო მუსხელიშვილი და სხვები. სტიპენდია დაენიშნა გოგი ჭაჭიაშვილსაც, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა სორბონის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულ-

ტეტი და ცნობილი პროფესორის, პაპენისათვის სადოქტორო თემა უნდა ჩაებარებინა. ალექს მდივანი შანხაიშიც ჩავიდა და სტიპენდიები იქ მოსწავლე ხარბინელ ქართველ სტუდენტებსაც დაუნიშნა. 1935 წელს იგი ავტოკატასტროფაში დაიღუპა და სტიპენდიების საქმე ჩაიშალა. კომიტეტს დიდი წვალეა და ხვეუნა-მუდარა უხდებოდა სტუდენტთა დასახმარებლად. დაფინანსება ოჯახების, კერძო პირებისა და მეცენატების საშუალებით ხდებოდა.

II მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ქართველ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტმა არსებობა შეწყვიტა. ექვთიმე თაყაიშვილს კი ქართულ განძეულთან დაკავშირებით მრავალი თავსატეხი გამოუჩნდა.

1929 წლის 3 მარტს პარიზში ქართული ლეგაციის თავმჯდომარის ა. ჩხენკელის ინიციატივით "ტუბერკულოზით (ჭლექით) ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი" დაარსდა. კომიტეტის დაარსებას წინ უძღოდა საზოგადოებისადმი მონოღება, რომ ბოლო 10 წელი ეს დაავადება ქართველთა შორის სწრაფად გავრცელდა, გარდაიცვალნენ ქართველი ახალგაზრდები: მიშა კახიანი, კუკური კეკელიძე, მხატვარი შალვა ქიქოძე, ოფიცერი ჯოტო ემუხვარი, რომ დაავადებულნი მრავალნი არიან და მათზე ზრუნვისათვის საგანგებო ორგანიზაციაა საჭირო. იდეამ ფართო წრეების თანაგრძნობა მალე მოიპოვა. წესდების შედგენაში დიდი როლი უურნალ "ჩვენი დროშის" რედაქტორმა დავით შარაშიძემ შეასრულა. 24 მარტს პარიზის ქართული საზოგადოების კრებაზე გამგეობის თავმჯდომარე ვახტანგ ლამბაშიძემ ახალ გამგეობას და თავმჯდომარეს დავით სხირტლაძეს წინადადებით მიმართა - საავადმყოფოსა და სხვა ურთიერთდამხმარე სალაროებისა თუ საზოგადოებების შექმნაზე ეზრუნათ. მართლაც, ახალი გამგეობა საქმიანობას ენერგიულად შეუდგა. 29 მარტს პარიზის პრეფექტურაში რეგისტრაციაში გატარდა "ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი". საპატიო თავმჯდომარედ აკაკი ჩხენკელი აირჩიეს, თავმჯდომარედ - ელენე აფხაზი, მოადგილეებად ინა ჟორდანიას და დავით სხირტლაძე, მდივნად ანტონ ჟორჯოლიანი,



ვახტანგ ლამბაშიძე

ხაზინადარად ელენე დეკანოზი, წევრებად - სოფიო ბაგრატიონ-მუხრანელი, თამარ ვართჰაუზი, გენერალი გრიგოლ ერისთავი, ექიმი იაკობ ხოჭოლავა. კომიტეტი საფრანგეთის ანალოგიურ საზოგადოებას დაუკავშირდა, ანტიტუბერკულოზის საერთაშორისო კავშირში შევიდა და ემბლემად საერთაშორისო ნითელ ჯვარი აიღო.

საზოგადოებას პირველდანიყებითი თანხა, ფონდი და მუდმივი შემოსავალი არ ჰქონდა. მალე გაირკვა, რომ კომიტეტი საკუთარი სანატორიუმის შენახვას ვერ შეძლებდა. 1929 წლის ოქტომბერში ე.აფხაზის, ი.ჟორდანიას, ს.ბაგრატიონ-მუხრანელის, ე.დეკანოზის, ა.ჟორჟოლიანის, დ.სხირტლადის, დ.ლამბაშიძისა და ი.ხოჭოლაეას ენერგიული მცდელობით სეზონის პირველი საღამო ჩატარდა, რომელმაც საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია და მათი რეგულარული ჩატარება გადაწყდა. 1929 წელს კომიტეტი საღამოდან, კერძო პირთაგან, ქართული ასოციაციისა და მანჯურიამი მცხოვრებ ხარბინელ ქართველთაგან შემოსულმა თანხამ იხსნა. გადაწყდა, წევრად ჩანერა და შენიღბულობების შეგროვება ყველგან ყოფილიყო შესაძლებელი, თუმცა კი კომიტეტი მხოლოდ საფრანგეთში მცხოვრებ ავადმყოფებზე იზრუნებდა, რომელთა რიცხვი 700-კაციან კოლონიაში 15-ს აღწევდა. მართლაც, შენიღბულობები ყველა კუთხიდან დაიძრა. საქართველოს ყოფილმა მთავრობამ კომიტეტს 3.500 ფრანკი გადაურიცხა, თანხები გადარიცხეს: პარიზის, ოდენკურის, პრალის, ვარშავის, ხარბინის, სპარსეთის ქართულმა ასოციაციებმა, სდმპ საზღვარგარეთულმა ბიურომ, კერძო პირებმა - ა. მდივანმა, გ. ბერიძემ, ა. ჯაყელმა, დ. სხირტლადემ, გ. მაჩაბელმა, ქ. აბაშიძემ, ი. ელიგულაშვილმა, ლედი დეტერდინგმა, შ. ქენემ და სხვებმა. მაგრამ შემოსავლის ძირითად წყაროს საქველმოქმედო საღამოები წარმოადგენდა, რომლებსაც ავადმყოფთა სასარგებლოდ, კომიტეტის გარდა სხვა საერთაშორისო თუ ქართული ორგანიზაციები მართავდნენ (მაგალითად, ქართული სათვისტომოს გამგეობა, "საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი", "საქართველოს მეგობართა საზოგადოება", "ყოფილ მეომართა საზოგადოება" და სხვა).

1930 წლის 8 ნოემბერს კომიტეტმა სეზონის პირველი საღამო გამართა, რომელმაც მოგება მოიტანა, პირველ წელს ჩატარებულმა ექვსმა საღამომ 14.000 ფრანკის მოგება. კომიტეტის საანგარიშო კრების სრული ანგარიში, მათ შორის ფინანსური, 1930 წელს პრესაში გამოქვეყნდა. ასეთი ანგარიშები, განცხა-

დებები და მადლობის წერილები, ქველმოქმედთა გვარებითა და შეწირულობების თანხით, 30-იან წლებში თითქმის ყოველ წელს იბეჭდებოდა. რეგულარულად ტარდებოდა საქველმოქმედო ბალები, სალამოები და სხვა ღონისძიებები, რომელთა ანონსები და ანგარიშები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თითქმის II მსოფლიო ომის დანყებამდე გვხვდება.

1937 წლის ბოლოს საზოგადოების გამგეობაში ახალი წევრები შეიყვანეს: ს. ციციშვილი, ნ. იმნაიშვილი, ნ. ზურაბიშვილი, ე. პატარიძე, ვ. ფალავა, თ. ჯაფარიძე და თ. გედევანიშვილი, რომლებიც საქმიანობაში ენერგიულად ჩაერთნენ. გადაწყდა ლტოლვილთა ოფისში მორიგეობის შემოღება, რათა ავადმყოფებისათვის ექიმებისა და საავადმყოფოების შესახებ საჭირო ცნობები მიეწოდებინათ. კომიტეტი მოსახლეობისაგან ნახმარ ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა და საცვლებს აგროვებდა, რადგან მათი შეძენის საშუალება ყოველთვის არ ჰქონდა.

კომიტეტი სხვადასხვა კატეგორიის 40 ავადმყოფს პატრონობდა: აფინანსებდა მათ მკურნალობას სანატორიუმებში, საავადმყოფოებში, ბინაზე; აწვდიდა წამლებს, საკვებს, თანხას მკურნალობისათვის და, რაც მთავარია, მათ მორალურ თანადგომას უწევდა. ნაკლებად შეძლებული ქართველები ავადმყოფებს პროდუქტებით, მედიკამენტებით და საკუთარი შრომით ეხმარებოდნენ. კომიტეტის წევრებს შორის იყვნენ ექიმები: დ. ლამბაშიძე, ი. ხოჭოლავა, ა. ჟორჟოლიანი, ი. ჯღარკავა, ქ-ნი ა. ელიგულაშვილი. ყველა დაავადებულის გადარჩენა არ ხერხდებოდა: 1931 წელს მონაკოს სანატორიუმში გარდაიცვალა სტუდენტი გიორგი ნაცვლიშვილი, 1934 წელს მხატვარი მიხეილ ბილანიშვილი, ახალგაზრდები გრიგოლ კობახიძე და ბიჭიკო ჟღენტი, 1937 წელს - სტუდენტი თევდორე ზარიძე, პიანისტი ვახტანგ გურამიშვილი, "ქართული რაფსოდის" ავტორი, კომპოზიტორი ირაკლი ჯაბადარი, მაგრამ კომიტეტის წევრთა, ქალბატონების: ქ. რატიშვილის, ბ. ჯავრიშვილი-ჰელმის, ეკ. ანთაძის, ბ. რამიშვილის, ნ. გვაზავას, ო. გეგეჭკორის, ნ. გოგუაძის, მ. ჩხენკელის, მ. ელიგულაშვილის, ა. ჩხეიძის, ელ. ჩერქეზიშვილის, მ. ნასყიდაშვილის; ბატონების: ლ. ზურაბიშვილის, ა. ბაგრატიონ-მუხრანელის, კ. კანდელაკის, ა. პაპავას, ს. მაისურაძის, დ. ფერაძის, პ. სარჯველაძის, დ. ამილახვარის, მ. კედიას და სხვათა თავდადება, ყურადღება და ზრუნვა თანამემამულეებზე, ავადმყოფებს ისედაც მარტოობისა და მიუსაფრობის დალით აღბეჭდილ მძიმე ემიგრანტულ ყოფას უიოლებდა.

30-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ქართველ ემიგრანტებსაც მძიმე დარტყმა მიაყენა. ბევრმა სამსახური დაკარგა და ისედაც გაჭირვებული, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა. შედარებით უკეთეს პირობებში იყვნენ გერმანიაში მცხოვრები ქართველები, რომლებიც დახმარებას გერმანელთა თანაბრად იღებდნენ, რითაც მათ არსებობის საშუალება ეძლეოდათ. განსაკუთრებით გაუჭირდა ქართველობას საფრანგეთში, სადაც კრიზისის სიმწვავე ყველაზე მეტად იგრძნობოდა. შოთა ბერეჟიანი ყვებოდა, რომ იმ პერიოდში "პეუოს" ქარხნებში მომუშავე



შოთა ბერეჟიანი

ქართველები ვალენტინე-ოდენკურიდან გერმანიაში წასულან და წაწილს მუშაობა კნუტარის მეტეოროლოგიურ ქარხანაში დაუწყია. ჟურნალ "დამოუკიდებელი საქართველოს" 1931 წლის მე-10 ნომერში მოყვანილია ფაქტები, როგორ ეხმარება გერმანელებსა და სხვა ერის, მათ შორის ქართველ უმუშევრებს ბერლინის თვითმმართველობა, რომელსაც მათთვის, მატერიალურის გარდა, კულტურულ-მორალური დახმარება გაუწევია - ქალაქგარეთ გასეირნება მოუწყვია.

1931 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა მონოდება "ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტის" დაარსების აუცილებლობაზე, რომელიც გაჭირვებულ ქართველებს კრიზისის სიმწვავის განელებაზე დაეხმარებოდა. 1932 წლის 7 იანვარს კერძო ინიციატივით, ქართული ასოციაციის მფარველობით, კომიტეტი ოფიციალურად დაფუძნდა. თავმჯდომარედ აირჩიეს ქ-ნი ბ. პელმი, ხაზინადარად პ. თუმანიშვილი, გამგეობაში ე. აფხაზი, თ. კოკე, ე. მამულაიშვილი, გ. ფერაძე, ა. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ი. დადეშქელიანი, ლ. ზურაბიშვილი, ალ. ასათიანი. დაიბეჭდა განცხადება, რომ ყველა უმუშევარი სარეგისტრაციოდ და ანკეტის შესავსებად ლეგაციაში ან ქართულ სამკითხველოში უნდა გამოცხადებულყო. იქვე გამოქვეყნდა შემომნიშველთა სიაც. საინიციატივო ჯგუფმა კომიტეტს საქმეები და პირველდანიყებითი თანხა, 235 ფრანკი ჩააბარა. რეგისტრაციის მიხედვით, იმ დროს პარიზში 78 უმუშევარი ქართველი იყო. მათგან დახმარებას მხოლოდ 26 იღებდა. აპრილისათვის კომიტეტს უკვე სერიოზული სამუშაო ჰქონდა

ჩატარებული: 14 . სამსახურში მონაყო, 52-ს მისცა 780 სადილი, 18-ს სანოვაგე ბინაზე 188-ჯერ მიუტანა, სანოვაგის უფასოდ და გზის ფულის მისაღებად 20-ს სერთიფიკატი გაუკეთა, 2 საავადმყოფოში მოათავსა და შემდეგ თვენახევრით დასასვენებლად გაუშვა, 10-ს სამედიცინო დახმარება გაუნია. ყველაფერზე კომიტეტის ფონდიდან დაიხარჯა 3872 ფრანკი, 599 კი დარჩა. გულისხმიერებისა და განუული დახმარებისათვის კომიტეტი ყველას დიდ მადლობას უხდოდა. ასეთი ანგარიშები პრესაში რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა. 1933 წელს დახმარება ამერიკიდან . ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოდან მოვიდა.

საზოგადოების ამგვარი ზრუნვის მიუხედავად, განსაკუთრებით ახალგაზრდობას გაუჭირდა. ავადმყოფობასთან ერთად, თვითმკვლევლობისა და დეპრესიის შემთხვევებიც ხშირი იყო. 1934 წლის მარტში "ლტოლვილთა ოფისის" დირექტორი სოსიპატრე ასათიანი "ახალგაზრდული სექციის" დაარსების ინიციატივით გამოვიდა, ყველა არსებულ ორგანიზაციას მოუწოდოდა ახალგაზრდობის გადასარჩენად ყოველმხრივ ეზრუნათ და სექციისათვის დახმარება გაენიათ. 1934 წლის აპრილში დაიბეჭდა მონოგრაფია "უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველთა მიმართ", რომელშიც საუბარი იყო კრიზისის გამო ვითარების დამძიმებაზე, ავადმყოფობების გახშირებაზე, რომლითაც ბევრი დაიღუპა, რომ გახშირდა თვითმკვლევობათა შემთხვევები და საჭიროა ახალგაზრდების დამხმარე ორგანიზაცია ცალკე გამოიყოს, რათა ყველა არსებულმა ქართულმა ორგანიზაციამ თუ კერძო პირმა თავისი წვლილი შეიტანოს. ს.ასათიანის მონოგრაფია ახალგაზრდული სექციის დაარსების თაობაზე მაისში გამოქვეყნდა. იქვეა ანტონ ჟორჟოლიანის მონოგრაფია "მივეშველოთ". ამგვარი მონოგრაფიები მომდევნო თვეშიც განმეორდა. შემოფოთების საფუძველი კი ქართველ ემიგრანტებს ნამდვილად ჰქონდათ, რადგან 5 თვეში 9 ახალგაზრდა დაღუპულა. "სიმპათიური საქმე", - ასე გამოეხმაურა ამ ინიციატივას ჟურნალი "ბრძოლის ხმა". ინიციატივას შედეგი მოჰყვა და პარიზის ქართული ორგანიზაციების გაერთიანებულმა კომიტეტმა შოთა ნიკოლაძის ხელმძღვანე-



სოსიპატრე ასათიანი

ლობით ფულის შეგროვება დაიწყო, რათა ქართველ ახალგაზრდებს უფასო სადილებით, ერთდროული დახმარებითა და სამუშაოზე გაგზავნით მიშველებოდა.

სტუდენტთა, ტუბერკულოზით ავადმყოფთა და უმუშევართა დამხმარე კომიტეტების ერთობლივმა და შეთანხმებულმა საქმიანობამ, მათი წევრების თავდადებულმა შრომამ, სხვა საერთაშორისო თუ ქართული ორგანიზაციების, რიგითი ქართველების თანადგომამ, მატერიალურმა დახმარებამ ამერიკიდან, ხარბინიდან და სხვა ქვეყნებიდან, 30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისისა და დეპრესიის უამს ბევრ ქართველ ემიგრანტს გაუხანგრძლივა და შეუნარჩუნა სიცოცხლე. ამ კომიტეტთა საქმიანობა იყო ემიგრანტ ქართველთა ურთიერთსიყვარულისა და ერთსულოვნების ერთ-ერთი იშვიათი გამოვლინება. დასახმარებელი და ხელგასამართი კი ემიგრანტთა შორის ბევრი იყო.

პოლიტიკური და საქველმოქმედო-დამხმარე საზოგადოებების გარდა, ემიგრაციაში პროფესიულ პრინციპზე დამყარებული გაერთიანებებიც შეიქმნა.



თანჯ ჭურაბიშვილი

1934 წელს იოსებ გობეჩიას ინიციატივით "ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა ასოციაცია" დაარსდა. მიიღეს სტატუტი. თავმჯდომარედ აირჩიეს იოსებ გობეჩია, გამგეობის წევრებად - ივანე ზურაბიშვილი და აპოლონ კობახიძე, მოლარეებად გიორგი ნოზაძე და კონსტანტინე ჟურული, სარევიზიო კომისიაში - სვიმონ ციციშვილი, ტრიფონ ნულაძე. ასოციაციის მიზნები მომხსენებელმა ასე განსაზღვრა: "1. პროფესიული კავშირი უცხოეთში მყოფ ინჟინერთა და იმ პირთა, რომელნიც თავისი პროფესიით არიან ტექნიკოსები; 2. შესწავლა სხვადასხვა მეცნიერული და პრაქ-

ტიკული კითხვებისა; 3. შესწავლა ტექნიკური და ინდუსტრიული განვითარებისა საქართველოში; 4. შესწავლა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების ინდუსტრიული ექსპლუატაციის შესაძლებლობათა; 5. დახმარების აღმოჩენა თავისი წევრებისათვის სამუშაოს შესრულებაში; 6. გამოცემა ტექნიკური პერიოდული ორგანოებისა და წიგნთსაცავის დაარსება; 7. დაახლოვება და ურთ-

იერთობის შექმნა სხვა და სხვა მსგავს უცხოურ საზოგადოებებთან". ახალგაზრდობის დასახმარებლად საინფორმაციო ბიუროს შექმნა გადაწყდა. ამ საკითხებთან დაკავშირებით პირველი მოხსენების მომზადება ი. დადიანს დაეუალა. მომდევნო სხდომაზე 1934 წლის 17 ნოემბერს კ. ჟურულმა წაიკითხა მოხსენება "ქართველი ერი, როგორც მშენებელი". სხდომას ასოციაციის წევრთა გარდა, ქართული სათვისტომოს წევრებიც დაესწრნენ. კამათში გამოვიდნენ: კ. კანდელაკი, ი. სალაყაია, რ. გაბაშვილი, ა. ჩუბინაშვილი. ასეთივე ინტერესი მსმენელებმა 1 დეკემბერს

ტ. ნულაძის მიერ ტელევიზიის შესახებ წაკითხული მოხსენებისადმიც გამოიჩინეს. კ. კაკაბაძემ წაიკითხა მოხსენება "საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა" (მარგანეცის წარმოებაზე), აპოლონ კობახიძემ - საქართველოს ქვანახშირის და ოქრო-ვერცხლის საბადოებზე. 1935 წელს წლიურ კრებაზე ასოციაციის მიერ ჩატარებული სამუშაო, წაკითხული 9 მოხსენება განიხლეს და აპოლონ კობახიძის ხელმძღვანელობით ახალი გამგეობა აირჩიეს, საპატიო თავმჯდომარედ იოსებ და-




დავით ვახტანგ

დიანი დაასახელეს, მდივნად -- არჩილ ზურაბიშვილი, მოლარედ -- გიორგი ნოზაძე, საპატიო წევრებად -- გიორგი ჟურული და იოსებ გობეჩია, სარევიზიო კომისიის წევრებად -- ტარასი ნულაძე, მიხეილ ნასყიდაშვილი. დაადგინეს, რომ ასეთი საზოგადოების არსებობა და მუშაობა ფრიად მნიშვნელოვანია და ახალ გამგეობას საქმიანობის გაფართოება უსურვეს. ემიგრანტი ტექნიკოსები ამ გზით ცდილობდნენ ევროპულ სამეცნიერო აზრზე დაყრდნობით ქართული სინამდვილე შეესწავლათ, რათა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე სპეციალისტთა პროფესიული ზრდისა და მომზადებისათვის ხელი შეეწყოს.

1928 წელს დიმიტრი შალიკაშვილმა "იუნკერთა კავშირი" დააარსა და მის საპატიო თავმჯდომარედ დიდხანს დარჩა. იუნკრები სხვადასხვა დროს უშვებდნენ ჟურნალებს. 1928 წელს ვარშავაში დაიბეჭდა ჟურნალი "მთავრიდა" და 1929 წელს ჟურნალი "მტკვარი". 1929-1938 წლებში პარიზში გამოდიოდა ჟურნალი "მხედარი", 1955 წელს - "ცნობის ფურცელი".

პოლკოვნიკ დავით ვაჩნაძის მეთაურობით პარიზში არსებობდა "ქართველ მხედართა დარაზმულობა". მდივანი იყო მაიორი აკაკი კვიციანიშვილი. დარაზმულობას საფუძველი 1928 წელს 25 თებერვალს "საქართველოს მეგობართა საზოგადოების" კრებაზე ჩაეყარა. 1929 წლის თებერვალში დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გარდაცვალების გამო ერთ-ერთ რუსულ ემიგრანტულ გაზეთში ნეკროლოგი "ქართველ მხედართა" სახელით მოუთავსებიათ, რასაც 10 თებერვალს დავით ვაჩნაძის თავმჯდომარეობით ჩატარებული ქართველ მხედართა კრება გამოეხმაურა. კრებას 17 ოფიცერი ესწრებოდა, 13-მა სხვადასხვა ქალაქიდან მინდობილობები გამოგზავნეს და ეს საქციელი დაგმეს. პორუჩიკმა ლადო მახარაძემ კი საყვედურებით სავსე წერილი გამოაქვეყნა. დარაზმულობის შემდგომ საქმიანობაზე ცნობებს ველარ მივაკვლიეთ – შეიძლება დაიშალა, რადგან მისი წევრები მალე სხვა მსგავს ორგანიზაციაში გამოჩნდნენ.

1933 წლის 8 იანვარს ჩატარდა "ყოფილ ქართველ მეომართა საზოგადოების" დამფუძნებელი კრება, რომელმაც მიიღო წესდება და გამგეობა აირჩია: თავმჯდომარედ – პოლკოვნიკი ვიქტორ ცხაკაია, წევრებად: მაიორები – სოლომონ ზალდასტანიშვილი, დიმიტრი ანანიაშვილი, აკაკი კვიციანიშვილი და ლეიტენანტი მიხეილ დადიანი, სარევიზიო კომისიაში – პოლკოვნიკი ფრიდონ წულუკიძე, ლეიტენანტი სიმონ გოგიბერიძე, ექიმი კობა ხოჭოლავა. საზოგადოების მიზანი იყო ყოფილ ქართველ მეომართა – ოფიცერთა, ჯარისკაცთა და სამხედრო მოსამსახურეთა შეკავშირება, ნივთიერი და მორალური დახმარება, ყველა იმ



რეჟამ გამაშვილი

უფლება-შელავათების მიღწევა, რითაც საფრანგეთის ყოფილი მეომრები სარგებლობდნენ. მასში საქართველოს არმიისა და გვარდიის ყოფილი წევრები, მეომრები უნდა გაერთიანებულიყვნენ. ამ საზოგადოების წევრი აშინლ მიურატიც იყო. 1939 წელს საზოგადოების გამგეობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომ საფრანგეთის კანონების მიხედვით 1934 წელს გაცემულ სანევრო ბარათებს ვადა გაუვიდა. ახლის ასაღებად კი წევრებს უნდა წარედგინათ: ძველი ბარათი, ერთი ფოტოსურათი და 1939 წელს სანევრო გადასახადი 20 ფრანკი (უმუშევ-

რებს - 5 ფრანკი). განცხადებას ხელს თავმჯდომარე ვ. ცხაკაია და მდივანი ა. ზურაბიშვილი აწერდნენ. ამ ორგანიზაციის საქმიანობაზე რამდენიმე ინფორმაცია შეგვხვდა: 1934 წლის აპრილში "ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტთან" ერთად ჩაატარა საქველმოქმედო საღამო, იმავე წლის 19 მაისს და 17 ივნისს საზოგადოების მინვევით მოხსენება რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შექმნილ ვითარებაზე რევაზ გაბაშვილმა წაიკითხა, 1935 წლის 15 ოქტომბერს ვიქტორ ცხაკაიამ - ლექცია ტანკებზე.



გიორგი ჭაჭიაშვილი

"ქართველ ექიმთა კავშირი" 15 ექიმს აერთიანებდა. თავმჯდომარე "პატარა ცემის" დამაარსებელი, ექიმი ვახტანგ ლამბაშიძე იყო, მდივანი - ანტონ ჟორჟოლიანი, კავშირის მიზანი - ევროპის სამეცნიერო წრეებთან და საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ვახტანგ ლამბაშიძე, ანტონ ჟორჟოლიანი და კავშირის წევრები - უროლოგი გიორგი ჭაჭიაშვილი, რადიოლოგი იაკობ ხოჭოლაევა, ქირურგი გიორგი დოლიძე, მარო მახარაშვილი, გიორგი ჭორაშვილი და სხვები ემიგრანტულ წრეებში დიდ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდნენ და უანგარო დახმარებას არამარტო ქართველებს, არამედ კავკასიელებს, თურქესტანელებს და უკრაინელებსაც უწევდნენ, თანამშრომლობდნენ ტუბერკულოზით დაავადებულთა, უმუშევართა, სტუდენტთა დამხმარე და სხვა საქველმოქმედო ქართულ ორგანიზაციებთან.

ქართველ მამაკაცთა უმრავლესობა პარიზში ტაქსის მძღოლებად მუშაობდა. ურთიერთდახმარების მიზნით 1934 წელს სვიმონ ციციშვილის თავმჯდომარეობით მათ "ქართველ შოფერთა კავშირი" შექმნეს. თუმცა შემდეგ ამ ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია აღარ შეგვხვედრია.

"ქართველ ებრაელთა საზოგადოება" ფინანსთა ყოფილი მინისტრის მოადგილის, იოსებ ელიგულაშვილის მეთაურობით II მსოფლიო ომის დროს აქტიურად ამოქმედდა, ქალთა კომიტეტები კი თითქმის ყველა იმ ქალაქში დაარსდა, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ქართველები - პარიზი, ბერლინი, ვარშავა. მათ კულტურულ საქმიანობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

კიდევ ორი საზოგადოება, რომელიც საინტერესოა ემიგრანტთა სოციალური შემადგენლობის თვალსაზრისით. როგორც

შოთა ბერეუიანმა გვიამბო, 1934 წელს პარიზში ერთბაშად ორი "თავადაზნაურთა საკრებულო" დაარსდა, რომლებიც ქართული მონარქიის აღდგენას ფიქრობდნენ. ერთს სათავეში ფრიდონ წულუკიძე ედგა, მეორეს ივანე ვაჩნაძე. მომავალ მეფედ ერთი ჯგუფი მუხრან-ბატონთა წარმომადგენელს - ირაკლი ბაგრატიონს მოიაზრებდა, მეორე - სვიმონ ციციშვილს. ქართული მონარქიის აღდგენის იდეა XX საუკუნეში I მსოფლიო ომის დროს მომწიფდა. 1914-1917 წლებში "დამოუკიდებლობის კომიტეტისა" და გერმანიის იმპერატორის მცდელობა - გერმანული დინასტიით სათავეში საქართველოში მონარქია აღედგინათ (გერმანელი პრინცის იოაჰიმის ქართველ მარინა მაჩაბელზე დაქორწინებით), 1918 წლის 26 მაისს საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ და 11 ნოემბერს გერმანიაში მონარქიის დამხობის გამო ჩაიშალა, მაგრამ მონარქისტული განწყობა, როგორც ჩანს, შემდეგაც არ განელებულა. ეს განწყობა დამოუკიდებლობის დროს საქართველოს სოციალისტურ მთავრობას აფრთხობდა და მონარქისტებზე თვალყურის დევნება არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც დაუნესებია. სტამბოლიდან 1921 წლის 10 თებერვალს ნოე რამიშვილისადმი გამოგზავნილ საიდუმლო წერილიდან ვიგებთ, რომ მონარქისტები, რომელთაც მხარს "კაპიტალისტებიც უჭერდნენ", თავს სტამბოლში, კოკი დადიანის სასაფლაოსა და თენგიზ დადეშქელიანის ბინაში იყრიდნენ, ქართველ მეფესა და გერმანელ პრინცზე ლაპარაკობდნენ, ნაციონალისტურ პოზიციებს იცავდნენ და სოციალ-დემოკრატებს ლანძლავდნენ. წერილს მონარქისტთა სია ერთ-



მარინა მაჩაბელი

ვოდა: კოკი, მერი და ლუარსაბ დადიანები, პავლე მოსულიშვილი, ნიკო ნიჟარაძე, ვასილ ჯორჯაძე, სერგო ყურული, დიმიტრი შალიკაშვილი, ალექო მალალაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, რევაზ გაბაშვილი, ზურაბ ნათაძე, გივი ამილახვარი და სხვები. მონარქისტთა ჯგუფი პარიზელ ემიგრანტთა შორისაც იყო. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ 30-იან წლებში ქართული მონარქიის აღდგენის იდეა კვლავ გერმანიის აღმავლობისა და მისი პოზიციების განმტკიცების შემდეგ დაიბადა და ალბათ, მათ შორის, ვინც თავის

დროზე მხარს გერმანელი პრინციის გამეფებას უჭერდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 1936 წელს პარიზში დაარსებულმა "საქართველოს ფაშისტურმა დარაზმულობამ" ბაგრატიონებით სათავეში ქართული მონარქიის აღდგენის საკითხი დასვა. "დარაზმულობის" ყველაზე შეურიგებელმა ოპონენტმა გაზეთმა "თეთრმა გიორგიმ" მათი ეს პოზიცია გააკრიტიკა: "უკვე რამოდენიმე წელია, რაც პარიზში ფაქტიურად არსებობს ქართველ მონარქისტთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ჯგუფი ფრთხილად და სათუთად ეპყრობა ამ იდეას. უცდიდა ხელსაყრელ დროს და პირობებს იდეის ხალხში გადასასროლად. მემარცხენეებმა მათ დაასწრეს, საქართველო სამეფოდ გამოაცხადეს და ეხლა ეპატიუებიან იმათ, ვინც ეს საკითხი ჩვენს პოლიტიკურ სინამდვილეში პირველად დააყენა და ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში მას თავს დასტრიალებდა. ჩვენ ვშიშობთ, მხოლოდ, რომ ამ თავისთავად საყურადღებო იდეას ზიანი არ მიაყენონ ასეთი ჯიქური მიდგომით. დიდ იდეურ მოძრაობას ხომ დიდი მესაჭენი სჭირდებათ!". იმავე წერილში მითითებულია, რომ 2 წლით ადრე "თეთრგიორგელებს" — ალექსანდრე მანველიშვილსა და კოკი დადიანს შორის კონფლიქტის საბაბი სწორედ თავადაზნაურთა საკრებულოს დაარსება იყო, რომელშიც ეს უკანასკნელი უშუალოდ მონაწილეობდა. "მართალია, ემიგრანტებში სოციალურ განსხვავებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან უმრავლესობა გაჭირვებას განიცდის, მაგრამ იდეურათ, ან უკეთ — ფსიქოლოგიურათ სხვადასხვა წრის წარმომადგენელი, თავისდა უნებურათ დატოვებულ სამშობლოს სათანადო წრეებისამებრ გრძნობენ და აზროვნებენ", — შენიშნავდა ყურნალი "დამოუკიდებელი საქართველო". თავადაზნაურთა საკრებულოთა საქმიანობაზე თითქმის ვერაფრითარი მასალა ვერ მოვიძიეთ, როგორც ჩანს, სოციალდემოკრატთა დომინანტმა ემიგრაციაში, ორ საკრებულოს შორის წინააღმდეგობამ და მონარქიზმის იდეის სისუსტემ მათი დაშლა მალევე გამოიწვია. მონარქიის საკითხი კი ემიგრაციაში კიდევ ერთხელ II მსოფლიო ომის წლებში დაისვა და კანდიდატად კვლავ ირაკლი ბაგრატიონი დასახელდა.



ალექსანდრე
მანველიშვილი

ამრიგად, ქართული ემიგრაციის კონსოლიდაციაში განსაკუთრებული როლი პარიზში ნმ. ნინოს სახელობის ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, მისმა პირველმა მოძღვარმა, დეკანოზმა გრიგოლ ფერაძემ და მის მიერ დაარსებულმა ქართულმა ჟურნალმა "ჯვარი ვაზისამ" შეასრულა. ქართული საქველმოქმედო-დამხმარე ორგანიზაციების: "სტუდენტთა სალიკვიდაციო და დამხმარე საგანგებო კომიტეტის", "ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტის", "ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტის" და "ანალგაზრდული სექციის" ერთობლივმა, შეთანხმებულმა საქმიანობამ ბევრ ქართველს მისცა უმაღლესი განათლების მიღების საშუალება, გაჭირვებულ ემიგრანტებს კი 30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისისა და დიდი დეპრესიის ჟამს სიცოცხლე შეუნარჩუნა. პროფესიულ პრინციპზე დამყარებული გაერთიანებები - "ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა ასოციაცია", "იუნკერთა კავშირი", "ქართველ მხედართა დარაზმულობა", "ყოფილ ქართველ მეომართა საზოგადოება", "ქართველ ექიმთა კავშირი", "ქართველ შოფერთა კავშირი", "ქართველ ებრაელთა საზოგადოება", "თავადაზნაურთა საკრებულო", ქალთა კომიტეტები და მრავალი სხვა ევროპის სამეცნიერო წრეებთან და საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდნენ. ქართველ სპეციალისტთა პროფესიულ მომზადებას, იმ მატერიალური მდგომარეობისა და უფლება-შელავათების მიღწევას ცდილობდნენ, რითაც საფრანგეთში არსებული ანალოგიური ორგანიზაციები სარგებლობდნენ.



კოკი დავიანი

თავი XI


ქართული კულტურულ-საგანმანათლო მლო ორგანიზაციები

“ქართულ ემიგრაციაში პოლიტიკური ინტერესები სჭარბობს და ბუნებრივიცაა, მაგრამ ცალმხრივად, ყველაფრის დავიწყება კი პოლიტიკანობის იერს აძლევს. ცხოვრება კი ეკონომიურ და კულტურულ თუ სხვა საკითხებსაც შეიცავს. ეკონომიური მოუწყობლობა აფერხებს საზოგადოებრივ მუშაობას”, ნერდა სამსონ ფირცხალავა ჟურნალში “დამოუკიდებელი საქართველო”. მას ქართული კოლონიის თავმჯდომარე ვახტანგ ლამბაშიძეც ეთანხმებოდა: “ჩვენს პოლიტიკურ მუშაობას უნდა კვებავდეს და ამაგრებდეს მუდამ ჩვენი კულტურული-ლიტერატურული საქმიანობა”. მიუხედავად “ეკონომიური მოუწყობლობისა” პოლიტიკური, საქველმოქმედო და პროფესიული კავშირების გარდა, ემიგრაციაში მრავალი საგანმანათლებლო და კულტურული ორგანიზაცია დაარსდა, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ემიგრაციის კონსოლიდაციისა და ქართული მენტალიტეტის შენარჩუნებაში.

20-ანი წლების ბოლოს პირველი და ყველაზე მტკივნეული პრობლემა დადგა – სამშობლოს მოწყვეტილი ან ემიგრაციაში დაბადებული ახალი თაობისათვის მშობლიური ენისა და კულტურის სწავლება. ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს პრობლემა პრესაში გაახმაურა, ს. ფირცხალავა იყო. მისი სტატია დაიბეჭდა, როგორც მიმართვა 1928 წლის 16 დეკემბერის სათვისტომოს კრებისათვის. აღწერდა რა ემიგრანტული ყოფის სიმძიმეს, ნერდა, რომ უფროს თაობას ჯერ კიდევ ეყოფა, რაც სამშობლოდან ჩამოჰყვა, მაგრამ “რა უნდა ქნას ახალგაზრდობამ, ბავშვებმა, რომლებიც აქ იზრდებიან, რომელთაც ეხლა ეხსნებათ გონებრივი თვალი, რომლებიც წლები გადის და ერთ ნიგნსაც ვერ წაიკითხავენ”, რომლებსაც არ უნევთ ქართულ გარემოში ყოფნა, წერა-კითხვა, არც საქართველოს ბუნება უნახავთ, არც საქართველოს ისტორია იციან, არც მწერლობა, ამიტომ, მისი აზრით, ყველა დაუყოვნებლივ ქართული კერის შექმნას უნდა შედგომოდა, ანუ უნდა დაარსებულყო “მუდმივი ქართული შესაკრებელი” – ქართული სკოლა, მომზადებულიყო ქართული ლექციები და მოხსენებები. თუ ამ საქმისთვის

ქართველებს ძალები არ ეყოფოდათ, დასახმარებლად სხვებისთვისაც მიემართათ.

პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო იყო ნიგნები, პედაგოგები, შენობა. მანჯურიაში ეს საკითხი შედარებით ადვილად გადაიჭრა. შეძლებულმა სათვისტომომ ქართული ბიბლიოთეკა დააარსა, რომელშიც 20.000 ნიგნი იყო თავმოყრილი. 1928 წლის 25 ნოემბერს ჯერ ქართული ენის კურსები - საკვირაო სკოლა გაიხსნა, რომელშიც 27 ბავშვი და რამდენიმე სტუდენტი



ჩაენერა, შემდეგ - საზაფხულო ყოველდღიური კურსები, სადაც ენის გარდა საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიასა და ლიტერატურას ორი მასწავლებელი ასწავლიდა. 1929 წელს ხარბინის ქართული სკოლა დაარსდა. 1932 წლის ზამთრისა და ზაფხულის თამაშებისათვის სპორტული მოედანი მოეწყო, სადაც ენის ცოდნას ბავშვები პრაქტიკულად იყენებდნენ. 1933 წელს ორ ადგილობრივ სასწავლებელში - კომერციულსა და პუშკინის გიმნაზიაში მოსწავლე 20 ქართველი ბავშვისათვის ქართული ენა სავალდებულო საგანი გახდა.

სამსონ ფირცხალავა

ხელმოკლე ქართულ ემიგრაციას ევროპაში ამის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ ქართულ ენას ბავშვები ძირითადად ოჯახებში სწავლობდნენ. განსაკუთრებით რთული იყო ენისა და მენტალიტეტის შენარჩუნება მათთვის, ვისაც დედა არაქართველი ჰყავდა. 1929 წლის 22 დეკემბერს პარიზის ქართველთა საზოგადოების კრებაზე ახალგაზრდობის განათლების საკითხი დაისვა - რა გზით უნდა გადანყვეტილიყო, ცალკე ორგანიზაციის თუ სათვისტომოს ფარგლებში. ამის დასადგენად კრებამ კომისია აირჩია. პირველი ნაბიჯი ამ პრობლემის დასაძლევად 1930 წლის 6 იელისს გადაიდგა, როცა კათოლიკური საზოგადოების ინიციატივითა და "საქართველოს მეგობართა საზოგადოების" აქტიური წევრის, შანუან ქენეს თავმჯდომარეობით, პარიზში კათოლიკური ბიბლიოთეკის შენობაში ქართული ბიბლიოთეკა დაარსდა. ბიბლიოთეკის გამგეობამ დასახმარებლად საზოგადოებას მიმართა მიენოდებინა მათთვის ქართული ნიგნები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა გამოცემები, თუმცა ვერც ცალკე შენობის გამოყოფა და, როგორც ჩანს, ვერც ნიგნების შეგროვება ვერ მოხერხდა, რადგან 1939 წელსაც კი მოუწოდებდა

ვ.ლამბაშიძე საზოგადოებას ბიბლიოთეკა დაერსებინათ: "უნდა ვიზრუნოთ ამისათვის, დაუყოვნებლად, ვიდრე გვიან არ იქნება, ვიდრე ეროვნული განთვისების ძალას ჯერ კიდევ მაგრად ვერ გაუდგამს ფეხი ჩვენს შორის".

მომდევნო ნაბიჯი სახელმძღვანელოს გამოცემა იყო. 1931 წლის სექტემბერში მესტამბე დავით ხელაძემ ი. გოგებაშვილის "დედა-ენა" დაბეჭდა. 1931 წლის ოქტომბერში ს. ფირცხალავამ საზოგადოებას მოუწოდა ქართული სკოლა დაეარსებინათ. პარიზში ქართული სკოლის დაარსების აუცილებლობაზე მას წერილით გელა გელაზანია გამოეხმაურა. ამ მიმართულებით ნაბიჯებიც გადაიდგა - გამოცხადდა, რომ 1932 წლის 4 თებერვლიდან ქართული ბიბლიოთეკის შენობაში ბავშვებს დავით ხარისჭირაშვილი კვირაში ორჯერ უფასოდ ამეცადინებდა. მისი განცხადებები რამდენიმე ქართულ ჟურნალში დაიბეჭდა, მაგრამ მარტამდე კურსებზე მხოლოდ სამი ბავშვი მიიყვანეს. "სირცხვილია!" - ასე გამოეხმაურა ს.ფირცხალავა ამ ფაქტს და მშობლებს მოუწოდა ერთმანეთისათვის მაგალითი მიეცათ. "ნუ ლალატობთ თქვენს ერს, ნუ დაივიწყებთ სამშობლოს", - მოუწოდებდა იგი. გამოსავლის ძიებაში ს.ფირცხალავა საზოგადოებას 1-2 თვიან პანსიონსაც სთავაზობდა, სადაც ბავშვები ფიზიკურ წვრთნასაც გაივლიდნენ, პედაგოგები ენასაც შეასწავლიდნენ და ქართული ზღაპრებითა და თამაშებითაც გაართობდნენ. ბავშვები ერთმანეთს გაიცნობდნენ და ენის ცოდნას ერთმანეთში პრაქტიკულად გამოიყენებდნენ. თავიდან შესაძლებელი იყო კერძო ინიციატივით პანსიონი 10 ბავშვისათვის მოეწყობა, სხვა თუ არა - ბავშვები ქალაქის პაერს მაინც გამოიცვლიანო. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები პასიურობდნენ, დ.ხარისჭირაშვილის შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. ეს 1932 წლის 14 ივლისს მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ ბავშვთა დღეზე გამოჩნდა. ბავშვებმა ნაიკითხეს ლექსები, დაუკრეს პიანინოზე და ვიოლინოზე, იცეკვეს, იმღერეს, ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ლატარია გაათამაშეს. მურადაშვილმა მათ შოთა რუსთაველის ბიუსტი მიუძღვნა და ა.შ. ლონისძიებამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საქმარისი სრულებითაც არ იყო, რადგან ქართველი ბავშვები სამეცადინოდ მაინც ნაკლებად დაჰყავდათ. ვერ მოხერხდა სკოლის დაარსებაც, რადგან ეს შენობასთან იყო დაკავშირებული.

1932 წელს ფრიდონ წულუკიძე ქართული ენის შესწავლის მდგომარეობის შესახებ წერდა, რომ "ჯერ ქ-ნ დავრიშაშვილმა,

მერე ქ-ნ კედიამ და ბოლოს ბ-ნ ხარისჭირაშვილმა საზოგადოებას მიმართა, რომ მზად არიან უსასყიდლოდ ასწავლონ ქართული, მაგრამ 2-3 ოჯახი ძლივს გამოეხმაურა". შემდეგ იგი ჩამოთვლის მიზეზებს და მოქმედების გეგმას სახავს, რომლის მიხედვითაც ყოფილი მასწავლებლებისა და საზოგადო მოღვაწეებისაგან ხელმძღვანელი ორგანო "ქართული პედაგოგიური საბჭო" უნდა შეედგინათ. საბჭო გამოყოფდა მეთოდურ კომისიას, რომელიც დაამუშავებდა ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ღვთისმეტყველების პროგრამებს. პარიზი და მისი მიდამოები უბნებად დაიყოფოდა, სადაც ჯგუფები შეიქმნებოდა, იქ მასწავლებლები მშობლების დახმარებით მუშაობას დაიწყებდნენ. ხელმძღვანელებს უბნების მიხედვით ან საბჭოს წევრს დანიშნავდნენ. ჯგუფის ხელმძღვანელები ახალგაზრდებს 3 ჯგუფად დაყოფდნენ და სულ 18 პუნქტი შეიქმნებოდა. პროგრამები საფრანგეთის სხვა ქალაქებშიც გაიგზავნებოდა. საბჭოს სხვა ქვეყნებთან ექნებოდა ურთიერთობა, გადანყვებილებს კი ადგილობრივი პირობების მიხედვით მიიღებდნენ. საბჭოს ბიბლიოთეკაც უნდა დაეარსებინა. სამუხაროდ, არც ეს გეგმა განხორციელდა. "ჩვენი რიცხვი პარიზში მცირე არაა, მაგრამ აქამდე ქართული სკოლა ვერ მოვანყვეთ, არც ბიბლიოთეკაა, არც ლექციები ქართულ ისტორიაზე, ლიტერატურასა და ეკონომიკაზე. არავინ ცდილობს სახლში თვითონ ასწავლოს ქართული ენა, სამშობლოს სიყვარული. თუ სადმე პოლიტიკური კრებაა, ყველა ესწრება და დიდი შეხლა-შემოხლაა, მაგრამ საქართველოს ისტორიას ან მწერლობას



სთფით კედია

თუ ნავიკითხავთ ათიოდ კაცს თუ დაინტერესებს. ერთმანეთს დავშორდით და ვერც პოლიტიკას ვანარმოებთ ერთად", - გულისტკივილით შენიშნავდა 1934 წელს ს.ფირცხალავა. ამგვარ ვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი უარყოფითი შედეგი მოჰყვა. 1935 წელს ფირცხალავა მშობლებს შეშფოთებული მიმართავდა: "შვილები გელუპებათ!" და მწუხარებას გამოთქვამდა, რომ მშობელთა უყურადღებობამ ახალგაზრდების გადაგვარება გამოიწვია - მათ არც ქართული იციან, არც არაფერი სამშობლოს შესახებ და თავის მართლება იმით, რომ ქართული სკოლა არ გვაქვს,

მშობლების დანაშაულს ვერ გაამართლებსო. მათ იმასლა სთხოვდა სახლში მაინც ელაპარაკათ ქართულად და სამშობლო გაეცნოთ.

1936 წლის დასაწყისში ქართველ მანდილოსანთა ერთმა ჯგუფმა ქართველ მშობელთა წრე "ქართული კერა" დააარსა, რომლის მნიშვნელობას ასე განმარტავდნენ: "წრის მიზანია ქართველ ბავშვებს გაუცხოველონ ძვირფასი სამშობლოს სახე, შეაყვაროს მისი ჰანგები, ზნე-ჩვეულებანი, ზეპირსიტყვიერება, მწერლობა, ისტორია". წრე ჯერ სკოლის ასაკამდე, შემდეგ სკოლის ასაკის ბავშვებს ამეცადინებდა. "დამოუკიდებელი საქართველო" ეხმაურებოდა ქართველ მანდილოსანთა ამ სასიკეთო საქმეს. წერდა, რომ მათ გააკეთეს ის, რაც "პირველი უნდა ყოფილიყო აქ ემიგრაციაში", წრე, სადაც ბავშვები ქართულ ენას ისწავლიან, მოზრდილები კი გაეცნობიან სამშობლოს, მის ლიტერატურას, ბუნებას, ტრადიციებს. "ურთიერთკონკლაობასა და გაუტანლობაში მამაკაცებს დაავიწყდათ, რომ არსებობს შემფასებელი და გამაერთიანებელი – ესაა საქართველოს ახალგაზრდობა" და რომ ქართველი მანდილოსნები ამ დანაშაულის გამოსწორებას ცდილობენ და საზოგადოებამ ამ კეთილ ნამოწყებას მხარი უნდა დაუჭიროს; მატერიალური სიდუხჭირისა და დროის უქონლობის მიუხედავად, ქართული ენის შესასწავლად ბავშვები კვირაში ორჯერ მაინც მიიყვანონ. ამ საქმის დამაფინანსებლებიც გამოჩნდნენ, როგორც კერძო პირთა, ისე საწარმოთა სახით. პირველი ღონისძიება ბავშვებისათვის შობის დღის ჩატარება იყო. საშობაო ზეიმი "კერამ" დაამკვიდრა და მისი განცხადება, ანგარიში, მადლობა ზეიმის ჩატარებაში დახმარებასთან დაკავშირებით, პრესაში არაერთხელ შეგვხვდა.

საგანმანათლებლო მიზნებს ისახავდა 1926 წელს დაარსებული "პრომეთეს კლუბი", რომლის შესახებ საუბარი ჩვენ ზემოთ გვქონდა. კლუბი სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას ატარებდა. 1930 წლის 16 იანვარს ქ-ნმა ზავაცკაიამ ნაიკითხა მოხსენება "ქალთა როლი სამშობლოს განთავისუფლების ბრძოლაში". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ემიგრანტმა ქალებმა საქმიანობა უნდა გაააქტიურონ. მათ შეიმუშავეს მონოდების ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდნენ: ბ. ზავაცკაია, ბ. ბეზრუჩკო, ბ. კიაზუმ-ბეკი, ფ. ხავეოკო. ეს მონოდება სხვა ერების ქალებსაც დაეგზავნათ. 1931 წლის 10 დეკემბერს "პრომეთეს" დარბაზში ნ. რამიშვილის დალუპვის წლისთავი ჩატარდა. სიტყვები წარმოთქვეს: პროფესორმა სმალსტოცკიმ, სხვა ერების

წარმომადგენლებმა და ქართველთა სახელით . სიმონ მდივანმა. 1932 წლის 9 იანვარს ვარშავის თვითმმართველობის უზარმაზარ დარბაზში მოენყო ქართული რაუტ-ბალი, რომელსაც 1800 კაცი ესწრებოდა. პარიზიდან ჩასულმა გოგი ჭიჭინაძემ თეთრი ჩოხა-ახალუხითა და შესანიშნავი ლეკურით საზოგადოება დიდად მოხიბლა. ბალი დილის 7 საათზე უნდა დამთავრებულიყო და 9 საათზე ძლივს დაშალეს.

“პრომეთეს კლუბთან” ერთად დიდ საქმიანობას ვარშავის ქართული კოლონიაც ეწეოდა. 1928 წლის 26 თებერვალს როსტომ ყაზბეგის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ასოციაციის წლიურ კრებაზე, გამგეობის თავმჯდომარემ, იოსებ სალაყაიამ ისაუბრა კულტურულ-პროპაგანდისტულ მუშაობაზე - წიგნების, ქართული გაზეთების შეგროვებაზე, სალამოებისა და აკადემიების მოწყობაზე. 1935 წელს პოლონეთის სათვისტომოს ახლადარჩეული კომიტეტი კოტე იმნაძის თავმჯდომარეობით საქმიანობას ენერგიულად შეუდგა, შექმნა 3 კომისია: ეკონომიკური, საპროპაგანდო და კულტურული. პირველს გაჭირვებულთა დასახმარებლად, ქართული ბალებითა და სხვა ღონისძიებებით, სახსრების მოძიებაზე უნდა ეზრუნა, მეორეს -- ქართული საკითხის პროპაგანდაზე. ამ მიზნით ნ. ნაკაშიძეს კატოვიცესა და კრაკოვში მოხსენებების ნაკითხვა დაევალა, ინჟინერ კანდელაკს -- გაზეთებში არასწორი ინფორმაციების გასაბათილებლად კავკასიის შესახებ წერილების დაბეჭდვა და საჯარო მოხსენებებით გამოსვლა. მესამე კომისიას



ღაჯით შალიკამვილი

ქართული ენის კურსები და ბავშვებისათვის საკვირაო სკოლა უნდა გაეხსნა და წიგნთსაცავის მოწყობისათვის ეზრუნა. კავკასიური კომიტეტების დასაახლოებლად “პრომეთეს” დარბაზში საქართველოზე და კავკასიაზე მოხსენებები უნდა გამართულიყო, რომლებსაც არა მარტო ქართველები - შალიკამვილი, ქუთათელაძე, თევზაძე, არამედ კავკასიელები: ბილატი, კოსტი ნაიკითხავდნენ. ქართული ოჯახებიდან შეგროვილი და საქართველოდან გაგზავნილი გამოცემებით მართლაც შეიქმნა წიგნთსაცავი, რომელშიც თავდაპირველად 500 წიგნი იყო.

1934 წ. ახლადარჩეულმა ქართულმა კომიტეტმა კოტე იმნაძის თავმჯდომარეობით დააარსა ახალგაზრდული კავშირი სტუდენტ გიორგი ზაქარაძის ხელმძღვანელობით (ხაზინადარი -- მარიამ ცოტაძე, მდივანი -- ქეთო აღშიბაია) და დასახა სამოქმედო გეგმა - ქართული ენის შემსწავლელი კურსები ბავშვებისა და უფროსებისათვის, სამშობლოს ყოველმხრივი შესწავლა, ფიზიკური და მორალური აღზრდა, კავშირი პოლონელ ახალგაზრდებთან. ყოველ შაბათ-კვირას საღამოს კურსებზე ლექციებს ნაიკითხავდნენ: ქართულ ლიტერატურაზე - გიორგი ნაკაშიძე, ისტორიაზე - ალექსანდრე ყიფიანი, საქართველოს პოლიტიკურ გეოგრაფიაზე - ვალერიან თევზაძე, ეკონომიურ გეოგრაფიაზე - ტიტე ბერიშვილი. ქართული ენის მასწავლებლებად ტ.ბერიშვილი და თვარელაძე დაასახელეს.

1930 წელს პარიზში იოსებ დადიანის თავმჯდომარეობით დაარსებულმა "კავკასიის შემსწავლელმა საზოგადოებამ" მალე კლუბის სახე შეიძინა. იგი კავკასიელი ერების ერთმანეთთან დასაახლოებლად, კავკასიის პრობლემების შესასწავლად და უცხოელთათვის გასაცნობად შეიქმნა. შ.ამირეჯიბის არქივში აღმოჩნდა მოსაწვევები და აფიშები ფრანგულ ენაზე, რომლებიც საშუალებას გვაძლევს კლუბის საქმიანობა აღვადგინოთ. 1930 წლის 17 მარტს შ. ამირეჯიბმა სამეცნიერო საზოგადოების დარბაზში ნაიკითხა მოხსენება თემაზე "ქალაქი ტფილისი საუკუნეთა მანძილზე", 10 ივნისს - "შოთა რუსთაველი XII საუკუნის ქართველი პოეტი", 1932 წლის 5 თებერვალს - "საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში", იმავე დღეს მოისმინეს ა. სარქისიანის მოხსენება "სომხური ნოხები", 14 ნოემბერს ერთობლივი მოხსენებით "კავკასიელი პოეტი საიათნოვა" კლუბში შ.ამირეჯიბი და ი. ზავრიევი წარდგნენ. 1932 წელს "სამშობლო" იმ მოხსენებებს გვაცნობს, რაც ერთი წლის მანძილზე ფრანგულ და რუსულ ენებზე ნაიკითხულა: ზ. ავალიშვილის "კავკასიის ძველი და ახალი ისტორია", შ. ამირეჯიბის "1832 წლის ამბოხი", სირიელი სომეხი ბერის "სომხეთის ეკლესიის ისტორია", მ. მუსხელიშვილის "საბჭოთა რუსეთის კონსტიტუცია" და ი. დადეშქელიანის "საქართველოს საეკლესიო წყობილება". ს. ფირცხალავა კლუბის მუშაობაზე დიდ იმედებს ამყარებდა და წერდა, რომ ამგვარი შეხვედრები შეუწყობდა ხელს კავკასიელი ერების ურთიერთგაცნობას, დაახლოებას და კავკასიის კონფედერაციასაც გაუმაგრებდა საფუძველს. 1933 წელს მოხსენებით "კავკასიის ხალხების კავშირი და მათი ტრადიციები ისტორიის

მანძილზე" დ.ვაჩნაძე გამოვიდა, რისთვისაც მას კავკასიის ეთნოლოგიური და ადმინისტრაციული რუკები შეუდგენია. მოხსენებას დამსწრეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოჰყვა. გამოვიდნენ: ალ. ხატისოვი, ი. ლეკი, ა. ჯამალიანი და სხვები. 1935 წლის 5 მარტს მირ იაკობმა მოხსენება წაიკითხა ფირდოუსზე. ლექციების გარდა, წრის წევრები სალამოებსაც მართავდნენ. მაგალითად, 1935 წლის 31 მარტს "Alians Franses"-ის დარბაზში ნიკო მარის ხსოვნის სალამო გამართეს, რომელზეც მოხსენებით ე. თაყაიშვილი და ი. ზავრიევი გამოვიდნენ.

კავკასიის პაქტთან დაკავშირებით, 1935 წელს "კავკასიის შემსწავლელი წრე" ბორდოშიც დაარსდა. წრეზე წაკითხული ციკლი კავკასიის ერთა ისტორიაზე იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მისი წევრები ვრცელ რეფერატებს საათობით უსმენდნენ. ადგილობრივ მოსახლეობასთან დასაახლოებლად წრეს 1935 წლის 16 მარტს ფრანგულ-ქართული სალამო მოუწყვია, რომელსაც პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლები და ქართული კულტურის კარგი მცოდნე მეცნიერები პროფესორები ლაფონი და რუსო დასწრებიან.

ლექცია-მოხსენებების ფორმა ემიგრანტებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. კოლონიათა გამგეობების, საგანმანათლებლო, პროფესიული, კულტურული ორგანიზაციებისა თუ კერძო პირების ინიციატივით ლექციებს სხვადასხვა თემატიკაზე, სხვადასხვა ქვეყნებში ცნობილი ქართველი მოღვაწეები კითხულობდნენ. ერთ-ერთი პირველი, ვინც ქართული კოლონიის წინაშე ლექცია წაიკითხა, ნიკო მარი იყო, რომელიც 1923 წლის ივლისში ესპანეთიდან გზად გერმანიაში შეჩერდა და საქართველოს საელჩოს შენობაში გამოვიდა მოხსენებით "საქართველოს ეროვნულ-კულტურული შუბლი". კოლონიის გამგეობა, პარტიულობის მიუხედავად, მომხსენებლებს ხშირად ინვევდა. მომდევნო წლებში წაკითხულ მოხსენებათა ანონსებს, განხილვებს, გამოსხმაურებებს ან ანგარიშებს მრავლად შეეხვდით. მაგალითად, ე. თაყაიშვილს პარიზში ქართველთა კრებაზე "მუზე სოსიალეს" დარბაზში წაუკითხავს ლექცია "საქართველოს ტერიტორიის საკითხი", რომელზეც სამუსულმანო საქართველოსა და ყარსის ხელშეკრულებაზე უსაუბრია, კამათში მრავალი დამსწრე გამოსულა და ხელი პროტესტზე მოუწერიათ. გრ. რობაქიძეს წაუკითხავს "ქართველთა მსოფლიო სახე", ალ. მანველიშვილს - "დალესტნის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ", ვ. ნოზაძეს - "ქართველი ერის სახელმწიფო საფუძველი",

“ძველი და ახალი საქართველო”, ალ.ასათიანს “ერთი დიდი გარდატეხა საქართველოს ცხოვრებაში”, კ. გვარჯალაძეს -- “საქართველოს საკითხი, ერთა ლიგა და ინტერნაციონალი”, დ. ვაჩნაძეს “საით მიდის კავკასია”, ი.ხანიაშვილს -- “ისრაელ ქართველთა ისტორია”, ი. ელიგულაშვილს “თანამედროვე კრიზისი” და ა.შ. 1929 წელდან მოყოლებული ედმ პარიზის ორგანიზაციის სხდომებზე პარასკევობით პოლიტიკური ხასიათის მოხსენებებს კითხულობდნენ და საზოგადოების წევრებიც მრავლად ესწრებოდნენ. მოხსენებები დიდ ინტერესს იწვევდა და როგორც ურნალი “სამშობლო” აღნიშნავდა, “დამსწრეთა სიუხვე” მატულობდა. პოლიტიკურის გარდა, ნაკითხულა მოხსენებები ლიტერატურაზე - შ.ამირეჯიბი “ქართული ლიტერატურა XVIII-XIX საუკუნეებში”, შ. ბერიძე “ფრანგი მოგზაურები საქართველოში” და “გუსტავ ლე ბონის ცხოვრება და აზროვნება”. ლექციებს სხვა კოლონიებშიც კითხულობდნენ. ვ. ბაქრაძემ 1930 წელს ოდენკურის სოციალურ სექციაზე ვრცელი ანგარიში ნაიკითხა ბელგიელ სოციალისტთა გაზეთზე “Tribune”, 1932 წელს კრების შემდეგ, 90-კაციან აუდიტორიაში, 1924 წლის აჯანყებაზე და აჯანყების შემდეგ ეროვნული ფრონტის გაფართოებაზე. 1933 წელს ვალენტიანეში “თეორგიორგელებმა” ქართული ენის წრე შექმნეს და მიყოლებით 3 მოხსენება ნაიკითხეს: “ქართული ენა”, “ქართველი ერის პოლიტიკური და ეკონომიური ისტორია” და “ქართული ლიტერატურა და ხელოვნება”. 1932 წელს გერმანიაში, კოლონიის სხდომებზე გელა გელაზანია გამოსულა მოხსენებებით: “ქრისტიანიზმი და კულტურა”, “ნმ.ნინო და ქართული კულტურა”. ბრიუსელის ქართველთა წრეებში ვ. ციციშვილმა ნაიკითხა ლექცია ქართულ საისტორიო რუკაზე, მ. ტულუშმა -- XIX საუკუნის საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე.



იოსებ ულიგულაშვილი

ხშირად ტარდებოდა გასვლითი ლექციები როგორც ქართველების, ასევე, უცხოელებისათვისაც და ფართოდ შუქდებოდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში. მაგალითად, 1934 წელს კ. კანდელაკს სომოს კოლონიაში მსოფლიო სახალხო მეურნეობაზე ორი ლექცია წაუკითხავს, 1937 წელს ალ. ასათიანს -- ერთი. 1928 წელს ე. თაყაიშვილმა “აზიურ საზოგა-

დოებაში" ფრანგულად წაიკითხა "იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოზის ცნობები აფხაზეთის მეფეების შესახებ". 1928 წელს კალიფორნიის გაზეთებში მოთავსებული იყო ინჟინერ ვ. სვიმონიშვილის ვრცელი მოხსენება რუსეთისა და საქართველოს შესახებ, რასაც მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. როგორც გაზეთი იუნკებოდა, სვიმონიშვილს ამერიკაში ჰქონია დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი, ნავთობმრეწველობაში მუშაობდა და ამგვარ ინფორმაციებს მუშებს ხშირად აცნობდა. 1930 წელს ბერლინში "აზიის მეზრძოლთა კავშირს" ვ. სადათიერაშვილი საქართველოზე მოხსენების წასაკითხად მიუწვევია. მოხსენების ტექსტი კი აღმოსავლეთ პრუსიის გავლენიანი გაზეთის "Oster der zaitung" რამდენიმე ნომერში გამოქვეყნდა. 1931 წლის 22 ნოემბერს მოხსენების წასაკითხად ე. გეგეჭკორი მიუწვევიათ პარიზის საერთაშორისო დიპლომატიურ აკადემიაში, რომელსაც ცნობილი დიპლომატი ნულანსი (საფრანგეთის ყოფილი ელჩი რუსეთში) ხელმძღვანელობდა. 1931 წლის 27 იანვარს ბერნში შვეიცარიის სტუდენტკავშირმა "ბერხტოლდმა" ვ. სადათიერაშვილი მიიწვია საქართველოზე მოხსენების წასაკითხად, რომელსაც სასტუმრო "იურას" დარბაზში სტუდენტების გარდა ბერნის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებიც დაესწრნენ. მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ: კრების თავმჯდომარე ე. მაიერი, ჟურნალისტი ჰაკოფერი და პროფესორი პოლ დე შატონე. ბელგიაში საზოგადოებრივი ცხოვრება განსაკუთრებით ცხოველი იყო უკრაინულ-ქართულ ჯგუფებში. მ. ტულუშმა, რომელმაც პირველმა გაშიფრა სომხურად მიჩნეული ჯვრის მონასტრის წარწერა, წაიკითხა რამდენიმე საჯარო მოხსენება საქართველოს ისტორიაზე და მოაწყო ქართული საღამო, რომელზეც დიდი მონაწილეობა რუბენ ყიფიანისა და გოგი ყაველაშვილის ლექურმა დაიმსახურა, 1935 წელს ბრიუსელში საახალწლოდ მონაწილე ქართულ-უკრაინულ საღამოზე კი – რუსუდან ყიფიანისა და ელიზბარ ვაჩნაძის ლექურმა. 1937 წელს ე. ლომთათიძე საქართველოს ისტორიაზე ჩეხურად მოხსენებების წასაკითხად პრალაში უკრაინული გიმნაზიის მე-5-8 კლასებში მიიწვიეს, 1938 წლის მარტში კი -- უკრაინის სოციოლოგიურ ინსტიტუტში დირექტორის, პროფესორ შრამჩენკოს ინიციატივით. მას ფინანსთა მინისტრის, გიორგი ჟურულის მიწვევით დამოუკიდებლობის დროს საქართველოში უმოგზაურია. როგორც ინფორმაციის ავტორი წერდა, სიახლოვის მიუხედავად, აღმოჩნდა რომ

უკრაინელები ჩვენი ქვეყნის ისტორიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას საკმარისად არ იცნობენ, ამიტომ დიდი ინტერესით მოისმინეს და ამგვარი მოხსენებების სხვაგან ჩატარების სურვილი გამოთქვეს.

დიდი სიამოვნებით ისმენდნენ უცხოელთა მოხსენებებს, მით უმეტეს, თუ იგი საქართველოს ეხებოდა. ასე მაგალითად, 1926 წელს პოლონეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქში საქართველოზე ლექციები ნაიკითხა ცნობილმა მწერალმა, პოლიტიკური ლიტერატურის აკადემიის თავმჯდომარემ სენატორმა ვაცლავ სეროშევსკიმ. 1932 წლის 18 დეკემბერს პარიზის ქართული სათვისტომოს მინვეით სიუზან ბენტილიონმა ნაიკითხა "წითელი კავკასიის გასწვრივ" -- როგორ არის გადაჭრილი ჰუმანიტარული საკითხი საბჭოთა კავშირში; 1933 წელს ჩეხმა პროფესორმა ბატიეკმა ბარონ დე ბაის ფრანგულად თარგმნილი, შემდეგ კი ქარინგტონის მიერ ინგლისურად გადათარგმნილი ქართული ლეგენდა "სილამაზე" (როსტომელა) ჩეხურად თარგმნა და სხვადასხვა კულტურულ საზოგადოებაში, მათ შორის, პრატის უნივერსიტეტში ლექციები ნაიკითხა და სურათებიც უჩვენა. ბატიეკის გარდა ეს ლეგენდა ჟურნალისტ კოუდელასაც უთარგმნია და სურათებითურთ ჟურნალ "პესტრი კვეტში" მოუთავსებია. 1936 წელს პრატაში სამი მოხსენება ნაიკითხა ნაშრომის "საქართველოს საერთაშორისო უფლება" ავტორმა, პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორმა ლუი ლე ფლურმა. მსმენელებს პატივისცემის ნიშნად წარწერით "მადლიერი ქართული ემიგრაციისაგან", მისთვის ყვავილები გაუგზავნიათ. ნასიამოვნებ პროფესორს სინანული გამოუთქვამს, რომ საქართველოსათვის უფრო მეტის გაკეთება ვერ შეძლო. ცნობილი მეცნიერი დ'აბე ბრიუსელის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლებელში ყოველ ხუთშაბათს ქართულ ენასა და გრამატიკაში კითხულობდა ლექციებს, რომელზე დასწრებასაც ქართველ ახალგაზრდებს განსაკუთრებით ურჩევდნენ.

1928 წლის 4 მაისს კავკასიურ-უკრაინულ კლუბში მოხსენება "ჩერქეზების წარმოშობა" ყუბანის დელეგატმა აიტეკ ნამიტოვმა ნაიკითხა, 1929 წლის 21 მაისს ქართველები ბერლინში ჰუმბოლტის კლუბში ჩატარებულ მუსავატის პარტიის ლიდერის მემედ ედინ რასულ ზადესა და თბილისის საკრებულოს წევრი თურქესტანელი პროფესორის იეშკეზის საჯარო მოხსენებებს დაესწრნენ. 1931 წელს გერმანიის ქართული ასოციაციის გამგეობას სხვა ერების გაცნობისა და ურთიერთობის მიზნით რამდენიმე

ლექცია-მოხსენება ჩაუტარებია: აზერბაიჯანელების – რასულ-ზადესა და ხალილ მუნშის “აზერბაიჯანის წარსული, აწმყო და მომავალი”, უკრაინელების – პროფესორ დოროშენკოს 2 მოხსენება “უკრაინის ისტორია უძველესი დროიდან დღევანდელობამდე”, პროფესორ ზენო ვურზელას “უკრაინის ეთნოგრაფია”. განსაზღვრული ჰქონდათ ასეთი მოხსენებების მოსმენა თურქესტანზე, თათარსტანზე, გერმანიაზე და ა.შ.

1933 წელს გრიგოლ ურატაძე წერილში “მცირე შენიშვნები დიდ საკითხზე” წერდა: “ემიგრაციაში ყველა ერებს ჰყავს ფრიად განსწავლული და მცოდნე პირები თითქმის ყველა სფეროში და მათ სისტემატიური მოხსენებები, ლექციები, საჯარო დისკუსიები მთელ რიგ საკითხებზე თუ გინდ ფრიად მწვავეზე, დიდად შეუწყობდა ხელს გაუგებრობათა გარკვევას, ატმოსფეროს განმენდას, ერთიმეორესთან დაახლოებას”.

თემატიკის გაფართოებისა და ლექცია-მოხსენებებისათვის უფრო სისტემატიური, ორგანიზებული ხასიათის მისაცემად, 1934 წლის აპრილში პარიზში დაარსდა “ქართული სამეცნიერო წრე”, რომელმაც ფართო საგანმანათლებლო და სამეცნიერო მისია იკისრა. მიზანი იყო სხვადასხვა საკითხის გაშუქება, მოხსენებათა არჩევა-განხილვა, მომხსენებელთა ნახალისება და აუდიტორიის შერჩევა. “დამოუკიდებელ საქართველოში” გამოცხადებული იყო მოხსენებათა პროგრამა და თანამიმდევრობა: 1. ა. შათირიშვილი (მარქსისტული თეორია და მისი შეფასება, სამშობლოს ნატვრა, ენის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ერი და კლასები სოციალისტურ თეორიაში), პიროვნების განვითარების ეტაპები; 2. შ. კალანდაძე – თვითმკვლევლობის შესახებ; 3. ი. ხოჭოლავა - ერი და რასა; 4. რ. გაბაშვილი – ინგლისის აღმოსავლური პოლიტიკა; 5. ი. ხანანაშვილი – ქართველი ისრაელები ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური თვალსაზრისით; 6. ა. მანველაშვილი – საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიიდან; 7. გ. ჟურული და ს. ფირცხალავა – მოგონებანი; 8. ი. მანწკავა დღევანდელი ქართული ლიტერატურა. წრის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ა. ზურაბიშვილი, შ. ამირეჯიბი, ა. კობახიძე, ი. გობეჩია, გ. ყიფიანი, კ. გვარჯალაძე, ვ. ინჩირველი, ა. ასათიანი, გ. მოდე-ბაძე, რ. არსენიძე, დ. ვაჩნაძე, ე. პატარიძე, ნ. ურუშაძე, ფ. შარაძე, გ. ჯაყელი, ხ. შავიშვილი, ზ. ავალიშვილი, ი. ნუცუბიძე და სხვები.

წრე, მოხსენებათა გარდა, მართავდა საღამოებს. მაგალითად, 1937 წლის 7 თებერვალს “Musée Sociale”-ს დარბაზში ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით გიორგი წერეთლისადმი მიძღვ-

ნილი სხდომა გაიმართა. მის ბიოგრაფიაზე ისაუბრა მ. მელუამ, მოგონებებით გამოვიდა ე. თაყაიშვილი, მოხსენებებით ... ი. მან-ნკავა და რ. არსენიძე. ნაწყვეტი გ. ნერეთლის მოთხრობიდან "კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა" ს. ბერეუიანმა წაიკითხა. სა-ლამო იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მრვალრიცხოვანმა აუდიტორიამ სურ-ვილი გამოთქვა ამგვარი სალამოები სხვა მწერლების შემოქმედების გასაცნო-ბადაც ჩატარებულიყო.



სიმონ მჭიქვიანი

ასევე, საგანმანათლებლო-პროპაგან-დისტულ მიზნებს ისახავდა 1935 წელს დაარსებული "პარიზში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაცია". ასოციაციის წევრებს პრესით, გამოცემებით, ლექცია-საუბრებითა და საი-უბილეო ღონისძიებების საშუალებით ემი-გრანტებისა და უცხოელებისათვის ქართ-ული ლიტერატურა უნდა გაეცნოთ. 1936 წლის 18 თებერვალს ჩატარებულ საანგარიშო კრებას 17 წევრი ესწრებოდა. დღის წესრიგში სამი საკითხი იდგა: 1. გასული წლის ანგარიში; 2. შოთა რუსთაველის საიუბილეო წლისთავის მონყო-ბა; 3. ახალი გამგეობის არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარ-ემ, გიორგი გვაზავამ საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ ასოციაციას ჯეროვანი აქტივობა ჯერ არ გამოუჩენია, მხოლოდ ერთი, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 20 წლის აღსანიშნავი სალამო ჩაატარა. გაირკვა, რომ წევრების ნაწილი საქმიანობას გულგრილად ეკიდება და სანევროც არ გადაუხდია. მსჯელო-ბის შემდეგ ახალ გამგეობას დაევალა: ქართულ ლიტერა-ტურაზე, ისტორიასა და ხელოვნებაზე მოხსენებების მომზადე-ბა, ლიტერატურული გასამართლებების ჩატარება, ბიბლიო-თეკის მონყობა. გადაწყდა: ახალი სანევრო ბარათების დამ-ზადება, იმ წევრთა გარიცხვა, ვისაც სანევრო 1 წლის განმავ-ლობაში არ გადაუხდია. შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს ღირსეულად აღსანიშნავად უნდა შექმნილიყო კომისია, რო-მელიც ღონისძიებათა გეგმას შეიმუშავებდა. ახალი გამგეობა კენჭისყრით აირჩიეს: გ. გვაზავა (თავმჯდომარე), ი. ზურაბიშ-ვილი, ი. ჭავჭავიძე, ა. მანველიშვილი და ს. ბერეუიანი. 1937 წლის 16 მაისს ასოციაციის სხდომაზე ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ მომზადებული ორი მოხსენება წაიკითხეს: ი. ზურაბიშვილმა

“ილია ჭავჭავაძე პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე”, ვ. ინ-
 ნკირველმა “ილია ჭავჭავაძე ქართულ სინამდვილეში”. გან-
 საკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ასოციაციის მიერ შოთა
 რუსთაველის 750 წლის იუბილეს მომზადება, რომლის შესახებ
 საუბარი ქვემოთ გვექნება.

ითვალისწინებდნენ რა თეატრის გავლენას და სცენიდან წა-
 რმოთქმული სიტყვის ძალას, ქართულ კოლონიებში ხშირად იმა-
 რთებოდა სხვადასხვა ტიპის სცენისმოყვარეთა თეატრალი-
 ზებული წარმოდგენები. შ. ბერეჟიანი იხსენებდა, რომ 20-იანი
 წლების ბოლოს პატარა დრამწერეს სიმონიკა ბერეჟიანი ხელმ-
 ძღვანელობდა, მონაწილეები პარიზის გარეუბან ვანვში ტრამ-
 ვაითი მიდიოდნენ, სადაც ბინა ჰქონდათ დაქირავებული და
 ტრიფონ რამიშვილის “შეშლილებს” დგამდნენ.

1931 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილის უმცროსი შეფიცულის,
 შალვა ნებიერიძის ხელმძღვანელობით, რომლის მშობლები
 ცნობილი სცენისმოყვარეები იყვნენ, ჯერ დრამატული წრე,
 შემდეგ კი მუდმივი დასი დაარსდა. დასის დაარსებას მიესალმა
 გაზეთი “თეთრი გიორგი” - კარგი იქნება თუ პატრიოტული და
 ისტორიული პიესები დაიდგმებაო. მართლაც, 4 ივნისს დასმა
 აკაკის “პატარა კახი” წარმოადგინა. დაწყებამდე ვიკტორ ნო-
 ზაძემ ისაუბრა, მოიბოდიშა, რომ პირველი წარმოდგენა სა-



ქაქუცა ჩოლოყაშვილი და
 შალვა ნებიერიძე

თანადო დონეზე ვერ იქნებოდა. რო-
 გორც ინფორმაციის ავტორი აღნიშ-
 ნავდა, ეს მობოდიშება სრულიად
 ზედმეტი აღმოჩნდა, რადგან ყვე-
 ლაფერი შესანიშნავად ჩატარდა, რისი
 მჭერმეტყველური საბუთიც ხანგრ-
 ძლივი ტაში იყო. წარმოდგენის ბო-
 ლოს ზალდასტანიშვილ-ბადურაშვი-
 ლის დუეტს მშვენივრად უმღერია.
 როგორც ჟურნალი “ახალი ივერია”
 აღნიშნავდა, წარმოდგენამ ემიგრან-
 ტული ცხოვრება ცოტათი მაინც გაა-
 ლამაზაო.

მეორე წარმოდგენისათვის აღ. სუ-
 მბათაშვილ-იუჟინის “ღალატი” შე-
 ურჩევიათ. ამის შესახებ ჟურნალში
 “დამოუკიდებელი საქართველო” მო-
 თავსებული ანონსი იუნყებოდა და

ნოემბრის ბოლო კვირას ყველას წარმოდგენაზე ინვევდა, რათა დასს ხარჯები აენაზღაურებინა და მორალური მხარდაჭერაც მიეღო. წარმოდგენებზე ქართული საზოგადოების დასწრებას კულტურული საქმიანობის აღორძინებისათვის პირდაპირ მოვალეობად თვლიდა გაზეთი "თეთრი გიორგიც". წარმოდგენა დაგვიანებით - 1932 წლის 7 თებერვალს გაიმართა "ტრისტან ბერნარის თეატრში" და მთავრებულთა დიდი მონონება დაიმსახურა. "დამოუკიდებელი საქართველო" წერდა, რომ წარმოდგენის დაწყებამდე შ. ნებიერიძეს ბოდიში მოუხდია - რაც ხელთ გვექონდა, ის პიესა წარმოვადგინეთო. მაგრამ პიესის არჩევანიც და მისი ინტერპრეტაციაც იმდენად კარგი აღმოჩნდა, რომ საზოგადოება მეტად ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა. დასმა გარდა იმისა, რომ დიდი გულმოდგინება გამოიჩინა, ყველა სიძნელესა და დაბრკოლებას სძლია, შესანიშნავი ანსამბლი შექმნა და კარგადაც ითამაშა. ივანე ზურაბიშვილი აღნიშნავდა მშვენიერ დეკორაციებს, მამულაიშვილის, ერისთავის, ჯავახიშვილის, ხერხეულიძის, ნებიერიძის, სულხანიშვილის, ზალდასტანიშვილისა და თუხარელის თამაშს. წარმოდგენა და შემსრულებლები დიდად შეაქო გაზეთმა "თეთრმა გიორგიმ". უურნალ "სამშობლოს" მიმომხილველი შეფასებაში უფრო მკაცრი იყო. მისი აზრით, ასეთი რთული პიესისათვის დასს ხელი არ უნდა მოეკიდა, ვინაიდან მსახიობებს პროფესიონალიზმი და ურთიერთშეთანხმებული მოქმედება აკლიათო, თუმცა კმაყოფილებას სპექტაკლის დადგმის გამო ისიც ვერ ფარავდა.



სცენა სპექტაკლიდან

1934 წლის 8 ნოემბერს დასმა "ლ'ანკორის" თეატრში დავით ერისთავის "სამშობლო" წარმოადგინა, 1935 წელს "ალბერტის თეატრში" - შანშიაშვილის "ლატავრა". რეცენზენტი აღნიშნავდა, რომ პიესა კარგად იყო მომზადებული და თამაშიც დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მხატვრული და ტექნიკური თვალსაზრისით დადგმა სუსტი იყო. უსახსროდ "ბუტაფორიული" პიესის დადგმა არ ღირდა, უმჯობესი იქნებოდა ისტორიული, ან თანამედროვე ცხოვრების ამსახველი პიესის არჩევა. მიუხედავად ამისა, ემიგრაციაში ქართული სცენის პატრონობისათვის

შ. ნებიერიძესა და დასს მადლობას უხდოდა. გაზეთი "მომავალი" იუნყებოდა, რომ დასი ა. ცაგარელის "რაც გინახავს, ველარ ნახავ" და ტ. რამიშვილის "შეშლილნის" დადგმას აპირებდა. 1935 წელს დასმა ი. ჭავჭავაძის "დედა და შვილი", ტ. რამიშვილის "შეშლილნი" და დ. კლდიაშვილის "დარისპანის გასაჭირი" წარმოადგინა. როგორც "თეთრი გიორგი" წერდა, "დიდად განსხვავებული საზოგადოება ბლომად დაესწრო". განსაკუთრებით გამოყოფდა წინო დადიანის თამაშს.

სპექტაკლების გარდა, დროდადრო იმართებოდა დრამატული საზოგადოების საღამოები, რომელთა ბილეთები შალვა ამირეჯიბის არქივში მრავლადაა დაცული. 1935 წლის 13 იანვარს ქართული თეატრის დაარსების აღსანიშნავად წრის მიერ გამართულ საღამოზე, რომელსაც ხალხი მრავლად დაესწრო, სიტყვით გამოვიდნენ: შ. ამირეჯიბი, გ. ნოზაძე, ვ. მგელაძე და სხვები. იმავე წელს გაიმართა კომედიის საღამო, ესკიზები ემიგრაციის ცხოვრებიდან – "დამხრჩვალნი ჩხიკვის" საღამო, სიმონიკა ბერეჟიანის ხელმძღვანელობით, რომელიც "ყველაზე გრძელ ჩხიკვს" თამაშობდა. წარმოდგენა ხალისიანი იყო და საზოგადოებაც დიდად გაამხიარულა.

პარიზში დრამატული დასის საქმიანობამ გერმანული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. 1935 წლის 25 იანვარს



ქართული დასი პარიზში. 1935. ცენტრში სხედან შალვა ნემიიტიძე და შალვა ამირეჯიბი

ბერლინში, ევროპული ენების მცოდნეს, გერმანის მსახიობთა კავშირის წევრის, მსახიობ გიორგი ჯაბადარის რეჟისორობით, გერტრუდ ჯაბადარის მიერ გერმანულად თარგმნილი ალ.სუმბათაშვილ-უჟინის "ლალატი" დაიდგა. მონაწილეობდნენ ცნობილი გერმანელი მსახიობები: გერდა მიულერი, თამარ ფონ ჰაისტერი, კნუტ შარტივიგი, კარლ ლუდვიგ შრაიბერი. როგორც გაზეთი "კლდე" წერდა, რომ ეს დღე არა მარტო ქართული თეატრის ისტორიას შემატებდა ახალ თარიღს, არამედ ევროპაში საქართველოსა და ქართულ საქმესაც გაუნედა პროპაგანდას.



სონია დუმბაძე

ქართული ემიგრაციის კულტურული ცხოვრებიდან მნიშვნელოვანია ქართველი მუსიკოსების წარმატება. 1926 წლის მაისში მომღერალი ქალის, ქ. ვაჩნაძე-ივერსენის პირველი სოლო-კონცერტი გაიმართა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. აღსანიშნავია მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალი), რომელიც ჯერ იტალიაში, მილანის "ლა სკალას" თეატრის სცენაზე გამოდიოდა, შემდეგ პარიზში, "გრანდ ოპერაში" მღეროდა და ქართულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდა. 1930 წელს პირველი კონცერტი გამართა. "ლა სკალას" სოლისტები იყვნენ: სონია დუმბაძე, ელენე თარხნიშვილი. პარიზის კონსერვატორია დაამთავრეს და სახელი გაითქვეს: კომპოზიტორმა ირაკლი ჯაბადარმა, პიანისტებმა ირაკლი ორბელიანმა და თეო კედიამ. პრესა იტყობინებოდა, რომ პარიზის კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილების კურსდამთავრებულ მარიამ სოლბერგ-ვაჩნაძის ბოლო გამოცდას 1939 წლის 22 თებერვალს ქართული კოლონიის წევრები დაესწრნენ. კონსერვატორიის დირექტორმა კომპოზიტორმა ჩერეპნიმმა აუდიტორიას იგი თბილი სიტყვებით გააცნო და შესრულება "ფრიაღზე" შეაფასა. 1939 წლის 12 მარტს ასეთივე წარმატებით, 1 ჯილდოთი დაამთავრა მონპელიეს ეროვნული კონსერვატორია 13 წლის ეთერ სოხაძემ და კონცერტები გამართა.

ემიგრაციაში ასეთივე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხური შემოქმედება. ემიგრანტები ცდილობდნენ, სამშობლოს მონყვეტილი ახალგაზრდები მშობლიური მუსიკალური და ქორეოგრაფიული კულტურისათვის ბავშვობიდანვე ეზიარე-

ბინათ. სხვადასხვა ღონისძიებისათვის სახელდახელოდ შექმნილი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები ხშირად უცხოელთა წინაშეც გამოდიოდნენ და დიდი მოწონებითაც სარგებლობდნენ. მაგალითად, 1934 წლის 17-18 ნოემბერს მონბელიარის ქალაქის თეატრში ორიგინალურ ფრანგულ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო ქართულმა გუნდმა ბახტაძის, ბურძგლას,



მთა გოდუანიშვილი

ალანისა, ჩუბინიძის, თაყაიშვილისა და სხვათა შემადგენლობით. გუნდმა, რომლის ჩამოსვლა უზრუნველყო სომოს კოლონიის გამგეობამ და ქართული ქულაჯების პარიზიდან ჩამოტანა ჭიაბრიშვილმა დააფინანსა, შენგელიას ლოტბარობით შეასრულა ქართული ჰიმნი "დიდება" და "ჩონგურს სიმები აუზი", ლეკური იცეკვეს გომართელმა და გედევანიშვილმა. წარმოდგენამ საზოგადოებაში ისეთი დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, რომ ქართველთა გამოსვლა გაზეთებმა მეორე დღესვე გააშუქეს და ქება შეასხეს.

1938 წელს ლოტბარ პავლე მოსულიშვილისა და უკრაინელი კომპოზიტორის პონომარენკოს ინიციატივით ქართველი და უკრაინელი ახალგაზრდებისაგან ჩამოყალიბდა 25-კაციანი "ფილარმონიული წრე". წრე თავიდანვე დიდ პრობლემებს წააწყდა, რადგან რეპეტიციები 50 ფრანკი ჯდებოდა. ამიტომ პირველ კონცერტამდე მატერიალური და მორალური დახმარება საზოგადოებას სთხოვა. იმედია, მერე თვითონ გაიკვლევს გზასო, ნერდა ყურნალ "დამოუკიდებელი საქართველოს" კორესპონდენტი. შეწირულობები ოფისში შეგროვდა ი.გოგოლაშვილისა და გუნდის მინდობილობით, ვ. ფალავასა და ვ. ხომერიკის დახმარებით. 1939 წლის 28 იანვრისათვის დაგეგმილ პირველ კონცერტზე გამოსცადებულ ანონსში მითითებული იყო, რომ მომღერალთა გუნდი და სოლოში გამომსვლელები შეასრულებდნენ: ქართულ ხალხურ სიმღერებს, ნაწყვეტებს ოპერიდან "აბესალომ და ეთერი", უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, ანსამბლი - ქართულ ცეკვებს: კინტაურს, სამაიას და ლეკურს. 26 იანვარს წრის შესრულებული სიმღერები რადიომ გადასცა. 28 იანვარს კონცერტი ჩატარდა და როგორც დამსწრე ნერდა, წრის საქმიანობის მიმართ სკეპტიციზმი სავსებით გააქარწყლა. ჩამოთვლიდა რა რიგ ნაკლოვანებებსა და საქმიან

შენიშვნებს, იქვე ამატებს, რომ ასეთ მოკლე დროში, ფაქტიურად უსახსროდ მომზადებულმა კონცერტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ყველაზე, ქართველებზეც და უცხოელებზეც მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით აღნიშნავდა მარიამ კოსტის (ვაჩნაძე) და გ. კობალაძის გამოსვლას, მარიამ სოლბერგის (ვაჩნაძე) მიერ პიანინოზე “დაისის” უვერტიურის შესრულებას, მოცეკვავეების ქალბატონების უორდანიას, ხოჭოლავა-ციციშვილის, შოთა გედევანიშვილისა და ჯაბა ხაბულიანის გამოსვლას. საუკეთესო ნომრად კი სალომე დადიანისა და თენგიზ დადეშქელიანის “ლეკურს” და თემო თაქთაქიშვილის “კინტაურს” მიიჩნევდა.

ხელოვნების სხვა დარგის მოღვაწეთაგან აღსანიშნავია პარიზის “გრანდ ოპერის” პრიმა ბალერინა, თამარ თუმანიშვილი, რომელმაც შემდეგ ჯორჯ ბალანჩინთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ამერიკულ ბალეტს. პარიზსა და მონტე-კარლოში გამოდიოდა ბალერინა ეთერ ფალავა, პარიზში მოღვაწეობდნენ მხატვრები: ფელიქს ვარლამიშვილი, მიხეილ ბილანიშვილი, ივანე ენუქიძე, ვერა ფალავა, მსახიობი მარია მერიკო (ალიხანაშვილი), მოქანდაკე რუსუდან მდივანი და სხვები, რომელთა წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი ქართულ საღამო-ბალებსა და კონცერტებში მონაწილეობამ ითამაშა.

ქართულმა ემიგრაციამ ახალი თაობის ფიზიკურ აღზრდაზეც იზრუნა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო 1930 წლის მარტში “ქართული სპორტული საზოგადოების” წესდების დამტკიცება, გამგეობის არჩევა, რომელიც მორალურის გარდა, მატერიალურ დახმარებას ითხოვდა “რათა დაეაყენოთ მკვიდრ ნიადაგზე. ამას მოითხოვს ჩვენი ერის ინტერესები”. მაისში შოთა ნიკოლაძისა და მედეა ლამბაშიძის თაოსნობით “სასპორტო-სატანვარჯიშო” საზოგადოება “შევარდენი” დაარსდა. მისი ჩამოყალიბების შესახებ საზოგადოებას გამგეობამ პრესის “დამოუკიდებელი საქართველოსა” და “ბრძოლის ხმის” მეშვეობით ამცნო. ივნისში გამგეობა იუნყებოდა, რომ დარბაზი უკვე დაქირავებულია და ოთხშაბათობით სატანვარჯიშო სექცია მუშაობს, მალე სხვა



თამარ თუმანიშვილი

სექციები დაარსდება, რომელთაც გამოცდილი ხელმძღვანელები ეყოლებათ. ზამთრის შეჯიბრებისათვის მიმდინარეობს ფეხბურთის გუნდის მზადება. მსურველებს სანევრო ფურცელი უნდა შეეცნოთ და 15 ფრანკი გადაეხადათ. ივლისისათვის სატანვარჯიშოს გარდა, უკვე ფარიკაობის, კალათბურთის, ფეხბურთისა და ჩოგბურთის სექციები მუშაობდა. იმავე წელს სასპორტო-სატანვარჯიშო საზოგადოება ვალენტიანე-ბოლიოშიც დაარსდა. ვალენტიანეში "თეთრი გიორგის" რაზმმა 200-კაციანი სპორტული სასახლე გახსნა. შექმნა ფეხბურთელთა გუნდიც. ბოლიოში კი კრივისა და ფარიკაობის კურსები გაიხსნა. პირველ წარმატებას 1930 წლის 20 აპრილს ალჟირში მსოფლიო შეჯიბრზე ვალენტინეს სატანვარჯიშო გუნდმა მიაღწია და 1 ჯილდო მოიპოვა, რომლის ნამყვანი ტანმოვარჯიშე და ხელმძღვანელი ბეჟან გიორგაძე იყო. აგვისტოში მან ოდენკურში 377-კაციან შეჯიბრში, სადაც მხოლოდ ერთი ქართველი იყო, მე-10 ადგილი და პალმის გვირგვინი მიიღო. როგორც "თეთრი გიორგი" იუნყებოდა, მას ძალოსნობაშიც დაფნის ტოტი და ძვირფასი ნივთი, ხოლო ჭიდაობაში 1 ჯილდო მიუღია. ასე რომ, ერთ დღეში ერთბაშად 3 ჯილდო მოუპოვებია.

1931 წლის 19 ივნისს პარიზში ნ. ნიკოლაძის თაოსნობით და ვ. ბარკალაიას ხელმძღვანელობით ქალებსა და მამაკაცებს შორის ტანვარჯიშსა და ბურთით თამაშში პირველი საჩვენებელი შეჯიბრი მოეწყო. შოთა გედევანიშვილი მიმოიხილავდა რა



„შუაჩოჩის“ ფეხბურთელთა გუნდი პარიზში. მარცხნიდან მოლო დგას გიორგი თოხაძე

“შევარდენის” მნიშვნელობასა და საქმიანობას, წერდა: “ჩვენ ემიგრანტულ ძნელ და მძიმე პირობებში მართლაც დიდი ენერჯია იყო საჭირო და დიდი მადლობის ღირსნი არიან, ვინც საფრანგეთში “შევარდენი” დააარსა... “შევარდენი” და მისი დარგების ყოფნა-არყოფნა ქართველი საზოგადოების ხელშია. რუსებს, სომხებს და სხვებს სპორტი თავის სიმალლეზე ყავთ დაყენებული. ნუ გავხდებით ჩვენ სხვების ყბად ასალები”. ავტორი შენიშნავდა იმასაც, რომ მეტი ყურადღება და აქტიურობა იყო საჭირო. მართალია, ქალებმა სამჯერ გაიმარჯვეს საკალათბურთო შეჯიბრში, მაგრამ არჩილ ზურაბიშვილის იმედად დარჩენილი ფეხბურთი მეტ ყურადღებას ითხოვსო. 1933 წლის 27 მაისს სენ-ჟერმენის კუნძულზე ქართველმა ფეხბურთელებმა რუსების გუნდს სძლიეს, განსაკუთრებით თავი შ. გელაშვილმა გამოიჩინა, 2 ივნისს იმავე მოედანზე ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა საჩვენებელი გამოსვლა მოაწყვეს. 1934 წელს მართალია, ქართველი კალათბურთელი მამაკაცები ფრანგულ გუნდთან დამარცხდნენ, მაგრამ ძალიან კარგად ითამაშეს და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩაო, იუნყებოდა “თეთრი გიორგი”. 1935 წელს კალათბურთში მამაკაცებმაც იმარჯვეს, რომლებიც გიორგი თურქიას ხელმძღვანელობით პარიზის ჩემპიონატში მხოლოდ ორი წლის წინ ჩაებნენ, ამხანაგურ შეხვედრაში ფრანგული გუნდი “S.a. Pariziens” დაამარცხეს და II საპატიო ადგილი დაიკავეს. ქართველ კალათბურთელთა გამარჯვებამ ასახვა ქართულ პრესაშიც ჰპოვა: “ბურთი ააგდო საქვეყნოდ ცნობილმა და გამოჩენილმა ფალავანმა კოლა ქვარიანმა”. 1935 წელს “შევარდენის” კარვედის (კემპინგის) სექციაც დაარსდა. სექციამ სცადა 6 სალამოს შემოსავლით (2316 ფრანკი და 20 სანტიმი) ზაფხულში ახალგაზრდების დასასვენებელი კემპინგის მოსაწყობად კარვების შექმნა, მაგრამ თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა და ეს ღონისძიება შემდეგი ზაფხულისათვის გადადეს. 1937 წლის ზაფხულში სექციას კარვები უქირავებია და ვასილ ბარკალაიას ხელმძღვანელობით 1 თვით ზღვისპირეთში 5 ახალგაზრდა გაუშვია: ა. ციციშვილი, თ. თაქთაქიშვილი, ვ. ჯიბლაძე და დ. ჯაფარიძე. ექსპედიცია 10 სალამოს შემოსავლის ნაწილითა და კერძო პირების შეწირულობებით დაუფინანსებიათ. ექსპედიციაზე დახარჯული თანხის გარდა, სალაროში კიდევ 700 ფრანკი დარჩენილა. ახალგაზრდებზე ზრუნვისა და გამოჩენილი გულისხმიერებისათვის გამგეობა საზოგადოებას მადლობას უხდოდა.

რაკი ემიგრანტობა გაგრძელდა, არ ჩანდა საშველი და სამშობლოში დაბრუნებას ჯერ საიმედო პირი არ უჩანდა, 1936 წლის ბოლოს გადაწყდა "თანამედროვე პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის ინსტიტუტის" დაარსება, რომელიც თავს მოუყრიდა მოგონებებს, მემუარებს, წერილებს მისი წარმოშობის მიზეზებზე, არსებულ პირობებზე, შეკრებდა სტატისტიკურ ცნობებს სხვადასხვა ქვეყანაში ქართველ ემიგრანტთა რაოდენობაზე, სტატუსზე, რა გააკეთა მან სხვადასხვა დარგში, დაეხმარებოდა კოლონიებს ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების მოწყობაში. ინსტიტუტის წევრები და კორესპონდენტები იქნებოდნენ ფრანგებიც და უცხოელებიც, ყველა, ვისაც შეეძლო ინსტიტუტის მუშაობაში წვლილის შეტანა. ამ მიზნით, პარიზში რამდენიმე კრება ჩატარდა. პრეზიდენტად აირჩიეს ფილიპ სერი - სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე, ვიცე-პრეზიდენტად მარიუს მუტი - ყოფილი მინისტრი. წევრები იყვნენ: სებასტიან შარლეტი - პარიზის უნივერსიტეტის რექტორი, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორები: ანდრე მაზენა, პიერ ბუვიე, გუსტავ კოპენი და სხვები. 1938 წლის 21 მარტს ინსტიტუტისა და რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით სორბონის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში რუსთაველის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა. ინსტიტუტის შემდგომ საქმიანობაზე მასალები ველარ მოვიპოვეთ.

ქართული კულტურისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველოლოგიის დარგში უცხოელთა და ქართველთა მოღვაწეობას, კერძოდ, ევროპაში ქართული ენის კათედრების გახსნას. 1932 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ბელგიაში ყოფნისას,



მიხეილ ჩიკობავა

ბრიუსელის უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ისტორიის ინსტიტუტის ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ქართული ენის კათედრის გახსნის საკითხი დასმულა. იქ უკვე დაარსებული სომხური ენის კათედრაზე პროფესორი ადონცი იყო მიწვეული. 20 ათასი ფრანკი ნაწილობრივ სომხურმა დიასპორამ გაიღო, ნაწილობრივ ... ინსტიტუტმა. ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის საორგანიზაციო კომისია ცნობილი და გამოჩენილი პირებისაგან შედგა: თავმჯდომარე - ბრიუსელის უნივერსიტეტის

რექტორი პროფესორი ჯორჯ სმეტსი, მოადგილე ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი ბიზანტიოლოგი ჰენრიხ გრეგუარი, მდივანი და ხაზინადარი - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი მარკოზ ტულუში და ინჟინერი დავით ბერეკაშვილი. პროფესორად დასახელდა მიხეილ წერეთელი, რომელიც ლექციებს ასირიოლოგიაშიც წაიკითხავდა. კომისიას უნდა მოეგროვებინა თანხა, რომ მომავალი შემოდგომიდან ლექციები დაწყებულიყო. შემუშავდა მონოდება საზოგადოებისადმი. კომისიის მუშაობამ შედეგი გამოიღო და თანხა შეგროვდა. მიხეილ წერეთელი მიიწვიეს და 29 სექტემბერს ბრიუსელის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრა ოფიციალურად გაიხსნა, რასაც ბევრი ადამიანი დაესწრო. გრეგუარმა შეკრებილთ ქართული და ასირიული ენების შესწავლის მნიშვნელობა და ლექტორი მ. წერეთელი გააცნო, რომელიც "მეცნიერად პარიზში, ლონდონსა და ჰაიდელბერგში ჩამოყალიბდა. ჩვენ გვინდა ის აქ დარჩეს, მაგრამ ვუსურვებთ, რაც შეიძლება ჩქარა განთავისუფლებულ საქართველოს უნივერსიტეტში დაბრუნდეს". სიტყვა წერეთელმაც წარმოთქვა ისაუბრა ასირიოლოგიაზე, ქართულ ფილოლოგიაზე და მათ დამოკიდებულებაზე. 1933 წელს მ. წერეთელი პროფესორად ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მიიწვიეს. მისი საქმე ბელგიაში მ. ტულუშმა გადაიბარა.

გერმანიაში, ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა სემინარში ქართულ კულტურასა და ენას ეცნობოდნენ პროფესორ მეკელაინთან, რომელმაც მალე დააარსა ქართული ენის კათედრა და საზოგადოების ინტერესის კვალდაკვალ, ქართული კულტურის კათედრის დაარსებაც გადაწყდა. მოგვიანებით, ქართული ენის კათედრას ნიკო ნაკაშიძე ჩაუდგა სათავეში. ქართული ენის კერძო გაკვეთილების მიღება მიხეილ წერეთელთანაც შეიძლებოდა.

1934 წელს ინფორმაცია დაიბეჭდა ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის დაარსებაზე, სადაც ერთ-ერთ პროფესორად უნდა მიენივიათ გრიგოლ ფერაძე, ქართული ენის ლექციების წასაკითხად - პროფესორი გიორგი ნაკაშიძე. მართლაც, 1935 წელს ვარშავის უნივერსიტეტში ქართული ენისა და კულტურის სწავლებას სათავეში ეს ორი ქართველი ჩაუდგა.



ნიკო ნაკაშიძე

ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში წარმატებით მოღვაწეობდა შალვა ბერიძე, რომელმაც შესაბამისი წრეების ყურადღება მიიპყრო. მისი ნყალობით დაარსდა ქართული ენის კათედრა, შეიქმნა მსმენელთა ფართო წრე, რომელიც კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებს ამუშავებდა. მასვე ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში სხვადასხვა ჩანაწერები აღმოუჩენია. გამოსცა რამდენიმე ნაშრომი. პირველი – კაპუცინების ორდენის ბერის ბერნარდო დი ნაპოლის ორი ჩანაწერი, რომელიც 1670-1680 წლებში იმყოფებოდა საქართველოში: დღიური და დიალოგი ორ ქართველს შორის. დი ნაპოლი აქებს ქართველებს ქრისტიანობის დაცვის, რწმენის, სტუმართმოყვარეობისა და ნიჭის გამო. მეორე – ორი მწერლის აზრი შამილზე, მესამე – მისი მოხსენება 1936 წლის 23 ოქტომბერს რომში ბიზანტიოლოგთა კონგრესზე "ბიზანტია, რომი და კავკასია". ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის, დეპუტატი გრაფ ბარბიელინის ინიციატივით 1936 წლის ნოემბერში ქართული ენის კათედრა დაარსდა.

როგორც დავინახეთ, ემიგრაციისათვის ქართული მენტალიტეტის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების -- "ქართული კერის", "პრომეთეს კლუბის", "კავკასიის შემსწავლელი საზოგადოების" საქმიანობა, ბავშვებისათვის ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ტრადიციების შესწავლა, კავკასიის პრობლემების უცხოელთათვის გაცნობა. საგანმანათლებლო-პროპაგანდისტულ მიზნებს ისახავდა "ქართული სამეცნიერო წრე", "პარიზში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაცია". "დრამატული წრე" და "ფილარმონიული წრე" ემიგრანტთა ძალებით სპექტაკლებს, დრამატულ საღამოებს, კონცერტებს მართავდა. ახალი თაობის ფიზიკური აღზრდისათვის სატანვარჯიშო, ფარიკაობის, კალათბურთის, ფეხბურთის, ჩოგბურთისა და კემპინგის სექციებით სასპორტო საზოგადოება "შევარდენი" დაარსდა. ქართული კულტურისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპაში ქართული ენის კათედრების დაარსებას ბრიუსელის, ბერლინის, ვარშავის უნივერსიტეტებსა და ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

თავი XII

ემიგრანტული სტამბები. გამოცემები და გამომცემლები

ცალკე უნდა გამოვყოთ საგამომცემლო საქმიანობა ემიგრანტული სტამბები, გამოცემები და გამომცემლები.

ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები, ნიგნები და კრებულები უკვე 1921 წელს იბეჭდებოდა სტამბოლში და პარიზში, შემდეგ - ვალენტიანეში, ჟენევაში, ბერლინში, მიუნხენში, ნიუ-იორკსა და სხვა ქალაქებში. ქართულ ენაზე სხვადასხვა დროს მრავალი ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, რომლებიც უმეტესად პოლიტიკური მიმართულების იყო. პარტიათა დაშლამ და მრავალრიცხოვანი ჯგუფების წარმოქმნამ პერიოდულ გამოცემათა სიმრავლე გამოიწვია. ყველა ამ ჯგუფს თავისი ბეჭდური ორგანო ჰქონდა, რომლებიც 1921-1939 წლებში სხვადასხვა პერიოდულობით გამოდიოდა.

აღსანიშნავია პარტიათა გაერთიანების ჟურნალი "დამოუკიდებელი საქართველო" (1926-1939) ჯერ იოსებ გობეჩიას (ესერი), შემდეგ გრიგოლ ურატაძის (სდმპ), ბლოს კი - სამსონ ფირცხალავას (ფედერალისტი) რედაქტორობით; უპარტიო ეროვნული კულტურის "საქართველოს მოამბე" (1923) - რაფიელ ივანიცკი-ინგილოს; ხელოვნებისა და მეცნიერების კრებული "კავკასიონი" (1929-1932) - ვიქტორ ნოზაძის, ედუარდ პაპავას, ისიდორე მანსკავას (1966-1977) წლებში ამავე სახელწოდების ჟურნალი გამოდიოდა პარიზში ვ. ნოზაძის, შემდეგ - გ. ყიფიანის რედაქტორობით); სოციალ-დემოკრატების ჟურნალი "თავისუფალი საქართველო" (1921-1922) - სარედაქციო ჯგუფის; "ბრძოლა" (1925-1928) - დავით შარაშიძის; გაზეთი, შემდეგ ჟურნალი "ბრძოლის ხმა" (1929-1940) - დავით შარაშიძის, გრიგოლ ურატაძის, პავლე სარჯველაძის, კონსტანტინე გვარჯალაძის; ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატთა ჟურნალი "ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი" (1927-1931) - მიხეილ ხუნდაძის; სოციალისტ-ფედერალისტთა ჟურნალი "სახალხო საქმე" (1926-1935) - სამსონ ფირცხალავას; ეროვნულ-დემოკრატთა გაზეთი "ახალი საქართველო" (1924-1926) - გრიგოლ ვეშაპელის; გაზეთი "საქართველო" (1929-1938) - გიორგი გვაზავას;

ჟურნალი "სამშობლოსათვის" (1925) და გაზეთი "საქართველოს გუშაგი" (1932-1936) სპირიდონ კედიას; გაზეთი "მამული-შვილი" (1926-1928) - რევაზ გაბაშვილის; ჟურნალი "სამშობლო" (1929-1939) ალექსანდრე ასათიანის, ელისე პატარაძის; გაზეთი "კლდე" (1934-1936) - შალვა ქარუმიძის; ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატია ჟურნალი "ახალი ივერია" (1927-1939) - სარედაქციო კოლეგიის (ვალთა ჯიბლაძის, დიმიტრი სინჯიკაშვილის, სევერიან ჭირაქაძის, ალექსანდრე ცომიაის); ნაციონალ-პატრიოტთა დარაზმულობის "თეთრი გიორგი" (1926-1939) - ლეო კერესელიძის, მიხაკო წერეთლის, ვიქტორ ნოზაძის და ისევე ლეო კერესელიძის; ორგანიზაცია "მომავლის" ჟურნალი "მომავალი" (1934-1938) - ალექსანდრე მანველიშვილის; პოლიტიკური ჟურნალი "ორნატი" (1934-1935) - ვიქტორ ნოზაძის; საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის "ქართლოსი" (1937-1939) - ვიქტორ ნოზაძის; დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო ჟურნალი "კავკასია" (1937-1939) პარიზული გამოცემა - იოსებ გვარამაძის და ბერლინური - დავით საღირაშვილის რედაქტორობით.

ნიგნების გამომცემლებად თვითონ ჟურნალ-გაზეთები და სხვადასხვა საზოგადოებები თუ ორგანიზაციები გვევლინებიან: პარიზის წმ.ნინოს ქართული მართლმადიდებელი მრევლი - ჟურნალი "ჯვარი ვაზისა" (1931-1934) - გრიგოლ ფერაძის; ქართველი იუნკერები - ჟურნალები "ატროკებული ტვინი" (1922) - ლევან სამხარაძის, "ჭაბუკის კენესა" (1924) - ნიკოლოზ მათიკაშვილის, "ჩვენი რვეული" (1926) - პროკოპი აბულაძის, "მთავრიდა" (1928), "მტკვარი" (1929); პრომეთეს ფრონტი - ჟურნალი "პრომეთე" (1926-1939) - გიორგი გვაზავას; ქართველ იუნკერთა კავშირი - ჟურნალი "მხედარი" (1929-1938) - პროკოპი აბულაძის, ვიტალი უგრეხელიძის; კავკასიელი "ადამიანოსნები" - ჟურნალი "ადამიანოსანი" (1930-1932) და კავკასიელი "მუზარადელები" - გაზეთი "მუზარადი" (1937-1938) - ინდო ინასარის (ნიკოლოზ ინასარიძის) რედაქტორობით.

ამ გამოცემათა უმეტესობა განხილული აქვს გურამ შარაძეს "ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის" უკვე გამოცემულ I-VIII ტომებში.


გამომცემლები კერძო პირებიც იყვნენ: დავით ხელაძე, ვიქტორ ნოზაძე, არჩილ მეტრეველი, დავით საღირაშვილი, ვალიკო ჩუბინიძე, ნიკო ურუშაძე და სხვები.

მნიშვნელოვანი გამოცემებისათვის იქმნებოდა ფონდები და ცხადდებოდა ხელმოწერები. მათგან აღსანიშნავია ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით პარიზში შექმნილი "ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდი". იგი 1937 წლის 23 მარტს პარიზში დაარსდა და განსაზღვრული იყო ყოფილი ოლთისის ოკრუგში, ყარსის ოლქში, 1907 წელს სამუსლიმანო საქართველოში – ტაო-ისპირში, 1917 წელს ლეჩხუმ-სვანეთში ... 1910 წელს იმერეთში, რაჭაში და გურიაში სხვადასხვა დროს ჩატარებული ექსპედიციების ანგარიშების 6 ნიგნად გამოსაცემად. ქართველობა მთელს ემიგრაციაში ამ ინიციატივას აქტიურად გამოეხმაურა. ფონდის შემოსავლების შესახებ თაყაიშვილის დანვრილებით ანგარიშებს "დამოუკიდებელი საქართველო" რეგულარულად ბეჭდავდა. 23 აპრილამდე ფონდში 4.365 ფრანკი შესულა. მას შემდეგ, რაც 13 სპონსორი გამოუჩნდა, 23 ივნისამდე უკვე 7.428 ფრანკი იყო შეგროვებული. 23 ოქტომბრამდე თანხა 8.809 ფრანკამდე გაზრდილა. ფონდს ყველა თავისებურად ეხმარებოდა. ე. თაყაიშვილის ნიგნების გამოცემა ვიკტორ ნოზაძეს უკისრია. იგი მარტო გამომცემლის შრომას არ დასჯერდა და 14 სექტემბერს "მიუზეე სოსიალის" დარბაზში, ფონდის სასარგებლოდ, მოხსენება "ქართველი ერის შექმნისათვის" წაიკითხა, რომლის 14-პუნქტიანი გეგმა აფიშაზეა გატანილი. შესვლა 5 ფრანკი ღირდა, უმუშევართათვის – 2 ფრანკი. 1937 წელს შეგროვებული თანხით გამოიცა ე. თაყაიშვილის პირველი ნიგნი, მონუმენტური, 440-გვერდიანი ნაშრომი "არხეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს". ნიგნის წინასიტყვაობაში ე.თაყაიშვილი წერდა: "ავტორი წინამდებარე ნიგნისა თავის ზნეობით მოვალეობათ რაცხს უგულითადესი მადლობა გამოუცხადოს ბატონ ვიკტორ ნოზაძეს, რომელმაც თავისი უანგარო ენერგიული დახმარებით შესაძლებელი გახადა ამ ნიგნის გამოცემა; ბატონ ნესტორ კალანდაძეს, რომელმაც დახატა სათაური ნიგნისა და ბატონთ სამსონ ფირცხალავას და სოსო გოგოლაშვილს, რომლებიც დაგვეხმარნენ კორექტურის შესწორებაში". უურნალი "ქართლოსი", რომელიც გამოეხმაურა გამოცემას, წერდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლის-



მდებარე ნიგნისა თავის ზნეობით მოვალეობათ რაცხს უგულითადესი მადლობა გამოუცხადოს ბატონ ვიკტორ ნოზაძეს, რომელმაც თავისი უანგარო ენერგიული დახმარებით შესაძლებელი გახადა ამ ნიგნის გამოცემა; ბატონ ნესტორ კალანდაძეს, რომელმაც დახატა სათაური ნიგნისა და ბატონთ სამსონ ფირცხალავას და სოსო გოგოლაშვილს, რომლებიც დაგვეხმარნენ კორექტურის შესწორებაში". უურნალი "ქართლოსი", რომელიც გამოეხმაურა გამოცემას, წერდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლის-

სთავზე გამოცემული "ეს შრომა ფასდაუდებელია". 1938 წელს გამოცხადდა სახსრების შეგროვება მეორე ნიგნის გამოცემისათვის და დაიბეჭდა ანგარიშები. 1938 წლის ბოლოს გამოიცა "არხეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს". მესამე ნიგნის გამოცემა "არხეოლოგიური ექსპედიცია სამუსულმანო საქართველოში, ტაო-თორთუმისპირში 1917 წელს" ველარ მოესწრო II მსოფლიო ომის დაწყების გამო.



ემიგრანტულ გამოცემათა დიდი ნაწილი ქართულ სტამბებში იბეჭდებოდა. მათგან აღსანიშნავია: ქართველ კათოლიკეთა სტამბა სტამბოლში, ეროვნულ-დემოკრატი "საქართველო" და "სამშობლო" ვალენტიანეში, "თეთრი გიორგი" იქვე, დავით ხელაძის "ქართულ-კავკასიური" პარიზში, არჩილ მეტრეველის ბერლინში და ა.შ.

ქართული მნიგნობრობისა და ნიგნის ბეჭდვის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველ კათოლიკეთა სტამბებმა ვენეციაში, სტამბოლსა და მონთობანში. პირველი ორის დამაარსებელი პეტრე ხარისჭირაშვილი იყო, მესამის - ანდრია წინამძღვრიშვილი. პირველი ნიგნი ხარისჭირაშვილმა 1858 წ. ვენეციის წმ. ლაზარეს კუნძულზე მხითარისტთა კონგრეგაციაში დაბეჭდა. 60-იან წლებში სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა ძმობამ ფერი-კვიის (ფერიქოვის) უბანში "ლეთისმშობლის უმანკო ჩასახების" სახელობის მონასტერი დააფუძნა და 1870 წელს სტამბა აამუშავა, რომლის დირექტორი ანტონ გოზალიშვილი (ანტუან გვიზლინი) იყო. 70-იან წლებში ქართველმა კათოლიკეებმა საფრანგეთის ქალაქ მონთობანში ანდრია წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით ახალი ძმობა და სტამბა დააფუძნეს, რომლის დირექტორი ენრიკო ფაბრი იყო. ამ სტამბებში, სასულიერო და რელიგიური ხასიათის ლიტერატურის გარდა, იბეჭდებოდა პოეტური, ფილოსოფიური, სასწავლო ნიგნები, აგრეთვე სახელმძღვანელოები, ლექსიკონები და სხვა.

XX საუკუნის დასაწყისში სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის სტამბაში ტრადიციული თემატიკის გარდა, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა იბეჭდებოდა, საქართველოს ლტოლვილი მთავრობის ჩასვლის შემდეგ - ანტიბოლშევიკური ნიგნები, ყურნალ-გაზეთები და ოფი-

ციალური წერილები. მთავრობის მიერ შექმნილი სტამბოლის პოლიტიკური კომისიის საინფორმაციო სამსახური დავით შარაშიძის ხელმძღვანელობით, საბჭოთა პროპაგანდას დაუპირისპირდა და ფრანგულ-თურქულ გაზეთებში ოკუპირებულ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ათავსებდა. 1921 წლის 15 მაისს კომისიის ბეჭდური ორგანოს "თავისუფალი საქართველოს" პირველი ნომერი დაიბეჭდა (სულ 27 ნომერი გამოვიდა, რედაქტორი - რაჟდენ არსენიძე). გაზეთი ქართველ კათოლიკეთა მონასტრის სტამბაში იბეჭდებოდა. გაზეთის გარდა, გამოდიოდა ბიულეტენი საქართველოს ამბებით, რომლისთვისაც მასალას საიდუმლო სამსახური აწვდიდა. თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან, სანდო პირებისაგან დაშიფრულ წერილებს იღებდნენ. სტამბოლში გაშიფვრის შემდეგ კორესპონდენცია ექსპრესით პარიზში, საქართველოს მთავრობის ლეგაციაში იგზავნებოდა. სასწრაფო საქმეებისათვის დაშიფრულ დეპეშას მიმართავდნენ. ამ საქმიანობით 20-იან წლებში ქართველ კათოლიკეთა მონასტერი და სტამბა ანტიბოლშევიკურ და ანტისაოკუპაციო ბრძოლის ცენტრად იქცა, თუმცა სხვა ხასიათის ნაშრომებიც იბეჭდებოდა. მაგალითად, 1922 წელს მიხაკო წერეთელმა სტამბოლის მონასტრის სტამბაში ორი წიგნი დაბეჭდა: უძველესი შუმერული ეპოსის "გილგამეშიანის" ქართული თარგმანი და სამეცნიერო გამოკვლევა "ხეთის ქვეყანა და ხალხები".

ვალენტინეში ეროვნულ-დემოკრატიებმა 1923 წელს ორი გამომცემლობა - "საქართველო" და "სამშობლო" დააფუძნეს. გამომცემლობა "საქართველო", სარეკლამო-საინფორმაციო ფურცლის მიხედვით, იყო საპაიო საზოგადოება შექმნილი ცნობილი ფინანსისტის გრიგოლ ბერიძის დახმარებით, რომელიც მის საპატიო თავმჯდომარედ დაასახელეს. გამგეობის ხელმძღვანელი ელისე პატარიძე მეპაიეებს ანგარიშს ყოველ წთვეში ერთხელ აბარებდა. გამომცემლობას ჰქონდა თავისი სტამბა და ჰყავდა რწმუნებულები პარიზში - სოლომონ ზალდასტანიშვილი, ალექსანდრე აბაშიძე, შოთა ნიკოლაძე, გრენობლში ... პეტრე ჯაფარიძე, მონპელიეში - ირაკლი მჭედლიშვილი, ორნის დეპარტამენტში - ალექსანდრე ცომაია, ვალენტინეში - მიხეილ ქავთარაძე, ვარშავაში - გიორგი ინჯია, ბერლინში - ნიკო ნაკაშიძე, პრალაში - შალვა ჯაფარიძე, სტამბოლში ... ნიკოლოზ მალალაშვილი. გამომცემლობამ პირველ წიგნად ალექსანდრე ასათიანის 334-გვერდიანი "ძველი და

ახალი მემკვიდრეობის" | წიგნი დაბეჭდა. გამომცემლობა "სამშობლოს" შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

20-იან წლებში ეს გამომცემლობები ისეთი მკითხველების მოთხოვნილებას, როგორც ს. ფირცხალავა იყო, ვერ აკმაყოფილებდნენ: "რამოდენიმე სხვადასხვა პოლიტიკური ორგანო გამოდის, რომლებიც კულტურულს, ლიტერატურულს საგნებს ნაკლებს ყურადღებას აქცევენ. არც ცალკე საამისო ორგანო გვაქვს. - ყველასთვის საერთო, შემაკავშირებელი თუ მხედველობაში არ მივიღებთ "კავკასიის" რამდენიმე კრებულს. ცალკე წიგნებიც არ იბეჭდება, თუ რამ გამოდის - უმთავრესად პოლიტიკური, პარტიული. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს დავით ხელაძის მუშაობა, რომელიც დადგას რუულიად პოლიტიკისა და პარტიულობის გარეშე და ხელი მოკიდა ისეთი წიგნების გამოცემას, რომლებიც უნდა აინტერესებდეს ყველა ქართველს, რომლებიც არიან ლიტერატურისა და კულტურის შესახებ".

ხელაძეთა გვარიდან ცნობილი არიან მესტამბენი: თბილისში - ექვთიმე, ქუთაისში - იოსები. ემიგრანტი მესტამბე დავით ხელაძე კი საქართველოში ცნობილია ორი მნიშვნელოვანი გამოცემით - 1933 წელს პარიზში და 1943 წელს ბერლინში დასტამბული "ვეფხისტყაოსნით", რომელთა შესახებაც ინფორმაციას სოლომონ ყუბანეიშვილი და გურამ შარაძე გვანვდიან.

დავით ხელაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეპიზოდების აღდგენაში ემიგრანტული პრესა და გამოცემები გვეხმარება. ბიოგრაფიის ადრეული თარიღების მოძიება



დავით ხელაძე

გაგვიძნელდა. ვიცით მხოლოდ, რომ 1887 წელს ქუთაისში დაიბადა. ყმანვილკაცობიდანვე სტამბაში ასოთამწყობად მუშაობდა. როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, პარტიულ დავალებებს ასრულებდა და მეგობრები მას "პატარა დათიკოს" უწოდებდნენ. 1921 წლის შემდეგ ხელაძე პოლიტიკური ემიგრანტია და საქმიანობას ემიგრაციაში განაგრძობს. როგორც მისი პირადი წერილიდან ვიგებთ, 1928 წელს გამოუცია აღმანახი, რომელიც ჩვენ ხელთ არ გვაქვს და ძნელია იმის თქმა, რას წარმოადგენს.

1931 წელს ჟურნალ "სამშობლოში" გამოქვეყნებული მიმართვის შემდეგ, დ. ხელაძემ იაკობ გოგებაშვილის "დედა-ენა" დაბეჭდა. "სამშობლოს გარეშე პირველად გამოსულ "დედა-ენას" ვუძღვნი ჩემს დაუფინყარ დედას - დავით ხელაძე. 22. 09. 31". ნიგნი გადმობეჭდილია 1904 წელს გოგებაშვილისეული გამოცემიდან. ნინასიტყვაობა გვამცნობს გამომცემლის სურვილს: "მრავალი ბავშვი იზრდება უცხოეთში გადმოხვენილი, მოკლებული ქართულ სკოლის ნიგნს, წრეს და მათი მშობლები მწვავე ტკივილებს გრძნობენ, რომ სათანადო საშუალების უქონლობის გამო, მათ არ ძალუძთ შეასწავლონ შვილებს დედაენა, გააცნონ სამშობლოს ბუნება, ცხოვრება და ისტორია". "დედა-ენის"

გამოცემას აღტაცებით გამოეხმაურა ემიგრანტული პრესა: პარტიათა გაერთიანების ჟურნალი "დამოუკიდებელი საქართველო", სოციალ-დემოკრატთა ჟურნალი "ბრძოლის ხმა", ნაციონალისტ-პატრიოტთა "თეთრი გიორგი" და ეროვნულ-დემოკრატთა "სამშობლო".


"დ. ხელაძემ გამოსცა ჩვენი სახელოვანი პედაგოგის ი. გოგებაშვილის "დედა ენა". "ნიგნი გადმობეჭდილია თვით ავტორისდროინდელი გამოცემიდან... და ახდენს საუცხოოვ შთაბეჭდილებას". "ბრძოლის ხმა" ხარისხს და გამომცემლის მიერ გადაღახულ ტექნიკურ სირთულეებს აღნიშნავდა, რომელმაც "დაგვიმტკიცა, რომ, აქ, პარიზშიც, შეიძლება ქართული ნიგნის დაბეჭდვა ისეთივე მდიდრულათ, როგორადაც ეს ხდებოდა სამშობლოში. ეს მრავალფეროვანი ქართული ასოები, ეს ქართული ნახატები ძველი "დედა-ენისა", ახალში ასე უცვლელად გადმოტანილი, მონაშობს გამომცემლის მიერ შრომის და ხარჯის დაურიდებლობას და ამ საკითხისადმი სიყვარულს!". ჟურნალი "სამშობლო" ხაზს უსვამდა, რომ ხელაძემ "ეს უაღრესად პატრიოტული საქმიანობა ჩაატარა უანგაროთ, უსასყიდლოთ".

ნიგნის გამოცემაზე ძნელი ემიგრაციაში მისი გასაღება იყო, რომლის საფასურს გამომცემელი ხშირად ველარც იღებდა. "ჩვენდა სამწუხაროდ ქართულ ნიგნს ქართული ემიგრაცია გაურბის, ძალით თუ არ აყიდვინებთ, ისე თვითონ ნიგნისაკენ ხალისით არ მიიწევს.. სხვას რომ თავი დავანებოთ, "დედა-ენა" ხომ მაინც ფართოდ უნდა გავრცელებულიყო, უნდა გაელო ყოველ ქართველს ბინის კარი და გამხდარიყო თვითეული ქართველი ბავშვის უპირველესი და აუცილებელი ნიგნი. ეს "დედა-ენა" მთელს უცხოეთში ძლივს გასაღდა ას ცალზე ცოტა

მეტი და მათში ბევრის ფასი დღესაც გადაუხდელია. მივაქცევთ ყურადღებას ამ სამწუხარო მოვლენას და გამოვთქვამთ იმედს, რომ ამას ბოლო მოელება, ეს შეიცვლება, მდგომარეობა გამოკეთდება და ქართულ ნიგნს ემიგრაციაში პატივისცემა და სიყვარული მიენიჭება".

ხარჯების აუნაზღაურებლობის მიუხედავად, ხელაძეს საქმიანობა არ შეუწყვეტია. 1932 წელს მან კონსტანტინე კანდელაკის "ეკონომიური კრიზისი" და ლეისპირელის ლექსები გამოსცა, 1933 წელს "ვეფხისტყაოსნის" რუსული თარგმანი, რომელიც "დიდი ხანია ბალმონტს მზად ქონია... მის შესაფერის გამოცემას, მრავალ ხარჯთან დაკავშირებულს, ვერავინ კისრულობდა... დათიკო ხელაძე არ შეუშინდა ამ საქმის სიძნელეს და ბალმონტთან შეთანხმებით შეუდგა გამოცემას. გამოცემა საუცხოოა, იშვიათი არა თუ ქართულ, არამედ ევროპულ პირობებშიც კი. მშვენიერი ქალაღი, ლამაზად შესრულებული სურათები (ზიჩის), მშვენივრად შერჩეული მთავარი ასოები და თვით-ეული გვერდის ჩარჩოს მოსაკაზმი ორნამენტები ყველა გამომოლებულია ძველი ქართული ჩუქურთმებიდან. ნიგნს უძღვის ნინ ორი წინასიტყვაობა ბალმონტისა, რომელშიც მთარგმნელი ქებათ-ქებას ასხამს შოთას და მას დანტეს, პეტრარკას და მიქელანჯელოს გვერდით აყენებს, აგრეთვე "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი ფრანგულ და ინგლისურ ენაზე გადმოცემული. ქართველი საზოგადოება ვალდებულია, მიუძღვნას დ. ხელაძეს მაღლობა და ამავე დროს გაუწიოს დახმარება. ეს დახმარება

იქნება მისი მშვენიერი გამოცემის შეძენა ყველას მიერ, ვისაც ამის შეძლება აქვს", - წერდა "ბრძოლის ხმა". ნიგნს გამოეხმაურა უცხოური პრესაც. პოლონური ჟურნალ "ვსხოდის" (ალმოსავლეთი) აზრით: "ნიგნი არ არის ნაყოფი ჩვეულებრივი გამომცემლის მოქმედების, არამედ ერთგვარი აქტი ნაკარნახევი მხოლოდ პატრიოტიზმით, გაჟღენთილი სიყვარულის დიდი გრძნობით... ხელაძემ საკუთარი ინიციატივით შრომითა და ხარჯით, რომელიც ფრიად შთამბეჭდავია - 40 ათასი ფრანკი, შეასრულა ეს კოლოსალური სამუშაო, მაგრამ უფრო დიდია ის მორალური და არამატერიალური ღირე-



დ. ხელაძის გამოცემული "ვეფხისტყაოსანი"

ბულებანი, რომელნიც ჩაქსოვილია წიგნის ყოველ დეტალში, ყოველ ორნამენტში”.

ემიგრაციაში კერძო პირის მიერ წიგნის გამოცემა მეტად რთული და ძვირი საქმიანობა იყო, ამიტომ დავით ხელაძემ გადანყვიტა დავით სალირაშვილთან ერთად ქართული სტამბის დაარსება. 1933 წლის 30 მაისს პარიზის ცენტრში “დ. ხელაძისა და ამხანაგობის” ფრანგულ-კავკასიური სტამბის საზეიმო გახსნას დაესწრნენ: საქართველოს მთავრობის, პარტიების, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოკავკასიის და უკრაინის წარმომადგენლები. სიტყვით გამოვიდნენ: ნ. ჟორდანიას, ბ. ხატისოვი, დ. ვაჩნაძე, ი. კოსენკო და სხვები. “ბრძოლის ხმა” სტამბის ტექნიკურ დონესაც აღნიშნავდა: “სტამბა მოთავსებულია ფართო შენობაში, აქვს რამდენიმე ოთახი და შემკობილია ყველა თანამედროვე სასტამბო მანქანებით”. ფრანგული, ქართული, სომხური და სხვა შრიფტებით სტამბას შეეძლო ევროპულ და კავკასიურ ენებზე ყოველგვარი სამუშაოს შესრულება. მის მესვეურებს, საგამომცემლო საქმიანობის გარდა, ყველა ქართულ-კავკასიური გამოცემის თავმოყრა გადაუწყვეტიათ. “დ. ხელაძეს ემიგრაციაში არაერთი კულტურული საქმე გაუკეთებია. ჩვენ ვუსურვებთ მას ახლად წამოწყებული საქმის წინსვლას და წარმატებას”, წერდა ჟურნალი “სამშობლო”.

ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა ქართული ჟურნალები: ეროვნულ-დემოკრატიკა “სამშობლო”, გრიგოლ ფერაძის “ჯვარი ვაზისა”, ნინო და კალისტრატე სალიების “ბედი ქართლისა” და სხვა. წიგნები: ალექსანდრე ასათიანის “ქართული პოლიტიკის ძველი და ახალი გზები”, სტეფანე კასრაძის “თარი-არალე”, დავით ვაჩნაძის “კავკასიის პრობლემა”, ნოე ჟორდანიას “სოციალიზმის სირთულეები”, გიორგი გვაზავას თარგმნილი რასინის “მითრიდატე” და ესქილეს “მიჯაჭვული პრომეთე”, ვლასა მგელაძის “ოცდაექვსი მაისი”, სამსონ ფირცხალავას “ისტორიული ლანდები” და “ამბავთა და საქმეთა მოლოდინში”, კონსტანტინე კანდელაკის “საქართველოს ეროვნული ეკონომიკა”, გიორგი ყიფიანის “ლექსები”, თამარ პაპავას “დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში”, ანჩინის (აკაკი ჩხენკელი) “სახელმწიფო და ერი”, დ'ტრეინის “ემიგრაციაში ნახული და გაგონილი”, გრიგოლ ურატაძის “საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921 წლებში” და მრავალი სხვა.

მეორე გამომცემლის, არჩილ მეტრეველის შესახებ ინფორმაცია ქართულ ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში

მოვიძიეთ. მისი სახელი პირველად შეგვხვდა 1933 წელს პარიზში გამოცემულ ექვთიმე თაყაიშვილის 88-გვერდიან ნაშრომში "პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის ქართული



ანტონ მუხომედიანი

ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი". შესავალში ავტორი წერდა: "ჩემს მოვალეობად ვხადი უღრმესი მადლობას გამოვუცხადო ჩემს ყოფილ მონაფეს ბ-ნ არჩილ მეტრეველს, რომელმაც ამ გამოცემის ხარჯი იკისრა და რომელსაც სავსებით შეგნებული აქვს აუცილებელი საჭიროება ამგვარი ძეგლების გამოცემისა და მზათ არის განახორციელოს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელოვანი გამოცემანი". ა.მეტრეველი მნიშვნელოვანი გამოცემების დასაბეჭდად მართლაც მზად აღმოჩნდა; იმავე 1933

წელს ჟურნალი "დამოუკიდებელი საქართველო" წერდა: "გამოვიდა გერმანულ ენაზე მიხეილ წერეთლის გადათარგმნილი სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე-სიცრუის" ნიგნი, გამომცემლობა არჩილ მეტრეველისა, ნიგნს უძღვის მიხეილ წერეთლის შედგენილი ბიოგრაფია სულხან-საბა ორბელიანის და ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული განხილვა ზურაბ ავალიშვილისა. დაბეჭდილია კარგ ქალაქადზე და ფრიად ლამაზად. დართული აქვს ავტორის მშვენიერი სურათი და სათაური მორთული ქართული ორნამენტებით. ბ-ნ მეტრეველს განუზრახავს გამოსცეს გერმანულად აგრეთვე ვეფხისტყაოსანი, ქართლის ცხოვრება, საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა და სხვა. ჩვენ დიდი სიხარულით აღვნიშნავთ დანყებულ საქმეს და სულით და გულით ვუსურვებთ მას სრულ წარმატებას ყველაფერში. ცხადია, თუ რა დიდს საჭიროებას წარმოადგენს დღეს, რომ გავაცნოთ ევროპელებს ჩვენი ისტორია და საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებნი. ჩვენს თავს უკეთ ამით გავაცნობთ უცხოელებს და დიდ ინტერესებსაც აღუძრავთ". ნიგნს "თეთრი გიორგიც" გამოეხმაურა.

ა. მეტრეველის საგამომცემლო საქმიანობაში ეს ნიგნი პირველია. ნიგნს აწერია: "ბერლინ-ვილენსდორფი" და ჩაფიქრებული იყო, როგორც "ქართული ბიბლიოთეკის" სერიის დასაწყისი. დაიბეჭდა პროსპექტი მომავალი გამოცემების ჩამონათვალით. 1938 წელს მოსე შანიძისადმი ამერიკაში გაგზავნილი

მისი წერილიდან ვიგებთ, რატომ შეჩერდა სერიის გამოცემა: იგი მოუტყუებია საგამომცემლო ფირმას და ელოდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას. "როგორც პროსპექტში ნახავ, კარგი განზრახვები გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი უნდა შეჩერებულიყო. თუ ჩემი ფული მივიღე, ისევ განვაგრძობთ საქმეს".

სერიის გამოცემის ჩაშლის შემდეგ, როგორც ჩანს, არჩილ მეტრეველს მუშაობა დაუნყია გრიგოლ ვეშაპელის მიერ პარიზში დაარსებული გაზეთის "ახალი საქართველოს" რედაქციაში, რადგან მას 1935 წლის პირველ ნომერში მოთავსებულ ფოტოზე რედაქციის წევრთა შორის ვხედავთ. 40-იანი წლებამდე კი მეტრეველის, როგორც გამომცემლის სახელი, მეტად აღარ შეგვხვედრია. მხოლოდ II მსოფლიო ომის დროს და ომის შემდეგ მეტრეველის ამ სტამბაში დაიბეჭდა ბევრი მნიშვნელოვანი გამოცემა. II მსოფლიო ომის შემდეგ ქართული ემიგრაციის ნაწილი ამერიკის კონტინენტზე გადასახლდა და ევროპის გარდა, იქაც ამუშავდა ქართული სტამბები. ყველა ის გამოცემა კი, რომელზეც საუბარი იყო ზემოთ, მოპოვებულია გურამ შარაძის მიერ და დაცულია ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

ასე რომ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მრავალრიცხოვან პარტიულ პრესას, ლიტერატურულ-სამეცნიერო, კულტურულ და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამოცემულ პერიოდიკას, სამუსლიმანო საქართველოში, ლეჩხუმ-სვანეთში, იმერეთში, რაჭაში და გურიაში სხვადასხვა დროს ჩატარებული ექსპედიციების ანგარიშების 6 ნიგნად გამოსაცემად ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით შექმნილ "ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდს". პერიოდიკა, ცალკეული გამოცემები და ნიგნები 1921 წელს იბეჭდებოდა სტამბოლში და პარიზში, შემდეგ - ვალენტინეში, ყენევაში, ბერლინში, მიუნხენში და სხვა ქალაქებში. ქართული სტამბებიდან აღსანიშნავია სტამბოლში კათოლიკური მონასტრის, პარიზში დავით ხელაძის "ქართულ-კავკასიური" და მიუნხენში არჩილ მეტრეველის სტამბები.

თავი XIII

ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები

ემიგრაციის კონსოლიდაციისა და ქართული ტრადიციების გასაცნობად ახალი თაობისთვის და უცხოელთათვის დიდ როლს ანიჭებდნენ დღესასწაულებს და მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნას. ეს იყო ერთიანობის ერთგვარი აქცია და საქართველოსადმი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მცდელობა.

ქართულ ემიგრაციაში დიდი ზეიმით აღინიშნებოდა შობა-ახალი წელი, ნინოობა და 26 მაისი.

შობა-ახალი წელი განსაკუთრებით ზეიმით აღინიშნებოდა იქ, სადაც ხალხმრავალი კოლონიები არსებობდა - პარიზში, სოშო-ოდენკურში, ბერნში, ლონდონში, მიუნხენში, ხარბინში, ნიუ-იორკში და სხვაგან. როგორც წესი, ბავშვებისათვის ნაძვის ხე იდგმებოდა და მხატვრული დილა ან საღამო ტარდებოდა. ბავშვები კითხულობდნენ ლექსებს, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, იღებდნენ უფროსებისაგან წინასწარ მომზადებულ საჩუქრებს. ინიციატორები იყვნენ ქართულ სათვისტომოთა გამგეობები, ქალთა კომიტეტები ან საზოგადოებები და კერძო პირები. ამ ზეიმს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ორგანიზატორები, რადგან სხვადასხვა სკოლაში გაფანტული ქართველი ბავშვები აქ ერთად იკრიბებოდნენ, ერთმანეთს ხვდებოდნენ, ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ და მშობლიურ ლიტერატურასა და კულტურაზე იზრდებოდნენ. ზემოთაც



ლუჩან გუარამიშვილი

აღნიშნეთ, რომ ლევან ზურაბიშვილის სამსახური "სიმკა-კრეისლერის" საავტომობილო ფირმა, სადაც იგი დეპარტამენტის უფროსი იყო, პარიზში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს საშობაო საჩუქრებს უგზავნიდა. შობის ხის ზეიმებს 1932-1935 წლებში უხვად აფინანსებდა "ლტოლვილთა ოფისის" დირექტორის მოადგილე ალექსი მდივანიც. ბავშვების რიცხვი პარიზში არცთუ მცირე იყო, მაგალითად, 1931 წლის 25 დეკემბერს "უოფრუას და-რბაზში" 50 ბავშვი შეიკრიბა. შესანიშნავი

დრო გაატარეს, ნაიკითხეს ქართული ლექსები, იმღერეს, იცეკვეს, იმზიარულეს, ჯაზმა ფოქსტროტი დაუკრა და უფროსებმაც ჩამოუარეს, თუმცა მოდური ცეკვებით გატაცებას გაზეთ "თეთრ გიორგიში" გამოქვეყნებული წერილით "დამსწრე" მაინცა და მაინც არ იწონებდა. ბავშვებმა მოახერხეს უფროსების ყურადღების მიპყრობა და 1933 წელს შობის ხეზე ბევრი ეროვნულ ტანსაცმელში ჩოხებში, ქულაჯებსა და ქალამნებში გამოწყობილი გამოცხადდა. 1935 წელს მედეა ლამბაშიძისა და სიმონ ბერეჟიანის თაოსნობით ბავშვებისათვის მხატვრული დილა მოეწყო. დილა იმდენად შთამბეჭდავი და მზიარული გამოვიდა, რომ სურვილი გამოითქვა ამგვარი ზეიმები ბავშვებისათვის უფრო ხშირად და რეგულარულად ჩატარებულიყო. 1936 წელს შექმნილმა "ქართულმა კერამ" პირველ ღონისძიებად სწორედ შობის დღე ჩაატარა და საშობაოსთან ერთად სხვადასხვა საბავშვო ზეიმი დაამკვიდრა. ემიგრანტულ პრესაში მისი განცხადებები, ანგარიშები და მადლობა საზოგადოებისადმი ზეიმის ჩატარებაში განეულ დახმარებასთან დაკავშირებით არაერთხელ შეგვხვდა.

ყველაზე საყვარელი დღესასწაული პარიზელ და ხარბინელ ქართველებში წინობა იყო და თავდაპირველად შედარებით მოკრძალებულად, ვინრო წრეში აღნიშნავდნენ. თუმცა, 1925 წელს პარიზში წინობას ქართველების გარდა ბევრი ცნობილი უცხოელიც დაესწრო და ყველა დიდად კმაყოფილი დარჩა. გერმანიაში, ალ. გასიტაშვილის გარდაცვალების გამო, წინობა ცოტა დაგვიანებით ჩატარდა. 1928 წელს ვალენტინეს "თეთრი გიორგის" ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნ. ზამბახიძის თავკაცობით წინობაზე ადგილობრივი ფრანგებიც მიიწვიეს, რომლებზეც საღამომ საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა. 1928 წელს წინობა ვარშავაში ქალაქის თვითმმართველობის უზარმაზარ დარბაზში ჩატარდა, რომელიც ქართველებს უფასოდ დაუთმეს. ესწრებოდნენ: პოლონეთის პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილე ბარტელი, სამინისტროებისა და უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები. საღამო მზიარული და ხალისიანი გამოვიდა. ევროპული მუსიკის შემდეგ ქართულმა ტანსაცმელმა, ლექურმა და ოპერის თეატრის ბარიტონის, გიორგი სიხარულიძის გამოსვლამ პირდაპირ ფურორი მოახდინა. მეორე დღეს ყველას პირზე ეს საღამო ეკერა, ამდენი ხალხი არცერთ საღამოს არ დასწრებია, მომავალში ალბათ, მოკოტოვზე (აეროდრომი) მოუწევთ საღამოს ჩატარებაო, აღნიშნავდა დამსწრე.

1929 წელს 27 იანვარს პროფესორმა ე. თაყაიშვილმა პარიზელ ქართველთა წრეში წმ. ნინოსა და საქართველოს გაქრისტიანებაზე მოხსენება წაიკითხა. ხოლო 30-იანი წლებიდან ნინოობის აღნიშვნა უფრო ფართოდ და მასშტაბურად დაიწყო. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ "საქართველოს მეგობართა ასოციაციისა" და მისი წევრის, მღვდელ შანუან ქენეს მიერ 1930 წელს წმ. ნინოს პატივსაცემად გადახდილ წირვაზე, 1931 წელს "Sakre Kior"-ის ტაძარში წმინდანის ხატის დასვენებზე, რომელიც პარიზში წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაში 1932 წელს მისი დაარსების შემდეგ გადაიტანეს. ამის შემდეგ, 27 იანვარს, პარიზში ნინოობას დიდი ზეიმითა და ქართული ბალით აღნიშნავდნენ. როგორც წესი, იმავე ან მეორე დღეს იმართებოდა ქართული მეჯლისი, ანუ "ბალი", როგორც მას ემიგრაციაში უწოდებდნენ.

მეჯლისები ნინოობის დაწესებამდეც იმართებოდა. ასე, მაგალითად, 1926 წლის 6 მარტს პარიზში, სტუმრებით გაჭედულ "ვიქტორ შიუგოს დარბაზში" გამართულ ქართულ კონცერტბალს დაესწრნენ: საფრანგეთის მაღალი საზოგადოება – დიპლომატიური კორპუსის, მწერალთა, არტისტული და სამხედრო წრეების წარმომადგენლები, კავკასიელები, უკრაინელები, ასევე, ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი. მღეროდა ქართული გუნდი პეტრე მოსულიშვილის ხელმძღვანელობით. ქალბატონებმა – ვაჩნაძემ, ივერსენმა, ბელასმა, ბატონებმა – ივანიძე-დუბროვსკიმ და ნანობაშვილმა რომანსები და საოპერო არიები შეასრულეს, ნ. ვაჩნაძისა და ნ. გომელაურის წყვილმა ... ლექური. მეჯლისი ევროპული ცეკვებით ღამის 3 საათამდე გაგრძელდა, რომელსაც დროდადრო ლექურის ჰანგები წყვეტდა. საღამოს დიასახლისები იყვნენ ბარონ დე-ბაის მეუღლე, მ.ჭავჭავაძე და თ. კოკე-ნიკოლაძე. როგორც პრესაში აღნიშნა ... ეს იყო მეორე ბალი ჩატარებული და ორგანიზებული ბატონ დ. სხირტლაძისა და ქალბატონ ბ. დადიანის მიერ.

1934 წელს საშობაო ბალი მოეწყო ვარშავაშიც, რომელსაც ესწრებოდნენ: დიპლომატები, იაპონიის, ესტონეთისა და თურქეთის საელჩოს წარმომადგენლები, უკრაინელები, კავკასიელები და პოლონელები.

ნინოობის ყოველწლიური საზეიმო აღნიშვნა ბერლინელმა ქართველებმა 1932 წლიდან დაიწყეს, რაც ბერლინში ქართული საზოგადოების არსებობის 10 წლისთავს დაემთხვა. მოხსენებით გამოვიდა მიხეილ ნულუქიძე. გელა გელაზანიამ ისაუბრა თემაზე "ქრისტიანობა და კულტურა", გრიგოლ დიასამიძემ "წმ. ნინო

და ქართული კულტურა". სიტყვით გამოვიდნენ გიორგი კერე-სელიძე და მიხეილ ყაუხჩიშვილი.

1933 წლის "დამოუკიდებელი საქართველო" მოგვითხრობს, როგორ ზეიმობდნენ ჩინეთში ნინოობას ხარბინელი ქართველები. 27 იანვარს სათვისტომოს დარბაზში ზეიმს მღვდელმა ნმ. ნინოს შესახებ სიტყვა წარუმძღვარა. შემდეგ გამგეობის თავმჯდომარემ, ექიმმა ნიკოლოზ ჯიშკარიანმა მოკლე სატყვე წარმოთქვა და დამსწრეთ დღესასწაული მიულოცა. ამას მოჰყვა კ. კედიას მოხსენება ნმ. ნინოს მოღვაწეობაზე. "მომღერალთა გუნდმა ბ-ნი კედიას ლოტბარობით მშვენივრად შეასრულა ქართული ეროვნული ჰიმნი და "მრავალყამიერი". 6 წლის ცუგა კიკნაძემ მაყურებლებზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. მან მუხლმოდრეკით წაიკითხა, ეროვნული გრძნობით და მისწრაფებით აღსავსე მშვენიერი ლექსი "მეუფეო". ამ სურათმა და ლექსის ოსტატურად წაკითხვამ ბევრი მაყურებელთაგანი აატირა. დასასრულ, მომღერალთა გუნდმა მწყობრად შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა", - წერდა ჟურნალი. მეორე დღეს "კომსობის" დარბაზში დიდი ბალი გაიმართა. როგორც ხარბინული გაზეთები წერდნენ, ბალი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. ქართველების გარდა, მრავლად დაესწრნენ: უცხოელი დიპლომატები, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პოლონეთის, დანიის, ლატვიის კონსულები და სხვები. დარბაზი ლამაზად იყო მორთული. ქართველთაგან ეროვნულ ტანსაცმელში ბევრი იყო გამოწყობილი, რაც ბალს ორიგინალურ იერს სძენდა. ქართულ სიმღერებს ასრულებდა გუნდი. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ცოცხალმა სურათმა - "რუსთაველი "ვეფხისტყაოსანს" მიაერთმევს თამარ მეფეს". ადგილობრივმა გავლენიანმა გაზეთმა "ხარბინსკოე ვრემიამ" ინფორმაცია არა მარტო ქართული ზეიმის, არამედ საქართველოს ისტორიის შესახებაც მოამზადა და თამარის და შოთა რუსთაველის შესახებ წერილი მოათავსა.

1936 წელს ემსის ქუჩაზე დიდ დარბაზში ნმ.ნინოს საღამო პირველად მოაწყვეს ბერლინელმა ქართველმა მანდილოსნებმა პელო გეგელაშვილის მეთაურობით. მათ მხარში ედგნენ უცხოელი მეგობრები. დაიგზავნა მოსანვევი ბარათები და ბილეთები. ზეიმს დიდძალი ხალხი დაესწრო და იგი საგანგებოდ აღინიშნა გერმანულ გაზეთებში: "ანგრეფში", "დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგსა" და "დოიჩლანდში". გასართობ ნაწილს ორგანიზაცია ნ. ნაკაშიძემ გაუკეთა. ნმ. ნინოზე გერმანულად ისაუბრა

სვიმონ გეგელაშვილის ქალიშვილმა თამარმა. შემდეგ ცოცხალი სურათი წარმოადგინეს. პატარა სცენაზე, კვარცხლბეკზე, ქართული დროშების ფონზე იდგა თამარ რევია-ტიცი ნმ. ნინო ჯვრით ხელში. ორკესტრი უკრავდა ქართულ ჰანგებს, შესრულდა ჰიმნი, შემდეგ ოპერის ბალერინამ ბალეტ "დემონიდან" პარტია იცეკვა. ბალი ლეკურით გაიხსნა. ბევრს ეცვა ქართული



თამარ რევია-ტიცი

კაბა, მუშტარი მრავლად გამოუჩნდა ფოიეში მონყობილ ქართულ სამზარეულოს. სალამოს დაესწრნენ: ფოტორეპორტიორები, გერმანიის სახელმწიფო მოხელეები, ცნობილი მოღვაწეები და ხელოვნების დარგის წარმომადგენლები. გაზეთი "კლდე" აღნიშნავდა, რომ ქართველმა ქალებმა "შეძლეს ის, რაც მამაკაცებმა აქამდე ვერ მოახერხეს", რომ 1922 წელს მინადორა ხოშტარიას მიერ ჩატარებული სალამოს შემდეგ ასეთი სალამო აღარ ჩატარებულა. სალამოს მიერ მოტანილი მოგება კულტურის ფონდის დასაარსებლად გადაიდო.

1937 წელს გერმანიაში ნინოობაზე ქართული კოლონიის გამგეობის მხარდაჭერით დღესასწაული კვლავ ქართველმა ქალებმა მოაწყვეს. სალამო გაიმართა ბერლინის ერთ-ერთ საუკეთესო დარბაზ "ოპენჰაუზენში" და რჩეული გერმანული საზოგადოება დაესწრო. როგორც ჟურნალი შენიშნავდა: "სალამო იყო თითქმის უნაკლო, მეტად მრავალფეროვანი, შინაარსიანი, მხიარული და ერთი საუკეთესოთაგანი, რომელიც კი ბერლინს უნახავს (ასე ამბობდნენ სტუმრები)". სალამო-ბალი გაიხსნა ქართული ჰიმნით, რომელიც ყველამ ფეხზე დგომით მოისმინა. შემდეგ ქართველი ქალების სახელით, გერმანულ ენაზე წაიკითხეს მისალმება, რომელშიც მილოცვასთან ერთად ნათქვამი იყო: "ქართველ ერს, რომელმაც ამ 16 საუკუნის წინად ქრისტიანობა თავის სახელმწიფო და საერო სარწმუნოებად აღიარა, თავის გრძელ ისტორიულ გზაზედ მრავალი დევნა და ძლიერ მტერთა შემოსევა განუცდია, მაგრამ ვაზის ჯვარი - ეს სიმბოლო ახალი საკაცობრიო ქრისტიანულ-ჰუმანურ კულტურისა, ნმ. ნინოს მიერ კურთხეული და ღვთისმშობლის წილხდომილ მინაზე მოტანილი, არასდროს ხელიდან არ გაუგდია..."

პატარა ქართველი ერი გახდა თავიდანვე დარაჯი და შეფიცული რაინდი ამ წმინდა ჯვრისა. მაგრამ ქართველობა ხმლით და ჯვრით ხელში მუდამ გაუტეხლად იბრძოდა. მტერს ევროპის ამ ყველაზე უმნიშვნელოვანეს კარებს არ უღებდა... იგი დასავლეთისაკენ იცქირებოდა, სწამდა თავისი უმაღლესი მისია და სჯეროდა, რომ ევროპის და ქრისტიანობისათვის თავგანწირვა ოდესმე მაინც გამართლებას იპოვნიდა და პატარა საქართველოს დიდი მსხვერპლიც ღირსეულად დაფასდებოდა. ამ რწმენით გადავიდნენ ჩვენი თაობანი 16 საუკუნის სიგრძეზე და ეს რწმენა გვასულდგმულებს ჩვენ დღესაც". მიმართვაში საუბარი იყო აგრეთვე საქართველოს მაშინდელ მძიმე მდგომარეობაზე, რომლის "მინა-წყალი უდიდეს და უსაშინელეს მტერს უპყრია კლანჭებში და ჩვენი ეროვნული სული და კულტურა უმძიმეს განსაცდელშია, ქართული სხეული იკორტნება, უძველესი საქრისტიანო სახელმწიფოს დროშა იფლეთება და ნითელი მტერი ძველს, რაინდულ ერს მოსპობას უპირებს". მიუხედავად ასეთი ტრაგიკული ვითარებისა, გამოთქვამდნენ ქვეყნის გათავისუფლების და აღორძინების რწმენას. "ჩვენ გვერიდება მარტო იმისა, რომ ჩვენი აქაური მცირედის ძალებით არ შეგვიძლიან გიჩვენოთ ქართული კულტურის და რაობის სახე, გაგაცნოთ ჩვენი ეროვნული სული, იერი, გადაგიშალოთ საქართველოს მზიურ ფერადებით სავსე მშვენიერება".

მიმართვას მოჰყვა გერმანიის ჰიმნი. შემდეგ ნაჩვენები იქნა ცოცხალი სურათი - ნმ. ნინო ვაზის ჯვრით და მის გვერდით დაჩოქილი ორი მლოცველი ქალი. სურათი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ საზოგადოების თხოვნით იგი გაიმეორეს. გერმანულმა ორკესტრმა რამდენიმე ქართული მოტივი შეასრულა. საზოგადოების საერთო აღტაცება გამოიწვია ლეკურმა და ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა წყვილმა. ცეკვა არაერთხელ გაამეორებინეს ევროპულ ცეკვებს შორის სხვა წყვილებსაც და ყველას დიდი მონონება ხვდა. შესრულდა აგრეთვე უზუნდარა და კინტაური. ლეკურის მელოდია, თარისა და დაირის შესრულებით, რადიომ ჩაინერა და მეორე დღეს მთელს გერმანიაში გადაიცა "მცირე სიტყვით" საქართველოსა და ქართველებზე. "მომხიბლავი იყო დარბაზში ქართველ ახალგაზრდა ქალების ჩამოვლა ქართულ კაბებში, რომლებიც დოქებით ღვინოს უსხამდნენ სტუმრებს. როგორც ვსთქვით, საღამო მეტად მოენონა ყველას. მხიარულობა საყოველთაო იყო და არ შეწყვეტილა დილის ექვს საათამდის. აღსანიშნავია

ქართული ბუფეტი, ქართულად მოწყობილი, ქართველ ისტორიულ პირთა სურათებით". გერმანულმა პრესამ წერილები ნინოობას წინასწარ მიუძღვნა. ზეიმის შემდეგ კი ქართველები-სადმი დიდ სიმპათიებთან ერთად, სალამოს წარმატებაც აღნიშნა. "ნელს ეს მესამედ გაიმართა წმ.ნინოს დღე. ამიერიდან მას მოპოვებული აქვს მკვიდრი ნიადაგი და მომავალში კიდევ უფრო და უფრო გახდება ქართული სულის და კულტურის დემონსტრაციად", ასკენიდა "დამოუკიდებელი საქართველო". მართლაც, ზეიმები მომდევნო წლებშიც მოუწყვიათ.

1938 წლის 27 იანვარს ბერლინის უზარმაზარ დარბაზში ზოოლოგიური ბალის შენობაში, სადაც ჩვეულებრივ იმართებოდა გერმანული ბალები, ჩატარდა ნინოობა ტრადიციული სალამო-ბალით. ამ სალამოსაც დიდძალი ხალხი დაესწრო: გერმანელები, უკრაინელები, სომხები, თურქესტანელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. დარბაზი მორთული იყო ქართული დროშებითა და ლერბით. ქართველ ქალთა სახელით შეკრებილთ მიესალმა თამარ პაპავა. მისალმება მეორე დღეს რადიოთი გადაიცა. ზეიმმა დილამდე გასტანა და საზოგადოებაც დიდად კმაყოფილი დარჩა. ჟურნალი "დამოუკიდებელი საქართველო" შენიშნავდა, რომ "განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქართულმა ტანთსაცმელმა და ცეკვამ". ბერლინის პრესამ კვლავინდებური თანაგრძნობით აღნიშნა ქართული სალამო. "ამ სალამოთი ბერლინელმა ქართველებმა არა მარტო თავისი რიგები შეამჭიდროვა, არამედ მრავალი ახალი მეგობარი შეიძინა", - წერდა "ფოლკიშე ბეობახტერი". ჟურნალი "ახალი ივერია" კი სალამოს წარმატებაში პაპავეების ოჯახის, სვ. გეგელა-შვილის, ნ. ყაზბეგი-დადიანის და ა. მეტრეველის ღვაწლს აღნიშნავდა.


1939 წლის ნინოობა ქალთა კომიტეტის ინიციატივით პირველხარისხოვანი სასტუმრო "ადლონის" დარბაზში ჩატარდა. ბილეთი 5 ფრანკი ღირდა და აუცილებელი იყო გამოსასვლელი კოსტიუმი. სალამო-ბალს დაესწრნენ: გერმანიის ოფიციალურ უწყებათა და მმართველი პარტიის წარმომადგენლები. ალბათ ამ მიზეზით, საკმაოდ ცოტანი იყვნენ ქართველები და ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, შესაბამისად, სუსტად იყო წარმოდგენილი ქართული კულტურა. ზე-



თამარ პაპავა

იმი დილამდე გაგრძელდა. საზოგადოება განსაკუთრებით ასი-
 ამოვნა მ. პაპავასა და ნ. ნაკაშიძის ლეკურმა. სალამოს შემოსავა-
 ლი მოხმარდა საქველმოქმედო მიზნებს. "დამოუკიდებელი
 საქართველო" მაღლობას უხდიდა ორგანიზატორებს: კოლონიის
 თავმჯდომარე კ. კიზირიას, ქალბატონებს: ნ. ყაზბეგს, ა. მკურნალს,
 პ. გეგელაშვილს და აღნიშნავდა, რომ "სალამომ ხელახლა დაამ-
 ტკიცა გერმანული საზოგადოების დიდი ინტერესი ქართველი
 ერის მიმართ". ეს იყო უკანასკნელი ნინოობა ბერლინში ომის

წინ. 1939 წლის 1
 სექტემბერს დაი-
 ნყო II მსოფლიო
 ომი და ბერლინე-
 ლმა ქართველე-
 ბმაც დიდი ხნით
 შეწყვიტეს ეს
 მშვენიერი
 ტრადიციული
 ზეიმი ნინოობისა.



ხარბინის ქართული სკოლის მოსწავლეები

1929 წლიდან
 14 მაისს თამარ-
 ობის აღნიშვნა დიდი სიხარულით, თუმცა ფართოდ და მასშ-
 ტაბურად არა, მაგრამ მაინც დაინყეს ეროვნულ დღესასწაუ-
 ლებს მონატრებულმა ხარბინელმა ქართველებმა. ეს დღესასწაუ-
 ლი განსაკუთრებით მოსწონდათ მონაფეებს. იმ წელს ქართუ-
 ლი სათვისტომოს სახლის სცენა მორთული იყო თამარის სურა-
 თებით. ჰიმნი "დიდება" როიალზე შეასრულა მოსწავლე ლევან
 ხაინდრავამ. მასწავლებელმა კირილე კედიამ მოხსენება ნაიკით-
 ხა თამარზე და მის ეპოქაზე, მონაფეებმა ქართული ლექსები ნაი-
 კითხეს, ლიდა ხაინდრავამ საკუთარი ლექსი "თამარ დიდის
 ხსოვნა" რუსულად, ილიკო პატიშვილმა "პირველი მაისი". შემ-
 დეგ მონაფეებს დაურიგდათ ჟეტონები ნარწერი "ხ.ქ.ს." ხარ-
 ბინის ქართული სკოლა.

ასევე, დიდი ზეიმით აღინიშნებოდა საქართველოს დამო-
 უკიდებლობის დღე. 1922 წლიდან მოყოლებული, 26 მაისს ერთ-
 სულოვნად ზეიმობდა მთელ მსოფლიოში გაფანტული ყველა
 მიმართულებისა და პარტიული კუთვნილების ქართველი. ზე-
 იმებს ხშირად ესწრებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიაში შე-
 მავალი ხალხები, განსაკუთრებით, კავკასიელები, რომელთა

დაახლოებასა და ანტიბოლშევიკური ფრონტის ჩამოყალიბებაში დიდი როლი "კავკასიის კონფედერაციამ" შეასრულა.

ქართველ ემიგრანტთა ყველაზე დიდი რიცხვი საფრანგეთში იყო თავმოყრილი და ყველაზე დიდი კოლონია - პარიზის, ამიტომ ყველაზე ხალხმრავალი ზეიმები სწორედ პარიზში ეწყობოდა. 1933 წლამდე, საქართველოს მთავრობის ლეგაციის გაუქმებამდე, სრულუფლებიანი ელჩი აკაკი ჩხენკელი პარიზში, ვიქტორ ჰიუგოს ქუჩაზე №44 მიღებას აწყობდა, საღამოს კი ქართული კოლონიის წევრები საზოგადოების კრებას ინვევდნენ.

1926 წელს 26 მაისს ბერლინში, დ.სალირაშვილის ბინაზე ჩატარებული კოლონიის კრება მანვე გახსნა. სიტყვით გამოვიდნენ: ვ. მგელაძე, დ. ლამბაშიძე, ნ. ნაკაშიძე, მისალმებით - სომხებისა და აზერბაიჯანელთა კოლონიების წარმომადგენლები. კრება პიმნით "დიდება" დასრულდა. 26 მაისი აღინიშნა პოლონეთში, ჩეხეთში, ოდენკურში და სხვაგან.

1927 წელს 26 მაისს "Kolej de Franses" საბანკეტო დარბაზში გამართულ ზეიმს დაესწრნენ: კოლონიის წევრები, უკრაინის 30-კაციანი დელეგაცია ზ.ტოკარუევსკის, სომხები - ხატისოვისა და აპარონიანის, მთიელები - ბამატის, აზერბაიჯანელები - თოფჩიბაშის ხელმძღვანელობით. პარიზელ ქართველებს პროვინციებიდანაც მიულოცეს. ზეიმი ვ. ლამბაშიძემ გახსნა, დ. შარაშიძემ პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობდნენ: ელ. ვაჩნაძე, ლ. პაპუაშვილი, მომღერლები ივანიძე, ნანობაშვილი და პიანისტი ირ. ორბელიანი. განსაკუთრებული ზეიმით ეს დღე გერმანიაში აღინიშნა. 26 მაისის მნიშვნელობაზე ისაუბრა გ. კერესელიძემ, კრებას



ვლადიმერ ახმედოვი

მიესალმნენ: ვლ. ახმეტელი, სომხების და აზერბაიჯანელთა წარმომადგენლები. ნაიკითხეს დეკემბერი, მისალოცი სიტყვები. ნოზაძე სდმპ ბერლინის ორგანიზაციის სახელით გამოვიდა, ტ. მარგველაშვილი - ედპ-ს სახელით. 26 მაისს პოლონეთში, ვარშავის რადიომ საქართველოზე გადაცემა მოამზადა. ქართული კოლონიის სდომაზე კი ი.სალაყაია და ვ.სეროშევსკი გამოვიდნენ. საკონცერტო განყოფილება მომღერალმა გ.სიხარულიძემ მოამზადა. ჩეხოსლოვაკიაში ფ.სოუკუპის თავმჯდომა-

რეობით საქართველოს მეგობართა საზოგადოების მიერ გამართულ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაესწრნენ: სენატორები, დეპუტატები და სხვა პარტიების წარმომადგენლები.

1928 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის 10 წლისთავის აღნიშვნა პარიზის ქართულმა ასოციაციამ სასტუმრო "მაჟესტიკში" გადანიშნა და ამის შესახებ საზოგადოებას წინასწარ ამცნო. მართლაც, 26 მაისს დიდი ზეიმი მოეწყო. მიწვეულთა შორის იყვნენ: კავკასიელები, უკრაინელები, ფრანგები, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსები, დიპლომატები და ჟურნალისტები. მილოცვებს იღებდნენ: პრეზიდენტი ნ. ჟორდანიას, ელჩი ა. ჩხენკელი და ქართული საზოგადოების თავმჯდომარე ვ. ლამბაშიძე. დ. შარაშიძის სიტყვის შემდეგ ლ. პაპუაშვილმა ლექსი წაიკითხა, სიტყვებით გამოვიდნენ ყ. მარტენი და ა. შევალე. მეორე განყოფილებაში ქართული დროშის და ღერბის დანახვაზე ხალხი ფეხზე წამოდგა და ეროვნული ჰიმნი შეასრულა. შემდეგ საქართველოს პეიზაჟების, ისტორიული ძეგლების, მრეწველობის, მეურნეობისა და სხვა "ბუნდოვანი სურათები" აჩვენეს. მესამე განყოფილება კონცერტს დაეთმო. ქართული სიმღერები და ცეკვები ეროვნულ კოსტიუმებში გამოიხატა. ლამაზი ქალბატონებმა: მ. ვაჩნაძემ, ა. დავრიშაშვილმა, ვ. კედიამ, ლ. პაპუაშვილმა და ბატონებმა: ნანობაშვილმა, ბალარჯიშვილმა, ვაჩნაძემ, თუმანიშვილმა შეასრულეს. ოდენკურში კოლონიის საზეიმო კრება ჩატარდა.

საზეიმო საღამო ბერლინშიც მოეწყო. ქართველებმა მეზობელი ერების წარმომადგენლები და გერმანელები მიიწვიეს. გერმანიის სდმპ სახელით მათ ედუარდ ბერშტეინი მიესალმა, გაზეთ "ფორვერსტის" სახელით - საქართველოს პარლამენტის ყოფილი გერმანელი დეპუტატი რიხარდ ბერშტეინი. მისალმებით გამოვიდნენ სომხების, აზერბაიჯანელების წარმომადგენლები. მადლობა ვ. ახმეტელმა და დ. ლამბაშიძემ გადაიხადეს.

27 მაისს ვარშავაში კავკასიის დამოუკიდებლობის ზეიმი ქალაქის თვითმმართველობის დარბაზებში პოლონეთის გამოჩენილმა მწერალმა, სენატორმა ანდრეი სტრუგმა გახსნა. შემდეგ გამოვიდნენ: აზერბაიჯანელი მუსტაფა ბეგ-ვექილი, ქართველი იოსებ სალაყაია და მთიელი ტამბი ბეგ-ილიკოტი. პრეზიდენტში იხსდნენ: სენატორი სედლიცკი, ყოფილი მინისტრი ხოდკო, უკრაინელი პროფესორი სმალტოცკი. საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ ვარშავის საოპერო და დრამის თეატრის მსახიობები გიორგი სიხარულიძის თაოსნობით.

განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა გ. სიხარულიძისა (ბარიტონი) და ბრუაგის (ტენორი) შესრულებით დუეტმა ოპერიდან "აბესალომ და ეთერი" ("მურმან-მურმან შენსა მზე-სა"). ამ დღისათვის ქართულმა კოლონიამ ერთჯერადი ჟურნალიც გამოსცა. 9 საათზე კავკასიის წარმომადგენლებს აღმოსავლეთის ინსტიტუტმა "რაუტი" გაუმართა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწეებთან ერთად პრესა მიიწვია. როგორც თვითმხილველი აღნიშნავდა, ამ ღონისძიებამ პოლიტიკური აქციის სახე მიიღო და კმაყოფილი საზოგადოება მხოლოდ ღამის 2 საათზე დაიშალა. პრალაში რესტორან "კოლხიდაში" ზეიმს რამდენიმე სენატორი და ჩეხოსლოვაკიის სდმპ წარმომადგენლები დაესწრნენ. ქართული საზოგადოების თავმჯდომარის ა. ემუხვარის გამოსვლის შემდეგ ილაპარაკეს ფ. სოუკუშმა, გ. აიოლომ. მისალოცი სიტყვები წარმოთქვეს: უკრაინელებმა, სომხებმა, ბელორუსებმა, კაზაკებმა, მთიელებმა, რუსებმა და სხვებმა. გაზეთმა "პრაფო ლუდუმ" კი ქართულ ზეიმს წერილი უძღვნა. შვეიცარიამი "საქართველოს დამხმარე საზოგადოებამ" ოტელ "მეტროპოლში" საზეიმო კრება მოაწყო, რომელსაც ჟან მარტენი უძღვებოდა. საღამოს დასასრულს, ხ. შავიშვილმა საქართველოს სახელით, ყველას მადლობა გადაუხადა.

1929 წლის 26 მაისს, პარიზში, "Alians Fransez"-ში ჩატარებულ ზეიმს მრავალი უცხოელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, კავკასიელთა და უკრაინელთა წარმომადგენელი ესწრებოდა. ზეიმი კოლონიის თავმჯდომარე დ. სხირტლაძემ გახ-



გიორგი მაგალაძე
პიანისტ ირაკლი
თბილისის პორტრეტი

სნა, შემდეგ გ. გვაზავამ ისაუბრა. კონცერტში მონაწილეობდნენ: ქ. გობეჩია, ნ. ლეჟენი, მ. შობონი, ბ. ივანიცკი-დუბროვსკი, ი. ორბელიანი, მ. ნანობაშვილი, პ. მოსულიშვილის გუნდი. განსაკუთრებული მონონება გომართელ-ჭიჭინაძის ლეკურმა დაიმსახურა. საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველებმა დამოუკიდებლობის დღე იზეიმეს ოდენკურში, გრენობლში, ორნიში და სხვაგან. ვარშავაში დღესასწაული ქალაქის თვითმმართველობის დარბაზებში მოეწყო. წინა რიგებში ისხდნენ: მთავრობის, უმაღლესი მხედრობის, პოლონეთის საზოგადოების, კულტურული და პოლი-

ტიკური ორგანიზაციების, პრესის წარმომადგენლები, საქართველოს მეგობარი, მღვდელმთავარი როპი. 12 საათზე ზეიმი ი.სალაყაიამ გახსნა, შემდეგ მწერალმა სეროპეცკიმ ისაუბრა, პერენსკამ კი გაზეთ "გოლოს პრავდაში" პოლონელ ქალთა სახელით დაბეჭდილი ვეროპოლსკაიას წერილი წაიკითხა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საკონცერტო განყოფილებამ გ.სიხარულიძის ხელმძღვანელობით. ოპერის სოლისტებმა შეასრულეს ქართული რომანსები და დუეტი ოპერიდან "აბესალომ და ეთერი". 26 მაისის შესახებ პოლონურ ჟურნალ-გაზეთებში წერილები დაიბეჭდა. ჩეხურმა გაზეთმა "პრავო ლუდუმ" საქართველოს დამოუკიდებლობის მე-11 წლისთავს წერილი უძღვნა, ზეიმი კი ქართული ემიგრაციის სახლში, "კოლხიდას" დარბაზში მოენყო. ა. ემუხვარის, ფ. სოუკუპის, გრ. აიოლოს, ყუბანელი ბიჩის, ბელორუსი ზახარსკის, უკრაინელი გალგანის, უკრაინის სდმპ-დან ინჟინერ ბუტოვსკის, უკრაინის სტუდკავშირიდან ორლეცკის, მთიელი ზანგიევის, სომეხი ისააკიანის გამოსვლის შემდეგ, შესრულდა ქართული და უკრაინული სიმღერები. ხარბინში დამოუკიდებლობის დღე დაგვიანებით, 7 ივლისს ქართული სკოლის კურთხევასთან ერთად აღნიშნეს. დიდ ზეიმს უცხოელებიც ესწრებოდნენ. დარბაზი, ქართულის გარდა, იმ ქვეყნების დროშებით იყო მორთული, რომლებმაც საქართველო ცნეს. კედლებს ქართველი მწერლებისა და ცნობილი მოღვაწეების, აგრეთვე ნ. ყორდანიას ფოტოები ამშვენებდა. გუნდმა შეასრულა პიმნი, მისალმებით უკრაინელი სვიტი გამოვიდა, დ. ბოლქვაძემ საქართველოს წარსულზე ისაუბრა, ბავშვებმა ლექსები წაიკითხეს, უდილოვამ ქართული რომანსი შეასრულა, მ. ახსაბაძემ ქართული, რუსული და ფრანგული სონეტები, გუნდმა ქართული სიმღერები. წაიკითხეს მისალოცი დეკემპები და ნ. ყორდანიას მისალმება პარიზში გაუგზავნეს.

1930 წლის 26 მაისს პარიზში დარბაზობა გაიმართა. ქართული ასოციაციის თავმჯდომარემ, დ. სხირტლაძემ ქართველებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და უცხოელ სტუმრებს მიესალმა. საკონცერტო ნაწილი ევროპულ და ქართულ ცეკვებს დაეთმო. შემდეგ სტუმრები "ბუფეტზე მიიწვიეს". ბერლინში ზეიმს დაესწრნენ: აზერბაიჯანელები, სომეხები, გერმანელები. მათ შორის იყვნენ: საქართველოს დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი გერმანელი ერიკ ბერშტიეინი და სდმპ ცნობილი მოღვაწე შეიდმანი. დარბაზები სურათებითა და დროშებით იყო

მორთული. შეკრება ე. ახმეტელმა გახსნა, შესრულდა "დიდება", საქართველოს ისტორიის შესახებ ქართული კოლონიის თავმჯდომარემ, მ. ნულუკიძემ ისაუბრა, სიტყვით გამოვიდნენ: შეიდმანი და ბერშტეინი. ნ. ყორდანიასთან გასაგზავნი მისალოცი ნერილის ტექსტი ქართულად ტ.ბერიშვილმა წაიკითხა, გერმანულად გ. კერესელიძემ. ვარშავაში, რესტორან "კოლხიდაში" საზოგადოებრივი სხდომა ფ. სოუკუპის თავმჯდომარეობით ჩატარდა. სიტყვით და მილოცვებით გამოვიდნენ: ა. ემუხვარი, ე. ლომთათიძე, აგრეთვე, პოლონელების, რუსების, ყუბანელი კახაკების წარმომადგენლები და სხვები.

1931 წელს პარიზში 26 მაისის ღონისძიებათა ანონსი "დამოუკიდებელ საქართველოში" წინასწარ დაიბეჭდა, მომდევნო ნომერში კი დაწვრილებითაა აღწერილი ზეიმი პარიზში, ოდენკურში, პრალასა და ვარშავაში. პარიზში "ვიქტორ ჰიუგოს დარბაზში", მეტრო "ტროკადეროსთან" გამართულ მუსიკალურ საღამოზე მრავალრიცხოვან ქართველ და უცხოელ მსმენელთათვის გუნდმა წილოსანის ლოტბარობით ქართული სიმღერები შეასრულა, პარიზის სიმფონიური ორკესტრის სოლისტმა ბარჩმა ვიოლონჩელოზე ახალგაზრდა კომპოზიტორ ვიქტორ ჩერეპნინის აკომპანიმენტით პიანინოზე - მისი "ქართული რაფსოდია", მ. ნანობაშვილმა - ქართული, შვილთან ერთად კი - ნეაპოლიტანური სიმღერები. დასასრულ, ქართული ცეკვები გაიმართა, ზეიმი კი დილამდე გაგრძელდა. ოდენკურში ასოციაციას ა. ჩხენკელი მიესალმა, კრებამ კი მისალმება ნ. ყორდანიას გაუგზავნა. პრალაში ქართული ზეიმის ჩატარებას



მისიონანობაშვილი
მწერალი

წინ 24 მაისს გაზეთ "პრავო ლუდუში" გამოქვეყნებული ანონსი უძღვოდა. 26 მაისს "სმიხოვის სახალხო დარბაზს" ნ. ყორდანიას ყვავილებით მორთული პორტრეტი და პრეზიდენტ მასარიკის ბიუსტი ამშვენებდა. მრავლად ესწრებოდნენ: ყურნალისტები, ჩეხი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, ჩრდილოკავკასიელი და რუსი პოლიტიკოსები. ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, ა. ემუხვარმა შეკრებილთ ქართულად მიმართა, ე. ლომთათიძემ - ჩეხურად. სოცუზრუნველყოფის მინისტრმა, სოციალ-დემოკრატმა ლაბერმანმა ჩეხეთის ბედი საქართველოს შეადარა. გამოვ-

იდნენ: ჩეხეთის ყოფილი განათლების მინისტრი, სენატორი სოუკუპი, უკრაინელი სოციალ-დემოკრატი ფედენკო, რუსი ჩერნოვი, სომეხი ბადალიანი და სხვები. ბოლოს, უკრაინელმა მუსიკოსმა ქალმა შცუროვსკაიამ "დიდება" შეასრულა. საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობის წლისთავს მიეძღვნა ვარშავის "გაზეთა პოლსკას" 1931 წლის 28 მაისის ნომერში დაბეჭდილი რედაქტორის ვრცელი წერილი "კავკასიის ერთა დღესასწაული", რომელშიც ოთხივე ერის მიმართ დიდი სიმპათიები იყო გამოხატული. "შეიძლება დაეცეს დიდი ერი, დაიღუპოს კი უღირსი", საქართველო კი 1924 წლის აჯანყების შემდეგ "არ დაღუპულაო" (ბრჭყალებში ჩასმული ამ სიტყვებით ავტორი მიანიშნებდა პოლონეთის ჰიმნის პირველ სიტყვებზე). იმავე დღეს გ. ნაკაშიძემ სტუდენტების გაზეთში "Agicie Akademie" წერილი "საქართველოს დღე" გამოაქვეყნა, შემდეგ კი რამდენიმე ქალაქში საქართველოზე ლექცია წაიკითხა.



მიხეილ ჩელიძე

1932 წელს დამოუკიდებლობის დღე იზეიმეს პარიზის, ბერლინის, ჟენევის, ვარშავისა და ხარბინის ქართულმა სათვისტომოებმა. პარიზში 23 მაისს "ფრანს-ორნატის" დარბაზში "საქართველოს მეგობართა ასოციაციის" თავმჯდომარის მოადგილე მაგდა მიურატმა წაიკითხა მოხსენება "ოქროს ვერძის ქვეყანაში". 26 მაისს საელჩოში მიღების შემდეგ, საზოგადოების კრებაზე სიტყვით გ. ყურული და შ. ამირეჯიბი გამოვიდნენ, გუნდმა "დიდება" შეასრულა. ბერლინში სალამოს დაესწრენ: გერმანელები, თურქესტანელები და უკრაინელები. შეკრებილთ კოლონიის თავმჯდომარე ს. გეგელაშვილი მიესალმა, მ. ნულუკიძემ გერმანულ ენაზე საქართველოს ისტორია მიმოიხილა. სიტყვით სტუმრებიც გამოვიდნენ. ჟენევაში, "საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტში" საქართველოს უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა, ყ. ვერნერმა მიღება მოაწყო. ვარშავაში გიორგი ნაკაშიძემ რადიოში წაიკითხა მოხსენება "საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში". ხარბინში, პოლონურ გაზეთში "ლისტიკი

პარზინსკიე", საქართველოს დამოუკიდებლობაზე ყოფილი ელჩის, ნ. ჯიშკარიანის წერილი დაიბეჭდა. 26 მაისს კი ქართული საზოგადოების დარბაზში შეიკრიბნენ ხარბინელი ქართველები და სტუმრები. ოფიციალური და საკონცერტო ნაწილი საზეიმო სუფრით დამთავრდა. შესრულდა ქართული სიმღერები და ცეკვები.

1933 წელს საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიის, პოლონეთის და მანჯურიის ქართულ სათვისტომოებთან ერთად, 26 მაისი ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრებმა ქართველებმაც აღნიშნეს. პარიზში საზეიმო სხდომა გ. ყურულმა გახსნა, გუნდმა "დიდება" შეასრულა, მ. მუსხელიშვილმა წაიკითხა მოხსენება "საქართველოს საკითხი საერთაშორისო კონფერენციებზე", ვ. ნოზაძემ "ვარდის თვის 26", გ. ყიფიანმა ლექსები. სიმღერები ქართველმა და ფრანგმა მომღერლებმა შეასრულეს, ლეკური - ქართველმა ქალბატონებმა და ინგლისელმა პეგი კრუემ. კონცერტში მონაწილეობა მიიღო სტუმარმა, ჩრდილოკავკასიელმა ნაურსკიმ თავისი თარით. ზეიმი ჯაზური ორკესტრის აკომპანიმენტითა და თანამედროვე ევროპული ცეკვებით დასრულდა. 26 მაისს სოშოს ქართველებმა, მ. ნადაშვილის თავმჯდომარეობით, საკუთარი სახსრებით აგებულ შენობაში, კატალოგებით კარგად დაკომპლექტებული წიგნთსაცავ-არქივი გახსნეს, რომლის სამკითხველო დარბაზი ქართველი მწერლებისა და პოლიტიკური მოღვაწეების პორტრეტებით იყო მორთული. საზეიმო სხდომა პრალაშიც ჩატარდა, რომელსაც სენატის თავმჯდომარე ფ. სოუკუპი და ქართული კოლონიის თავმჯდომარე ა. ემუხვარი მიესალმნენ, ე. ლომთათიძემ კი მოხსენება წაიკითხა. შეკრება ჰიმნით დამთავრდა.

1935 წლის 24 მაისს პარიზში ქართული დრამატული საზოგადოების საღამო მოეწყო, 26 მაისის დღესასწაული კი აეროკლუბის დარბაზში აღინიშნა. მრავალრიცხოვან სტუმართა შორის იყვნენ: სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილოკავკასიელები, უკრაინელები, ფრანგები. მათ მიესალმა: ქართული ასოციაციის თავმჯდომარე დ. სხირტლაძე, სომხების სახელით - ხატისიანი, აზერბაიჯანელთა - ალი ათამოვი, უკრაინელთა - პროფესორი შულგინი. ფრანგმა პოლკოვნიკმა ლუი კოკემ საქართველოზე ვრცლად ილაპარაკა. მასპინძლობდა ა. ჩხენკელი. ზეიმს ესწრებოდა ნ. ჟორდანიას დღესასწაული ცეკვითა და სიმღერით დასრულდა.

26 მაისი ფართო მასშტაბით ქართველებმა ამერიკაში პირველად 1935 წელს აღნიშნეს და ზეიმს ოფიციალური ხასიათი

მისცეს. მათი რიცხვი იმ დროს 60-ს არ აღემატებოდა, ნიუ-იორკში - 40-ს, თუმცა ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და საერთო საქმეში ერთსულოვნებას იჩენდნენ. ზეიმის მომწყობთ აფიქრებდათ რუსების პოზიცია, რომელთა შორის ბევრი მეგობრულად იყო განწყობილი, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობას მაინც ვერ იღებდნენ. ბანკეტი ნიუ-იორკის საუკეთესო ნაწილში მდებარე სვიმონ სიდამონ-ერისთავის რესტორან "კავკასიის არნივი" გაიმართა, სადაც 3 საათისათვის თავი ორასმა სტუმარმა მოიყარა. ქართული საზოგადოების თავმჯდომარის, ვასილ დუმბაძის შემდეგ, დამოუკიდებლობის დღე ქართველებს მიულოცეს: სომხების საზოგადოების თავმჯდომარემ, ექიმმა ალაჯანიანმა და ექიმმა ბალდასაროვმა, აზერბაიჯანელმა გენერალმა ედიგაროვმა, ჩრდილოკავკასიელმა კადირ სულან გირეიმ, შეერთებულ რუსთა ორგანიზაციების თავმჯდომარემ, პავლე ჭავჭავაძემ, რუს მხედართა საზოგადოების მეთაურმა გენერალმა იმნაძემ, ამერიკელმა მწერალმა ჯ. ჩევალიემ, რუსმა მსახიობმა ბალიევმა, რომელმაც შეკრებილთ უამბო, როგორ გადაარჩინა ქართულმა პასპორტმა. ილაპარაკეს ქართველებმაც. ორგანიზატორთა შიში არ გამართლდა - საღამო საუცხოოდ ჩატარდა. მეგობრულ სიტყვებთან ერთად, ზეიმს ქართული ცეკვები და სიმღერები ამშვენებდა. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ: ზღაპარ "როსტომელას" მთარგმნელი ქარინგტონი, ნორინა კარმი-მაჩაბლისა, "ნიუ-იორკ ტაიმისის" რედაქტორი გეცლორი და მრავალი სხვა. დღესასწაულის მისალოცად მისულ სომხების დელეგაციას ყოფილი პრეზიდენტის შვილი აპარონიანი მეთაურობდა. ქართველებმაც გაგზავნეს დელეგაცია სომხეთის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ბანკეტზე, რომელიც ნიუ-იორკში იმავე დღეს აღინიშნებოდა. სტუმარ-მასპინძლის საერთო აზრი ასეთი იყო: იმიტომ დავმარცხდით, რომ ცალ-ცალკე ვიბრძოდით, დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად კი კავკასიელთა მჭიდრო კავშირიან საჭირო.

1936 წლის 26 მაისი პარიზში კვლავ აეროკლუბის დიდ დარბაზში აღინიშნა. ფრანგი, უკრაინელი, თურქესტანელი და უცხოელი სტუმრების წინაშე წარსდგა დ. სხირტლაძე, სოჭოდან ჩამოსულმა გუნდმა კი,




სვიმონ სიდამონ-ერისთავი

შენგელიას ლოტბარობით, ეროვნული ჰიმნი და ქართული სიმ-
ლერები შეასრულა. პრალაში ქართულ ზეიმს სსრკ შემადგენ-
ლობაში მყოფი ერების წარმომადგენლები და ჩეხები დაესწრნენ.
პირველი სიტყვით ქართული -- საზოგადოების თავმჯდომარე
ვ. ინკირველი გამოვიდა, შემდეგ ე. ლომთათიძე და ფ. სოუკუპი.
გ. აიოლომ ჰიმნი შეასრულა, უკრაინელმა პროფესორმა ომელ-
ჩენკომ ინატრა, რომ საქართველო-ტარიელს უკრაინამ ავთანდი-
ლობა გაუწიოსო. საბოლოო სიტყვით გრიგოლ აიოლო გამოვიდა.

1937 წლის 26 მაისი განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა
პარიზში, სოშო-ოდენკურში, მონპელიესა და პრალაში. პარიზ-
ის ქართული საზოგადოების გამგეობამ "უან გუჟონის დარბა-
ზში" მოაწყო საზეიმო მიღება, რომელსაც უცხოელებიც დაეს-
წრნენ. ზეიმი კოლონიის თავმჯდომარემ, ვ. ლამბაშიძემ გახს-
ნა. ქართველებს მიულოცეს: ხატისიანმა, პროკოპოვიჩმა და
აბას ბეიმ. შემდეგ ქართული და ევროპული ცეკვები შესრულ-
და. სოშოს ქართველთა დიდი ნაწილი ოდენკურის "პეჟოს" საავ-
ტომობილო ქარხანაში მუშაობდა. კოლონია იმ დროს 40 კაცს
ითვლიდა, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, მათ მოახერხეს
ფრაქციული დაყოფის გადალახვა და საერთო საქმისათვის
შეკავშირება. შექმნეს ასოციაცია, სასადილო, ბიბლიოთეკა-
სამკითხველო, ახალგაზრდობისთვის -- ქართული კულტურის
შემსწავლელი წრე. დამოუკიდებლობის დღე მათ შაბათს, 29
მაისს კაზაკებთან და უკრაინელებთან ერთად იზეიმეს. სტუმ-
რები პარიზიდანაც მოიწვიეს -- ა. ჩხენკელი და ე. თაყაიშვილი.
ქართული ლერებით, დროშებითა და ყვავილებით გაფორმებულ
კოლონიის დარბაზში შეკრებილთ ასოციაციის თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე მიესალმა, "დიდება" შეასრულა იმ გუნდმა, რომელ-
მაც ჟენევაში, იქაური გაზეთების ცნობით, ფურორი მოახდინა.
ა. ჩხენკელის სიტყვის შემდეგ, გუნდმა შეასრულა "სამშობლო".
უკრაინის კაზაკთა ატამანის ტიშჩენკოსა და ცენტრალური
გრამადის თავმჯდომარის, შაპოვალოვის გამოსვლებს კაზაკ-
თა და უკრაინის ნაციონალური ჰიმნები მოჰყვა კაზაკთა გუნ-
დისა და უკრაინელთა ხოროს შესრულებით, ე. თაყაიშვილის სი-
ტყვას -- სიმღერა, ქართული გუნდის შესრულებით. ბოლო სი-
ტყვა ქართული კოლონიის გამგეობის თავმჯდომარემ, ს. ჭირაქა-
ძემ წარმოსთქვა. საერთო ფოტოსურათის გადაღების შემდეგ,
საგანგებო პროგრამითა და მენიუთი ბანკეტი გაიმართა. მონან-
ილეობდა სამივე გუნდი, თამადობდა ჩხენკელი. დღესასწაულის
მესამე ნაწილი -- ბალი ყვავილებით მორთულ იმავე დარბაზში

ჩატარდა. მინვეული იყო ჩეხური ორკესტრი, მოენყო ბუფეტი, გაიმართა ყვავილებისა და სუვენირების გაყიდვა. მომდევნო დღეებში ჩხენკელმა მოხსენებები ნაიკითხა საერთაშორისო პოლიტიკის, საქართველოს საკითხისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ, თაყაიშვილი კი ვსალამოს განმავლობაში ყვებოდა სამუსულმანო საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებების, ი. ჭავჭავაძის, ა. ნერთლის და სხვა მოღვაწეთა შესახებ.



იქითიშუ თაყაიშვილი

მონპელიეში ქართულ ზეიმს მრავლად დაესწრნენ ეროვნული, ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციათა და პრესის წარმომადგენლები. დარბაზი საზეიმოდ, ეროვნული ფერებით იყო მორთული, სცენა - ქართული დროშებითა და წმ. გიორგის გამოსახულებით. ქართული გუნდისა და სიმებიანი ორკესტრის შესრულებულ "დიდებას", "მარსელიეზა" მოჰყვა. შეკრებილთ ქართულ და ფრანგულ ენებზე ასოციაციის თავმჯდომარემ, ი. მჭედლიშვილმა მიმართა. ვ. ციციქიშვილის ფრანგულად ნაკითხულ მოხსენებას საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ, საკონცერტო ნაწილი მოჰყვა. ქართულმა გუნდმა, ქართველმა და ფრანგმა მომღერლებმა ქართული სიმღერები და რომანსები შეასრულეს. პიანინოზე მოცარტი დაუკრეს და ლექსები ნაიკითხეს. შესვენების დროს სტუმრებს სასმელით გაუმასპინძლდნენ. ფრანგი სტუმრების სახელით კონსერვატორიის დირექტორმა ლე ბუშემ ქართულ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა. ზეიმის მეორე ნაწილი დაიწყო დ. ხარისჭირაშვილის ფრანგული მოხსენებით - "საქართველოს ისტორიული მისია". ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა სახელით გამოსულმა მოკლიუმ საქართველოს მაგალითი განაზოგადა და ამით ქართული ზეიმი ანტიბოლშევიკურ მანიფესტაციად აქცია. სიმებიანმა ორკესტრმა კონსერვატორიის პროფესორის, ქალბატონ მ. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა "კავკასიური ესკიზები" და ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან. დასასრულ, ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილმა მოცეკვავეებმა ქართულ-კავკასიური ცეკვები შეასრულეს. ზეიმი "დიდებითა" და "მარსელიეზით" დასრულდა. მეორე დღეს ფრანგულმა პრესამ ამ ზეიმს საყურადღებო წერილები უძღვნა.

გერმანიაში ქართული საზოგადოების გამგეობის მიერ ბერლინში გამართულ 26 მაისის საზეიმო სხდომას კავკასიელები და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სხვა ერების წარმომადგენლები დაესწრნენ. "წარმოითქვა ამ დღის შესაფერისი სიტყვები", 29 მაისს კი ქართველები, სხვებთან ერთად, სომხების დღესასწაულს დაესწრნენ. "ერთი მუჭა ქართველებმა" დღესასწაული პრალაშიც გამართეს. ზეიმს მრავლად დაესწრნენ ჩაგრულ ერთა და ყოფილი რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები. სიტყვით გამოვიდნენ: ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების თავმჯდომარე ე. ლომთათიძე, სენატისა და "ჩეხოსლოვაკიის საზოგადოება საქართველოსათვის" თავმჯდომარე ფ. სოუკუბი, აგრეთვე უკრაინელები, ბელორუსები, ყალმუხები და რუსი ჩერნოვი. ქალბატონმა აიოლო-მალალაშვილმა ქართული ჰიმნი შეასრულა.

1938 წელს პარიზში საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავი არაჩვეულებრივი ზეიმით გადაიხადეს. 26 მაისს საღამოს 9 საათზე აეროკლუბის დარბაზი უკვე გაჭედილი იყო ქართველებით, უკრაინელებით, აზერბაიჯანელებით, სომხებით, ჩრდილოკავკასიელებითა და ფრანგი მეგობრებით. დარბაზი ტაშითა და ფეხზე ადგომით შეხვდა ნ. ჟორდანიას, აგუგუნდა "დიდება". ფრანგულ და ქართულ ენებზე სიტყვა წარმოთქვეს: ა. ჩხენკელმა, უკრაინელმა კოსენკომ, სომეხმა ხატისოვმა, კავკასიის კონფედერაციის სახელით – აზერბაიჯანელმა მელარაბოვმა. კონცერტში მონაწილეობდნენ: ქართველ-უკრაინელთა გუნდი პ. მოსულიშვილისა და გ. პონომარენკოს ხელმძღვანელობით, მომღერლები, მუსიკოსები. საღამო ქართული ცეკვით დასრულდა. 20 წლისთავი "საქართველოს დამხმარე კომიტეტმაც" იღღესასწაულა. 30 მაისს "ათენეს" სალონებში, კომიტეტის წევრების გარდა, დღესასწაულს რჩეული საზოგადოება დაესწრო: დეპუტატები, პროფესორები, "ერთა ლიგის დამხმარე შვეიცარული ასოციაციის" თავმჯდომარე, შრომის საერთაშორისო ბიუროსა და პოლონეთის წარმომადგენლები, გერმანიის ვიცე-კონსული, უკრაინის დელეგატი და ა.შ. ზეიმი გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ, ალბერ მალშმა. სიტყვით გამოვიდნენ: "Journal de Geneve"-ს დირექტორი და კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე ჟ. მარტენი და საქართველოს წარმომადგენელი შვეიცარიაში ხ. შავიშვილი. შესრულდა რამდენიმე საკონცერტო ნომერი და ეროვნული ჰიმნი. დღესასწაულს ადგილობრივი გაზეთები გამოეხმაურნენ. ბერლინის

ქართული კოლონიის საზეიმო კრებაზე, რომელსაც ქართველების გარდა გერმანელი მეგობრები, ოფიციალურ უწყებათა და მმართველი პარტიის წარმომადგენლები დაესწრნენ, ნ. ნაკაშიძემ ქართულ და გერმანულ ენებზე მოხსენება წაიკითხა. "საქართველოს თავისუფლების დღე" გერმანიის და ავსტრიის გაზეთებმა გააშუქეს. ქართულმა ემიგრაციამ ეს დღე ჩეხოსლოვაკიაში უცხოელი სტუმრების გარეშე აღნიშნა, მიიღო რა მხედველობაში 1937 წლის "მიუნხენის შეთანხმებით" შექმნილი მასპინძელი ერის მდგომარეობა. სხდომა საზოგადოების თავმჯდომარემ, ე. ლომთათიძემ გახსნა. კრებამ ნ. ჟორდანიას, 70 წლის იუბილეს გამო, მისალმება გაუგზავნა.

1936 წლის 12 დეკემბერს პარიზში მყოფმა გვარდიელებმა გვარდიის დღე ემიგრაციაში პირველად აღნიშნეს. სხდომის საპატიო თავმჯდომარეს - ნ. ჟორდანიას ფეხზე ადგომით მიესალმნენ. გ. ურატაძის მიერ წაკითხული მოხსენების შემდეგ, სიტყვით გამოვიდნენ: ვ. ჩუბინიძე, ს. მენალარიშვილი, ნ. ნიჟარაძე და დ. რევაზიშვილი.

ეროვნული ზეიმების გარდა, ქართველები მონაწილეობდნენ საერთოკავკასიურ ღონისძიებებში, რასაც "კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი" ხელმძღვანელობდა და ზემოთ უკვე აღვწერეთ. კომიტეტმა 1933 წლის მაისში კავკასიის ყველა ერს დამოუკიდებლობის გამოცხადების 15 წლისთავი მიულოცა. 1934 წლის 26 მაისს პარიზში გამართულ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ზეიმზე, მსჯელობის საგანი გახდა ბრიუსელში ხელმოწერილი კონფედერაციის პაქტი: "დღეს კავკასიის ყველა ერები იმყოფებიან საბჭოთა კავშირის ჯარების შეუწყნარებელ ბატონობის ქვეშ. ამ განსაცდელმა ჭკუა უნდა ასწავლოს მათ: საჭიროა კავკასიელთა ერთობა. ვინ იცის, ეგებ კავკასიის ბედი სხვაგვარად დატრიალებულიყო, რომ ეს ერთობა განხორციელებულიყო 1918 წელს". ერთობლივი ღონისძიებები კავკასიელთა ძალებით ტარდებოდა. კავკასიური დიასპორა განსაკუთრებით ერთსულოვანი პოლონეთში იყო 1925 წლიდან არსებული საზოგადოება "პრომეთეს" წყალობით, რომლის საქმიანობაზეც ზემოთ ასევე ვისაუბრეთ.

ნიუ-იორკის საუკეთესო ნაწილში სვიმონ სიდამონ-ერის-თავის მიერ გახსნილ რესტორან "კავკასიის არწივი" ქართველები და კავკასიელები თავს ხშირად იყრიდნენ და ეროვნულ დღესასწაულებს აღნიშნავდნენ. ზაფხულობით ქალაქის ხვატს გარიდებული ნიუ-იორკში მცხოვრები კავკასიელები

სიღამონ-ერისთავის, იტალიაში საქართველოს ელჩის გიორგი მაჩაბელის და სათვისტომოს თავმჯდომარე პიანისტ ირაკლი ორბელიანის მიერ მდინარე ჰუძონის ნაპირზე, კლოდ-სპრინგის რაიონში, ნიუ-იორკიდან 100 კილომეტრზე დაარსებულ კავკასიელთა დასახელებელ სახლ "ალავერდს" აფარებდნენ თავს. ეს იყო ორსარ-თულიანი კარგად მოწყობილი სახლი, სტუმართა მისაღებით და დამხმარე ნაგებობებით, ულამაზესი ეზო-ბაღით, რომელსაც "კავკასიურ ნალკოტს" უწოდებდნენ. იქვე იყო საცურაო აუზი და ბოსტანი, სადაც წინმატი, ტარხუნა და ქინძი ხარობდა. რესტორანში ამზადებდნენ ქართულ კერძებს. დამსვენებლებისათვის ხშირად იმართებოდა ქართული სიმღერისა და ცეკვის საღამოები. "ალავერდი" არა მარტო დასასვენებელი, არამედ კავკასიელთა დაახლოებისა და მეგობრობის ცენტრი გახდა: "ასე ძმურად და ერთობის გაგებით რომ გვეცხოვრა იქ კავკასიაში, მაშინ ჩვენ დღეს სამშობლოში ვიქნებოდით".

II მსოფლიო ომის დაწყებამდე ყოველ წელს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველები და კავკასიელები იმ იმედით იკრიბებოდნენ, რომ მომავალ წელს თავისუფალ სამშობლოში ეზივით დამოუკიდებლობის დღე. ომის დამთავრებამდე კი ეს დღესასწაულები მხოლოდ გერმანიაში იმართებოდა.

ქართველები იმ ქვეყნების დღესასწაულებშიც მონაწილეობდნენ, რომლებშიც ცხოვრება მოუწიათ. ყოფილი ემიგრანტი შოთა ბერეჟიანი იხსენებდა 1938 წლის 14 ივლისს, საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულს, ბასტილიის აღების აღსანიშნავად გამართულ აღლუმს, რომელსაც სხვა სტუმრებთან ერთად,



დიმიტრი ამილახვარი
(მაზორკა)

ცოლ-შვილით ინგლისის მეფე გეორგ VI ესწრებოდა: "ახლანდელი დედოფალი სულ პატარა გოგონა იყო. აღლუმზე უცხოური ლეგიონის 2 ასეულის მეთაურები იყვნენ დიმიტრი ამილახვარი და ნიკოლოზ თოხაძე -- ორი ულამაზესი ვაჟკაცი. შანზელიზზე დიდი ტაშისკვრის თანხლებით ჩაიარეს. ქართველები ბევრნი ვიდექით იქ და ძალიან ბედნიერები ვიყავით, რომ ასეულების წინამძღოლებად სწორედ ქართველები შეერჩიათ. აფრიკიდან მათ გენერალი მიქელი ჩამოჰყვათ. "რალა ეს უცხოელი ოფიცრები დანიშნეთ მეთაურებადო", უსაყვე-

დურა მას პარიზის კომენდანტმა გურომ, "მაგათზე უკეთესი არ გვეყავსო", - თავი იმართლა მიქელმა".

ქართველები მონანილეობდნენ პოლონეთის დამოუკიდებლობის ზეიმში. განსაკუთრებული იყო 1928 წელს გადახდილი 10 წლისთავი, რომელიც 3 დღე გაგრძელდა და, რომლის აპოთეოზი, როგორც "დამოუკიდებელი საქართველო" აღნიშნავდა, 11 ნოემბერი იყო. "მთელი ერი ფეხზე იდგა. 10 საათიდან დაიწყო ალღუმი, რომელიც ეროვნულმა გმირმა პილსუდსკიმ მიიღო". სხვებთან ერთად, პრეზიდენტს მისალმება ქართველებმაც გაუგზავნეს.

1938 წლის 17 სექტემბერს ბერლინში "კავკასიელ გერმანელთა კავშირმა" კავკასიაში გერმანული კოლონიების დაარსების 120 წლისთავი გადაიხადა. საღამოს ესწრებოდნენ: გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლები და მინვეული გერმანიაში მცხოვრები ქართველები. საზეიმო სიტყვების შემდეგ, სადაც საუბარი იყო კოლონისტებისა და ქართველების მეგობრობაზე, კომუნისტების მიერ კოლონისტთა შევიწროება და ტანჯვა-წამებაზე, გაიმართა საკონცერტო ნაწილი. მასპინძლებმა გერმანულ სიმღერებთან ერთად, მშვენივრად შეასრულეს ქართული სიმღერები და ლექური. ბოლოს, უზარმაზარ დარბაზში, რომელსაც გერმანული კოლონიებისა და კავკასიის ხედების სურათები ამკობდა, ვახშამი გაიმართა და ისევ გაგრძელდა ცეკვა-სიმღერა. ყველა დიდად კმაყოფილი დარჩა.

1938 წლის 30 იანვარს ბერლინის ქართველთა კოლონიაში მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს გრიგოლ დიასამიძეს. გრიგოლ რობაქიძის გამოსვლის შემდეგ, იუბილარს სამახსოვრო საჩუქარი მიართვეს. აჟღერდა ქართული მუსიკა და სიმღერა.

ქართველები მეგობარი ერების გამოჩენილ მოღვაწეთა იუბილეებშიც მონანილეობდნენ. მაგალითად, 1928 წელს გერმანიაში მყოფმა ქართველმა მწერლებმა 65 წელი მიულოცეს გამოჩენილ გერმანელ მწერალს ჰაუპტმანს და მისგან თბილი პასუხიც მიიღეს. იმავე წლის 31 მარტს დიდი უკრაინელი პოეტის, ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 140 წლისთავისა და გარდაცვალებიდან 67 წლის აღსანიშნავ კონცერტში მიიღეს მონანილეობა. 1930 წელს ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრებმა ქართველებმა პრეზიდენტ ტომამ მასარიკის იუბილე აღნიშნეს. პარიზიდან მისალოცი დეპუტა ნ. ჟორდანიამ და ა. ჩხენკელმა გაუგზავნეს, ნიკოლოზ ჭუმბურიძემ წერილი მიუძღვნა. 1931 წელს

ფ. სოუკუპის 60 წლის იუბილე ე. ლომთათიძემ და ინჟინერმა უბირიამ მიულოცეს. ა. ემუხვარმა ქართველთა სახელით ძვირფას ყდაში ჩასმული ალბომი გადასცა, ლიდა უბირიამ გობელენი, რომელზეც თეთრი გიორგი იყო გამოსახული. 1933 წლის 26 ივნისს ჟენევის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში ედგარ მილოს იუბილე ხ. შავიშვილმა პირადად, ნ. ჟორდანიამ კი დეპეშით მიულოცა. 1934 წელს ე. ლომთათიძის წერილი ქართული ჟურნალის გარდა, "პრავო ლუდუმ" გამოაქვეყნა, რომლითაც ქართველებმა 80 წლის იუბილე პრალაში დაბადებულ კარლ კაუცკის მიულოცეს. იმავე წელს 70 წლის იუბილე მიულოცეს ოტფრიდ ნიპოლდს, 1935 წელს 85 წლის იუბილე - პრეზიდენტ მასარიკს, 1937 წელს საქართველოს დიდ მეგობარსა და დამცველს შვეიცარიის პრეზიდენტ ჯუზეპე მოტას. 1937 წლის 27 სექტემბერს უკრაინელებმა სოშოს ქართული კოლონია და კაზაკები ივან ფრანკოს ხსოვნის დღეზე მიიწვიეს. დარბაზში სამივე ხალხის დროშები და ქართველ პოეტთა ფოტოები იყო გამოფენილი. შესრულდა სამივე ქვეყნის ჰიმნი. სხდომა პარიზიდან ჩასულმა შაპოვალოვმა გახსნა. სხდომის შემდეგ ბანკეტზე სიტყვა და ფრანკოს ორი ლექსი ვლასა მგელაძემ წარმოსთქვა. ბალი ლამის 12 საათამდე გაგრძელდა. 11 ოქტომბერს კი კაზაკებმა ქართველები და უკრაინელები ჯარის დღესასწაულზე მიიპატიჟეს.



ვლასა მგელაძე

ამრიგად, ემიგრაციაში დიდ როლს ანიჭებდნენ დღესასწაულებისა და მნიშვნელოვანი თარიღების - შობა-ახალი წლის, ნინოობის, თამარობის, 26 მაისის, გვარდიის დღის და საერთო კავკასიური დღესასწაულების აღნიშვნას. ეს დღესასწაულები დიდი ზეიმით ტარდებოდა ევროპაში, მანჯურიისაში, ამერიკაში და უცხოელთა შორისაც პოპულარობითა და ყურადღებით სარგებლობდა. ქართველები მეგობარი ერებისა და იმ ქვეყნების დღესასწაულებშიც მონაწილეობდნენ, რომლებშიც ცხოვრებამ მოუწიათ - საფრანგეთის, პოლონეთის ეროვნული დღესასწაულში, აგრეთვე, ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა იუბილეებში.


თავი XIV

სამგლოჯიართ და ცტაგიკული თარღიღმის აღნიშვნა

ქართული ემიგრაცია დღესასწაულებთან ერთად, სამგლოჯიარო და ტრაგიკულ თარღიღმებსაც აღნიშნავდა. ბიძგი გახდა საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ქართველ მამულიშვილთა წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები და 1923 წელს დამკომის სამხედრო ცენტრის დახვერეტა. დასჯილ მამულიშვილებს სტამბოლის პოლიტიკურმა კომისიამ წიგნი მიუძღვნა, ქართულ მონასტერში კი პანაშვიდი გადაუხადა. მათ მიუძღვნა 28 ივნისს ბერლინის ქართული კოლონიის გამგეობის კრება, რომელსაც სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად, გერმანიის სდმპ ორი უხუცესი წვერი კარლ კაუციკი და ედუარდ ბერნშტიინი ესწრებოდნენ. მათ გარდა, სიტყვით გამოვიდნენ: რუსეთის სდმპ სახელით -- აბრამოვიჩი, უკრაინელები, ქართველთაგან -- ი. წერეთელი, რ. ივანიცკი-ინგილო, მ. ყაუხჩიშვილი და ვ. მგელაძე. სალამო "დიდებით" დამთავრდა. 1938 წლის 23 იანვარს პარიზის უკრაინელთა ეკლესიაში საქართველოში ბოლო დროს დახვერტილ მამულიშვილთა მოსახსენიებლად გადახდილ პანაშვიდს უამრავი ხალხი დაესწრო.

აღინიშნებოდა საქართველოს ოკუპაციისა და აგვისტოს აჯანყების წლისთავები.

1929 წლის 25 თებერვალს ორნის რკინის მაღაროებში ქართველთა კრება მოიწვიეს და ამ ტრაგიკული დღის 8 წლისთავი აღნიშნეს. 1931 წელს "დამოუკიდებელი საქართველო" წერდა: "კვირას, 1 მარტს, ნაშუადღევს 5 საათზე ბერლინის ქართველმა საზოგადოებამ საქართველოს დაპყრობის მე-10 წლის შესრულების აღსანიშნავად, ერთხელ კიდევ გაიხსენა ის შავი დღეები -- თებერვალ და მარტში და თვალი გადაავლო ქართველ ერის კვლავ დამონების 10 წლის ისტორიას..." დარბაზში აღმართული იყო შავებში გახვეული ქართული დროშა. კრებას ქართველების გარდა ესწრებოდნენ: გერმანელები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, თურქესტანელები



და სხვები. სხდომა ქართული კოლონიის თავმჯდომარემ, მიხეილ ნულუკიძემ გახსნა. ქართული სიტყვის შემდეგ, მოკლე გერმანულ მოხსენებაში იგი შეეხო: საქართველოს წარსულს, დამოუკიდებლობის ხანას, მის დაპყრობას და ოკუპაციის ათწლიან ისტორიას. მან გამოთქვა იმედი, რომ საქართველო და მისი მეზობელი ერები საერთო ძალებით თავიანთ წმინდა მიზანს - დამოუკიდებლობის აღდგენას მიაღწევენ. შემდეგ უკრაინელთა შეერთებული ორგანიზაციების სახელით კოჩევნიკოვმა ილაპარაკა. მან აღნიშნა ბოლო ხანებში ქართველთა და უკრაინელთა განსაკუთრებული დაახლოება და ამ კავშირის განმტკიცების სურვილი გამოთქვა. აზერბაიჯანელთა წარმომადგენელმა ხალილ მუნშიმ რუსეთის ყველა დამონებულ ერს, განსაკუთრებით კი კავკასიელებს, გაერთიანებისაკენ მოუწოდა. სიტყვით თურქესტანელთა წარმომადგენელიც გამოვიდა. სოციალისტ სტუდენტთა ინტერნაციონალის გენერალურმა მდივანმა, გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა ფრიდლენდმა თანადგომასთან ერთად, იმედი გამოთქვა, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები სანადელს მიაღწევენ. ილია გოლდმანმა თავის გამოსვლაში ხაზი იმ პოლიტიკურ და კულტურულ როლს გაუსვა, რასაც საქართველო კავკასიაში ყოველთვის ასრულებდა. ნიკო იმნაიშვილმა ვრცლად მიმოიხილა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მუშაობა და ბრძოლა საზღვარგარეთ 10 წლის განმავლობაში. თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას, განსაკუთრებით კი სტუმრებს, მადლობა გადაუხადა, შემდეგ კი ქართველთა იმ მეგობრების წერილები წაიკითხა, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზთა გამო კრებაზე დასწრება ვერ მოახერხეს.

იმავე დღეს ვარშავაში ჩატარებულ პოლონეთში მყოფ ქართველთა საგანგებო კრებას მრავლად დაესწრნენ როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო პირები. კრებას თავმჯდომარეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ელჩი ჯერ სომხეთში, შემდეგ სტამბოლში, სოციალისტ-ფედერალისტ სიმონ მდივანი. მან გაიხსენა საქართველოს გმირული წარსული, დამოუკიდებლობის წლები, ოკუპაცია, ემიგრაციის ბრძოლა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ მამულიშვილთა სახელები. მის შემდეგ, მოხსენება ოკუპირებული საქართველოს მდგომარეობაზე, ტიტე ბერიშვილმა გააკეთა. ილაპარაკეს: გენერალმა ალექსანდრე კონიაშვილმა, მაიორმა დავით ქუთათელაძემ, ყოფილმა იუნკერმა ნიკოლოზ მათიკაშვილმა,


იოსებ კეჭაყმაძემ და კოტე იმნაძემ. დასასრულ, კრებამ დადგენილება გამოიტანა. გაეგზავნოს პარიზში ნოე ჟორდანიას დეპეშა, რომ მის მონოდებას პოლონეთში მცხოვრები ქართველობა უერთდება და მზადაა სანუკვარი მიზნის მისაღწევად. სამშობლოს გასათავისუფლებლად მხარში ამოუდგეს. "ვინც ჩვენთან არის ამ ბრძოლაში და ემსახურება საქართველოს საქმეს, მტკიცედ უნდა ჩადგეს ჩვენს რიგებში", მოუწოდებდა ქართველ ემიგრანტებს პოლონეთის ქართველობა.

1938 წლის 20 თებერვალს პარიზში "ლას კაზის" დარბაზში საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების გამგეობის სამგლოვიარო კრებაზე ბოლშევიკების საქართველოზე თავდასხმის მე-17 წლისთავი აღნიშნეს. სიტყვებით გამოვიდნენ: ვ. ლამბაშიძე, რ. არსენიძე, ვ. ინჩკირველი, ე. პატარიძე, დ. ყურულაშვილი და ნ. ყურულაშვილი. 25 თებერვალს თბილისის დაცემის დღე გერმანიაში მცხოვრებმა ქართველებმაც აღნიშნეს. სიტყვები ქართულ და გერმანულ ენებზე წარმოითქვა, შემდეგ ბერძენთა საელჩოს მართლმადიდებელმა მღვდელმა დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაიხადა. განსაკუთრებული პატივით მწერლები, მეცნიერები და სხვა საზოგადოებრივ პროფესიათა წარმომადგენლები მოიხსენიეს.

საქართველოს ოკუპაციის წლისთავები ყოველ წელს აღინიშნებოდა და ქართული კოლონიების გამრავლებასთან ერთად, გეოგრაფიული არეალიც იზრდებოდა. ევროპის და აზიის ქვეყნების გარდა, II მსოფლიო ომის შემდეგ მას ამერიკასა და ავსტრალიაშიც აღნიშნავდნენ.

გლოვის დღე იყო 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების თარიღიც. პირველად ეს დღე პრალის ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებამ აღნიშნა და აჯანყების წლისთავზე, 1925 წლის 31 აგვისტოს კრებაზე რეზოლუცია მიიღო, სტუდენტებმა კი აჯანყების დროს დაღუპულებს სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადეს. სიტყვით ი. ჯანჯღავა და სხვები გამოვიდნენ. 1926 წლის თებერვალში პარიზის ქართული საზოგადოების საგანგებო კრებაზე გადაწყდა, აგვისტოს აჯანყების დროს დაღუპულთა "გლოვის დღე" ყოველი წლის 29 აგვისტოს მომდევნო პირველ კვირაში აღენიშნათ. აპრილში ბერლინის ქართველთა კოლონიაში აჯანყებისადმი მიძღვნილი კრება დ.სალირაშვილმა გახსნა. სიტყვით გამოვიდნენ: ტ. მარგველაშვილი, მ. ნულუქიძე, ს. ირემაშვილი, რ. მკურნალი. რუსეთის იმპერიის წინაღმდეგ მებრძოლ ქართველ ხალხს კრება რეზოლუციით მიესალმა.

იმავე წლის 29 აგვისტოს, დღის 3 საათზე პარიზის ქართულმა კოლონიამ დალუპულებს სამოქალაქო პანაშვიდი "სოსიეტე სავანის" დარბაზში გადაუხადა. კრება კოლონიის თავმჯდომარემ, შ. აბდუშელმა გახსნა. ს. ბერეუიანმა ლექსი წაიკითხა, სიტყვით სხვებიც გამოვიდნენ. სამოქალაქო პანაშვიდი ოდენკურშიც გადაიხადეს და გამოსვლების შემდეგ რეზოლუცია მიიღეს. ბერლინის ქართულ კოლონიაში სამოქალაქო პანაშვიდზე პირველი სიტყვა თავმჯდომარემ, ალ. ფაჩულიამ წარმოსთქვა, შემდეგ ვლ. ახმეტელმა, აზერბაიჯანელმა -- ჯაფარ-ოღლუმ. რ. ივანიცკი-ინგილო მას მიესალმა და ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდა. გამოვიდნენ აგრეთვე ტ. მარგველაშვილი და დ. სალირაშვილი. კრება "დიდებით" დასრულდა. 30 აგვისტოს პრალაში საზოგადოების საგანგებო კრება გამგეობის თავმჯდომარემ, ვ. ქარცივაძემ გახსნა. დალუპულებს პატივი ფეხზე ადგომით სცეს და რეზოლუციაც მიიღეს. კრება იქაც "დიდებით" დასრულდა. 1927 წლის 28 აგვისტოს პარიზის ქართულმა კოლონიამ დალუპულებს პანაშვიდი ბერძენთა ეკლესიაში გადაუხადა. დენფორტის ქუჩაზე არსებულ დარბაზში სამგლოვიარო სხდომა ვ. ლამბაშიძემ გახსნა. შ. ამირეჯიბმა თავისი ელეგია წაიკითხა. სამგლოვიარო მუსიკის ფონზე, რომელსაც ორკესტრი ასრულებდა, ლექსები სხვებმაც წაიკითხეს. სხდომა "დიდებით" დამთავრდა. იმავე დღეს სამგლოვიარო სიტყვები და რეზოლუცია ოდენკურშიც მოისმინეს, პრალაში კი ქართულმა საზოგადოებამ აჯანყების 3 წლისთავის აღსანიშნავი სამგლოვიარო კრება 29 აგვისტოს სასტუმრო "კოლხიდაში" გამართა. ა. ემუხვარის გამოსვლის შემდეგ, რეზოლუციაც მიიღეს. 1928 წლის 2



არჩაკან ემუხვარი

სექტემბერს საფრანგეთის ქართული საზოგადოების გამგეობამ აგვისტო-სექტემბერში დალუპულთა ხსოვნის დღე აღნიშნა. ღონისძიება ვ. ლამბაშიძემ გახსნა. სიტყვით გამოვიდნენ: ი. ნუცუბიძე, დ. ვაჩნაძე, სტუდენტი რ. თალაკვაძე, შეფიცული ი. ჩიქოვანი და ვლ. მელაძე. გერმანიაში ქართველთა გლოვის დღეს კავკასიელებიც დაესწრნენ. სიტყვით გამოვიდნენ: ქართული კოლონიის თავმჯდომარე ს. გეგელაშვილი, სომეხი ა. შაგინიანი, გ. კერესელიძე, ვ. ლამბაშიძე და მ. ნულუკიძე. კრებამ ნ. ყორდანიას მისალმება გაუგზავნა. 1929 წლის 29

აგვისტოს პარიზში, ოდენკურში და სხვაგან დაღუპულთა მოსაგონარი საღამოები ჩატარდა და რეზოლუციებიც მიიღეს.

1931 წლის 30 აგვისტოს პარიზში "Alians Francese" დარბაზში მთელი ქართული კოლონიის თანდასწრებით გრ. ფერაძემ აგვისტოს აჯანყების დროს დაღუპულების პანაშვიდი გადაიხადა. გალობდა ქართული გუნდი. შემდეგ გაიმართა ასოციაციის საზოგადოებრივი კრება ნ. ცინცაძის თავმჯდომარეობით. შ. ამირეჯიბმა ისაუბრა აჯანყებაზე. 31 აგვისტოს დ. სხირტლაძის თავმჯდომარეობით საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების კრება გაიმართა. სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებმა ისაუბრეს და აჯანყების ეპიზოდები მოიგონეს. ასეთივე კრება პრაღაშიც გაიმართა და რეზოლუციაც მიიღეს. აგვისტოს აჯანყების მე-7 წლისთავი გერმანიის ქართველთა საზოგადოების გამგეობამაც აღნიშნა. კრება თავმჯდომარემ, მ. ნულუკიძემ გახსნა, შემდეგ ისაუბრეს: გრ. დიასამიძემ, გ. გელაზანიამ, ნ. ნაკაშიძემ, ერ. რამიშვილმა, კ. ხოშტარიამ. ბოლოს, თავისი ლექსები წაიკითხა გელაზანიამ. 1932 წლის 23 ოქტომბერს ქართული კოლონიის სხდომა პარიზში საქართველოში აჯანყებების დროს დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა. სხდომა გ. ჟურულმა გახსნა, 1922 წელს ხევსურეთის აჯანყებაზე მოგონებით დ. ვაჩნაძე გამოვიდა. 1934 წელს პოლონეთში კ. იმნაძის ხელმძღვანელობით ქართულმა და კავკასიურმა კოლონიებმა აჯანყების 10 წლისთავი აღნიშნეს. სიტყვებით გამოვიდნენ: ჩრდილოკავკასიელი გირეი სუნში, აზერბაიჯანელი მირზა ბალა, უკრაინელი კოვალსკი და პოლონელები. ბრიუსელში ქართულმა კოლონიამ პანაშვიდი უკრაინელთა საყდარში გადაიხადა, ქართველებისა და უკრაინელების გარდა, პანაშვიდს ყაზახები და ბელგიელებიც დაესწრნენ. 1935 წლის 1 სექტემბერს პარიზელმა ქართველებმა აგვისტოს აჯანყების მე-11 წლისთავი კვლავ "Alians Francese" დარბაზში აღნიშნეს. საზოგადოებრივი კრების წინაშე გამოვიდნენ: დ. სხირტლაძე, შ. ბერიძე, შ. ამირეჯიბი, ს. ფირცხალაევა, მოგონებით ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ბერიძე. 1937 წლის 29 აგვისტოს ბერლინის კოლონიის კრებაზე სიტყვით დ. საღირაშვილი გამოვიდა. 1938 წლის 4 სექტემბერს კი კოლონიის ახალი თავმჯდომარე კ. კიზირია.

ქართველები იხდიდნენ ცალკეულ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა პანაშვიდებსა და ხსოვნის დღეებს. 1925 წელს ცნობილი ანარქისტის, დიდი პატრიოტის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, ვარლამ ჩერქეზიშვილის

გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა ემიგრაცია. კარლო ჩხეიძემ გაზეთ "ბრძოლაში" მას მოგონება უძღვნა.


1926 წელს კარლო ჩხეიძის ტრაგიკულმა სიკვდილმა მთელი ემიგრაცია შეძრა. მის ცხოვრებასა და დასაფლავებას ნერილები უძღვნეს არა მარტო ქართულმა, არამედ არაქართულმა ემიგრანტულმა გამოცემებმა და უცხოურმა პრესამ. 1927 წლის 12 ივნისს პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, ნ. ჟორდანიას მთავრობის წევრების გარდა, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ა. ჩხენკელის სიტყვის შემდეგ, ვ. მგელაძე გამოვიდა. 1929 წლის 16 ივნისს სასაფლაოზე კ. ჩხეიძის გარდაცვალების 3 წლისთავი გადაიხადეს, 1930 წლის დეკემბერში მის ხსოვნას ბერლინის "ლანდვერის" დარბაზში საგანგებო სხდომა მიუძღვნეს. სიტყვით გამოვიდნენ ქართველები, გერმანელები და კავკასიელები. 1931 წლის 21 ივნისს პერ-ლაშეზის სასაფლაოზე 5 წლისთავზე გადახდომილ პანაშვიდზე სიტყვით დ. შარაშიძე გამოვიდა, 1935 წლის 16 ივნისს ქართველები მის საფლავზე კვლავ შეიკრიბნენ. სიტყვა ვ. ინჰენკირველმა წარმოსთქვა.

1930 წელს ნოე რამიშვილის მკვლელობამ, დასაფლავებამ და მისი მკვლელის გახმაურებულმა პროცესმა საზოგადოების ცხოველი ყურადღება გამოიწვია. დაკრძალვას ქართული კოლონიის გარდა უცხოელებიც დაესწრნენ. სამძიმრის დეპეშები გაგზავნეს ვარშავის, ბერლინის, სტამბოლის, ბელგიის, ხარბინის, ოდენკურის, გრენობლის, ბორდოს, ლიონის კოლონიებმა. 1931 წლის 25 იანვარს პარიზში, სასაფლაოზე, ბერი შალვა ვარდიძის მიერ გადახდილ ნოე რამიშვილის პანაშვიდს, ბევრი ადამიანი დაესწრო: მთავრობის წევრები, ელჩი ა. ჩხენკელი, ქართული კოლონიის წევრები. გალობდა პ. მოსულიშვილის მოყვარულთა გუნდი, იანვარში მას პანაშვიდი სპარსეთში არსებულმა ეროვნულმა კომიტეტმაც გადაუხადა, 14 ივნისს ბანოს სასაფლაოზე სამოქალაქო პანაშვიდზე ს. მენალარიშვილი გამოვიდა, 8 დეკემბერს ვარშავაში, კათოლიკურ ეკლესიაში საეკლესიო პანაშვიდი გადაუხადეს. ესწრებოდნენ ქართველები, კავკასიელები, უკრაინელები, თათრები. 10 დეკემბერს "პრომეთეს" დარბაზში სამოქალაქო პანაშვიდზე სიტყვით გამოვიდნენ: თავმჯდომარე სმალსტოცკი, აღმოსავლეთის ინსტიტუტის დირექტორი სენატორი სედლიცკი, აზერბაიჯანელი ემინ ბეი რასულ-ზადე, მთიელი გირსკი, აგრეთვე იდეალ-ურალის, თურქმენეთისა და ყუბანის წარმომადგენლები, ქართველთაგან ს. მდივანი. 13 დეკემბერს სამგლოვიარო კრება ქართული

კოლონიის გამგეობამ ჩაატარა. ნ. რამიშვილი გაიხსენეს: ს. გეგე-
ლაშვილმა, მ. ნულუკიძემ, ერ. რამიშვილმა, რ. მკურნალმა.

ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალება
კიდევ ერთი დიდი ტრაგედია იყო ქართული ემიგრაციისათვის.

1930 წელს მას პანაშვიდი გადაუხადეს როგორც პარიზელმა,
ასევე ხარბინელმა ქართველებმა, 1931 წლის
19 ივნისს სოფიო კედიას თაოსნობით ვიროფ-
ლეიში, შეფიცულთა ბინაზე მისი ხსოვნის
სალამო ჩაატარეს, 27 ივნისს - პარიზში ტუ-
ბერკულოზიან ავადმყოფთა კომიტეტის
თაოსნობით "მუზეე სოსიალეს" ქ. ჩოლოყა-
შვილის სურათით და ცოცხალი ყვავილე-
ბით გაფორმებულ დარბაზში, შესავალი სი-
ტყვიით ა. ჩხენკელი გამოვიდა, ელ. მამულაი-
შვილმა და ილ. დადიანმა ქაქუცას ცხოვ-
რებაზე ისაუბრეს, მის ბრძოლებზე - ფრა-
ნგმა პოლკოვნიკმა ლუი კოკემ, შეფიცულ-
თა ბრძოლებზე - შ. ნებიერიძემ. მოგონე-
ბით შ. ამირეჯიბი გამოვიდა. გადაწყდა ქა-
ქუცა ჩოლოყაშვილის ფონდის დაარსება. 28



ივნისს სენტ-უენის სასაფლაოზე გრ. ფე-
რაძემ პანაშვიდი გადაუხადა. 1932 წლის 26 ივნისს სასაფლაოზე
პანაშვიდი კვლავ გრ. ფერაძემ გადაიხადა, სიტყვა გ. ყურულმა
წარმოთქვა, ქაქუცასადმი მიძღვნილი ლექსი პოეტმა გ. ყიფი-
ანმა წაიკითხა, 24 ივლისს სამგლოვიარო კრება ბერლინელმა
ქართველებმა ეროვნული დროშებითა და ქაქუცას სურათით
გაფორმებულ დარბაზში გადაიხადეს. სალამო გახსნა ტ. მარგვე-
ლაშვილმა, გალობდნენ ვ. ახმეტელი, თ. ირემაშვილი, დ. სალირა-
შვილი, ა. მეტრეველი და დ. ლამბაშიძე. მოგონებებით გამოვიდ-
ნენ ნ. ნაკაშიძე და მ. ყაუხჩიშვილი. სალამო დამთავრდა პიმნით.
9 აგვისტოს სოფიო კედიას თაოსნობით ჩოლოყაშვილს ვირო-
ფლეიში სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადეს, ხოლო საბავშვო
წრემ დარბაზში, სადაც ქაქუცას დიდი სურათი იყო გამოფენი-
ლი, მისი ხსოვნის სალამო ჩაატარა. ბავშვებმა წაიკითხეს ხალხ-
ური ლექსები, შეასრულეს სიმღერები. 6 ოქტომბერს სასაფლა-
ოზე მისი ძეგლის გახსნაზე კვლავ სიტყვიით გამოვიდა გ. ყუ-
რული. მომდევნო წლებშიც უხდიდნენ ეროვნულ გმირს პანაშ-
ვიდებს, მაგალითად, 1933 წლის 25 ივნისს სასაფლაოზე პანაშვი-
დი გრ. ფერაძემ გადაიხადა, სიტყვა წარმოთქვა ფრ. ნულუკიძემ.

1935 წლის 23 ივნისს მის საფლავზე პანაშვიდი გადაიხადა ბერძენმა მღვდელმა, გალობდა პ. მოსულიშვილის გუნდი, სიტყვა წარმოთქვა დ. სხირტლაძემ, 1936 წლის 28 ივნისს და 1938 წლის 26 მაისს ასევე პანაშვიდები გადაიხადეს სენ-ანტუანის სასაფლაოზე.


1930 წელს გაზეთები იუნკებოდნენ ვახტანგ ლამბაშიძის ვაჟის, ახალგაზრდა გივი ლამბაშიძის, ბელგიაში მცხოვრებ პალიკო ყიფიანის, ქველმოქმედ რაფიელ გოკიელის, 1931 წელს - ცნობილი მრეწველისა და ქველმოქმედის აკაკი ხოშტარიას და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, სტამბოლში მსოფლიო ომის დროს "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" დამაარსებლის, პეტრე სურგულაძის გარდაცვალებას, 1933 წელს ალექსი წერეთელს დედის, აკაკი წერეთლის მეუღლის, ნატალიას გარდაცვალების გამო სამძიმარს უცხადებდნენ. 1934 წლის ივლისში სხვა მხედართა მსგავსად, ლევილში დიდი პატივით დაკრძალეს განერალი ივანე ჯაფარიძე. სიტყვები წარმოსთქვეს ე. გეგეჭკორმა, შ. ამირეჯიბმა და ვ. კვარაცხელიამ. რამდენიმე წერილი მიეძღვნა 1935 წლის აპრილში ავტოკატასტროფაში დაღუპულ ახალგაზრდას, "ლტოლვილთა ოფისის" მდივანს, დიდ ქველმოქმედს ალექსი მდივანს და აგვისტოში ნიუ-იორკში გარდაცვლილ მეორე ქველმოქმედს, ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, პარფიუმერული ფირმა "პრინცი მაჩაბელის" დამაარსებელს, გიორგი მაჩაბელს. 1936 წელს დაკრძალეს ედმ ბათუმის ოლქის წევრი ვასო მგალობლიშვილი. 1937 წლის აპრილში უამრავი ხალხი აცილებდა ქართული ემიგრაციის ერთ-ერთ გამორჩეულ წევრს, ყველა წრისათვის მისაღებ და საყვარელ ადამიანს, "ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა ასოციაციისა" და "კავკასიის შემსწავლელი საზოგადოების" დამაარსებელს ეროვნულ-დემოკრატიოსებ დადიანს. 11 ივლისს ლევილის სასაფლაოზე ისევ დიდძალი ქართველობა შეიკრიბა, რომლებიც არა მარტო დავით შარაშიძის ძეგლის გახსნას დაესწრნენ, არამედ ლევილში დაკრძალულ ქართველთა მოხსენიების დღე აღნიშნეს. 1937 წლის დეკემბერში დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის სიმონ მდივნის დაკრძალვაზე ქართველები ლევილის სასაფლაოზე შეიკრიბნენ, 3 დეკემბერს პოლონეთში მცხოვრებმა ქართველებმა "პრომეთეს კლუბში" მას სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადეს, 1938 წლის 20 თებერვალს გრ. ფერაძემ ... ვარშავის მართლმადიდებლურ საკათედრო ტაძარში. ორივე პანაშვიდს

ქართველების გარდა კავკასიელები, უკრაინელები და პოლონელები დაესწრნენ. 1938 წელს დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის კონსტანტინე საბახტარაშვილის გასვენებაზე ლევილის სასაფლაოზე ქართველები, კავკასიელები და ფრანგები შეიკრიბნენ. 1939 წლის 28 ნოემბერს პოლონეთის ქ. ბიდგომში ავტომობილი დაეჯახა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის შვილიშვილს, გენერალ ზაქარია (შაქრო) ბაქრაძეს, რომლის გასვენება 3 დეკემბერს საქართველოს მხარდამჭერთა დემონსტრაციად იქცა.

ყურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა ნეკროლოგები არა მარტო ემიგრაციაში, არამედ საქართველოში გარდაცვლილ მოღვაწეებზეც. მაგალითად, ნიკო მარზე, მოსე ჯანაშვილზე, გრიგოლ რცხილაძეზე და ა.შ. მათ უხდიდნენ პანაშვიდებსაც. 1927 წლის 23 ივლისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი პარიზის ბერძენთა ეკლესიაში გადაიხადა არქიეპისკოპოსმა ვასილიკოსმა. გალობდა პ. მოსულიშვილის ქართული გუნდი. ესწრებოდნენ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გამოგზავნილი მდივანი, საფრანგეთის ყველა ეკლესიის წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწეები. უკრაინის მთავრობის თავმჯდომარე ნ. პროკოპოვიჩი, აზერბაიჯანელთა, სომეხთა, ჩრდილოკავკასიელთა წარმომადგენლები, არგენტინის, ლუქსემბურგის, უნგრეთის, ესტონეთის, ლიტვის, რუმინეთის ელჩები. ნაიკითხეს უამრავი სამძიმრის დეპეშა. 24 ივლისს ხარბინის წმ. სოფიოს ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის პანაშვიდი ქართველებმა გადაუხადეს, წესი აღასრულა ეპისკოპოსმა ნესტორმა, რომელსაც ყაზანის სასულიერო აკადემიაში პატრიარქთან ერთად უსწავლია. 31 ივლისს პანაშვიდი სომხებმა გადაიხადეს; ადგილობრივ პრესაში პატრიარქის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა. 1928 წლის 9 აპრილს ნიკო ნიკოლაძეს პანაშვიდი პარიზში ბერძენთა ეკლესიაში გადაუხადეს. ესწრებოდნენ: ნ. ჟორდანიას, ა. ჩხენკელი, აზერბაიჯანელთა, სომეხთა, ჩრდილოკავკასიელთა, უკრაინელთა წარმომადგენლები. სამძიმარს იღებდნენ შვილები და ნათესავები. 8 ივლისს ნიკოლაძეს პანაშვიდი ხარბინშიც გადაუხადეს. ესწრებოდნენ: სომხები, ოსები და სხვები. ადგილობრივ გაზეთში მოკლე ნეკროლოგი დაიბეჭდა.

ქართველები ესწრებოდნენ რუსეთის ჩაგრულ ერთა ცნობილ მოღვაწეთა პანაშვიდებს და ხსოვნის დღეებსაც. მაგალითად,

1929 წელს უკრაინის კაზაკთა ატამანის სიმონ პეტლურას პანაშვიდს ხარბინში, 1934 წელს აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ალი მარდან თოფჩიბაშის, 1937 წელს - უკრაინელი მწერლის



ნამეტია გოგუაძე


ივან ფრანკოს ხსოვნის საღამოს და ა.შ.

1938 წელს ნამეტია გოგუაძის მონოდება გამოქვეყნდა. ვინაიდან ემიგრაციაში გარდაცვლილი ქართველობა უცხო ქვეყნის მინაში იმარხებოდა და ხშირად მათი საფლავები უპატრონო და მივიწყებული იყო, ნ. გოგუაძე ყველა ქართველს მიმართავდა: "შევიძინოთ სასაფლაო, მოვაგროვოთ ჩვენი უპატრონო მიცვალებულები ერთად და მოუაროთ მშობლიური გრძნობით მათ საუკუნო განსასვენებელს". ემიგრაცია ამ მონოდებას გამოეხმაურა და საერთო ძალებით ლევილის მამულის ახლოს მინა შეიძინეს, სხვა სასაფლაოებიდან მიცვალებულები თანდათან გადმოასვენეს და ასე შეიქმნა ლევილის ქართველთა სასაფლაო, რომელიც დღესაც ქართველ ემიგრანტთა განსასვენებელი და ყველა ქართველისათვის წმინდა ადგილია.

ქართველები იმ ქვეყნების გლოვის დღეებშიც მონაწილეობდნენ, რომლებშიც ცხოვრებამ მოუწიათ. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის პრეზიდენტის მარშალ პილსუდსკის გარდაცვალების დროს საერთო-სახალხო გლოვაში. 1936 წლის 13 მაისს პრეზიდენტის გარდაცვალებისთანავე კავკასიის კოლონიამ მის ქვრივს და პოლონეთის მთავრობის თავმჯდომარეს დეპეშები გაუგზავნა. მეორე დღეს კოლონიის სხდომაზე ვერცხლის გვირგვინებისათვის კავკასიელთა შორის ფულის შესაგროვებლად კომისია შეიქმნა. 15 მაისს გრ. ფერაძემ პანაშვიდი მართლმადიდებლურ ტაძარში გადაიხადა. კავკასიის დელეგაციამ მონაწილეობა სიმბოლურ აღლუმშიც მიიღო. 20 მაისს კი კავკასიის 60-კაციანი დელეგაცია გვირგვინებით და დროშებით კრაკოვში გაემგზავრა. სოვინეცში, პილსუდსკის საფლავზე, სადაც ძეგლი უნდა აღემართათ, ქართული მინა დაყარეს და ვერცხლის გვირგვინებით შეამკეს, რომლებსაც ამშვენებდა ნარწერა "კავკასიელებისაგან". პოლონური გაზეთები კავკასიელთა ამ თაოსნობას მაშინვე გამოეხმაურნენ. 1 ივნისს ქართული კოლონია შეიკრიბა, რომელსაც აზერბაიჯანის კოლონია ალიბეის, ჩრდილოკავკასიელთა მაგომედ გირეის თავმჯდომარე-

ობით და პოლონეთის სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეკრება კოტე იმნაძემ გახსნა. პილსუდსკის პატივი ფეხზე ადგომით სცეს. მარშალზე პოლონურად ისაუბრეს: აზერბაიჯანელმა მირზა ბალამ, ჩრდილოკავკასიელმა ინჟინერმა ბილატიმ და ყირიმელმა ზიხნიმ, უკრაინელთა სახელით. კოლონიის თავმჯდომარის მოადგილემ დოქტორმა შკურატმა, განჯის აჯანყების 15 წლისთავზე პოლკოვნიკმა კიაზუმბეკმა, ერთა ერთანობასა და ბრძოლაზე აღმოსავლეთის ინსტიტუტის თავმჯდომარემ, სენატორმა სედლიციკმ. კრებამ კავკასიის ერთა თავკაცებს დეპუტები დაუგზავნა, შემდეგ დამსწრენი ჭიქა ჩაიზე მიიწვიეს. 1937 წლის ოქტომბერში, როცა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი მასარიკი გარდაიცვალა, ქართული კოლონიის თავმჯდომარე ემელიანე ლომთათიძე პრეზიდენტის კანცელარიაში გამოცხადდა, ხელი სამგლოვიარო ფურცელს მოაწერა, ახალი პრეზიდენტის, ბენეშის მდივანი ინახულა, ქართველთა სახელით მწუხარება გამოსთქვა და განსვენებულის კუბო გვირგვინებით შეამკო. კოლონიის გამგეობამ ოჯახს სამძიმრის დეპუტა გაუგზავნა. პრალის გაზეთმა "პრავოლუდუმ" ნ. ჟორდანიასა და კ. გვარჯალაძის სამძიმარი გამოაქვეყნა, "დამოუკიდებელმა საქართველომ" - ხ. შავიშვილისა და ე. ლომთათიძის წერილი.

ქართულ პრესაში იბეჭდებოდა სამგლოვიარო წერილები, რომლებშიც იმ უცხოელ პოლიტიკოსებსა თუ საზოგადო მოღვაწეებს იხსენებდნენ, რომელთაც საქმით და სიტყვით საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ინტერესების დაცვაში დიდი წვლილი მიუძღოდათ. მათ შორის იყვნენ: გუსტავ ადორი - წითელი ჯვრის ინტერნაციონალური კომიტეტის ხელმძღვანელი; ალფონს ოლარი - ადამიანის უფლებათა დაცვის საფრანგეთის ლიგის ვიცე-პრეზიდენტი; ალისა მენარ-დორანი - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის მდივანი;



ლოვილის სასაფლაო

არისტიდ ბრიანი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; პოლ დუმერი საფრანგეთის პრეზიდენტი; აბელ შევალიე - საფრანგეთის ყოფილი კომისარი კავკასიაში, პარიზში საქართველოს მეგობართა საზოგადოების პრეზიდენტი; ედუარდ ბერშტეინი გერმანელი სოციალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, პოლ ადამი ჟენევაში პრესის საერთაშორისო ბიუროს ხელმძღვანელი; შარლ მარტენი - ჟან მარტენის მამა; ოტფრიდ ნიპოლდ საერთაშორისო ურთიერთობათა სამართლის პროფესორი, რომელმაც საქართველოს უფლებებზე ნიგნი დაწერა; რაიმონდ პუანკარე საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი; ლუი ბარტუ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; ემილ ვანდერველდე მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ბელგიელი პოლიტიკური მოღვაწე; პროფესორი ჟორჟ ვერნერი საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის ვიცეთავმჯდომარე; არმან კარმანიოლა - იტალიელი მოღვაწე, იმავე კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი; პიერ რენოდელი - ცნობილი ევროპელი სოციალისტი; ოსტინ ჩემბერლენი - დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; ოტო ფონ ვეზენდონკი - გერმანიის კონსული თბილისში 1922-24 წლებში და მრავალი სხვა.

როგორც ვხედავთ, სამგლოვიარო და ტრაგიკული თარიღების აღნიშვნის ბიძგი გახდა საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლების რეპრესიები და 1923 წელს დამკობის სამხედრო ცენტრის დახვრეტა. ემიგრაციაში აღინიშნებოდა საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების წლისთავები. იხდიდნენ ცალკეულ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა პანაშვიდებსა და ხსოვნის დღეებს. პრესაში იბეჭდებოდა ნეკროლოგები არა მარტო ემიგრაციაში, არამედ საქართველოში გარდაცვლილ მოღვაწეებზეც. ქართველები ესწრებოდნენ რუსეთის ჩაგრულ ერთა ცნობილ მოღვაწეთა პანაშვიდებს, ხსოვნის დღეებს, იმ ქვეყნების გლოვის დღეებშიც მონაწილეობდნენ, რომლებშიც ცხოვრებამ მოუწიათ. ქართულ პრესაში დაბეჭდილ სამგლოვიარო წერილებში იმ უცხოელ პოლიტიკოსებსა თუ საზოგადო მოღვაწეებს იხსენებდნენ, რომელთაც საქართველოს ინტერესების დაცვაში საქმით თუ სიტყვით დიდი წვლილი მიუძღოდათ.

თავი XV

საიუბილეო თარიღების აღნიშვნა

ემიგრაციის კულტურული ცხოვრებიდან აღსანიშნავია ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების: გარდაცვალების ან საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.

1926 წლის 16 იანვარს პარიზის ქართული კოლონიის გამგეობის თაოსნობით აკაკი წერეთლის გარდაცვალების 10 წლისთავის აღსანიშნავი საღამო გაიმართა, რომელსაც თითქმის მთელი კოლონია დაესწრო, მათ შორის პოეტის ვაჟი, ალექსი წერეთელიც იყო. საღამო კოლონიის თავმჯდომარემ, დ. სხირტლადემ გახსნა. ივ. ანდრონიკაშვილმა პიანინოზე "დიდება" შეასრულა. შ. ამირეჯიბმა აკაკის პოეზიაზე ისაუბრა, შემდეგ კი ლიტერატურულ-მუსიკალური ნაწილი ჩატარდა. ლექსები ლ. პაპუაშვილმა, ს. ბერეჟიანმა და 10 წლის ა. ციციშვილმა წაიკითხეს, მ. ხუნდაძემ ვიოლინოზე შეასრულა კავატინა ოპერა "თამარ ცბიერიდან", ირ. ორბელიანმა ბალაკირევის ნაწარმოები. განსაკუთრებული აღტაცება მიშელ დარიალის შესრულებულმა რომანსმა "აღმართ-აღმართ", სხვა ქართულმა სიმღერებმა და ქალბატონ ცინცადის "სულიკომ" გამოიწვია. 1932 წლის 9 ივნისს ვიროფლეში სოფიო კედიას თაოსნობით ბავშვთა წრემ აკაკის საღამოზე ცოცხალი სურათები წარმოადგინა, ბავშვებმა ქართული ლექსები, სიმღერები და ცეკვები შეასრულეს. 1935 წლის 9 მარტს "ქართულმა კერამ" აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავი საღამო ჩატარა, რომელსაც საკონცერტო ნაწილიც ახლდა. 1935 წელს პარიზში ჟურნალ "ბრძოლის ხმაში" ლეისპირელის წერილი "ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი" გამოქვეყნდა, ბერლინში გაზეთ "კლდეში" ვასილ სადათიერაშვილის "აკაკი წერეთელი".

1928 წლის 18 ოქტომბერს პარიზელმა ქართველებმა ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავად დილა გამართეს. მოგონებებით და მოხსენებით გამოვიდნენ: ე.თაყაიშვილი, ს.ფირცხალავა, დ.შარაშიძე, შ.ამირეჯიბი, სტუდენტთა გუნდმა კი ქართული სიმღერები შეასრულა. ბერლინში ი. ჭავჭავაძის საღამოზე დარბაზი დროშებით, ღერბით, ყვავილებით და ილიას სურათით იყო გაფორმებული. მოხსენებით გამოვიდა მ. ნულუკიძე, მოგონებებით გ. გელაზანია და ს.ირემაშვილი. წაიკითხეს ლექსები. საღამო ჰიმნით

დამთავრდა. 1932 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 25 წლისთავის აღსანიშნავად ქართულმა სათვისტომომ გერმანიაში საღამო მოაწყო. სიტყვით გამოვიდნენ:



ისიდორე მანჭკავა

გრ. დიასამიძე, ვ. ლამბაშიძე, ტ. მარგველაშვილი, მ. ნულუკიძე, გ. გელაზანია და ნ. ნაკაშიძე. 27 სექტემბერს "მიუზეე სოსიალეს" დარბაზში საღამო პარიზელმა ქართველებმაც ჩაატარეს. ილიას ბიოგრაფიაზე მოხსენებით დ. ხარისჭირაშვილი გამოვიდა, მოგონებით "ილიას შორიახლო დგომით" გ. ჟურული, სიტყვით ილიაზე შ. ამირეჯიბი, თემით "ილია და ეროვნული სინამდვილე" ი. მანწკავა, "ილია და დამოუკიდებლობის საკითხი" ვ. ნოზაძე. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები.

უფრო მასშტაბური იყო 1937 წლის 31 ოქტომბერს ქართული ასოციაციის გამგეობის მიერ პარიზში ილია ჭავჭავაძის 100 წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილი დილა. კათოლიკური ინსტიტუტის დარბაზს სუროს ფოთლებით მორთული, ილიას ფერწერული პორტრეტი, ეროვნული ღერბი და დროშები ამშვენებდა. დილა ვახტანგ ლამბაშიძემ გახსნა, გიორგი ყიფიანმა მის ბიოგრაფიაზე ისაუბრა, გიორგი ჟურულმა ლვანლზე. გიორგი გვაზავა მოგონებით გამოვიდა, ლექსები წაიკითხეს: ელენე მამულაიშვილმა, ზეინაბ კედიამ, ივანე ზურაბიშვილმა, გიორგი ყიფიანმა, სიმონ ბერეჟიანმა, თენგიზ აბდუშელმა. დასასრულ, ორ მოქმედებად "მგზავრის წერილები" წარმოადგინეს. მონაწილეობდნენ: ბ. ბადური (ალექსანდრე ბადურაშვილი), თემო თაქთაქიშვილი და სიმონ ბერეჟიანი. ბოლოს, ამ უკანასკნელმა, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებიდან ნაწყვეტები და ლექსები წაიკითხა. 22 დეკემბერს იუბილე ბერლინელმა ქართველებმაც გადაიხადეს. მოგონებებით გამოვიდნენ გრიგოლ დიასამიძე და ვლადიმერ ახმეტელი, რომელმაც ჯერ კიდევ 1936 წელს ილიას 100 წლის საიუბილეოდ წერილი "ილია ბრძენის გამო" გაზეთ "კლდეში" გამოაქვეყნა.

1937 წლის ბოლოს ჟურნალ "სამშობლოს" რედაქციამ ბაგრატი სამხარაძისაგან 700 ფრანკი მიიღო ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ ლიტერატურული პრემიის დასაწესებლად. მართლაც, 1938 წლის იანვარში ჟურნალმა კონკურსის პირობები გამოაცხადა: ერთი პრემია საუკეთესო ლექსისათვის ილიაზე (25 ტაეპი)

200 ფრანკის ოდენობით და მეორე საუკეთესო დრამატული, ან ბელეტრისტული ნაწარმოებისათვის ქართველთა ცხოვრებიდან (20 გვერდი), რომლებიც უნდა წარედგინათ 1 მაისამდე საიუბილეო კომისიაში ელისე პატარიძესთან. შედეგები გამოცხადდა და პრემიები გადაეცათ სიმონ ბერეჟიანს და ვიკტორ ნოზაძეს.

1937 წელს ჟურნალ "ბრძოლის ხმაში" კონსტანტინე გვარჯალაძის სტატია "ილია ჭავჭავაძე მხატვარი და პოლიტიკური მოღვაწე" დაიბეჭდა, 1938 წელს იმავე ჟურნალში ნოე ჟორდანიას "ორი პოეტი (ილია და აკაკი)" გამოქვეყნდა. ზაფხულში ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ ბრიუსელში ლიტერატურული საღამო ჩატარდა. ილიას სურათითა და სამფეროვანი დროშებით მორთულ დარბაზში თავი ქართველებმა, უკრაინელებმა და სხვა ერთა წარმომადგენლებმა მოიყარეს. მარკოზ ტულუმმა ილიაზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა, ანა ზეგერსის ფრანგულად თარგმნილი ახალი ლექსები - ირაკლი ჯაფარიძემ, ილიაზე ლექსი - ირაკლი ოთხმეზურმა. ქართულმა გუნდმა ილიას ტექსტზე დაწერილი სიმღერები "რა კარგი რამ ხარ" და "ტყემ მოისხა ფოთოლი" შეასრულა.

1935 წელს ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 20 წლისთავზე ჟურნალმა "დამოუკიდებელმა საქართველომ" ი. მანწკავას წერილი დაბეჭდა, გაზეთმა "კლდე" - გრ. დიასამიძის "მარგალიტის მთესველი". ქართულ-ფრანგულ კონფერენციაზე წარდგინილ იქნა შ. ბერიძის მოხსენება "გველის მჭამელი" - ქართული პოემა". ამ თარიღის აღსანიშნავად პარიზელმა ქართველებმა გადაწყვიტეს სალიტერატურო დილის ჩატარება. მართლაც, 1936 წლის 19 იანვარს საფრანგეთში მყოფ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაციამ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 20 წლისთავის აღსანიშნავი სალიტერატურო დილა გამართა.

დარბაზს ამშვენებდა ს. ბერეჟიანის მიერ დახატული ვაჟას დიდი პორტრეტი. დილა ასოციაციის თავმჯდომარემ, გიორგი გვაზავამ გახსნა. პოეტის ბიოგრაფია დამსწრეთ ივანე ზურაბიშვილმა გააცნო, მისი პროზა, პოეზია და პოემები ისიდორე მანწკავამ, ქართული კულტურა ვაჟას შემოქმედებაში ალექსანდრე მანველიშვილმა, ვაჟა და მისი აფორიზმები ფრანგულად შალვა ბერიძემ. ვინაიდან მოხსენებები გაგრძელდა,



გრიგოლ დიასამიძე

ელასა მგელაძის მოგონებები ველარ მოისმინეს. შემდეგ პატარა თეზიკო აბდუშელმა მოხდენილად წაიკითხა ვაჟას ორი ლექსი, სიმონ ბერეჟიანმა კი "ჩხიკეთა ქორწილი". პროგრამის გარდა, ერთმა უცხოელმა ფრანგულად ვაჟას სამი ლექსი წაიკითხა, რამაც სტუმართა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

ყველაზე მნიშვნელოვანი რუსთაველის 750 წლის იუბილეს აღნიშვნა იყო. მზადება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. 1927 წლის 15 ოქტომბერს "თეთრი გიორგის" ინიციატივით ჩატარებულ რუსთაველის საღამოს უამრავი ადამიანი დაესწრო. შიმინის შემდეგ პოლკოვნიკმა ფრიდონ ნულუკიძემ და ლეო კერესელიძემ შოთას და თამარის სიყვარულის ისტორია წარმოადგინეს. თამარის როლს ელისო დადიანი ასრულებდა, შოთას - სიმონ ბერეჟიანი. მიშელ დარიალმა ქართულ-იტალიური სიმღერები შეასრულა, მეთარემ - ძველი ქართული სიმღერა. ლეკურის შემსრულებელთა შორის ყველაზე მეტი მონონება ეკ. ანთაძემ დაიმსახურა. 1929 წელს ვალენტიანეში გახსნილ სამკითხველოს რუსთაველის სახელი ეწოდა.


1931 წელს ზურაბ ავალიშვილმა "ახალ ივერიაში" დაბეჭდა "ვეფხისტყაოსნის" საკითხები", რომელსაც რეცენზიით "დამოუკიდებელი საქართველო" გამოეხმაურა. 1932 წელს რევაზ გაბაშვილმა პარიზში წაიკითხა ლექცია "ცოტა რამ ვეფხისტყაოსანზე", ალექსანდრე მანველიშვილმა - "საქართველოს კულტურულ-ზნეობრივი ვითარება და ვეფხისტყაოსანი", მურადაშვილმა შოთას ბიუსტი შექმნა. 1933 წელს დავით ხელაძემ კონსტანტინე ბალმონტის მიერ რუსულად თარგმნილი "ვეფხისტყაოსანი" გამოსცა. გამოცემას დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო ქართულ ემიგრანტულ არამედ უცხოურ, კერძოდ, პოლონურ პრესაში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. 1935 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ელენე თარხან-მოურავის "ვეფხისტყაოსნის" სურათებიანი ხელნაწერი გამოაქვეყნა, რომელიც ბიბლიოგრაფიაში "დამოუკიდებელმა საქართველომ" მიმოიხილა. გაზეთმა "კლდე", რომელიც ბერლინში ქართულ-გერმანულ ენებზე იბეჭდებოდა, 1935 წლის №11-12 მთლიანად რუსთაველს მიუძღვნა და მისი დიდი სურათი მოათავსა. შემდეგ კი გერმანული გაზეთების "ფოლკიშე ბეობახტერის", "კელნიშე ცაიტუნგისა" და "მიუნხენერ ნახრიხტენის" გამოხმაურებები გამოაქვეყნა. 1935 წელს ჩეხიის ჟურნალ-გაზეთებში რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა. განსაკუთრებული ყურადღება ჟურნალ "სობოტას" მე-11 ნომერში დაბეჭდილმა მედნიკოვა-პუშკოვას

წერილებმა "საქართველოს პოეტი შოთა რუსთაველი" მიიქცია. პუბლიკაციის შემდეგ ამ ქალბატონმა, რომელსაც დედა ლომიძე ჰყოლია, სპეციალური მოხსენება მწერალთა კლუბშიც წაიკითხა და დამსწრეთ ჩეხურ ენაზე ლექსად თარგმნილი ნაწყვეტები გააცნო. მოხსენებას პრეზიდენტი მასარიკის პირადი მდივანიც დაესწრო. 1936 წლის 12 მარტს ასევე პრალაში, დიდი ინტერესი გამოიწვია უკრაინელ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოებაში შოთა რუსთაველზე ყუბანელი პროფესორის გრიგოლ ომელჩენკოს მოხსენებამ, რომელსაც ზოგიერთი პასაჟი უკრაინულ ენაზე ლექსადაც უთარგმნია.

1936 წელს "დამოუკიდებელი საქართველოს" აპრილის ნომერში ივანე ჭავჭავაძე წერდა, რომ 1937 წელს შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს შესაფერისი გადახდის ინიციატივა "ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაციამ" იკისრა. პირველ თათბირზე ემიგრაციის ყველა წრის კომპეტენტური წარმომადგენლები იყვნენ მინეველი. გადანყდა, თათბირი კიდევ ჩაეტარებინათ, რათა ზეიმში მონაწილეობა ყველას მიეღო და იმ დღეს მთელი ემიგრაცია გაეერთიანებინა. უნდა შეედგინათ პროგრამა და გაკეთებულიყო მაქსიმუმი, რათა დიდი პოეტი უცხოელთათვის უკეთ გაეცნოთ. ეს საქართველოსათვის უდიდესი საქმე იქნებოდა. მართლაც, მუშაობა ყველა იმ ქვეყანაში გაიშალა, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ. პარიზში შეიქმნა რუსთაველის საზოგადოება, რომლის პრეზიდენტი პარიზის უნივერსიტეტის რექტორი სებასტიან შარლეთი იყო, ნევრები კი უნივერსიტეტის პროფესორა და საზოგადოების წარმომადგენლები. 1936 წლის 5 ივნისიდან ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა "რუსთაველის კონკურსის" პირობები გამოაცხადა და საუკეთესო ნამუშევრისთვის ფულადი ჯილდო 1000 ლირა დაანესა. ეს პრემია გადაეცა ალ. მანველიშვილს ნაშრომისათვის "ვეფხისტყაოსნის" ეროვნული ხასიათი", რომელიც 1938 წელს გაზეთ "მომავლის" სამ ნომერში დაიბეჭდა.

1937 წლის მაისში გაზეთი "თეთრი გიორგი" იუნყებოდა, რომ იუბილისათვის მზადება უკვე დაიწყო, რომ ფრანგულად ელისაბედ ორბელიანის, გერმანულად არტურ ლაისტისა და ინგლისურად მარჯორი უორდროპის უკვე თარგმნილის გარდა, ემიგრაციაში "ვეფხისტყაოსნის" ბალმონტისეული რუსული თარგმანი გამოიცა და რომ პოემა კიდევ რამდენიმე ენაზე ითარგმნებოდა და გამოსაცემად მზადდებოდა.

“მიმდინარე წელი ეძღვნება შოთა რუსთაველს, წერდა “დამოუკიდებელი საქართველო” 1937 წლის ივნისში, პირველი ექვსი თვე შეუმჩნეველად ჩატარდა. ევროპის თითქმის ყველა დიდ ცენტრებში არიან ქართველები და მათი ვალია რაღაც სახით აღნიშნონ”. იქვე ჩამოთვლილია ემიგრაციაში ჩატარებული ღონისძიებები. აღწერილია 27 მაისს რაფიელ ივანიცკი-ინგილოს მიერ წაკითხული ვრცელი მოხსენება რუსთაველის დროინდელი საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და “ვეფხისტყაოსნის” მსოფლიო ენებზე თარგმნის შესახებ. ლექცია კაეტენოს სასახლეში CAUR-ის (რომის უნივერსალიზმისათვის სამოქმედო კომიტეტი) ინიციატივით ჩატარდა. მას იტალიელების გარდა, რომში მობინადრე უცხოელი კოლონიების წევრებიც დაესწრნენ. საზოგადოების რომის საბჭოს



რაფიელ ივანიცკი-ინგილო

თავმჯდომარემ, გენერალმა მარიო სანიმ საქართველოს მოკლე და მხურვალე სიტყვა უძღვნა. მანვე წარუდგინა საზოგადოებას ლექტორი, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის დეპუტატი. ლექცია საათზე მეტხანს გაგრძელდა. აუდიტორიამ ყურადღებით მოისმინა და ლექტორს პასუხის გაცემა კითხვებზეც მოუწია. დასასრულ, ლექტორმა მსმენელებს შ. ბერიძის მიერ ნეაპოლიდან გამოგზავნილი რუსთაველის ფოტოები დაურიგა. იმავე წელს იტალიურ ენაზე დაიბეჭდა ალ. მანველიშვილის ნაშრომი “შოთა რუსთაველი”.

1937 წელს ვარშავაში ქართული კოლონიის სხდომის შემდეგ, კოტე იმნაძემ რუსთაველის დღის მოსაწყობად დახმარება პოლონეთის ლიტერატურის აკადემიის თავმჯდომარეს სთხოვა. მასალების შესაგროვებლად სპეციალური კომისია შეიქმნა. ალ. მანველიშვილმა “ახალ ივერიაში” მოათავსა წერილი “შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა”. 2 ნოემბერს შვეიცარიაში, ალბერ მალშის თავმჯდომარეობით ჩატარებულ საქართველოს დამხმარე კომიტეტის სხდომაზე, ხარიტონ შავიშვილის წინადადებით, შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს აღნიშვნა ჟენევის უნივერსიტეტში გადაწყდა. პროგრამა ჟენეველ პოეტ პია-შოსთან თანამშრომლობით შედგა. იმავე საღამოს ხ. შავიშვილმა უნივერსიტეტში წაკითხა ლექცია “მე-12 საუკუნის პოეტი”.

რუსთველოლოგიის საკითხებით პოლიტიკოსებიც დაინტერესდნენ: 1937 წელს ჟურნალ "დამოუკიდებელი საქართველოს" 3 ნომერში დაიბეჭდა ნ. ჟორდანიას "ვეფხისტყაოსნის" საკითხები", ჟურნალში "ბრძოლის ხმა" "რუსთაველი", გაზეთში "თეთრი გიორგი" - მ. წერეთლის "ცოტა რამ "ვეფხისტყაოსნი"-სათვის". ჟურნალი "ქართლოსი" იუწყებოდა, რომ შ. ბერიძის მოხსენება რუსთაველზე იტალიურ "ჯორნალე იტალიას" გაუშუქებია, ჟურნალ "ქართლოსის". რამდენიმე ნომერში ვიკტორ ნოზაძე "ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონს ბეჭდავდა, №11-12 კი მთლიანად რუსთაველსა და "ვეფხისტყაოსანს" მიუძღვნა. 1938 წელს გ. გვაზავასა და ანი მარსელ-პაონის მიერ პროზაულად ფრანგულად თარგმნილ "ვეფხისტყაოსნის" დაბეჭდვას "ახალი ივერია" გამოეხმაურა. თარგმანი ჟურნალ "კაკაზში" ზ. ავალიშვილმა გააკრიტიკა, რასაც "დამოუკიდებელ საქართველოში" გვაზავას პასუხი მოჰყვა.

ჟურნალი "დამოუკიდებელი საქართველო" დანკრილებით მოგვითხრობს, როგორ აღინიშნა იუბილე პარიზში, ჟენევაში, ვარშავაში, ბერლინში, პრალასა და ნეაპოლში.

1937 წელს "Journal de Jeneve"-ს 1 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ჟან მარტენის წერილი "დიდი ქართველი პოეტი "შოთა რუსთაველი". 4 დეკემბერს ჟენევის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში რუსთაველის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა გაიმართა, რომელსაც მრავალრიცხოვანი საზოგადოება დაესწრო: მთავრობის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციების - საქართველოს დამხმარე საზოგადოების, ერთა ლიგის დამხმარე ჟენევის ასოციაციის, მშვიდობის საერთაშორისო ბიუროს, იტალიის, პოლონეთის და სხვა საელჩოებისა და საკონსულოების წარმომადგენლები და ა.შ. სიტყვით გამოვიდნენ: პროფესორები: ალბერ მალში და ვილიამ რიპარი უნივერსიტეტის რექტორი, აგრეთვე ხარიტონ შავიშვილი. ახალგაზრდა პოეტმა პიაშომ წაიკითხა თავისი თარგმანი პოემიდან, ჟ. მარტენმა საქართველოზე ისაუბრა და ეკრანზე საქართველოს ხედები აჩვენა.

იუბილე დიდი ზეიმით აღინიშნა პოლონეთში. საორგანიზაციო კრების ხელმძღვანელობა პროფესორ გიორგი ნაკაშიძეს დაეკისრა. იუბილეს წინ პრესკონფერენცია და პოლონეთის ლიტერატურის აკადემიაში მისი მოხსენება უძღვოდა, რასაც მთელი პოლონეთის პრესა გამოეხმაურა. იუბილე კი 11 დეკემბერს ვარშავის თვითმმართველობის დარბაზებში ჩატარდა. ყველა სკამზე სპეციალურად ამ დღისათვის დაბეჭდილი

ბროშურა და პროგრამა იდო. სხდომას აკადემიის თავმჯდომარე მწერალი და მოგზაური ვაცლავ სეროშევსკი წარმართავდა. იგი საქართველოს კარგად იცნობდა - აკაკი წერეთელს საჩხერეში ორჯერ სწვევია. შეკრება აღმოსავლეთის ინსტიტუტის დირექტორმა სენატორმა სედლიცკიმ გახსნა.



წიგლი უცხოელი

მოსხენებებით გამოვიდნენ გრიგოლ ფერაძე "შოთა რუსთაველის ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველობა" და გიორგი ნაკაშიძე "შოთა რუსთაველი და საქართველო", ნაწყვეტები პოემიდან ქართულად და პოლონურად ვიტალი უგრეხელიძემ ნაიკითხა. შესრულდა არაყიშვილის რომანსი და არია "დაისიდან". საკონცერტო ნაწილი შემდეგ ქარშავის რადიომ გადასცა.

1938 წლის 30 იანვარს რუსთაველის იუბილზე პარიზში, გეოგრაფიული საზოგადოების საზეიმოდ მორთულ დარბაზში თავი მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ

მოიყარა. სცენას რუსთაველის სურათი და ყვავილები ამშვენებდა. სხდომა მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. გვაზავამ გახსნა, მოხსენებებით გამოვიდნენ: ს. ფირცხალავა "საქართველო და საერთაშორისო მდგომარეობა XII საუკუნეში", რ. არსენიძე "რუსთაველი და მისი წიგნი", გ. გვაზავა "რუსთაველი და მისი შემოქმედება", ალ. მანველიშვილი "რუსთაველის მსოფლმხედველობა". ბოლოს, ს. ბერეჟიანმა ნაიკითხა ნაწყვეტები პოემიდან და ი. გრიშაშვილის ლექსი რუსთაველზე.


1938 წლის 21 მარტს რუსთაველის საზოგადოებისა და თანამედროვე პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის ინსტიტუტის ინიციატივით სორბონის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში რუსთაველის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა. დარიგდა მოსაწვევები. ფრანგულ ენაზე შედგენილი პროგრამა იუნყებოდა, რომ "მისი პოემა "ვეფხისტყაოსანი", რომელიც ეხლახანს ითარგმნა ფრანგულ ენაზე, შედევრს წარმოადგენს. წარმოდგენა ქართული მუსიკის თანხლებით გაიმართება". იქვე მონაწილეთა ვინაობაა ჩამოთვლილი: ფილიპ სერი სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, მარიუს მუტი ყოფილი მინისტრი, ემიგრაციის ისტორიის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი, სებასტიან შარლეტი პარიზის უნივერსიტეტის

რექტორი, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი. აგრეთვე, პროფესორები: ანდრე მაზენა, პიერ ბუვიე, გუსტავ კოპენი, ლიტერატორები, დიპლომატები და სხვა სფეროს წარმომადგენლები. პროგრამაში შეტანილი იყო რუსთაველისა და მისი ეპოქის წაწარმოებთა მიმოხილვა, ქართული პოპულარული სიმღერები, ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან როიალისა და ვიოლონჩლოს თანხლებითა და ფრანგი და ქართველი მომღერლების შესრულებით. "იქნება ქართული ცეკვებიო", - იუნყებოდა აფიშა. მართლაც, საღამო გეგმის მიხედვით შესანიშნავად ჩატარდა.

რუსთაველისა და მისი პოემის პოპულარიზაცია ევროპაში იუბილეთი არ დამთავრებულა; ჟენევის უნივერსიტეტში ჩატარებულმა იუბილემ საზოგადოების ისეთი ყურადღება დაიმსახურა, რომ ხ. შავიშვილი რუსთაველზე ლექციის წასაკითხად "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ლიგის" ჟენევის სექციამ მიიწვია. როგორც შავიშვილი აღნიშნავდა, ეს ლიგა ძირითადად სახალხო ფრონტის ხალხისგან შედგება, რომელთაც სულაც არ სურთ, ბოლშევიკებს აწყენინონ და ამიტომ თავმჯდომარე ძალიან ფრთხილობდა, რომ პოლიტიკური არაფერი თქმულიყო. მაგრამ ლექციამ ისეთი აღტაცება გამოიწვია, რომ პოლიტიკური სიტყვის წარმოთქმის საჭიროება თვითონ თავმჯდომარემ დაინახა: "ეს საუკეთესო პროპაგანდაა, რომელიც გვაცნობს ქართველ ერს. ჭეშმარიტად, ერი, რომელმაც რუსთაველი მოგვცა თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს". შავიშვილისათვის მორიგი ლექციის წაკითხვა ჟენევის ნაციონალური ინსტიტუტის ლიტერატურულ სექციასაც უთხოვია. 1938 წლის მაისში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის შემდეგ ჟურნალ "დერ ორიენტში" შოთა რუსთაველზე ნ. იმნაიშვილის წერილი გამოქვეყნდა. აგვისტოში ჟურნალ "გაისტ დერ ცაიტში" "ვეფხისტყაოსანზე" ქრისტიანა და მიხეილ ნულუკიძეების წერილი დაიბეჭდა. 1938 წელს რუსთაველზე ლექცია საფრანგეთის აკადემიის ნევრმა, ცნობილმა მწერალმა ედმუნდ ჟალუქსმა წაკითხა, გაზეთ "ტანის" 17 ივლისის ნომერში კი წერილი მოათავსა, რომლის დიდი ნაწილი ჟურნალმა "დამოუკიდებელი საქართველომ" გადმობეჭდა. ავენიუ პოპის დარბაზში გ. გვაზავამ თემაზე "რუსთაველი და მისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში", ორი ლექცია წაკითხა.

პოლონეთში ჩატარებული იუბილიესათვის ახალგაზრდა, ნიჭიერმა პოლონელმა პოეტმა იოსებ ლობოდოვსკიმ "ვეფხისტყაოსნის" ფრაგმენტი თარგმნა და სრული თარგმანისათვის

1938 წლის დასაწყისში დასახმარებლად ქართულ კოლონიას მიმართა. გამგეობამ რამდენიმე სხვადასხვა თარგმანი შეიძინა



ირაკლი მაგრატიონ-
მჭახალი

და ლობოდოვსკის მიანოდა, გ. ნაკაშიძეს კი მთარგმნელისათვის დახმარების განევა სთხოვა, ხოლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის დირექტორს ოლგერდ გურკას თარგმანის გამოცემაზე ზრუნვა.

იუბილეს გამოეხმაურა საბერძნეთის პრესაც. გაზეთმა "ეთნოსმა" აღნიშნა, რომ ევროპაში იუბილეს ფართოდ აღინიშნა და პოემის ბერძენი ხალხისთვისაც გაცნობა საბერძნეთის სამეცნიერო-ლიტერატურულ წრეებს მოსთხოვა. გაზეთმა "პროიამ" საქართველოს ისტორიის, რუსთაველის ბიოგრაფიისა და პოემის შესახებ ინფორმა-

ცია მოათავსა. პონტოელ ბერძენთა ჟურნალ "პონტიკა ფილაკის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი გრიგოლ ტილიკოვი საქართველოს რესპუბლიკაში ელინთა სკოლების ინსპექტორი იყო. იგი წერილებს საქართველოს შესახებ არა მარტო თავის ჟურნალში, არამედ საბერძნეთის პრესაშიც ხშირად ბეჭდავდა. როგორც ინფორმაციის ავტორი ვ. მგალობლიშვილი წერდა, სწორედ მისი მეთაურობით შეიქმნა ჯგუფი საბერძნეთში რუსთაველის იუბილეს მოსაწყობად.

1939 წელს შალვა ბერიძემ ნეაპოლში რუსთაველზე ვრცელი ნაშრომი გამოაქვეყნა, 1940 წელს ირაკლი ბაგრატიონის რომში ჩასვლისა და გრაფინია პასკუინიზე დაქორწინების შემდეგ, მეფე ვიქტორ-ემანუელის სასახლის ინიციატივით, რომის ოპერის თეატრის მხატვარ-დეკორატორის გიორგი აფნაზის მიერ გაფორმებული "ვეფხისტყაოსნის" იტალიური თარგმანი გამოიცა, 1941 წელს რაფიელ ივანიცკი-ინგილოს "ვეფხისტყაოსნის" შემოკლებული იტალიური თარგმანი და ნიგნი "საქართველო და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი", 1942 წელს პარიზში ქართული ხალხური მუსიკისა და ცეკვების გამოყენებით, სერჟ ლიფარმა პოემის მიხედვით ბალეტი დადგა, რომლის პრემიერამაც დიდი წარმატებით ჩაიარა, ხოლო 1945 წელს მილანში "ვეფხისტყაოსნის 330-გვერდიანი და დასურათებული შ. ბერიძისეული იტალიური თარგმანი გამოიცა.

ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების გარდა, პარიზში, ჟოფრუას დარბაზში 1928 წლის 19 თებერვალს

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავი აღნიშნეს. ზეიმს დიდძალი საზოგადოება დაესწრო ქართველები, კავკასიელები, უკრაინელები, ფრანგები და სხვები. მათ შორის "ფრანს ორნატის" თავმჯდომარე, ნაციონალური ბიბლიოთეკის პრეზიდენტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის რექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვები. ზეიმი ა. ჩხენკელმა გახსნა, მოხსენება ქართულ ენაზე ე. თაყაიშვილმა ნაიკითხა, ფრანგულ ენაზე ი. დადემქელიანმა, შემდეგ საფრანგეთის ყოფილმა უმაღლესმა კომისარმა კავკასიაში ა. შვეალიემ და ქართველ სტუდენტთა კულტურულ-აკადემიური კავშირის თავმჯდომარემ მ. ხუნდაძემ ისაუბრეს. შეკრებილთა წინაშე სამადლობელი სიტყვით ქართული ასოციაციის თავმჯდომარე დ. ლამბაშიძე გამოვიდა. ქართული ჰიმნი "დიდება" ცეზარ ფრანკოს სიმებიანმა კვინტეტმა შეასრულა, ვიოლინოზე ბრიუსელის კონსერვატორიის I ხარისხის დიპლომით კურსდამთავრებული ქალბატონი გობეჩია უკრავდა. ზეიმის შემდეგ ი. მანსკავამ თბილისის უნივერსიტეტის 10 წლითავს წერილი მიუძღვნა.



მიხეილ ხუნდაძე

ამრიგად, ემიგრაციის კულტურული ცხოვრებიდან აღსანიშნავია ქართველი მწერლებისადმი მიძღვნილი ხსოვნის დღეების ან საიუბილეო თარიღების, კერძოდ, აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 10 და 20, ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 20 და 25 და დაბადებიდან 100 წლისთავის, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღნიშვნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილე, რომლის მომზადება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. იუბილე იმდენად მაღალ დონეზე ჩატარდა და ევროპაში ისეთი რეზონანსი გამოიწვია, რომ მომდევნო წლებშიც იბეჭდებოდა ინფორმაციები პოემაზე, მის ავტორზე და საქართველოზე, ლექციების ნასაკითხად ინვევდნენ ქართველ მოღვაწეებს, დაიდგა ბალეტი, გამოქვეყნდა ვრცელი ნაშრომები რუსთაველზე. "ვეფხისტყაოსანი" ნაწილობრივ ითარგმნა უკრაინულ, პოლონურ, გერმანულ ენებზე, პოემის რუსული, ფრანგული, იტალიური თარგმანები კი წიგნად გამოიცა.

დასკვნები

1921-1939 წლებში ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლის შემდეგ შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1921 წლის მარტში, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლტოლვილთა პირველი დიდი ნაკადი - დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, დამფუძნებელი კრების, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები და წევრები, ქართული არმიისა და გვარდიის შტაბები, კოჯორ-ტაბახმელასთან მებრძოლი სამხედრო პირები, იუნკერთა სკოლის კურსანტები, კულტურის, ხელოვნებისა თუ ეკონომიკის სფეროს წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები სტამბოლმა მიიღო. ქართველთა ნაწილმა საიდუმლოდ გადალახა საზღვარი და თავი ირანს შეაფარა, ნაწილმა მანჯურიის ქ. ხარბინს. საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის დამყარების გამო უკან ველარ დაბრუნდნენ დამოუკიდებლობის დროს უცხოეთში მოღვაწე დიპლომატები, საელჩოებისა და საკონსულოების წევრები, ეკონომიკური მრჩევლები, "რუსეთ-სპარსეთის სანავთობო ამხანაგობისა" და შავი ქვის მრეწველი საზოგადოება "ჩემოს" თანამშრომლები, მთავრობის მიერ გაგზავნილი თუ საკუთარი ინიციატივით უცხოეთში მყოფი მეცნიერები, 200-მდე სტუდენტი. 1922 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ, მეტეხის ციხეში პატიმრობის შემდეგ, საზღვარგარეთ 62 ინტელიგენტი გაასახლა, გათავისუფლებულ პატიმართა ნაწილი, ანტისაბჭოთა პარტიათა წევრები 1923 წელს კვლავ დააპატიმრეს და საზღვარგარეთ გაასახლეს. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხებისა და რეპრესიების გამო მეორე დიდი ნაკადი მიანყდა თურქეთს და ირანს. მასიური ემიგრაცია გამოიწვია 1927 წელს დაწყებულმა კოლექტივიზაციამ და მიწების ჩამორთმევამ. ასე რომ, 1921-1930 წლებში ახალი რეჟიმის გამო, სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და პარტიული კუთვნილების მრავალმა ქართველმა დატოვა სამშობლო და უცხოეთში საქართველოს ოკუპაციამდე წასულ და სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულ ემიგრაციას შეუერთდა. სწორედ ისინი შეადგენენ ქართული ემიგრაციის პირველ ტალღას.

20-30-იან წლებში მსოფლიოს სამ კონტინენტზე გაფანტულმა ქართულმა ემიგრაციამ წარმატებით მოახერხა ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია. კონსოლიდაციის, ურთიერთდახმარებისა და ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის შექმნა ქართული კოლონიები, სათვისტომოები და ასოციაციები: სა-

ფრანგეთში (პარიზი, სოშო-ოდენკური, მონპელიე, ორნის რკინის მალაროები, მონბელიარი, გრენობლი, პონტემარი, ნანსი, მარსელი, ლიონი, ბორდო), გერმანიაში (ბერლინი, კიოლნი, მიუნხენი, ჰაიდელბერგი), პოლონეთში (ვარშავა), ჩეხოსლოვაკიაში (პრაღა), ბელგიაში, შვეიცარიაში (ლოზანა, ჟენევა) ესპანეთში, თურქეთში, ირანში, მანჯურიაში (ხარბინი), ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში. განსაკუთრებით დიდია პარიზის, ბერლინის, ვარშავის, ხარბინის და ნიუ-იორკის სათვისტომოების ღვანლი არა მარტო ქართველობის ფიზიკური და მორალური გადარჩენის, არამედ ემიგრაციაში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაგრძელების საქმეში.

უცხოეთის ქვეყნების უმრავლესობაში ლტოლვილებს დახვდათ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს შექმნილი ქართული წარმომადგენლობები და საკონსულოები, რომლებმაც იზრუნეს მათ მიღებაზე და ელემენტარული პირობების შექმნაზე, თუმცა აკრედიტაცია მარტო საფრანგეთში მოხერხდა და ელჩი მხოლოდ იქ ჩაირიცხა დიპლომატიური კორპუსის წევრად. 1933 წელს საფრანგეთის მიერ სსრკ ცნობის შემდეგ, გაუქმდა ლეგაცია და შეწყდა საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება. მის ნაცვლად შეიქმნა "ლტოლვილთა ოფისი". შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიაში და სტამბოლში საელჩოები "ოფისის" ფილიალებად გადაკეთდა, რომლებიც იმ ქვეყნებში ქართველებზე, მათ გადაადგილებაზე, უფლებების დაცვასა და დასაქმებაზე ზრუნავდნენ.

ემიგრაციის პირველ წლებში საერთაშორისო პირობები საკმაოდ არახელსაყრელი იყო - ომისშემდგომმა პრობლემებმა დაჩრდილა საქართველოს საკითხი. პირველივე დღეებში საქართველოს დასაცავად გამოვიდნენ საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები: კარლ კაუცი, რამზეი მაკდონალდი, ევგენი გრენიე, კამილ ჰოუსმანსი, პაველ აქსელროდი და სხვები. საქართველოს ევროპაში მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო, საჭირო იყო ახალ თანამგრძობთა და მოკავშირეთა ძიება. ამიტომ საქართველოს ლტოლვილი მთავრობა, სდმპ და სხვა საპარლამენტო პარტიების საზღვარგარეთული ბიუროები შეუდგნენ საქართველოს საკითხის გახმაურებას. ქართველები გამოდიოდნენ სოციალისტთა კრებებზე, II ინტერნაციონალის სხდომებზე, აცნობდნენ მათ საქართველოს საკითხს და იღებდნენ საქართველოს მხარდამჭერ რეზოლუციებს.

საქართველოს საკითხს პროპაგანდას უწევდნენ, ბეჭდავდნენ წერილებს, ბროშურებსა და წიგნებს. მიუხედავად ქართველებისა და ევროპელ სოციალისტთა აქტიურობისა, მოსკოვს მათი პროტესტებისათვის ყურადღება დიდად არ მიუქცევია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებული ხელისუფლება რუსეთისაგან საქართველოს გამოხსნას | მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე მებრძოლი და გამარჯვებული სახელმწიფოების დახმარებით ცდილობდა, რომელთა მთავრობებსაც მემორანდუმი ბოლშევიკთა ჯარის შემოსევაზე ოკუპაციისთანავე დაეგზავნათ. განსაკუთრებულია საფრანგეთის ღვაწლი, რომელმაც ლტოლვილებს და საქართველოს საკითხს საერთაშორისო ასპარეზზე დიდი მფარველობა გაუწია. საქართველოს მთავრობას ასევე დიდი იმედი ჰქონდა მზარდი სოციალისტური მოძრაობის და ერთა ლიგის, რომელმაც საქართველოს მხარდასაჭერად არაერთი რეზოლუცია მიიღო. ქართველების, ევროპული პრესის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების საპროტესტო განცხადებების მიუხედავად, რუსეთმა ერთა ლიგაში მაინც შეაღწია, თუმცა მრავალი მხარდამჭერის ნყალობით, საქართველოს საკითხი საერთაშორისო ასპარეზიდან არ მოხსნილა.

საქართველოს მთავრობა ცდილობდა, მონაწილეობა მიეღო ყველა იმ ღონისძიებაში, სადაც საერთოევროპული საკითხები წყდებოდა და საქართველოზე საერთაშორისო აზრის შექმნა შეიძლებოდა. ასეთი იყო სამშვიდობო, პაციფისტური, სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა საერთაშორისო კონგრესები და კონფერენციები, რომლებზეც | მსოფლიო ომის შემდგომ პრობლემებს იხილავდნენ. ერთა ლიგის, კონგრესებისა და კონფერენციების რეზოლუციები საქართველოს საერთაშორისო იურიდიულ სუბიექტად ტოვებდნენ, მაგრამ მას რუსეთიდან თავის დახსნაში ვერ შეელოდნენ.

საქართველოს საკითხის მსოფლიო პოლიტიკის არეალში მოსაქცევად მნიშვნელოვანი იყო ისეთი ორგანიზაციების მოღვაწეობა, რომლებშიც საქართველო შედიოდა როგორც ასოციაცია ან სექცია: "ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებაში" შემავალი "ქართული ასოციაცია ერთა ლიგისათვის", "ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის" ქართული სექცია, "მშვიდობის ინტერნაციონალური კომიტეტის" ქართული სექცია - "მშვიდობის (ზავის) საერთაშორისო ბიურო საქართველოს სასარგებლოდ". დიდ დახმარებას უწევდნენ სხვა ორგანიზაციებიც:

“შრომის საერთაშორისო ბიურო”, “ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტი”, “ნითელი ჯვარი”, “რუსეთის ემიგრანტთა დამხმარე”, ე.წ. “ნანსენის კომიტეტი” და სხვა ორგანიზაციები. მათი მუშაობის წყალობით საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველოს მხარდაჭერით არაერთი რეზოლუცია და გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს საკითხის გასახმაურებლად, საერთაშორისო ასპარეზზე წარმოსაჩინად ასევე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს დამხმარე თუ მეგობართა კომიტეტებს, როგორებიც იყო: ინგლისსა და შვეიცარიაში შექმნილი “საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი” და “ფრანგულ-ალმოსავლური კომიტეტის” ფრანგული სექცია ე.წ. “კავკასიის, თურქმენეთის და უკრაინის ერების მეგობართა კომიტეტი”, პარიზში, ლონდონში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში შექმნილი “საქართველოს მეგობართა ასოციაცია”, ნიუ-იორკში არსებულ “ამერიკული საზოგადოება კავკასიისათვის” და “საქართველოს უფლებების დაცვის ამერიკული კომიტეტი” და სხვა, რომელთა წყალობითაც საქართველო ახალ მხარდამჭერებსა და თანამგრძნობებს იჩენდა არა მარტო ევროპისა და ამერიკის სამთავრობო წრეებში, არამედ საზოგადოების ფართო ფენებში.

ახალი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები ემიგრაციის პირველი წლებიდანვე შეიქმნა: წამყვანი პოლიტიკური პარტიების საზღვარგარეთული ბიუროები და მათი ადგილობრივი წარმომადგენლობები ევროპის იმ ქვეყნებსა და ქალაქებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ქართველები, “ინტერპარტიული საზღვარგარეთის ბიურო”, რომლის მიზანი იყო ანტიბოლშევიკური ბრძოლის გასაშლელად საერთოქართული პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა. ასეთი იყო: “სტამბოლის პოლიტიკური კომისია” და მასთან არსებული “სამხედრო კომისია”, აგრეთვე: “საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი”, “კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი”, “კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი”, “პრომეთეს ფრონტი”, რომლებმაც წმინდა პოლიტიკურის გარდა, სამხედრო, ეკონომიკური და დიდი კულტუროლოგიური მისიაც შეასრულეს კავკასიელების, საბჭოთა კავშირის მიერ დამონებული ხალხების პრობლემებისა და სხვა საჭირობო საკითხების გასახმაურებლად.

ახალი პოლიტიკური ორგანიზაციების კვალდაკვალ შეიქმნა პოლიტიკური ხასიათის ახალი ეროვნული დარაზმულობები: “მომავალი”, “თეთრი გიორგი”, “ქართული ფაშისტური დარაზ-

მულობა". სხვა ორგანიზაციებთან დაპირისპირების მიუხედავად, მათ გარკვეული როლი შეასრულეს ემიგრანტული წრეების შეკავშირებასა და დარაზმვაში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში, საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მონყობის განასზღვრასა და ახალი მოდელების შემუშავებაში.

ქართული ემიგრაციის კონსოლიდაციაში განსაკუთრებული როლი პარიზში ნმ. ნინოს სახელობის ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, მისმა პირველმა მოძღვარმა დეკანოზმა გრიგოლ ფერაძემ და მის მიერ დაარსებულმა ქართულმა ჟურნალმა "ჯვარი ვაზისამ" შეასრულეს. დაარსდა ქართული საქველმოქმედო-დამხმარე ორგანიზაციები: "სტუდენტთა სალიკვიდაციო და დამხმარე საგანგებო კომიტეტი", "ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი", "ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტი" და "ახალგაზრდული სექცია", რომელთა ერთობლივმა, შეთანხმებულმა საქმიანობამ, მათი წევრების თავდადება, სხვა საერთაშორისო თუ ქართული ორგანიზაციების, რიგითი ქართველების თანადგომამ, მატერიალურმა დახმარებამ ამერიკიდან, ხარბინიდან და სხვა ქვეყნებიდან, ბევრ ქართველს მისცა უმაღლესი განათლების მიღების საშუალება, გაჭირვებულ ემიგრანტებს კი 30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისისა და დიდი დეპრესიის ჟამს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ემიგრაციაში დაარსებული პროფესიულ პრინციპზე დამყარებული გაერთიანებები - "ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა ასოციაცია", "იუნკერთა კავშირი", "ქართველ მხედართა დარაზმულობა", "ყოფილ ქართველ მეომართა საზოგადოება", "ქართველ ექიმთა კავშირი", "ქართველ შოფერთა კავშირი", "ქართველ ებრაელთა საზოგადოება", "თავადაზნაურთა საკრებულო", ქალთა კომიტეტები და მრავალი სხვა, ევროპის სამეცნიერო წრეებთან და საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდნენ. ისინი ქართველ სპეციალისტთა პროფესიულ მომზადებას, იმ მატერიალური მდგომარეობისა და უფლება-შეღავათების მიღწევას ცდილობდნენ, რითაც საფრანგეთში არსებული ანალოგიური ორგანიზაციები სარგებლობდნენ.

ემიგრაციაში ქართული მენტალიტეტის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების - "ქართული კერის" "პრომეთეს კლუბის", "კავკასიის შემსწავლელ საზოგადოების" საქმიანობა, ბავშვებისათვის ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ტრადიციების შესწავლა,

კავკასიის პრობლემების უცხოელთათვის გაცნობა, კულტურული ღონისძიებებით მათი დაახლოება. საგანმანათლებლო-პროპაგანდისტულ მიზნებს ისახავდა "ქართული სამეცნიერო წრე", "პარიზში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაცია". მათი წევრები ემიგრანტებსა და უცხოელებს პრესით, გამოცემებით, ლექცია-საუბრების, ასევე, საიუბილეო ღონისძიებების საშუალებით ქართულ ლიტერატურას აცნობდნენ. "დრამატული წრე" და "ფილარმონიული წრე" ემიგრანტთა ძალებით სპექტაკლებს, ახალგაზრდების ქართულ კულტურასთან საზიარებლად დრამატულ საღამოებსა და კონცერტებს მართავდნენ. ახალი თაობის ფიზიკური აღზრდისათვის სატანვარჯიშო, ფარიკაობის, კალათბურთის, ფეხბურთის, ჩოგბურთისა და კემპინგის სექციებით სასპორტო საზოგადოება "შევარდენი" დაარსდა. ქართული კულტურისათვის დიდად ფასეული იყო ევროპაში ქართული ენის კათედრების დაარსება ბრიუსელის, ბერლინის, ვარშავის უნივერსიტეტებსა და ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მრავალრიცხოვან პარტიულ პრესას, ლიტერატურულ-სამეცნიერო, კულტურულ და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამოცემულ პერიოდიკას, გამომცემლების, ქართული სტამბების საქმიანობას, სამუსლიმანო საქართველოში, ლეჩხუმ-სვანეთში, იმერეთში, რაჭაში და გურიაში სხვადასხვა დროს ჩატარებული ექსპედიციების ანგარიშების 6 ნიგნად გამოსაცემად ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით შექმნილ "ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდს", რომელმაც 2 ტომის გამოცემა მოახერხა. პერიოდიკა, ცალკეული გამოცემები და ნიგნები უკვე 1921 წელს იბეჭდებოდა სტამბოლში და პარიზში, შემდეგ - ვალენტიანში, ჟენევაში, ბერლინში, მიუნხენში და სხვა ქალაქებში. ნიგნების გამომცემლებად გვევლინებიან პარტიები, საზოგადოებები, ორგანიზაციები, ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები. ქართული სტამბებიდან აღსანიშნავია სტამბოლში კათოლიკური მონასტრის, პარიზში დავით ხელაძის "ქართულ-კავკასიური" და მიუნხენში არჩილ მეტრეველის სტამბები.

ახალი თაობისა და უცხოელთათვის ქართული ტრადიციების გასაცნობად, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად და საქართველოს საკითხის გასახმაურებლად დიდ როლს ანიჭებდნენ დღესასწაულებისა და მნიშვნელოვანი თარიღების შობა-ახალი წლის, ნინოობის, თამარობის, 26 მაი-

სის, გვარდიის დღის და საერთო კავკასიური დღესასწაულების აღნიშვნას. ეს დღესასწაულები დიდი ზეიმით ტარდებოდა ევროპაში, მანჯურიაში, ამერიკაში და უცხოელთა შორისაც პოპულარობითა და ყურადღებით სარგებლობდა. ქართველები მეგობარი ერებისა და იმ ქვეყნების დღესასწაულებშიც მონაწილეობდნენ, რომლებშიც ცხოვრებამ მოუწიათ - საფრანგეთის, პოლონეთის ეროვნულ დღესასწაულებში, აგრეთვე, ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა იუბილეებში.

სამგლოვიარო და ტრაგიკული თარიღების აღნიშვნის ბიძგი გახდა საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლების რეპრესიები და 1923 წელს დამკომის სამხედრო ცენტრის დახვრეტა. ემიგრაციაში აღინიშნებოდა საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების წლისთავები. იხდიდნენ ცალკეულ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა პანაშვიდებსა და ხსოვნის დღეებს. პრესაში იბეჭდებოდა ნეკროლოგები არა მარტო ემიგრაციაში, არამედ საქართველოში გარდაცვლილ მოღვაწეებზე. ქართველები ესწრებოდნენ რუსეთის ჩაგრულ ერთა ცნობილ მოღვაწეთა პანაშვიდებს, ხსოვნის დღეებს, იმ ქვეყნების გლოვის დღეებშიც მონაწილეობდნენ, რომლებშიც ცხოვრებამ მოუწიათ. ქართულ პრესაში დაბეჭდილ სამგლოვიარო წერილებში იმ უცხოელ პოლიტიკოსებსა თუ საზოგადო მოღვაწეებს იხსენებდნენ, რომელთაც საქართველოს ინტერესების დაცვაში საქმით თუ სიტყვით დიდი წვლილი მიუძღვოდათ. 1938 წელს ნამეცია გოგუაძის მონოდებით ემიგრანტებმა ლევილის მამულის ახლოს მინა შეიძინეს, სხვა სასაფლაოებიდან მიცვალებულები გადაასვენეს და ასე შექმნეს ლევილის ქართველთა სასაფლაო, რომელიც დღესაც ქართველ ემიგრანტთა განსასვენებელი და ყველა ქართველისათვის ნმინდა ადგილია.

ემიგრაციის კულტურული ცხოვრებიდან აღსანიშნავია ქართველი მწერლებისადმი მიძღვნილი ხსოვნის დღეების ან საიუბილეო თარიღების, კერძოდ, აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 10 და 20, ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 20 და 25 წლისთავების და დაბადებიდან 100, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღნიშვნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილე, რომლის მომზადება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო და შეიძლება ითქვას, რომ მთელი ემიგრაცია გააერთიანა. იუბილე იმდენად მაღალ დონეზე ჩატარდა და ევროპაში ისეთი დიდი რეზონანსი გამოიწვია, რომ მომდევნო წლებშიც იბეჭდებოდა ინფორმაციები

პოემაზე, მის ავტორზე და საქართველოზე. ლექციების წასაკითხად ინვედნენ ქართველ მოღვაწეებს, დაიდგა ბალეტი, გამოქვეყნდა ვრცელი ნაშრომები რუსთაველზე. “ვეფხისტყაოსანი” ნაწილობრივ ითარგმნა უკრაინულ, პოლონურ, გერმანულ ენებზე, პოემის რუსული, ფრანგული, იტალიური თარგმანები კი წიგნად გამოიცა. ეს საქმიანობა არა მარტო პროპაგანდას უწევდა საქართველოს, არამედ ქართული ემიგრაციის კულტურულ პოტენციალს, გავლენას ზრდიდა და ხელს ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდასაც უწყობდა.

როგორც ვხედავთ, 20-30-იან წლებში ქართული ემიგრაციის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება მეტად ინტენსიური იყო, თუმცა მათ საქმიანობას მთავარი შედეგი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება არ მოჰყოლია. ევროპაში გაჩაღებულმა II მსოფლიო ომმა, ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების ნაწილი საერთოდ მოსპო, ნაწილმა კი დიდი ხნით შეაჩერა საქმიანობა. უფრო მეტიც, ომმა მთელ ქართულ ემიგრაციას დიდი დარტყმა მიაყენა: როგორც ანტიგერმანულ ბანაკში, ასევე გერმანიის მხარეს მებრძოლთა სახით ომში ქართველმა ემიგრანტებმა დიდ მსხვერპლი გაიღე, რასაც მიეძღვნება კიდევ მეორე წიგნი “ქართული ემიგრაცია 1939-1980 წლებში”.

Rusudan Daushvili "The Georgian Emigration in 1921-1939"

Rusudan Daushvili has given a lecture course on history of the Georgian emigration since 1994 first at the department of history at Tbilisi Open Humanitarian University, later at the history department of State Pedagogical University. From the chronological point of view the lecture course involves the period of 1921-70, geographically – four continents – Europe, Asia, America and Australia. The present edition contains the first part of the course in 16 chapters in which the history of the first wave emigration of 1921-39 is discussed. The main part of the course is followed by conclusions, reference list and index.

In March, 1921, after the occupation of Georgia a large stream of refugees – members of government of independent Georgia, Constituent Assembly, leaders and members of political parties, headquarters of the Georgian Army and Guards, representatives of culture, arts and economics and members of their families arrived to Istanbul. Part of the Georgian refugees crossed secretly the frontier and went to Iran; others went to Kharbin, a city in Manchuria. Because of the occupation regime established in Georgia, diplomats working abroad, embassy and consulate officials, economic councilors, scientists, more than 200 students did not return to their home country. In 1922-1923 after imprisonment in the Metekhi prison, 90 intellectuals and leaders of the anti-soviet parties were sent into exile abroad. After the failure of rebellion in August, 1923, and due to the repressions the second numerous stream of people moved to Turkey and Iran. Collectivization and nationalization of land sites launched in 1927 caused serious emigration as well. So, in 1921-1930 due to the new regime thousands of Georgians of different age, profession and political orientation left their country and joined the emigrants who had left the country before the occupation and were scattered in different countries. These people constitute the first emigration wave. Many of the 40 thousand Georgians who were taken prisoners during the Second World War did not go back to Georgia and joined the first emigration wave. They constitute the second wave of emigration.

During 20-30s the Georgian emigration scattered over three continents of the world arranged Georgian communities in order to help with adaptation, consolidation and to support maintenance of the national identity. These communities were arranged in France, Germany, Poland, Czechoslovakia, Belgium, Switzerland, Spain, Turkey, Manchuria, USA, and Canada. In the majority of these countries the refugees found the Georgian embassies and consulates formed during the independence of Georgia. They did everything to

accept the refugees and settle elementary living conditions for them. In 1933 when France recognized the USSR the "legation" in Paris was annulled and the powers of the Georgian government were stopped. Instead of it "The Refugee Office" was founded and the Georgian embassies in different countries were transformed into branches of the "Office". They were concerned with movement of Georgians, protection of their rights and employment.

The Georgian government sent a memorandum concerning invasion of the Bolshevik army into Georgia as soon as the occupation took place, later in cooperation with the foreign offices of parliamentary parties it began to propagate the Georgian issue through printed media, articles, booklets, books. The Georgian political and public figures took part in all events where common European issues were discussed and solved and was possible to create a proper international attitude to Georgia. In particular the Georgians participated in work of the "League of Nations", the Second International, peace, pacifist, military, economic and other international congresses and conferences. Activities of such organizations as "Society for Assisting the League of Nations", "League for Protection Human Rights", the Georgian sections of the "Peace Committee", "Labour Bureau", "American Committee for Refugees Assistance of the League of Nations", "The Red Cross", "Russian Committee for Refugees" (Nancen's), "Committee for Assistance Georgia", "French-Eastern Committee", "American Committee for Protection of the Rights of Georgia" and others were of serious importance. Due to the resolutions accepted by these organizations Georgia remained an international legal subject though it did not help to liberate the country from the Russian occupation. Though thank to such activities Georgia gained new advocates and supporters not only among the government officials in Europe and America but in various strata of society.

New political organizations were founded during the first years of emigration: foreign offices of the leading parties, "Inter-party Foreign Office", "Istanbul Political Commission" and its "Military Commission", "Committee for Independence of Georgia", "The Caucasian Liberation Committee", and "The Committee for Independence of the Caucasus". "The Prometheus Front", "The Future", "White Giorgi" ("tetri giorgi"), "The Georgian Fascist Consolidation". In spite of certain contradictions between them these organizations played a certain role in bringing together different groups of emigration and their consolidation, in determining the future state constitution of Georgia. Besides political activities, they as well carried out military.

economic and cultural mission bringing out to public at large problems and hardships of the Caucasians and other peoples living in the USSR.

The role of the St.Nino Georgian Orthodox Church in Paris, its first dean Grigol Peradze and the magazine "Vine Cross" ("Jvari Vazisa") founded by him is especially important. Coordinated activities of the Georgian charity organizations such as committees for assistance of students, consumptive patients and unemployed enabled many Georgians to get education and to overcome the economic crisis in 30s. Professionally based unions founded in emigration such as "Association of the Georgian Engineers and Technicians", "The Cadets Union", "Unity of the Georgian Riders", "The Union of the Georgian Ex-soldiers", unions of "The Georgian Physicians", "The Georgian Drivers", "Society of the Georgian Jews", "Assembly of Nobility", women committees and many others cooperated with the European scientific organizations and international professional unions, strived to foster professional training of Georgians and improve their economic situation. The aim of "The Georgian Hearth" was to teach children the Georgian language, literature, history, traditions, to acquaint foreigners with the Caucasian problems, to interest them in Georgia through different cultural events. "The Georgian Scientific Circle", "The Assembly of the Georgian Writers and Journalists Living in Paris" pursued educational-propagandistic aims. They acquainted emigrants and foreigners with the Georgian literature, published articles, books, arranged lectures and jubilees. Dramatic and philharmonic circles arranged performances, dramatic evenings and concerts. A sport society "The Hawk" ("Shevardeni") was established. Formation of chairs of the Georgian language in Europe – at the universities of Brussels, Berlin, Warsaw and Naples Institute of Oriental Studies was of the utmost importance for the Georgian culture. Since 1921 numerous newspapers, literature, scientific books and journals were printed in Istanbul and Paris, later on in Velentine, Geneva, Berlin, Munich and other cities. Printing house functioning at the monastery of the Georgian Catholics in Istanbul as well as David Kheladze's printing house in Paris and Archil Metreveli's printing house in Munich must be specially noted. In order to publish accounts of expeditions carried out at different periods Ekvtime Takaishvili organized "The Foundation for Editing the Georgian Archeological and Cultural Materials" and published two of the six volumes.

In order to acquaint foreigners with the Georgian traditions, to draw attention of the international society and focus it on the Georgia issue a great importance was attached to celebration of national holidays and important dates such as

Christmas and New year holidays, celebration of St. Nino's day, St. Tamar's day, the day of Independence on the 26th of May and other All-Caucasian holidays. The celebrations and balls were arranged on a grand scale in Europe, Manchuria, America and were extremely popular even among foreigners. Mourning and tragic dates such as anniversaries of the occupation of Georgia and the August rebellion of 1924 were observed, offices in memory of the deceased political and public figures were performed and certain events in their memory were organized. Obituaries were published in newspapers. Georgians participated in celebration of holidays and tragic dates of those friendly nations and countries where they had to live. In the Georgian newspapers letters in memory of those foreign politicians and public figures who by their deeds and activities contributed to the defense of the interests of Georgia were published. In 1938 in response to the call from Nametia Gogvadze the Georgian emigrants bought a land site not far from Leville, opened a Georgian Cemetery at Leville and reburied the remains of the deceased Georgians from other cemeteries.

Days in memory or jubilees of the Georgian writers such as Akaki Tsereteli, Ilia Chavchavadze, and Vazha Pshavela were organized. A 750 year jubilee of Shota Rustaveli was as especially important event. Preparations for it began a few years earlier and this event united the whole emigration. The jubilee was carried out on such a high standard and evoked such a serious interest in Europe that numerous articles about the poem, its author and Georgia were published during the years that followed, Georgian scientists were invited to give lectures, Serge Lifar staged the Ballet in Paris, and serious treatises were published. Some parts of "Vepkistkaosani" ("The Knight in the Panther's Skin") were translated into Ukrainian, Polish and German. Russian, French and Italian translations of the poem were published. Such activities propagated Georgia, enhanced cultural potential and influence of the Georgian emigration and fostered upbringing of the youth in the national spirit.

As it can be seen from the above stated the Georgian emigration led intensive political and cultural life though the main aim – restoration of the independence of Georgia and return of the refugees to the home country was not achieved. The World War II that broke out in Europe destroyed most of the above listed organizations and stopped activities of the remaining organizations for long. Moreover, the war turned out a serious blow for the Georgian emigration: it suffered serious losses both among those who fought in the anti-fascist coalition and those who fought on the German side.

გამთყუნებელი ლიტერატურა

წიგნები და კრებულები

- გიორგაძე ე. მიშელ დარიალი, თბ. 1994
- გრიშიკაშვილი ა. პოლონეთიდან დანახული საქართველო, თბ. 2006
- თაყაიშვილი ე. ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისათვის, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ. 1968, გვ. 400-413
- დიუგერ. მოსკოვი და ნამებული საქართველო, თბ. 1994
- კირთაძე ნ. კაენ, სად არის ძმა შენი?! ნ. I, თბილისი, 1998
- კირთაძე ნ. ევროპა და დამოუკიდებელი საქრტველო, თბ. 1977
- ლომთათიძე გ. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი, აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, კრებული, თბ. 1966, გვ. 100-117
- მაზნიაშვილი გ. მოგონებები, თბ. 1926
- მეტრეველი მ. ალაგირელი ქართველები, თბ. 1976
- მეტრეველი რ. ბადრიძე შ. ექვთიმე თაყაიშვილი, თბ. 1962
- ნიშნიანიძე რ. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ. 2002
- ნიშნიანიძე რ. საქართველო სამანს აქეთ და სამანს იქით, ნ. I-II, თბ. 2005
- სევანიძე მ. 1914 წ. ოსმალეთსა და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება, ქართული დიპლომატია, თსუ, ტ II, 1995, გვ. 59-75
- ქართული ემიგრაციის მიერ ჩატარებული ლიტერატურული საღამოებისა და შეკრებების მოსაწვევი ბარათები და პროგრამები, ლიტერატურის მატინე, თბ. 1992, გვ. 397
- ყიფიანი გ. ლექსები, პარიზი, 1935
- ყუბანიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, ნაკ. II, თბ. 1976
- შარაძე გ. აკაკი ჩხენკელი, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, თბ. 1991, გვ. 67-83
- შარაძე გ. ანდრია გუგუშვილი, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. III, თბ. 1993, გვ. 259-289
- შარაძე გ. ამერიკელი ქართველები, თვალის ერთი გადავლებით, თბ. 1992
- შარაძე გ. ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ. 2001
- შარაძე გ. ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ. 2002
- შარაძე გ. ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. III, თბ. 2003
- შარაძე გ. ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ. 2003
- შარაძე გ. ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბ. 2004
- შარაძე გ. ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბ. 2005
- შარაძე გ. ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VII, თბ. 2006
- შარაძე გ. ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VIII, თბ. 2006
- შარაძე გ. ერის ისტორიული მახსიერების დაბრუნება, თბ. 1998, გვ. 21-24
- შარაძე გ. ეს მეორე საქართველოს და კარგვა იქნებოდა, თბ. 1992
- შარაძე გ. ფრანგული დღიური, თბ. 1990
- შარაძე გ. ლევილში ქართველთა მამულში, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. III, თბ. 1993, გვ. 434-460
- შარაძე გ. ლეო კერესელიძე და "თეთრი გიორგი", უცხოეთის ცის ქვეშ, ტ

III, თბ. 1993, გვ. 132-148

- შარაძე გ. ნოე ხომერიკი, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, თბ. 1993, გვ. 98-111
- შარაძე გ. რაჟდენ არსენიძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. III, თბ. 1993, გვ. 16-30
- შარაძე გ. სტამბოლის ქართულ საეანეში, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. III, თბ. 1993, გვ. 461-475
- შარაძე გ. შარაძე გ. ისტორიული რელიქვიების დაბრუნება, თბ. 2001
- შარაძე გ. გ. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ. 2003
- შარაძე რ. ხარიტონ შავიშვილი, თბ. 2004
- შველიძე დ. "აი, ქართველნო, ვინ იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი!", თბ. 2001
- ცამციშვილი ა. ბუდეშვილი, თბ. 1968
- ცხოვრებად გ. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-25 წწ. თბ. 1996
- ჯავახიშვილი ნ. ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ, თბ. 1998
- ჯანელიძე ო. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორია, თბ. 2002
- ჯანელიძე ო. სპირიდონ კედია, პოლიტიკური პორტრეტი, თბ. 2002
- Г. Мелихов, Российская эмиграция в Китае 1917-24 гг. М., 1999
- Торадзе Г. Мой друг Леван Хаиндрава, Тб. 2002
- Barbusse H. Vacice qu'on a fait de la Georgie, Paris, 1929
- Fur L. La Georgie et la droit des Gens, Paris, 1932
- List F. Die Volkerechtliche Stellung der Republik Georgien, Berlin, 1918
- Nipold O. La Georgie du point de vue du droit international, Paris, 1920
- Renodel L. Independance de la Georgia et la politique internationale du bolsevisme, Paris, 1925
- ქართული და უცხოური პრესა**
- გაჩეჩილაძე გ. მერაბ კვიციანი — გაზ. "სამშობლო", 1991, №3-4, გვ. 4
- ვოჟნიაკი ა. ქართული ემიგრანტული ორგანიზაციები პოლონეთში — გაზ. "გვირგვინი", 2002, №6, გვ. 11
- დავიდოვიჩი. ქართველები იბრძოდნენ ლინკოლნის არმიასში — გაზ. "ახალი საქართველო", 1990, №15, გვ. 3
- დარასელი ზ. ოჯახი ყველაზე მთავარია — გაზ. "სამშობლო", 1989, №1, გვ. 4
- კობახიძე გ. ქართველები კანადაში — გაზ. "თბილისი", 1990, №14, 16, 17, გვ. 4, 6
- კუპრეიშვილი ნ. ვიქტორ ნოზაძის ნერილები — "ლიტერატურული საქართველო", 1987, №48, გვ. 12
- მახარაძე ვ. ივანე მახარაძე და მისი დასი — გაზ. "ლელო", 1975, №251, გვ. 3
- მაჭავარიანი დ. ქართველთა სამშო სასაფლაო ლევილში — გაზ. "სახალხო განათლება", 1990, II, გვ. 13
- მეგრელიძე ი. ანდრია გუგუშვილი — გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1990, №19, გვ. 12-13

- ნანობაშვილი ბ. უიღბლო მომღერლის ცხოვრება — გაზ. "ჩაკრულო", 2001, №8, გვ.4
- ნაცვლიშვილი პ. ქართველთა სათვისტომო ამერიკაში 50 წლის წინათ — გაზ. "სამშობლო", 1996, №1, გვ.7
- ჟღენტი-კილაძე მ. ქართველები მონბელიარში — გაზ. "სამშობლო", 1990, №15, გვ.7
- რეხვიაშვილი ს. ანდრე რეხვია — გაზ. "რაეო", 1999, №10, გვ.13
- რეხვიაშვილი ს. ქართველები ამერიკაში — გაზ. "რაეო", 1996, №3, გვ.11
- რეხვიაშვილი ს. რაჭველები ამერიკაში — გაზ. "სამშობლო", 1988, №17, გვ.8
- რეხვიაშვილი ს. ძმები ვარაზაშვილი — გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1988, 15 IV, გვ.10
- სიდამონიძე ე. ქართველი მოჯირითე სან-ფრანცისკოში — გაზ. "ლელო", 1973, 17 I, გვ.4
- ტაბალუა ი. უცხოეთის საკონსულოები საქართველოში — გაზ. "თბილისი", 1991, 7 V, გვ.7
- ცინცაძე ლ. ქართველები ამერიკაში (ალაგირელი ქართველები რკინიგზის მშენებლობაზე) — გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", 1958, №31, გვ.4
- ცომაია ლ. "საქართველო უწინარეს ყოვლისა" — გაზ. "სამშობლო", 1990, №12, გვ.6
- შარაძე გ. "პრინცი მაჩაბელი" — გაზ. "თბილისი", 1990, 19 VI, გვ.4
- ჭელიძე დ. ნიანგის ხახას გადარჩენილი მზია ჯუღელი — ჟურნ. "ომეგა", 2002, №3, გვ.106-112
- ჭელიძე ს. ფერიდანში — ჟურნ. "ცისკარი", 1958, №1, გვ.85-98
- ხარებაშვილი გ. ჩემი დედა ენა ქართულია — გაზ. "კომუნისტი", 1990, 15 IV, გვ.4
- ჯანაშია რ. იტალიელი კონსული ქართველთა სიძე — ჟურნ. "ომეგა", 2003, №11, გვ.50-51
- Ивановский Д. Она из Ананури, Что недалеко от Нью-Йорка - "Свободная Грузия", 1991, 11 VI, стр.7
- La Georgie et princess Murat - "Journal de Geneve", 31 V, 1930
- La conference de la princesse Accille Murat - "La Tribuna de Geneve", 30 V, 1930
- La soiree georgienne en faveur des refagies - "Courier de Geneve", 30 X, 1925
- Le messages de N. Jordania - "Le Genevou", 19 XI, 1925
- Les Amis de la France, Le Prince et la princesse Mdivani - "la revue diplomatique", 31 II, 1932
- Les troupes rouges evacueroit - elles la Georgie? - "L'Intrasiqant", 19 XI, 1930
- L'Ordination du nouveau recteur de L'eglise greque de Paris - "Matin", Paris, 25V, 1931
- Reradze Gr. Kim jest dla nas Shota Rustaveli? - "Polska stronica slowa", Warsawa, 1937, #51, p.2
- Wozniak A. Stowarysszenia i organizacje gruzinscie w Polsce w latach 1918-1939 - "Pro- Georgia", Warszawa, 1991, p.38

საარქივო მასალა

- აკაკი ჩხენკელი მემუარი, გ. ცხოვრებადის სტატიამი "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-22 წწ.", ქართული დიპლომატია, ტ. II, თბ. 1995, გვ. 25-41
- ბოლქვაძე დ. ნერილი საქართველოს წარმომადგენლობას პარიზში, 1928, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი
- გვარჯალაძე კ. ანგარიში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი, სტამბოლი, 1923, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი
- ექვთიმე თაყაიშვილის ნერილი გიგოლ დიასამიძისადმი, გ. შარაძის ნიგნში "უცხოეთის ცის ქვეშ", ტ. II თბ. 1993, გვ. 214-215
- კედიამ. ნერილი გ. გეგეჭკორისადმი, 1951, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი
- კვარაცხელია პ. როგორ დაარსდა ქართული სათვისტომო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდა, 1956, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი
- საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის არქივის კატალოგი (ლევინის ნაწილი), თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი
- საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის არქივი გ. შარაძის ნიგნში "ისტორიული მემსიერების დაბრუნება", თბ. 1998, 14, გვ. 529-531
- შავიშვილი ხარიტონ, ალბერ მალში, რ. შარაძის ნიგნში "ხარიტონ შავიშვილი", თბ. 2004, გვ. 35-36
- შალვა ამირეჯიბის არქივი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი
- შოთა ბერეჟიანის მოგონებები, კერძო არქივი
- ხაინდრავა ი. ნერილი აკ. ჩხენკელისადმი, 1922, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი
- ხაინდრავა ი. ნერილი აკ. ჩხენკელისადმი, 1931, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი
- ხარბინის საზოგადოების ნერილი ქართულ კომიტეტს პოლონეთში, 1931, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი

ემიგრანტული წიგნები

- ავალიშვილი ზ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, პარიზი, 1924
- ავალიშვილი ზ. "ვეფხისტყაოსნის საკითხები", პარიზი, 1931
- ალიხანაშვილი გ. რამ დაგვლუპა და რა გვიხსნის, სტამბოლი, საბეჭდო კათოლიკე ქართველთა საგანისა, 1923
- ამირეჯიბი შ. მოგონებანი, ემიგრაციაში, ტ. II, თბ. 1998
- ასათიანი ალ. ქართული პოლიტიკის ძველი და ახალი გზები, პარიზი, 1934
- ასათიანი ალ. ძველი და ახალი მემკვიდრეობა, ვალენტიენე, 1928

- ბერიშვილი მ. ლევილობა (ლევილის ქართული მამულის 65-ე ნლისთავი),
პარიზი, 1997
- გაბაშვილი რ. რაც გამახსენდა, პარიზი, 1959
- გვაზავა გ. როსტომელა, ქართული ზღაპარი, პარიზი, 1937
- გვარჯალაძე კ. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი, 1936
- გვარჯალაძე კ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის
მუშაობა საზღვარ-გარეთ, პარიზი, 1936
- გილგამეშვიანი, ბაბილონური ეპოსი, ბაბილონურ ტექსტთაგან თარგმნილი
მ.ნერეთლის მიერ, მთარგმნელის შენიშვნებით, გამოცემა კონსტან-
ტინოპოლის ქ.-კ. სავანისა, 1922
- გოგებაშვილი ი. დედა-ენა, დ. ხელაძის გამოცემა, პარიზი, 1931
- დალეჯიო დ'ალესიო, ქართველები კონსტანტინოპოლში (ფრანგულიდან),
შალვა ვარდიძისა, სტამბოლი, საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა
სავანისა, 1921
- ზალდასტანიშვილი ს. საქართველოს 1924 წლის ამბოხება (მოგონებანი),
მიუნხენი, 1956
- ზურაბიშვილი ი.ე. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, პარიზი, 1936
- თავდადებულ მამულიშვილთა ხსოვნა, სტამბოლი, 1923
- თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს,
პარიზი, 1937
- თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და ჩანგალში
1907 წელს, პარიზი, 1938
- თაყაიშვილი ე. პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწე-
რები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი, პარიზი, 1933
- თოფურია ნ. სადაურსა სად წაიყვან, ნიუ-იორკ-თბილისი, 1998
- თოხაძე კ. სიტყვა წარმოქმნილი ქართული სათვისტომოს კრებაზე,
პარიზში, 1971 წლის მარტის ცხრამეტს, დაპყრობის 60 წლისთავი,
პარიზი, 1981, გვ.59-61
- ინასარიძე კ. პატარა ოქროს ხანა, მიუნხენი, 1984
- ინასარიძე კ. ქართველები აშშ-ში, რადიო "თავისუფლების" გადაცემები,
III, მიუნხენი, 1977
- კავკასიის კონფედერაცია (აქტები და კომენტარები), პარიზი, 1937
- კარგარეთელი ალ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, პარიზი, 1981
- კაუციკი კ. საქართველო და მისი ჯალათები, პარიზი, 1930
- ჩიჯავაძე-კედია ს. ნასმენ-ნახული, პარიზი, 2002
- კვინიტაძე გ. მოგონებები, ტ I, თბ. 1999
- კვინიტაძე გ. მოგონებები, ტ II, თბ. 2001
- კვიციანიშვილი მ. მოგონებები, ფიქრები საქართველოზე, თბ, 1991
- ლოცვანი, გამოცემული ნმ.ნინოს მრევლისა, პარიზი, 1939
- ლორთქიფანიძე გრ. ფიქრები საქართველოზე, თბ. 1995
- ლტოლვილთა საძვალენი, პარიზი, 1971
- მათიკაშვილი ნ. კვალიაშვილი მ. იუნკრები, თბ. 1990

- მანველიშვილი ალ. "ვეფხისტყაოსანი" დარუსთაველის ზნეობრივი იდეოლოგია, პარიზი, 1933
- მანველიშვილი ალ. თეთრგოვრგული მოძრაობა და მონარქია. ნარკვევები და წერილები. სან-ფრანცისკო. 1990, გვ. 168-184
- მალაქელაძე შ. მოგონებები, ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, თბ. 1994
- მგელაძე ვ. მოგონებები, ნ. III, პარიზი, 1974
- მგელაძე ვ. ოცდაექვსი მაისი, პარიზი, 1934
- მორალიშვილი გ. განვლილი გზა, თბ. 1999
- პაპაია თ. გაბნეული საფლავები, პარიზი, 1970
